

ბრუნვათა შედგენილობისა და  
არსებით სახელთა ბრუნების  
კროცესების ძირითადი საკითხები  
ლაკურ ენაში

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ენათმეცნიერების ინსტიტუტი

**ბ. ბურჭულაძე**

**ბრუნვათა შედგენილობისა და  
არსებით სახელთა ბრუნების  
პროცესების ძირითადი საკითხები  
ლაკურ ენაში**

თბილისი  
„მეცნიერება“  
1986

**81.2 ლაკ - 2**

**ბ 975**

მონოგრაფიაში განხილულია ბრუნვათა შედგენილობისა და არსებით სახელთა ბრუნების პროცესების ძირითადი საკითხები დაკუთრებული ენაში. სახელ-  
ლობა: ბრუნვათა შედგენილობა (ძირითადი და ადგილობრივი ბრუნვები), ძი-  
რითად და ადგილობრივ ბრუნვათა ნიშნები, მათი გენეზისი, ძირითად ბრუნ-  
ვათა მთავარი სინტაქსური ფუნქციები, საბრუნვებო სახელის ფუძის აგებუ-  
ლება ბრუნების პროცესებთან დაკავშირებით, ბრუნების ტიპები და სხვ.

ნაშრომს წინ უძღვის საკვლევი საკითხთა შესწავლის მოკლე ისტორიაც.

წიგნი განკუთვნილია იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების სამეცნიერ-  
ლისტათის, იგი გამოადგება, აგრეთვე, ზოგადი ენათმეცნიერების სამეცნიერ-  
ლისტებსაც.

რ ი დ ა ქ ტ თ რ ი : ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
ილ. უ ი რ ც ე ა შ ი

4602010000  
ბ -----  
M 607(06)-86

94-86

⊗ გამოაქვეყნება „მეცნიერება“, 1986

წინასიტყვა	5
სატრანსკრიფციო ნიშნები	6
უმთავრეს შემოკლებათა სია	6
§ 1. საკითხის ისტორიისათვის	9
§ 2. საკითხის დასმისათვის	10
§ 3. საბრუნებელი სახელის ფუძის ატეხულებიისათვის ლაკურში	12
§ 4. სახელური ფუძის სტრუქტურა ლაკურში	34
ა) გრამატიკული კლასის ნიშანი	35
ბ) გრამატიკული კლას-ნიშნის მომდევნო ხმოვნის შესახებ	44
გ) სახელის ძირი	45
დ) დეტერმინანტ-სუფიქსთა შესახებ	47
ე) ფუძის ძირითადი ტიპები ლაკურში	49
§ 5. დამაკავშირებელი ხმოვანი	51
§ 6. საერყობი ელემენტი	53
§ 7. ბრუნვათა შედგენილობა (ძირითადი და ადგილობრივი ბრუნვები)	54
§ 8. ძირითად ბრუნვათა ნიშნები და ამ ბრუნვათა მთავარი სინტაქსური ფუნქციები	55
§ 9. ბრუნების ტიპები ლაკურში	57
I. საერყობიანი ბრუნვა	57
I.1. ბრუნვა -რ- საერყობით	57
I.2. ბრუნვა -თ- საერყობით	58
I.3. ბრუნვა -ვ- საერყობით	59
I.4. ბრუნვა -ნ- საერყობით	60
I.5. სწორ თანხმოვნებზე დაბოლოებულ სახელთა ბრუნვა	64
I.6. ბრუნვა ფუძის შინაგან ხმოვანთა ფლექსიით	65
II. უსაერყობო ბრუნვა	67
II.1. ფლექსიონისმოციანი სახელთა ბრუნვა	67
II.2. ფლექსიონისმოციანი სახელთა ბრუნვა	67
II.3. ბრუნვა ფუძის შინაგან ხმოვანთა ფლექსიით	68
§ 10. წაწარმოებ სახელთა ბრუნვა	70
I. საერყობიანი ბრუნვა	70
II. უსაერყობო ბრუნვა	76
§ 11. წათესაობის აღმნიშვნელ და საკუთარ სახელთა ბრუნების ზოგი თავისებურება	76
§ 12. სუპლექტორ სახელთა ბრუნვა	78
§ 13. დამატებითი ცნობები საერყობთა შესახებ	78
§ 14. ადგილობრივი ბრუნვები	80
§ 15. ბრუნვათა გაყოფილების ზოგი თავისებურება დიალექტებისა და თემებისში	82

	გვ.
§ I6. ძირითად ბრუნვათა ნიშნების გენეზისისათვის	84
I. საკუთრივ ერგატიული ბრუნვის შესახებ ლაკურში	84
II. ნათესაობითი ბრუნვის - <u>ლ</u> ნიშნის გენეზისისათვის ლაკურში	89
III. მიცემითი ბრუნვის - <u>ნ</u> ნიშნის გენეზისისათვის ლაკურში	89
§ I7. ადგილობით ბრუნვათა ნიშნების გენეზისისათვის	91
I. ბრუნვის ნიშანთა გენეზისი იმ ლოკატიური ბრუნვებისა, რომლებიც საგანთა ურთიერთობას სივრცის გარეშე გამოხატავენ	92
II. მდგომარეობის გამომხატველი ზოგი ბრუნვის ნიშნის გენეზისისათვის	97
III. მიმართულების გამომხატველი ზოგი ბრუნვის ნიშნის გენეზისისათვის	101
დასკვნები	103
Резюме	109
დამოწმებული ლიტერატურა	122

## ქვირფასი მასწავლებლის

აკად. ვ ა რ ლ ა მ თ ო ფ უ რ ი ა ს

ნათელ ხსოვნას

უძღვნის ამ შრომას ავტორი

### წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს სალიტერატურო ლაკური ენის ბრუნვათა შედგენილობისა და არსებით სახელთა ბრუნების პროცესების ანალიზს. ამდენად, ბუნებრივია, რომ სათანადო კვლევა დაფუძნებულია ლემუქური დიალექტის მასალაზე — ლემუქურია სალიტერატურო ენის საყრდენი.

ლემუქურს ვიკვლევდით 1964-1967 წლებში, ადგილზე, სამეცნიერო მივლინებათა დროს (მივლინებები მოწყობილი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ). მოპოვებული საანალიზო მასალა შედარებულია სხვა დიალექტებისა და თქმების შესაბამის მონაცემებთან, რომლებიც წარმოდგენილია პ.უსლარის, შ.მურყელინსკის, ს.ხაიდაყოვისა თუ სხვათა შრომებში, რაზედაც სათანადო ადგილას მითითებულია. გამოყენებულია, აგრეთვე, ჩვენ მიერ სხვადასხვა დროს შეკრებილი დიალექტური მასალაც.

ნაწილი შრომისა „ბრუნვათა შედგენილობისა და არსებით სახელთა ბრუნების პროცესების ძირითადი საკითხები ლაკურ ენაში“ დაიწერა 1967 წელს და საკანდიდატო დისერტაციას წარმოადგენდა<sup>1</sup> (ხელმძღვანელები : აკად. ვ.თოფურია, პროფ. ილ.ცერცვაძე). ბუნებრივია, იგი თავდაპირველად ისე იყო გამართული, როგორადაც ამას სათანადო შრომები მოითხოვს. წინამდებარე წიგნში საკვალეფიკაციო შრომის ზოგი მონაკვეთი ამოღებულია. სამაგიეროდ, დამატებულია ახალი პარაგრაფები : „სახელური ფუძის სტრუქტურა ლაკურში“ და „ძირითად ბრუნვათა ნიშნების გენეზისისათვის“. იმავედროულად, ახალი საილუსტრაციო მასალის საფუძველზე საგრძნობლადაა გაგრძობილი პარაგრაფი „საბრუნებელი სახელის ფუძის აგებულებისათვის ლაკურში“, ასევე — ზოგი სხვაც.

ნაშრომში გათვალისწინებულია როგორც ჩვენ მიერ ახლად გამოვლენილი საანალიზო მასალა თუ დაკვირვება, ასევე ის სპეციალური ლიტერატურა, რაც 1968 წ. შემდეგ გამოქვეყნდა განხილულ საკითხებთან დაკავშირებით.

<sup>1</sup> რომლის დაცვა შედგა 1970 წ.

სატრანსკრიფციო ნიშნები

- ( ხაზი ) ასოს თავზე აღნიშნავს გრძელ ხმოვანს
- ( ორწერტილი ) ასოს თავზე აღნიშნავს სათანადო ხმოვნის ფარინგალიზაციას
- ° ასოს გვერდზე ( ა°, ი° ... ) აღნიშნავს ხმოვნის ნაზალიზაციას
- ჟ ასოს გვერდზე აღნიშნავს ინტენსიურ (გემინირებულ) თანხმოვანს (ასევე ნახევარაბრუპტივს ანუ პრერუპტივს)<sup>1</sup>
- || ან / ორ ელემენტსა და ორ ფორმას შორის აღნიშნავს პარალელურად შესაძლო ვარიანტებს
  - (გარსკვლავი) აღნიშნავს ადდგენილ ფორმას (ფონემას)
  - ♯ აღნიშნავს ნულოვან ფონემას (მორფემას)
  - > აღნიშნავს მომდევნო მორფემის (ფორმის) წარმომავლობას წინამამგლისაგან
  - < აღნიშნავს წინამამგალი მორფემის (ფორმის) წარმომავლობას მომდევნოსაგან

უმთავრეს შემოკლებათა სია

ენები, დიალექტები, კილოკავ-თქმეები

აბაზ.	—	აბაზური ენა
ადიღ.	—	ადიღური ენა
ანდ.	—	ანდიური ენა
ანდალ.	—	ხუნძური ენის ან დაღდაღური დიალექტი
ანწუხ.	—	ხუნძური ენის ან წუხური დიალექტი
არაქ.	—	ლაკური ენის არაქული დიალექტი
არჩ.	—	არჩიბული ენა
აფხ.	—	აფხაზური ენა
აშთ.	—	ლაკური ენის აშთკული დიალექტი
ად.    ადულ.	—	ადლური ენა
ახვებ.	—	ახვებური ენა
ახთ.	—	ღებგიური ენის ახთური დიალექტი
ახუშ.	—	დარგუული ენის ახუშური დიალექტი
ბაგვ.	—	ბაგვალაღური ენა
ბალხ.	—	ლაკური ენის ბალხარული დიალექტი
ბართხ.	—	ლაკური ენის ბართხული მეტყველება
ბაცბ.	—	ბაცბური ენა
ბოთღიხ.	—	ბოთღიხური ენა
ბუღ.	—	ბუღუბური ენა
დარგ.	—	დარგუული ენა

<sup>1</sup> ღარინგალური სპირანტისაგან განსასხვავებლად ფარინგალიზაციის სპირანტი გადმოცემულია ჰ ნიშნით.

დიდ.	—	დიდოური ენა
ზან.	—	ზანური ენა
თაბ.	—	თაბასარანული ენა
თლად.	—	კაპუჭური ენის თ ლ ა დ ა ლ უ რ ი დიალექტი
თლონდ.	—	ბაგვალაღური ენის თ ლ ო ნ დ ო ლ უ რ ი კილოკავი
ინგ.	—	ინგუშური ენა
ინხოყვ.	—	ხვარშიული ენის ი ნ ხ ო ყ ვ ა რ უ ლ ი დიალექტი
კაპ.	—	კაპუჭური ენა
კარ.    კარატ.	—	კარატული ენა
კვან.	—	ბაგვალაღური ენის კ ვ ა ნ ა დ უ რ ი კილოკავი
კრიწ.	—	კრიწული ენა
კუბ.	—	დარგული ენის კ უ ბ ა რ უ რ ი დიალექტი
ლაკ.	—	ლაკური ენა
ლაკ.-დარგ.	—	ლაკურ-დარგული ენები
ლეზგ.	—	ლეზგიური ენა
მეგრ.	—	ზანური ენის მ ე გ რ უ ლ ი დიალექტი
მური.	—	დარგული ენის მ უ ი რ უ ლ ი დიალექტი
რუთ.	—	რუთულური ენა
საკუთრ. ბალხ.	—	ლაკური ენის ბალხარული დიალექტის ს ა - კ უ თ რ ი ვ ბ ა ლ ხ ა რ უ ლ ი თქმა
სირხ.	—	დარგული ენის ს ი რ ხ ი ს დიალექტი
სვან.	—	სვანური ენა
ტინდ.	—	ტინდიური ენა
უბიხ.	—	უბიხური ენა
უდ.	—	უდიური ენა
ურახ.	—	დარგული ენის უ რ ა ხ უ ლ ი დიალექტი
ურუჩი.	—	ლაკური ენის ბალხარული დიალექტის აულ უ რ უ - ჩ ა რ - ი ს თქმა
ქართ.	—	ქართული ენა
ქვანხ.	—	ანდიური ენის ქ ვ ა ნ ხ ი დ ა თ ლ ი ს თქმა
ქისტ.	—	ჩარჩური ენის ქ ი ს ტ უ რ ი დიალექტი
ლოდ.	—	ლოდბერიული ენა
ყაბ.	—	ყაბარდოული ენა
ჩარჩ.	—	ჩარჩური ენა
წალჭვხ.	—	ლაკური ენის ბალხარული დიალექტის აულ წ ა ლ ჳ - კ ხ ჳ ნ - ი ს თქმა
წახ.	—	წახური ენა
წუდ.    წუდახ.	—	დარგული ენის წ უ დ ა ხ ა რ უ ლ ი დიალექტი
ჭამ.    ჭამალ.	—	ჭამალაღური ენა
ჭან.	—	ზანური ენის ჭ ა ნ უ რ ი დიალექტი
ჭარ.	—	ხუნძური ენის ჭ ა რ უ ლ ი დიალექტი

ჭებერლ.	—	ჩაჩნური ენის ჭ ე ბ ე რ ლ ო უ რ ი დიალექტი
ხაიდაყ.	—	დარგუული ენის ხ ა ი დ ა ყ უ რ ი დიალექტი
ხვარშ.	—	ხვარშიული ენა
ხინ.    ხინალ.	—	ხინალუღური ენა
ხუნძ.	—	ხუნძური ენა
ხუნძ.-ანდ.	—	ხუნძურ-ანდიური ენები
ხუნძახ.	—	ხუნძური ენის ხ უ ნ ძ ა ხ უ რ ი დიალექტი
კჭულ	—	ლაკური ენის ბალხარული დიალექტის აულ კ ჭ ლ - ის თქმა
ჰიდ.	—	ხუნძური ენის ჰ ი დ უ რ ი დიალექტი
ჰინ.	—	ჰინუხური ენა
ჰიჰ.	—	ჭამალაღური ენის ჰ ი ჰ ა თ ლ უ რ ი კილოკავი
ჰუნზ.	—	ჰუნზიბური ენა

#### გრამატიკული ტერმინები

ადგილ.	—	ადგილობითი ბრუნვა
გრ. კლ.	—	გრამატიკული კლასი
დ. (ჩრდილ.    ჩრდ., სამხ. )	—	დიალექტი (ჩრდილოური, სამხრული)
დაშ.	—	დაშორებითი ბრუნვა
ერგ.	—	ერგატივი
ერგ.-ნათ.	—	ერგატივ-ნათესაობითი
კავშ.	—	კავშირებითი ბრუნვა
ლოკატ.	—	ლოკატიური ბრუნვა
მიახლ.	—	მიახლოებითი ბრუნვა
მითვ.	—	მითვისებითი ბრუნვა
მიმართ.	—	მიმართულებითი ბრუნვა
მოც.	—	მოცემითი ბრუნვა
მოქმ.	—	მოქმედებითი ბრუნვა
მრ. რ.    მრ. რიცხვი	—	მრავლობითი რიცხვი
მხ. რ.    მხ. რიცხვი	—	მხოლოდობითი რიცხვი
ნათ.	—	ნათესაობითი
სახ.	—	სახელობითი

§ I. საკითხის ისტორიისათვის. სახელთა ბრუნება ვრცელადაა წარმოდგენილი პ.უსლარის მონოგრაფიაში „ლაკური ენა“, სადაც ბრუნვები ორ ჯგუფადაა დალაგებული: პირველ ჯგუფში გაერთიანდა ბრუნვები, რომლებიც საგნებს შორის აბსტრაქტულ დამოკიდებულებას აღნიშნავენ, ხოლო მეორეში — ადგილობითი ბრუნვები ([I46], გვ.29); ამასვე იმეორებს ა.შიფენერი ([I72], გვ.12).

ფრ. მიულერის ბრუნვათა პარადიგმა ყურადღებას იმსახურებს მასალის დალაგებით. მისი აზრით, პირველი ჯგუფის ბრუნვებში, რომელც კ პ.უსლარმა გამოყო, ორი ქვეჯგუფია გამოსაცალკევებელი: I. ბრუნვები, რომლებიც უშუალოდ სახელობითი ბრუნვის ფორმისაგანაა ნაწარმოები და 2. ბრუნვები, რომელთა ფუძეს, უმეტეს შემთხვევებში, სუფიქსთან ერთად მადეტერმინანტებელი ელემენტი დაერთვის ([I71], გვ.85).

ა.დირმა ეს ბრუნვები სამ ჯგუფად დაყო: I. ნამდვილი გრამატიკული, აბსტრაქტული, 2. ადგილობითი, 3. სუფიქსები, რომლებიც შეიძლება სხვა ბრუნვებთან შეგვხვდეს ([I66], გვ.288).

გ.თოფურის გამოკვლევაში „ბრუნების სისტემისათვის ლაკურს ენაში“ ([24], გვ.827-836), პირველად ამ ენის შესწავლის ისტორიაში, მყარ მეცნიერულ საფუძველზე დადგენილია ძირითადი და თანდებუიანი ბრუნვები, მოცემულია ზოგაერთი თანდებულის გენეზისი.

ლ.ჟირკოვის ნაშრომში „ლაკური უნა“ ბრუნვები ორ ჯგუფადაა დალაგებული: პირველ ჯგუფში გამოყოფილია 8 ძირითადი ბრუნვა, ხოლო მეორეში — 6 სრული და ერთიც არასრული სერია. თითოეულ სერიაში შედის 5 ადგილობითი ბრუნვა, ხოლო არასრულ სერიაში 2 ბრუნვაა ([I15], გვ.35-36).

ჰ.მურყელინსკის სასკოლო გრამატიკაშიც ბრუნვები ორ ჯგუფადაა დაყოფილი ([I63], გვ.27); სხვაობაა მხოლოდ პირველი ჯგუფის ბრუნვებში ბრუნვათა რაოდენობის თვალსაზრისით. მისსავე „ლაკური ენის გრამატიკაში“ კი ბრუნვები მათი მნიშვნელობის მიხედვით უკვე სამ წყებადაა წარმოდგენილი ([I33], გვ.85) :

I. სუბიექტურ-ობიექტური ბრუნვები, რომლებიც გამოხატავენ ე.წ. სუბიექტურ-ობიექტურ მიმართებებს;

II. ადგილობითი ბრუნვები, რომლებიც სივრცით მიმართებებს გამოხატავენ, თუმცა ძალუთ ობიექტურ მიმართებათა გამოხატვაც;

III. შუალედური ბრუნვები, რომლებიც თავიანთი მნიშვნელობით (და გამოყენებით) უფრო სუბიექტურ-ობიექტურ მიმართებათა გამოხატვითი ბრუნვებისაგან იხრებიან, ხოლო წარმოებით — ადგილობითი ბრუნვებისაგან.

ლაკურში ბრუნების სისტემის დისტრიბუციული ანალიზი ცადა ს.ხაიდაყოვმა ([I50], გვ.148-150).

არნ.ჩიქობავას ნაშრომში „სვანური მოთხრობითი ბრუნვის ერთი ვარიანტი და სახელის ბრუნების ორფუძიანობა ზოგ კავკასიურ ენაში“ გარკვეუ-

ლია ორფუძიანი ბრუნების ბუნება ლაკურში [46] . მანვე მოგვცა ერგატი-  
ვის ისტორიის სურათი ლაკურში დალესტენის სხვა ენებთან მიმართებაში  
[89] . ამავე საკითხზეა მსჯელობა ს.ხაიდაყოვის [152] , ი.ცერცვაძის  
[53] , ფ.გაიდაროვას [102] , გ.თოფურიას [28] სტატიებში .

ი.აბდულაევის მონოგრაფიაში [64] ცალკეა განხილული „არსებით  
სახელთა ბრუნება და გრამატიკული კლასების კატეგორია“ , სადაც წარმოდგე-  
ნილია ა) „ლაკური ენის არსებით სახელთა ძირითადი ბრუნვები“ და ბ)  
„ლაკური ენის ადგილობითი ბრუნვები“ .

ლაკური ბრუნების კონკრეტული საკითხებია განხილული ფ.გაიდაროვასა  
და გ.ბურჭულაძის რიგს ნაშრომში :

ფ.გაიდაროვასი — „ბრუნებათა წარმოება ლაკურ ენაში“ ([98], გვ.  
308-321) , „ნათესაობითი ბრუნვის ფუნქცია ლაკურ ენაში“ ([101], გვ.  
236-244) , „ადგილობით ბრუნებათა ფუნქციები ლაკურ ენაში“ ([100], გვ.  
278-280) ; გ.ბურჭულაძისა — „სახელთა ბრუნების ზოგი საკითხი ლაკურ-  
ში“ ([8], გვ.172-188; [164], გვ.83-98) , „ლაკურ-დარგული ერთი თანდე-  
ბულიანი ფორმანტის შესახებ“ ([93], გვ.228-235) , „ადგილობით -ლუ  
„-ქევე“ და -ჟუ „-ში“ ბრუნებათა ნიშნების გენეზისისათვის ლაკურში“  
([1], გვ.433-436) , „ძირითად ბრუნებათა შესახებ ლაკურში“ ([10], გვ.  
135-147) .

ლაკური ენის ბრუნების ამა თუ იმ საკითხზეა მსჯელობა ე.პოკარევი-  
სა [85] ; [80] ; [84] და ბ.გიგინეიშვილის [106] შრომებში .

სახელთა ბრუნებას მიეძღვნა საკანდიდატო დისერტაციები ფ.გაიდარო-  
ვასი [99] და გ.ბურჭულაძისა [97] .

§ 2. საკითხის დასმისათვის. ბრუნების საკითხი ლაკურში, მსგავსად  
სხვა დალესტნური ენებისა, რთულია, რასაც ბრუნებათა მრავალრიცხოვნება  
ქმნის. ეს უკანასკნელი კი გამოწვეულია იმით, რომ ე.წ. ნამდვილ ბრუნე-  
თა გვერდით ამ ენებში გვხვდება მეტად განვითარებული თანდებულიან (ანუ  
ადგილობით) ბრუნებათა სისტემა.

ბრუნებათა რაოდენობისა და რაგვარობის თვალსაზრისით მკვლევართა შო-  
რის აზრთა სხვადასხვაობაა. ეს გამოწვეულია იმით, რომ არაა სათანადოდ  
გამიჯნული ე.წ. ნამდვილი ბრუნვები თანდებულიან ბრუნებათაგან. ხშირად  
მხედველობაში არ იღებენ ამა თუ იმ ბრუნვის ისტორიას. ამიტომაც —  
მეტწილ ავტორთან — ზოგი ენისათვის ხუთ ათეულამდე ბრუნვა იყო გამო-  
ყოფილი, როცა სინამდვილეში ნამდვილი, ძირითადი ბრუნვა რამდენიმეა. მაგა-  
ლითად, პ.უსლარმა ლაკურში ძირითად ბრუნვად 12 ბრუნვა მიიჩნია ([146],  
გვ.29-30) , ლ.ქირკოვმა — 8 ([115], გვ.35) , ხოლო ჰ.მურყელინსკიმ თა-  
ვის სასკოლო გრამატიკაში ასეთ ბრუნვებად 6 გამოაცალკევა ([163], გვ.  
27) . სპეციალურ ლიტერატურაში კი დადგენილია, რომ ლაკურში ძირითადი  
ბრუნვა სულ ს ა მ ი ა ; სახელობითი, ნათესაობითი და მიცემითი —  
ოთხი, თუ წოდებითს ჩავთვლით ([24], გვ.331) . სამართლიანად შენიშნავენ  
([41], გვ.199) , რომ ვ.თოფურიას ამ დასკვნის წყალობით „დაიძლია ფანტას-  
ტიკური მრავალფეროვნება და თავისი ადგილი იპოვა ბრუნვამაც და მასთან  
შერწყმულმა თანდებულმაც (თუ ზმნისართმა)“ .

იმ 12 ბრუნვიდან კი, პ.უსლარი რომ ძირითად ბრუნვებად თვლიდა, 8 — თანდებულიანი აღმოჩნდა.

სპეციალურ ლიტერატურაში არც ადგილობრივ ბრუნვათა რაოდენობაა ერთგვარად წარმოდგენილი. მაგალითად, პ.უსლარის „ლაკურ ენაში“ ასეთი ბრუნვა 35-ია ([146], გვ.30), ხოლო ლ.ჟირკოვის მონოგრაფიაში — 32 ([115], გვ.36-37).

დადესტნურ ენებში ბრუნვათა გამოყოფისათვის გასათვალისწინებელია ის სტრუქტურული თავისებურება, რომელიც იბერიულ-კავკასიურ ენათა ერთ წყებაში დასტურდება. კერძოდ: ძირითად და ადგილობრივ ბრუნვებს ერთი ს ა ე რ თ ო ფუძე აქვთ გამოყენებული — სახელობითი ბრუნვისათვის გამოიყენება ერთი ფუძე, ხოლო დანარჩენ ბრუნვათათვის ის ფუძე, რომელიც ერგატივშია წარმოდგენილი. „ლაკურში ნათესაობითი ასრულებს ერგატივის როლს, და ამ ნათესაობითის ფუძეა გამოყენებული მეორე ფუძედ“ ([46], გვ. 57).

გამოთქმულია მოსაზრება ([87], გვ.43), რომ, რაკი ძირითად და ადგილობრივ ბრუნვებს ერთი ფუძე აქვთ გამოყენებული (და ეს უკანასკნელი ხშირად ბრუნვის ნიშნის გარეშე არ გვხვდება), ის, რაც ამ ფუძეს ერთვის, ბრუნვის ნიშანიაო. ამას იზიარებდა, ალბათ, ლ.ჟირკოვი, როცა ლაკურში არსებულ ჭაპალუ || ჭაპალ ლუჟი „ფოთლებს ქვეშ“ ფორმათა მიხედვით ასკვნოდა: ჭაპალუ ნამდვილი ბრუნვის ფორმაა, ხოლო ჭაპალ ლუჟი — თანდებულიანო ([115], გვ.38).

ასეთი პარალელური ფორმების არსებობა სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ ჭაპალუ „ფოთლებს ქვეშ“ თანდებულიანი ბრუნვის ფორმაა; მისი პარალელური ჭაპალ ლუჟი კი აშკარად მიგვანიშნებს, თუ საიდანაა მიღებული ჭაპალუ ფორმა. ესაა ისეთი შემთხვევა, როცა თანდებული (ასე თუ ისე დამოუკიდებელი სიტყვა) გადაიქცა დამხმარე ელემენტად და იკისრა ბრუნვის ნიშნის ფუნქცია ([87], გვ.40). უკეთ, აქ თანდებულიანი წარმოება იქცა ორგანულ ერთეულად, რომელიც ა ხ ლ ო ა ბრუნვის ერთეულთან (ანალოგიურ შემთხვევათა თაობაზე იხ. : ([161], გვ.260).

როგორც მოყვანილი მაგალითიდან ჩანს, თანდებული დაერთვის ე.წ. მეორე ფუძეს (ბრუნვის ნიშანჩამოცილებულს) ისე, რომ თანდებულსა და ამ ფუძეს შორის არ დგას სხვა რომელიმე ელემენტი (ან სიტყვა).

პ.უსლარს ეს რომ თანმიმდევრულად გაეთვალისწინებინა თავის „ლაკურ ენაში“, მაშინ არ გამოაყალკებებდა ბრუნვად -ქსა „-ვით“, -ქუნან ( I გრ. კლ.), -ქუნან ( III გრ. კლ.), -ქუნან ( II-IV გრ. კლ.) „როგორც“ ნაწილაკოვან წარმოებას. ეს ნაწილაკები, როგორც თვით პ.უსლარი აღნიშნავს ([146], გვ.33-34), შეიძლება ყველა ბრუნვის ფორმას დაერთოს. ამგვარად შეგვიძლო -სხა აფიქსიანი წარმოებაც ცალკე ბრუნვად გამოგვეყო. -სხა ლაკურში შეიძლება დაერთოს ყველა ბრუნვის ფორმას და მისცეს მას ატრიბუტიული მნიშვნელობა. ქართულშიც, მაგალითად, -ც, -ცე, -და ... ნაწილაკები სხვადასხვა ბრუნვის ფორმებს ერთვიან, მაგრამ ასეთი ფორმები ახალ ბრუნვად არავის მიუჩნევია ([41], გვ.197).

როგორც აღინიშნა, სახელობითში ერთი ფუძეა გამოყენებული (ასეა გა-

ტარებული უმეტეს შემთხვევაში), სხვა ბრუნვებში კი ის ფუძე გვაქვს, რომელიც, როგორც ცნობილია, ერგატევი დასტურდება. რაკი „ისტორიულად — მოთხრობითი „პირველი სახელობითა...“ ([48], გვ. 175), ამდენად ივარაუდება, რომ ეს ფუძე უფრო ძველია, ვიდრე სახელობითისა.

§ 3. საბრუნებელი სახელის ფუძის აგებულებისათვის ლაკურში. ლა — კურში, როგორც ამას პ. უსლარი შენიშნავდა, სახელის ბრუნებისას მთავარია ოთხი ფორმა: 1. მხ. რიცხვის სახ. ბრუნვისა, 2. მხ. რიცხვის ნათ. ბრუნვისა, 3. მრ. რიცხვის სახ. ბრუნვისა, 4. მრ. რიცხვის ნათ. ბრუნვისა ([146], გვ. 16). ამიტომაა, რომ აღნიშნულ ფორმებს ძირითადი ფორმები ეწოდება. მცირეა ისეთი შემთხვევები, როცა შეგვიძლია ამ ფორმების წინასწარ გამოცნობა. ეს საზოგადოდ მაშინაა, როცა ნაწარმოებ სახელებთან გვაქვს ხოლმე საქმე.

სახელობითი ბრუნვის ფუძეს პირობით უი რ და პ ი რ ი ბრუნვის ფუძეს უწოდებენ, ხოლო დანარჩენ ბრუნვათა ფუძეს — ი რ ი ბ ბრუნვათა ფუძეს. ეს უკანასკნელი ცნება ლაკური ენის მიმართ ნახმარია ი. კლაპროთის შრომაში ([169], გვ. 62), სადაც წერია: ზურჯ-ენ (გამოყოფა ავტორისაა — გ. პ.) ირიბი ბრუნვაა ზურჯ „ბავშვი“, „ბიჭი“ სიტყვისათ.

პირდაპირი ბრუნვის ფუძესა და ბრუნვის ნიშანს შორის ხშირად ჩნდება რაღაც ელემენტი. მართალია, მისი წინასწარ განსაზღვრა მეტად ძნელია, მაგრამ ყველა ასეთი შემთხვევის გათვალისწინება აუცილებელია, რადგან, საზოგადოდ, „სახელთა ბრუნების პროცესის რკვევა ფუძის დაბოლოების საკითხსაც მოიცავს“ ([89], გვ. 104).

სპეციალურ ლიტერატურაში ადრევე იყო აღნიშნული, რომ ლაკურში ნათ. ბრუნვის ნიშნის წინ ზოგჯერ, შესაძლოა, ფუძის ბოლოკიდური ელემენტი იყოს აღმდგარი. მაგ., ბაკ „თავი“ — ბაკ-რ-ალ „თავისა“; შდრ. ხუნძ. ბეტერ „თავი“, ე. ი. ბაკ < \*ბაკარ ([89], გვ. 110).

გ. თოფურია ლაკური ენის სალექციო კურსში ამგვარ „ჩანართ“ ელემენტებს ფუძის კუთვნილებად მიიჩნევდა.

მართლაც, ახლომონათესავე ენათა მასალის მოხმობით ბევრი ასეთი ელემენტი ფუძისეული აღმოჩნდა, რომელიც დაცულია ირიბ ბრუნვათა ფუძეში. უფრო მეტიც, რიგ შემთხვევაში ჩანს გარკვეული კანონზომიერება, თუ რომელ პოზიციაში ისტორიულად მოსალოდნელი თანხმომავნი რა რეფლექსს გვაძლევს:

1. თუ თანხმომავნი დაწყებულ ღია ერთმარცვლიან სახელს ერგ. -ნათ. ბრუნვის ნიშნის წინ, რომელსაც ი ხმომავნი მიუძღვის, ე თანხმომავნი გამოაჩნდა, მაშინ ეს ე რიგ შემთხვევაში მიღებული ჩანს რ თანხმომავნისა-გან, რასაც ახლომონათესავე ენათა მასალა ადასტურებს. სქემატურად:

\*-რ-ი- > -ნ-ი-. სათანადო ნიმუშები:

1. წა „სახელი“ — ერგ. -ნათ. წან-ი-ლ < \*წარ-ი-ლ < \*წარ-ი-ლ შდრ. ხუნძ. წხარ, ანდ. წხერ, ახვახ., ბოთიხ., კარატ. წხერი .... არჩ. წხორ, ლეზგ. ტჰარ, ტარ, თხარ, კრიწ., ბუდ. თურ, რუთ. ღურ „სახე-

ლი<sup>1</sup>. ლეზგიურ ენათათვის ამოსავლად \*წზ ვარიანტიანი ფუძეა აღდგენილი (იხ.: ([145], გვ. 297).

დარგულში სათანადო ფუძე წარმოდგენილია ხუ (ახუმ., ურახ., მური.), ხუ (სირხ., ხაიდაყ., წუდახ.) ვარიანტთა სახით. ორივეგან, ჩანს, დაკარგულია ბოლოკიდური რ, ხოლო ხ, ზ ამოსავალი \*წზ-ს რეფლექსებია<sup>2</sup>.

ღ+ვ სტრუქტურის მქონე სუფიქსის წინ რ ვარიანტიანი ფუძე ლაკურშიცაა დაცული: წარ-ღუ „სახელები“.

რ ვარიანტიანი სათანადო ფუძე დასტურდება, აგრეთვე, ნახურ ენებში<sup>3</sup>: ბაცბ. წე „სახელი“ — ნათ. წარ-ი<sup>4</sup>; მრ.რ.: წ რ-იშ „სახელები“ ჩარჩ. წე „სახელი“ — ნათ. წერ-ან; მრ.რ.: წერ-შ „სახელები“ ინგ. წი „სახელი“ — მრ.რ.: წერ-აშ „სახელები“<sup>4</sup>.

2. კუ „მინდორი“, „ყანა“ — ერგ.-ნათ. კუნ-ი-ლ < \*კურ-ი-ლ შდრ. ხუნძ., ანდ., კარატ. ხურ, ბოთლიხ., ლოდ. ხური, ახვახ. კური „სახნავი მინდორი“. ხუნძ.-ანდ. ენათა ხურ < \*კურ<sup>5</sup>. იმავე ძირის შემცველია, აგრეთვე, დიდ. ხურ, არჩ. უხ < \*უხურ; ამ უკანასკნელს შდრ. მრ. რ. უხურ-ჩენ ([107], გვ. 92).

ღ+ვ სტრუქტურის მქონე სუფიქსის წინ ფუძისეული რ ლაკურში შემონახულია: კურ-ღუ „მინდვრები“, „ყანები“.

3. ხუ „უბე“, „ილია“ — ერგ.-ნათ. ხუნ-ი-ლ < \*ხურ-ი-ლ შდრ. ხუნძ. ლ<sup>6</sup>ორ „უბე“, „ილია“, ანდ. ინ-ლ<sup>6</sup>ირა, ლოდ. ჰინ-ლ<sup>6</sup>არი „უბეში“, „ილიაში“ ([8], გვ. 178; [164], გვ. 84).

მართალია, დარგ. დუქლა „უბეში“, „ილიაში“ ფორმის მიხედვით ლაკურისათვის \*ხურ-ს აღადგენენ ([107], გვ. 92), მაგრამ ლაკ. ხურ-ღუ „უბეები“, „ილიები“ რეალურს ხდის ხუნ-ი-ლ < \*ხურ-ი-ლ. თანაც დარგულში ლაკ. \*ხურ-ის კანონზომიერ შესატყვისად დასტურდება \*ხარ „კალთა“ ([74], გვ. 95).

1 დადესტნურ ენათა შესადარებელი მასალა, თუ მითითებული არაა, აქ და ქვემოთ, მოგვყავს შემდეგი ნაშრომებიდან: [138]; [89]; [110]; [108]; [145]; [144]; [154]; [107].

გამოყენებული საილუსტრაციო მასალა შეჯერებულია ცალკეულ ენათა შესახებ არსებულ მონოგრაფიულ თუ სხვა სახის გამოცვლევათა სათანადო მონაცემებთან.

2 დარგულში საერთო-დადესტნური \*რ-ს რეფლექსად საზოგადოდ ღ-სა და რ-ს ვარაუდობენ ([107], გვ. 68). ასევეა დაკარგული ბოლოკიდური რ ზოგ ლეზგიურ ენაში: უდიურსა, წახურსა და ხინალულურში ([145], გვ. 255).

3 ნახურ ენათა საილუსტრაციო მასალა, აქ და ქვემოთ, თუ მითითებული არაა, მოგვყავს [129], [76], [36ა] წიგნებიდან.

4 დადესტნურ და ნახურ ენათა რიგ მონაცემს აფხაზურ-ადილურ ენათა შესაბამის მასალას უკავშირებდა ნ. ტრუბეცკოი ([174], №77), ხოლო სათანადო ქართველურ ენათა მასალას — თ. გონიაშვილი ([16], გვ. 591).

5 ანალოგიურ შემთხვევებში ამოსავალი ვითარება ახვახურშია ხოლმე დაცული ([175], § 14).

4. ქია „ხელი“ — ერგ.-ნათ. ქიან-ი-ლ < \*ქიარ-ი-ლ  
შდრ. ხუნდ. ქვეტ, ახვახ. ქვარ- სიტყვაში ქვარ-ყუხენ „სამაჯური“  
([I07], გვ.80), კაპ. (თლად.), ჰუნზ. ქორო „მტევანი ხელისა“ ...

რ ვარიანტიანი ფუძეა დაცული ლაკურისავე გამოთქმაში ქიარ-დუ  
დუჰლან „ხელ(ებ)ის ჩამორთმევა“ ([78], გვ.158). ისიცაა აღსანიშნავი,  
რომ დაღესტნურ ენათათვის ამოსავალ ფორმად სწორედ \*ქიარ-ს აღადგენენ  
([I44], გვ.124; შდრ. [I07], გვ.69)<sup>1</sup>.

5. ამავე კანონზომიერებითაა ნაწარმოები აა „თვალი“ სახელის  
ირიბ ბრუნვათა ფუძე, რადგან იგი ისტორიულად თანხმოდნით იწყებოდა:

აა „თვალი“ — ერგ.-ნათ. აან-ი-ლ < \*აარ-ი-ლ  
შდრ. ხუნდ. ბერ, კარ. ჰარ-კა, ბოთლიხ., ლოდ. ჰაა < \*ჰარ, ანდ.  
ჰარ-კუ, ჭამალ. ჰა-ჭა < \*ჰარ-ჭა < \*ჰარ-კა „თვალი“<sup>2</sup>.

ფუძის ბოლოკიდურ თანხმოდნად რ-ს აღდგენას ხელს შეუწყობდა, აგრეთვე,  
ჩაჩნ. ბმჰრ-გ, ინგ. ბმარ-გ, ბაცბ. ბმარ-კ „თვალი“.

მართალია, დარგულის სათანადო ფუძეში ლ გვაქვს (ჰოული „თვალი“),  
მსგავსად ლეზგიური ენებისა, სადაც, აგრეთვე, ფუძის ბოლოს ლ დასტურდება  
(ლეზგ. ვილ, ულ (ახთი), თაბ., ად., რუთ., წახ. ულ, ბუდ., კრიწ. მჰულ,  
ხინალ. ფილ, უდ. ფულ „თვალი“), მაგრამ ეს არ ცვლის საქმის ვითარებას.  
თუმცა ერთი, შესაძლოა, ლაკურ-დარგულ ენათა ერთობის ხანაში რ/ლ ვა-  
რიანტიანი ფუძეები თანაარსებობდნენ კიდევ. ასეთი სურათია დღეს, მაგალი-  
თად, ხუნძურში, სადაც ბალა-ჰიზე „ცქერა“ ზმნის ბალა სეგმენტი იგივე  
უნდა იყოს, რაცა გვაქვს ხუნდ. ბერ < \*ბარ(ა) „თვალი“; ანალოგიურადაა  
აფხაზურში: ა-ბლა < \*აბლა „თვალი“ და ა-ბარა „ცქერა“ ([51], გვ.255).

თუ აღნიშნულ ფუძეებთან ნახურ ენათა მასალის კავშირი სარწმუნოა<sup>3</sup>,  
მაშინ ლაკურში მართლაც რ ვარიანტიანი ფუძეა აღსადგენი და, მაშასადა-  
მე, დარგულთან შედარებით უფრო ძველი ვითარება აქა გვაქვს დაცული.

6. ჭი „ბატკანი“ — ერგ.-ნათ. ჭინ-ი-ლ ([I46], გვ.888) < \*ჭირ-  
ი-ლ < \*კირ-ი-ლ

შდრ. დარგ. მუ-ყარა (ახუმ., ურახ., სირხ., წულ.), მუ-ყარე (კუბ.),  
ხუნდ. ტაბმერ, კარ. ტაბერ, ბოთლიხ. ტაბდერ, ლოდ. ტაბდირ „ბატკანი“.

დღეს სამწერლობო ლაკურში ერგ.-ნათ. ბრუნვის ფორმაა ჭილ-უ-ლ, რა-  
მაც აქ ფუძის ბოლოკიდურ ელემენტად ლ-ს აღდგენა გამოიწვია ([I07],  
გვ.69). მართლაც, ლ დასტურდება „ბატკანის“ აღმნიშვნელ არჩ. ტაბლ,  
ლეზგ. კჰლ, უდ. ყალ და ზოგი სხვა ენის სათანადო მასალაში.

ამიტომ საფიქრებელია, რომ ენაში ორივე ფორმა თანაარსებობდა, როგორც  
დუბლეტები: \*კილ || \*კირ, თუმცა \*კირ ფორმის პირველადობას ლაკურში

I ბოლოკიდური რ დაცულია, აგრეთვე: ჩაჩნ. ქერა-აჟე „ხელის გული“  
(შდრ. აჟე „შუაგული“), ბაცბ. ქორ- (ქო „ხელის“ ირიბ ბრუნვათა ფუ-  
ძე) სიტყვებში.

2 ბ > ჰ პროცესისათვის აღნიშნულ ენებში იხ.: ([51], გვ.255).

3 რაც ჯერ კიდევ ნ.ტრუბეცკოიმ აჩვენა ([I74], №68) ლაკური და ზოგი  
აქ მოყვანილი მასალის გაუთვალისწინებლად.

მხარს დაუჭერდა დარგ. და ხუნძ. ენათა სათანადო მონაცემები.

ბუნებრივია, რომ იმავე პოზიციაში ისტორიულად არსებული ბოლოკიდური ნ-ც ადდგეს, რითაც იგი მასალობრივ დაემთხვევა რ-საგან მომდინარე ნ-ს:

1. ტუ „ცხვარი“ — ერგ.-ნათ. ტუნ-ი-ლ<sup>1</sup>

შდრ. ხუნძ. ტუჲ || ქვი < \*ტუნღი, ანდ. ტუნ, ბოთიხ. ტუ<sup>ნი</sup> < \*ტუნღი, ჭამი., კარ. ტუ<sup>ჲ</sup> < \*ტუ<sup>ნი</sup> < \*ტუნღი, ბაგვ. ტუი<sup>რ</sup> < \*ტუი<sup>რღ</sup> „ცხვარი“.

ტუნ- ფუძე დასტურდება ლაკურშიც: ტუნ-ნი „ცხვრები“, სადაც -ნი (< -ნუ ფუძისეულ უ-სთან დისიმილაციით) მრ.რიცხვის ფორმანტია.

2. ტუ „კუჭი“ — ერგ.-ნათ. ტუნ-ი-ლ < \*ქუნ-ი-ლ < \*ქიან-ი-ლ

შდრ. დარგ. ქანი < \*ქიანი (ახუმ.), ქიანი (ურახ., მუირ.), ტუნი < \*ტიუნღი < \*ტიანღი (წუდ.) „კუჭი“. ამავე ძირის შემცველი უნდა იყოს ლეზგიურ ენათა ტუჰჰუნ || ტუჰუნ || > უჰუნ (წახ.), რუთ. უჰუნ, ლეზგ. რუჰუნ, ად., თაბ. ჭუნ, კრიწ. ჭან, უდ. ბუჰუნ „მუცელი“ ([59], გვ. 345), სადაც ბოლოკიდურ ელემენტად ყველგან წარმოდგენილია ნ.

3. ტუ „წილი“ — ერგ.-ნათ. ტუნ-ი-ლ

შდრ. მრ.რ.: ტუნ-ნი „წილები“, სადაც მრ. რიცხვის -ნი (< \*-ნუ) ფორმანტის წინ მდგომი ნ ფუძისეულია, რომელიც სახელობითში დაკარგულა. შდრ., აგრეთვე:

ახვახ. ტანი, ანდ., ბაგვ., ბოთიხ., ლოდ., ჭამალ. ტანა, კარ. ტანე, უდ. ტი < \*ტიუნ ([145], გვ. 259) „წყილი“<sup>2</sup>.

4. კი „ზამთარი“ — ერგ.-ნათ. კინ-ი-ლ || კინ-თ-ნ-ი-ლ<sup>3</sup>

შდრ. დარგ. ჯანი (ახუმ.), ჰინი (ურახ.), ინი (მუირ.), განი (ხადყ.), გა < \*განი (წუდ., კუბ., სირხ.), ხუნძ. ტინ, ანდ. ტინუ, დიდ., ხვარშ. ელ<sup>ნ</sup>უ, ჰინ. ელ<sup>ნ</sup>ი, კაპ. ლ<sup>ნ</sup>ი, ჰუნზ. ლ<sup>ნ</sup>ი „ზამთარი“<sup>4</sup>.

1 ტუნ-ი-ლ ფორმა მოყვანთ მხოლოდ „კუჭის“ აღმნიშვნელ სახელთან ([148], გვ. 139), ჩვენ კი იგი ფიქსირებული გვაქვს „ცხვრის“ აღმნიშვნელ სახელთანაც ტუ-ლ ფორმის პარალელურად.

2 ეს იგივე ძირი ჩანს, რაცა გვაქვს ქართ. ტ-ილ-ი, ჭან. მ-ტ-ი, მეგრ. ტ-ი || ტ-იშ, სვან. ტ-იშ ლექსემათა სახით (აღნიშნულ ფუძეთა შედგენილობის შესახებ იხ.: ([47], გვ. 116). ტილ- ვარიანტი ჩანს ქართ. წილ-ისა. მათი ურთიერთმიმართება ისეთივე ჩანს, როგორცაა ლაკ. ნაწუ „ტილ-სა“ და ტუ „წილს“ შორის.

3 -თ- წელიწადის დროის აღმნიშვნელ სახელთა მაწარმოებელი ჩანს, მათ დაერთვის ([15], გვ. 68).

4 ხუნძ. ტინ „ზამთარი“ სახელს უკავშირებენ ქართ. ყ-ინ-ულ-ი, მეგრ. ყ-ინ-ი „ყინული“, „ცივი“, ჭან. ყ-ინ-ი (|| ყ-ინ-ი || ინ-ი) „სიცვი“, „ცივი“ ფორმებს, რომლებშიც ნ ფუძისეულია ([22], გვ. 58).  
-ნ-ს ფუძისეულობას მოწმობს, აგრეთვე, ნახურ ენათა მასალაც, სადაც იგი ირიბ ბრუნვათა ფუძეში ან მრ. რიცხვის ფორმებში წარმოჩნდება: ჩაჩნ. ცუ „ზამთარი“ — ნათ. ცუნ-ან, მრ.რ.: ცუნ-ამ; ინგ. ყა — მრ.რ.: ყან-ამ.

5. დი „ზაფხული“ — ერგ.-ნათ. დინ-ი-ლ || დინ-თ-ნ-ი-ლ<sup>1</sup>  
შდრ. ანდ. ყხინუ<sup>2</sup>, ახვას. ყხინო „ზაფხული“

ი ხმოვნის წინ დახურულ, ერთმარცვლიან სიტყვებთან ირიბ ბრუნვათა ფუძეში გამოვლენილი -ლ- რიგ შემთხვევაში წარმოადგენს რ-ს ბგერინაცვალს:

1. მაკ „ძილი“, „სიზმარი“ — ერგ.-ნათ. მაკ-ლ-ი-ლ < \*მაკ-რ-ი-ლ  
შდრ. მაკლი ფორმის პარალელური მაკ-რ-ა-ლ ([146], გვ. 821) ან იმავე ბრუნვის ფორმა მრ. რიცხვში მაკურ-დ-ი-ლ. მაკრა გვხვდება, აგრეთვე, გამოთქმებში: მაკრა ქუნმწ „როგორც ძილში“ (ზედმიწ. „ძილის მსგავსად“), მაკრა ქხაიქხაიან „დასიზმრება“ (ზედმიწ. „ძილის ჩვენება“). საფიქრებელია, რომ მაკრა < \*მაკრალ „ძილისა“ ...

რ თანხმოვნის ფუძის ბოლოკიდურ ელემენტად დაშვებას მხარს გაუმაგრებდა დარგული ენის სათანადო ფუძეებიც:

მუყირ (ურახ.), მუყირ < \*მუგირ (ხაიდაყ.) „სიზმარი“

2. მაჭ „მდელობი“ — ერგ.-ნათ. მაჭ-ლ-ი-ლ < \*მაჭ-რ-ი-ლ  
შდრ. ერგ.-ნათ. მრ. რ. მაჭურ-დ-ი-ლ, სადაც ბოლოკიდური რ შემონახულია. რ ვარიანტიანი ფუძე უნდა გვქონდეს დაცული, აგრეთვე, არჩ. მოყორ (< \*მოჭორ), ლეზგ. ჭურ, ად. ჭირ „სადოვარი“ სახელებში.

3. კაწ „კალია“, „კუტკალია“ — ერგ.-ნათ. კუწულ-ი-ლ < \*კაწულ-ი-ლ < \*კაწურ-ი-ლ<sup>3</sup>

ლაკ. კაწ < \*კაწურ; შდრ. ერგ.-ნათ. (მრ. რ. კუწურ-დ-ი-ლ < \*კაწურ-დ-ი-ლ, აგრეთვე: დარგ. წერ-წ (ახუმ., წულ.), წირ-წ (ურახ., მური.) „კალია“, თაბ. წარ-წარ „ჭრიჭინა“<sup>4</sup>.

4. ნაკ „რძე“ — ერგ.-ნათ. ნაკ-ლ-ი-ლ < \*ნაკ-რ-ი-ლ

შდრ. ერგ.-ნათ. მრ. რ. ნაკურ-დ-ი-ლ, აგრეთვე: ხვარშ. კ-ორ-ო „ყველი“, კაბ. კ-არ-ო „ყველი რძით“, ჰუნზ. კაბ. კ-იმ-ა „ყველი“, „ბრინჯა“, ანდ. ჭ-ამ-ი < \*კ-ამ-ი „ყველი“.

- 1 მართალია, ლაკურისათვის მ-იან (\*ღიმ-თ) ფორმას აღადგენენ ([15], გვ. 74), მაგრამ ლაკურში რომ ბოლოკიდურად მ გვქონოდა, იგი ხმოვნის წინ უთუოდ იქნებოდა დაცული (შდრ. სუნ „ბზე“ — სუმ-ა-ლ „ბზემ“, „ბზისა“ ...) — გვაქვს დინ-ი-ლ ფორმა, არ დასტურდება — \*ღიმ-ი-ლ.
- 2 ნ. ტრუბეცკოი აქვე აერთიანებს ადიღურისა და ლეზგიურ ენათა რიგ მონაცემს ([174], №84), მაგრამ შენიშნავენ, რომ ანდ. და ახვას. ენათა აღნიშნული მასალის დაკავშირება სათანადო ლაკურ და ლეზგიურ ენათა მონაცემებთან ჭირსო ([107], გვ. 115).
- 3 აქ ფუძეში ხმოვანთა ფლექსიაცა გვაქვს, მაგრამ იგი ასიმილაციის შედეგი ჩანს. გამოწვლილვით ასეთ შემთხვევებზე ქვემოთ, ცალკე.
- 4 გამოწვლილვით ამის თაობაზე იხ. : [91ა] .

5. რუკ „უღელი“ — ერგ.-ნათ. რუკ-ღ-ილ < \*რუკ-ღ-ი-ლ  
შდრ. ერგ.-ნათ. მრ.რ. რუკიტ-თჷ-ა-ლ, აგრეთვე: კრიწ. უქარ „უღე-  
ლი“.

6. ნაწ „ტილი“ — ერგ.-ნათ. ნაწ-ღ-ი-ლ < \*ნაწ-ღ-ი-ლ  
შდრ. ერგ.-ნათ. მრ.რ. ნაწურ-ღ-ი-ლ, აგრეთვე: ლეზგ. წერწელ <  
\*წერწელ, ჭარჭალ < \*ჭარჭალ „წილი“.

7. კიჭ „ლილი“ — ერგ.-ნათ. კიჭ-ღ-ი-ლ < \*კიჭ-ღ-ი-ლ  
შდრ. ერგ.-ნათ. მრ.რ. კიჭურ-ღ-ი-ლ, აგრეთვე: ბაგვ. გეწერ < \*გე-  
ჭერ „ლილის კილო“, არჩ. ჭორ „პატარა ლილი“<sup>1</sup>.

ბუნებრივია, რომ ასეთსავე პოზიციებში თავი იჩინოს ამოსაგაღმა ბო-  
ლოკიდურმა ლ ელემენტებმა :

კიილი „უნაგირი“; შდრ. დარგ. გული-ცაბთა (წუდ.), ცული-ბზ~  
(ურახ.), ხუნძ., არჩ. ტიილი „უნაგირი“<sup>2</sup>, თუმცა, შესაძლოა, ბგერათმომდევ-  
რობა -ღი ზოგჯერ წარმოადგენდეს -ღი-ს რეფლექსსაც. მაგ. :

1. ჭალი „თავთავი“ < \*ჭარი < \*კარი < \*ტარი  
შდრ. ხუნძ. ტორ < \*ტორ ([58], გვ. 841), ანდ. ტორა, ახვახ.  
ტარა იმავე მნიშვნელობით. ხუნძური ენის ჰიდურ დიალექტში სათანადო  
ტორი ფორმაც მითითებენ ([110], გვ. 184), რაც ამოსაგაღმა ლაკური  
ფორმისათვის.

2. წილ „ყინულჭირილი“ < \*წილი < \*წირი < \*წირი  
შდრ. ხუნძ. წიერ, ახვახ. უარი „ყინული“, „სეტყვა“, „მინა“,  
ტინდ., ბოთიხ., ლოდ. ზარი „ყინული“, „სეტყვა“.

II. თუ ისტორიულად სიტყვის ბოლოს მოსალოდნელია ლ, მაშინ იგი  
დაცულია უ ხმოვნის წინ :

1. მია „ცხვირი“ — ერგ.-ნათ. მიაღ-ა-ლ  
შდრ. ხუნძ. მიჭერ „ცხვირი“, „მია“, ანდ. მაჰარ, კარ., ბაგვ. მი-  
ჰარ, ტინდ. მიჰარ, ბოთიხ. მიჰარ, ლოდ. მიჰარ „ცხვირი“.

ღ დაცულია, აგრეთვე, „ცხვირის“ აღმნიშვნელ შემდეგ ლექსემებში:  
კაპ. მარო, ჰუნზ. მარუ, ლეზგ. ლერ, ნერ, ილზ.

ღ დაცულია ლაკურისავე მრ. რიცხვის ფორმებში: მიაღ-ღუ „ცხვირები“.

2. კაჭ „მხარი“ — ერგ.-ნათ. კაჭ-ღ-ა-ლ < \*კაჭურ-ა-ლ  
შდრ. ერგ.-ნათ. მრ.რ. კაჭურ-ღ-ი-ლ; დარგ. კარჭი < \*კაჭირ (წუდ.),  
კარჭალა < \*კაჭირალა < \*კაჭირ-ალა (მური.), კარჭალ < \*კაჭრალ < \*კაჭ-  
ირ-ალ (სირხ.), კუწარ (ახუშ., ურახ.) < \*კუჭარ ([15], გვ. 64) „მხარი“.

3. წუ „ყვეხლი“ — ერგ.-ნათ. წარ-ა-ლ

შდრ. ხუნძ. წა < \*წარ, ანდ., ბოთიხ., ბაგვ., კარ., ტინდ. წა <

<sup>1</sup> გამოწვლილვით ამ და ამ რიგის სხვა სახელებზე იხ. : [91ა] .

<sup>2</sup> ლაკურ, ხუნძურ და არჩიულ ენათა მასალა ერთმანეთს დაუკავშირა ნ. ტრუ-  
ბეცკოიმ [173] , ხოლო დარგული ენისა — შ. გაფრინდაშვილმა [11] .

\*წარ, ახვახ. ჳარ<sub>1</sub> ... უდ. არ-უბ<sup>1</sup> < \*წარ-უბ ([55], გვ. 360) „ცეცხლი“.

ხუნძურს რომ ბოლოკიდური თანხმოვანი გააჩნდა, ამას წა სახელის ნათ. ბრუნვის წად-უ-ლ ფორმაც მოწმობს ([49], გვ. 121). ჩანს, ახვახურში დ > რ ინტერგოკალურ პოზიციაში, ხოლო სხვა ანდიურ ენებში რ > ჯ<sup>2</sup>. გამაშუამავლებელი რ-იანი ფორმა შემოუნახავს ლაკურსა და ახვახურს.

ლაკურში რ-ის შემცველი ფუძე დატულია მრ. რიცხვში: წურ-დუ „ცეცხლ(ებ)ი“; იგივე წურ უნდა გეჰონდეს შემონახული ლაკურისავე წური-ბ~უ „სამზარეულო“ სიტყვაში, სადაც ხ~უ ხ~უნ „ქმნა“ ზმნიდან მოდის.

რ-ის აღდგენას ფუძის ბოლოკიდურ ელემენტად მხარს უმაგრებს ნახური ენებიც. ეგრძელ: ჩარნ. წე „ცეცხლი“ — მრ.რ.: წერ-შ „ცეცხლ(ებ)ი“ (ნათ. წერ-ან); ინგ. წი „ცეცხლი“ — მრ.რ.: წერ-აშ „ცეცხლ(ებ)ი“; ბავტ. წე „ცეცხლი“ — მრ.რ.: წარ-იშ „ცეცხლ(ებ)ი“ (ერგ. წარ-აჟ) ...

4. ქუნუქ „კვერცხი“ — ერგ.-ნათ. ქუნუქ-რ-ა-ლ < \*ქუნუქ-რ-ა-ლ

შდრ. ლაკურისავე მრ. რიცხვის ერგ.-ნათ. ბრუნვის ფორმა ქუნუქ-რ-თ-ა-ლ, სადაც ქუნუქ-რ-ი მიღებული უნდა იყოს \*გუნუგირ ფუძისაგან, რასაც მხარს უჭერს: დარგ. გიდ გარი (ახუმ., ურახ.), ჩხირიქხარ < \*ქხირიქხარ < \*გირიგარ < \*გიდიგადი (მური.) „კვერცხი“ მ.

5. ფურკუ „კვამლი“ — ერგ.-ნათ. ფურკურ-ა-ლ

ამავე ძირისა ჩანს ლაკურისავე კუ „ჭვარტლი“, რომლის ერგ.-ნათ. ფორმაში რ წარმოჩნდება: კურ-ა-ლ < \*კურ-ა-ლ < \*კაჭრ-ა-ლ.

ლაკურში „კვამლის“ აღმნიშვნელი სიტყვის ბოლოკიდურ ელემენტად ისტორიულად რ-ს აღადგენენ ([144], გვ. 197), რასაც მრ. რიცხვის ფორმაც შეუწყობდა ხელს: ფურკურ-დუ „კვამლ(ებ)ი“; შდრ., აგრეთვე:

ხუნძ. კუჟა < \*კუჟნი ([110], გვ. 44), ანდ. კუჟა < \*კუჟნი, ტინდ. ქუჟა < \*კუჟნი, ბავტ. კუჟა < \*კუჟნი, ახვახ. ქუჟა < \*კუჟნი „კვამლი“.

ხუნძურ-ანდიურ ენებში ბოლოკიდური ნ-ის აღდგენას ხელს შეუწყობდა ლეზგიურ ენათა მასალაც: ლეზგ. გუმი, ალ. თაბ. ქუმი, უდ. კუჟან „კვამლი“.

მართალია, ხუნძურის ნათ. ბრუნვაში დ იჩენს ხოლმე თავს (კუჟა-დ-უ-ლ), რამაც, შესაძლოა, ბოლოკიდურ თანხმოვნად დ გვავარაუდებინოს (შდრ. ჰინ. კუტი, დიდ., ხვარშ. გუტი „კვამლი“), მაგრამ ანდიურ ენათა მასალის გათვალისწინებით აქ ბოლოკიდური ნ-ის აღდგენა მართებულია. მაშინ ხუნძურში წარმოჩენილი დ ერგატის ძველი ნიშანი ჩანს: \*კუჟან-

- 1 რომლის -უბ ელემენტი მრ. რიცხვის სუფიქსია — ფუძეს შეხორცებული (ამის თაობაზე იხ.: ([61], გვ. 229); ([36], გვ. 105).
- 2 დ > რ პროცესისათვის ხუნძურ-ანდიურ ენებში იხ.: ([19], გვ. 103-104).
- 3 გამოწვლილვით „კვერცხის“ აღმნიშვნელ იბერიულ-კავკასიურ ენათა საერთო ფუძეებზე, რომელთა შემადგენლობაში დასტურდება \*ტ, \*ქ ძირეული მორფემა + ფუძის ბოლოკიდური ელემენტი -დ, -რ, -ნ იხ.: ([5], გვ. 225-228).
- 4 რასაც ნახურ ენათა კურ „კვამლი“ ფორმაც დაუჭერდა მხარს.

დ-უ-ლ (მსგავსი შემთხვევებისათვის ხუნძურში იხ. : ([49], გვ. 121 ).

ამდენად, „კვამლის“ აღმნიშვნელ ლაკურ ლექსემაში ბოლოკიდური თან-  
ხმოვნითი ელემენტის წარმოჩენა კანონზომიერია.

6. ნჷ „ტვინი“ — ერგ.-ნათ. ნჷრ-ა-ლ

ნჷ „ტვინი“ სიტყვაში ჯ ჰჷ-ის რეფლექსი ჩანს. შდრ. დარგ. მეჷჷე  
(ახუმ., წუდ.), მაჷჷა (ურახ.), მა < \*მაჷჷა (კუბ.) „ტ ნი“.

ფუძის ბოლოკიდურ ელემენტად ლაკურში ისტორიულად რომ რ გვქონდა,  
ამას მრ. რიცხვის ფორმაც ადასტურებს: ნჷრ-დუ „ტვინ(ებ)ი“.

მაშასადამე, ლაკ. ნჷ < \*ნაჷჷ < \*ნაჷჷრ < \*ნაჷჷარ.

7. ზიმიზ „ბუზი“ — ერგ.-ნათ. ზიმიზ-რ-ა-ლ < \*ზიმიზირ-ა-ლ

შდრ. ლაკურისავე მრ. რიცხვის ნათ.-ერგ. ბრუნვის ფორმა ზიმიზირ-  
თხ-ა-ლ.

ლაკურში ფუძე რედუბლიცირებულია: ზიმი-ზირ; ასევე რედუბლიცირებუ-  
ლია სათანადო წარმომავლობის ფუძე დარგულში: ზიმი-ზალა (სირხ.), ზინ-  
ზარ (ხაიდაყ.), დინ-დალა (კუბ.) „ჭიანჭველა“. დარგულისავე იმული  
(მუირ.), იმიალა (ახუმ., ურახ.) „ჭიანჭველა“ ფორმებში ამოსავალი სავა-  
რაულო ძირეული \*წჷ მორფემა დაკარგული, რაც ფაქტობრივ ხუნძურშია და-  
ცული: წჷუნ-წჷრა „ჭიანჭველა“.

დიდოურ ენათგან ჰინუხურში იმავე წარმომავლობის რეცენ „ჭიანჭ-  
ველა“ ფორმა დასტურდება, სადაც ოდინდელი კლასნიშანიცა გვაქვს ( რ- )  
და ბოლოკიდური -ენ ელემენტიც (შესატყვისობა ხუნძ. წჷ : დიდოურ  
ენათა ც ცნობილია; ამოსავალია \*წჷ ([108], გვ. 154-155).

იგივე ბოლოკიდური ნ დაცულია, აგრეთვე, ჩარნურში „ბუზის“ აღმნიშ-  
ვნელ მუოზა სახელის ირიბ ბრუნვათა ფუძეში: ნათ. მუოზან-ან ... ეგე-  
ვი ნ დასტურდება ჭებერლოურ დიალექტში მრ. რიცხვში: მწჷუნ-იმ „ბუ-  
ზები“.

ლაკ. ზიმიზ „ბუზი“ ფორმის მსგავსადაა რედუბლიცირებული ლეზგიურ  
ენათა იმავე წარმომავლობის ზიმიზ (არჩ.), ზიმი (თაბ.), ზიმი, ზიმი  
(აღულ.), ძეზ (კრიწ.), ცხაჷჷ, ცხეჷჷ (ლეზგ.) „ჭიანჭველა“. მართალია,  
ზიმიზ < \*ზიმიზირ დღეს ლაკურში „ბუზს“ აღნიშნავს, მაგრამ, ჩანს, იგი  
ადრე ზოგადად „მწერის“ მნიშვნელობით უნდა გვქონოდა<sup>1</sup>. ლაკური მიტიყუ-  
ჷ „ჭიანჭველა“ საკუთრივ ლაკური სიტყვაა და ზედმიწევნით ნიშნავს  
„ბუჩქნარის, ჯაგნარის მჭრელს“<sup>2</sup>.

8. ნაჷ „ფუტკარი“ — ერგ.-ნათ. ნაჷრ-ა-ლ

ბოლოკიდური რ დაცულია მრ. რიცხვში: ნაჷრ-დუ „ფუტკრები“.

ეგვემი რ უნდა იყოს წარმოდგენილი „ფუტკრის“ აღმნიშვნელ შემდეგ  
სახელებში: ანდ., ბოთლხ., ბაგვ., ტინდ., კარ. ფტრა < \*ბეტრა < \*ბაჷრა,

1 ანალოგიურად, მაგალითად, ზანურისა, რომელშიც „ბუზის“ აღმნიშვნელი სი-  
ტყვა ეტიმოლოგიურად „მწერია“ ([45], გვ. 101).

2 მიტი || ბიტი „ბუჩქნარი“, „ჯაგნარი“; ყუყუ „მჭრელი“ მიღებულია ყუყინ  
„ჭრა“ ზმნიდან.

ახვას. ჰერა < \*ფერა < \*ბერა < \*ბაჰრა<sup>1</sup>, ჰუნზ. ბჰრბჰრ < \*ბაჰრაჰრა,  
თაბ. ჰარჰ < \*ჰარჰ < \*ბარჰ, აღ. ჰარჰ < \*ბარჰ . . . .

ჰუნზიბურის მიხედვით ლაკურშიაც თავიკიდურ ელემენტად აღსადგენია  
ბ-: \*ნაჰრ < \*მაჰრ < \*ბაჰრ<sup>2</sup>. ამას მხარს დაუჭერდა თაბასარანულიცა და  
აღლურის ცითარება, სადაც თავიკიდურად ჰ < \*ბ გვაქვს.

9. მახ „ენა“ — ერგ.-ნათ. მახ-რ-ა-ლ < \*მაზურ-ა-ლ  
ზდრ. მრ. რიცხვის ერგ.-ნათ. მახურ-დ-ი-ლ.

\*მაზურ ფუძის აღდგენას მხარს დაუჭერდა, აგრეთვე, დიდოური ენა, სა-  
დაც მეც „ენა“ სახელის მრ. რიცხვის ფორმაში მრ. რიცხვის -ბი ფორმან-  
ტის წინ წარმჩინდება მოსალოდნელი რ : მეცრე-ბი „ენები“.

იგივე რ დაუტლია დიდოურშივე ირიბ ბრუნვათა ფუძეში:  
ერგ. მეცრ-ა ( < \*მეცრე-ა ) . . . მიც. მეცრე-ს . . .

10. რიკო „ყული“ — ერგ.-ნათ. რიკი-რ-ა-ლ

რ დაუტლია მრ. რიცხვის ფორმებშიც: ერგ.-ნათ. რიკი-რ-თ-ა-ლ, სა-  
დაც რ-ის მომდევნო -თ- < \*თ-უ- < \*დ-უ- მრ. რიცხვის ფორმანტია.

რ წარმოჩინდება, აგრეთვე, ჰინუხურში ოგ „ყული“ სახელის ირიბ  
ბრუნვათა ფორმებში: ერგ. ოგრუ-ა . . .

მ > ნ ფუძის ბოლოკიდურ თანხმოვნად კი დასტურდება ხვარშიულში:

საკუთრ. ხვარში. უ<sup>რ</sup> < \*უ<sup>გ</sup> ([117], გვ.6) „ყული“ — მრ.რ.:

უ<sup>რ</sup>-ნე-ბა < \*უ<sup>გ</sup>-ნე-ბა < \*უ<sup>გ</sup>-მე-ბა „ყულები“<sup>3</sup>.

ხვარში. (ინხოყვ.) ო<sup>გ</sup> „ყული“ — მრ.რ. : ო<sup>გ</sup>-ბო || ო<sup>გ</sup>-ნო-ბო <  
\*ო<sup>გ</sup>-მო-ბო „ყულები“, ერგ. ო<sup>გ</sup>-მო . . . .

ლაკ. -ირ მფორდება წახ. კ-ირ-ა, არჩ. კ-ირ-ი „პატარა ცული“ და  
უდ. კ-ირ-ო „წაღი“ სახელებში.

ლაკ. -ირ ელემენტის გადაღია -იდ დარგ. (ასევე ლეზგ.) ჯიდა,  
ქიდა < \*გ-იდ-ა „შუბი“, „ხიშტი“ სახელში.

იგივე -იდ უნდა იყოს წარმოდგენილი (ზოგან ფონეტიკურად სახეცვ-  
ლილი) სახელებში: ანდ. ანჟიდი < \*ანგიდი, ახვას. ა<sup>რ</sup>ჟითე < \*ანჟითე <  
\*ანგიდე, ხუნდ. შაშტი < \*შაჟთი < \*შაჟდი<sup>4</sup> < \*შაჟიდი < \*შაგიდი „ყული“.

უ. დიუმეზილი მიუთითებს ლაკურის შესაბამის მასალაზე ნახურ ენებში  
([167], გვ.19) : ჩარნ. დაგარ (სახ. დიგ „ყული“), რომელიც წარმოადგენს  
ირიბ ბრუნვათა ფუძეს ( ნათ. დაგარ-ან, მიც. დაგარ-ნა . . . ).

იგივე რ ვარიანტიანი ფუძეა დაუტლი მრ. რიცხვის ფორმებში: დო-  
გარ-აშ (ინგ.), დაგარ-შ (ჩარნ.) „ყულები“.

1 შდრ. ([110], გვ.125; [107], გვ.80), რომელთა აზრით ამოსაცალია \*ფ.

ბ > ჰ ( გაშუამავლებული, აღბათ, ბაგისმიერი ფ-თი ) ანდიურ ენებ-  
ში დასტურდება (ამის შესახებ იხ. : ([51], გვ.255).

2 სადაც ა სიტყვის ძირში რომელიმე (აღბათ, უკანაენისმიერი) თანხმოვნის  
რეფლექსი უნდა იყოს.

3 მ > ნ — მომდევნო ბ-სთან დისიმილაციით.

4 შიჟდი < \*შაჟდი „ყული“ დასტურდება ხუნზური ენის ჭარულ დიალექტში  
([56], გვ.250).

ამდენად, „ცულის“ აღმნიშვნელ სახელთა ბოლოკიდური თანხმოვნები, რომლებიც ირიბ ბრუნვათა ფუძეებში ან მრ. რიცხვის ფორმებში წარმოჩნდნენ ლაკურსა და მის მონათესავე ენებში, ისტორიულად ფუძის კუთვნილებათა<sup>1</sup>.

სპეციალურ ლიტერატურაში ზემოთ გაანალიზებული ნიმუშების ერთი ნაწილი განხილულია; ყურადღება გამახვილებულია მრ. რიცხვის ფორმებზე, მხ. რიცხვის ირიბ ბრუნვათა ფორმები კი ყურადღების მიღმა დარჩა.

მრ. რიცხვის სახ. ბრუნვის ფორმაში დადასტურებული თანხმოვნითი ელემენტი, ჩანს, მაშინაა ფუძისეული, როცა იმავე რიცხვის ირიბ ბრუნვათა ფუძეში არა გვაქვს ე.წ. „ჩანართი“ ელემენტი; ორიოდ ნიმუში:

1. წა „სახელი“ — მრ. რ.: წარ-ღუ „სახელები“

მრ. რიცხვის ირიბ ბრუნვათა ფუძეა წარ-ღ-ა-, სადაც წარ- სახე-ლის ფუძეა, ხოლო -ღ- < \*-ღუ- — მრ. რიცხვის ნიშანი.

2. ქაა „ხელი“ — მრ. რ.: ქაარ-ღუ „ხელები“

აქ მრ. რიცხვის ირიბ ბრუნვათა ფუძეა ქაარ-ღ-ა-, სადაც ქაარ-სახელის ფუძეა, ხოლო -ღ- < \*-ღუ- — მრ. რიცხვის ფორმანტი.

თუ მრ. რიცხვის ირიბ ბრუნვათა ფუძეში „ჩანართი“ ელემენტი გვაქვს, მაშინ მრ. რიცხვის სახ. ბრუნვაში წარმოდგენილი იქნება ოდენ მრავლობითობის ნიშანი და, რა თქმა უნდა, ფუძისეული თანხმოვანი აქ არ აღდგება. ორიოდ ნიმუში:

1. ქაა „ხელი“ — ქაა-რუ „ხელები“

მრ. რიცხვის ირიბ ბრუნვათა ფუძეა ქაა-რუ-ნნ-ი-, სადაც -რუ- ოდენ მრავლობითობის ნიშანია, ხოლო -ნნ- ამავე რიცხვში ირიბ ბრუნვათა „ჩანართი“ თანხმოვანი.

2. ჯა „თვალი“ — მრ. რ. ირიბ ბრუნვათა ფუძე: ჯა-რუ-ნნ-ი-

აქაც, -რუ- (შდრ. ჯა-რუ „თვალები“) ოდენ მრავლობითობის აღმნიშვნელია, ხოლო -ნნ- — „ჩანართი“ თანხმოვნები.

III. მხ. რიცხვის ირიბ ბრუნვათა ფუძეში, რიგ შემთხვევაში, -უ- ხმოვნის წინ ისტორიულად სავარაუდო თანხმოვანი დაცულია:

1. ხ~უჟ „ქარქაში“ — ერგ.-ნათ. ხ~უჟლ-უ-ლ

შდრ. ხუნძ. ლ<sup>ე</sup>ელ იმავე მნიშვნელობით; ლაკურის თავკიდური ხ~კანონზომიერი შესატყვისია ხუნძ. ლ<sup>ე</sup>-სი, ხოლო ირიბ ბრუნვათა ფუძეში წარმოჩენილი ლ იმეორებს ხუნძურისავე ბოლოკიდურ ლ-ს.

2. ცულჭა „მელა“ — ერგ.-ნათ. ცულკლ-უ-ლ < \*ცულ-კალ-უ-ლ

შდრ. ლაკ. ცულჭა < \*ცულკა „მელა“ (შდრ. ცულკულუ, სადაც კ თანხმოვნის წინ აღდგა, რაც ლაკურში ცნობილი ფონეტიკური პროცესია), სადაც \*კა < \*კალ (რომლის ხმოვნისეული ელემენტის სინკოპის შემდეგ მივიღებ

<sup>1</sup> ანალოგიური ვითარება დასტურდება სახელებთან ნიქი < \*ნიქიარ „მუხლი“, მიხ~ი < \*მიხ~იარ „ფრჩხილი“, „ბრჭყალი“, ნის < \*ნისიარ „ყველი“, მირხ~ < \*მირხ~იარ „ნამგალი“, მიკ < \*მიკიარ „ყინული“, „სეტყვა“ [91ა].

ცულ-კლ-უ-); რაც შეეხება ცულ- ფორმას, იგი მიღებული ჩანს \*ცური-სა-  
გან \*ცურ-ის გზით: \*ცური > \*ცურ > ცულ (შდრ. ხუნძ. ცერ, ანდ. სორ,  
ბოლიხ., ლოდ., ტინდ., სარი, ბაგვ. სარ, კარ. სარე, ახვახ. შარი ...  
დიდ. ზირუ, ჰინ. ზერუ, ხვარშ. ზარუ, კავ. სორა „მელა“ ).

ლაკურისათვის აღდგენილი \*ცური-კალ „მელა“ ფორმის -კალ ელემენტს  
გამოყოფენ ანდ. ტიან-კალა „კურდელი“ სახელში, ასევე სხვა მონათესავე  
ენათა რიგ ფუძეში: ბავშ. ფშა-კალ „კურდელი“, ცო-კალ „მელა“, ბუდ.  
სა-ტულ იმავე მნიშვნელობით, უდ. ჯიჯი-კალ „ჭრიჭინა“ ([174], №56).

-კალ ელემენტის კ ჩანს ლეზგიურსა და რუთულურში: სი-კ < \*სილ-კ  
„მელა“ ([145], გვ. 267). ამ კ-ის გაფშვინვეიერებული ვარიანტი ბუდუხურს  
გარდა დაცულია, აგრეთვე, კრიწულში: სა-ტულ < \*სალ-ტულ, სზ-ტულ < \*სზლ-  
ტულ, ხოლო მედერი ვარიანტი უნდა გვქონდეს ჩარჩ. ცჰოტო-გალ, ინგ. ცტო-  
გალ „მელა“ ლექსემებში.

მაშასადამე, დადესტურსა და ნახურ ენებში ეს ელემენტი (=სუფიქსი)  
წარმოდგენილია ჳ, ქ, კ თავკიდური თანხმოვნებით, ხოლო ბოლოკიდურ -ალ,  
-ულ ელემენტებში საერთოა ლ, რომელიც ლაკურის ირიბ ბრუნვათა ფუძეშიც  
დაცულია.

მ. იგივე -კალ სუფიქსი უნდა გვქონდეს ლაკურისავე „მწყრის“ აღ-  
მნიშვნელ ხაჭნჳა სიტყვაშიც: ერგ.-ნათ. ხაჭნ-კლ-უ-ლ < \*ხაჭნ-კალ-უ-ლ.  
ამოსავალი ხაჭნჳა < \*ხაჭნკალ „მწყერი“ ფორმისათვის ხმაბაძვითი  
ხაჭნხჳე „ხვრინვა“ სიტყვის ხაჭნ- სეგმენტია. ხმაბაძვითი ხაჭნ-ის გა-  
მოყენება „მწყრის“ გამოსახატავად ლაკურში არ დგას განცალკევებით. ხმა-  
ბაძვითია „მწყრის“ აღმნიშვნელი მეორე ლაკური სიტყვაც ფაჭნფაჭურტ  
(შდრ. არჩ. პზრპზლარ „მწყერი“, აგრეთვე: კავ. ტაჭტაჭო, ლეზგ. თურთურ,  
ალ. ჳემჳალ ... იმავე მნიშვნელობით).

4. სონ „ნაღველი“, „მრისხანება“ — ერგ.-ნათ. სონთ-უ-ლ <  
\*სონ-თ-უ-ლ<sup>1</sup> < \*სონ-დ-უ-ლ < \*სონმ-დ-უ-ლ < \*სონმი-რ-უ-ლ  
შდრ.: დარგ. ჰიმი (ახუმ., ურახ., მური., ხაიდაყ.), სიმი (წუდ.,  
სირხ.), თიმი (კუმბ.) „მრისხანება“.

მ ვარიანტიანი ფუძეა დაცული რიგ დადესტურ ენაში:  
ხუნძ. ცხიმი, ცხინ (ერგ. ცხი-დ-ა-ცხა < \*ცხიმ-|| ცხინ-დ-ა-ცხა<sup>2</sup>),  
ანდ., ჳამ., ბაგვ. სხიმი < \*სხიმი, ბოლიხ., ლოდ., ტინდ., ახვახ. სხიმი,  
კარ. სხიმი ... ჰუნზ. სიმი, კავ. სიმი, დიდ., ხვარშ. სემი ... არჩ.  
სხამი ... იმავე მნიშვნელობით.

ამდენად, სახ. ბრუნვის ფორმაში ხმოვნის სიგრძე მეორეულია — გა-  
მოწვეული -მი ელემენტის დაკარგვით ([11], გვ. 299).

5. ჯ „სისხლი“ სიტყვის პარალელურად ლაკურშივე იხმარება ჯთხუ

1 შდრ. ([107], გვ. 71, 125), სადაც იგი რეალურ ფორმადაა წარმოდგენილი.  
2 მართალია, აქ თითქოს მ/ნ — დ მონაცვლეობაა, მაგრამ უფრო საფიქ-  
რელია, რომ მ/ნ იყოს დაკარგული დ-ის წინ — შენიშნავენ ამ და  
ამ რიგის სხვა ნიმუშებზე მართებულად ([49], გვ. 121).

ფორმა, სადაც -თჷ < \*-დჷ ელემენტი სახ. ბრუნვის ფუძეში ირიბ ბრუნვათა ფუძიდან ჩანს გადასული<sup>1</sup>.

წ „სისხლს“ უკავშირებენ უდ. პი, ხუნძ. ბი, თაბ. იფი, დარგ. ჰჷი, ლეზგ. იჷი, ად. ყი იმავე მნიშვნელობის სიტყვებს ([I70], გვ. 31; შდრ. [I07], გვ. 108).

ხუნძურში ნათ. ბრუნვის ბიდ-უ-ლ ფორმის მიხედვით ლაკურში ჭითჷ < \*ჭდჷ, სადაც დ ფუძისეულია. ამ ვარაუდის სასარგებლოდ მივუთითებთ იმ ფაქტზე, რომ ხუნძ. ენის ახლო მონათესავე ენათა მასალა<sup>2</sup> ამ ცნების ად-მნიშვნელ სიტყვაში ფუძის ბოლოს თანხმოვნითი ელემენტი ყველგანაა წარმოდგენილი: ანდ. ჰინ, ბოთლიხ., ლოდ. ჰირი „სისხლი“. ამ უკანასკნელში რ მიღებულია დ-ისაგან ორ ერთგვაროვან ხმოვანს შორის; შდრ. ხუნძ. ბიდ-უ-ლ<sup>2</sup>. ჩანს, ანალოგიურადაა მიღებული ჰუნზ. ჰარე < \*ჰადე „სისხლი“.

IV. ისტორიულად სავარაუდო ბოლოკიდური ფუძისეული თანხმოვანი, შესაძლოა, სხვა შემთხვევებშიც იქოს დაცული:

1. წუქუ ლაკურში „თხასაც“ აღნიშნავს და „ვარსკვლავსაც“. მრ. რიცხვშია წურთჷ ოდენ „ვარსკვლავების“ მნიშვნელობით<sup>3</sup>.

წურ-თჷ < \*წურ-რი (< \*წურ-რუ — დისიმილაციით) ფორმისაგან \*წურ-დი (< \*წურ-დუ) ფორმის გზით. ამოსავალი \*წურ ფორმისათვის, ჩანს, \*წური ფორმაა. შდრ.: დარგ. ზური (წუდ.), ახვახ. წაჭარა, ტინდ. ცხარა, ბაგვ. წაჭარა იმავე მნიშვნელობით.

2. ფხა „მახათი“ — ერგ.-ნათ. ფხურ-დ-უ-ლ

შდრ., აგრეთვე: ფხურ-დუ „მახათეპი“. ფხურ < \*ბურ ფორმაში წარმოდგენილი რ აფიქსისეული, ხოლო თავკიდური \*ბ — ძირისეული ელემენტია.

ბ დაცულია: დარგ. ბურება (ახუშ.), ბურიბა (ურახ.), ბურიფხა < \*ბურიბა (მური.), ბურიფხა < \*ბურება (სირხ.), ბარეფხა < \*ბარება (წუდ.), ბიფხა < \*ბიბა (კუბ.) „ნემსი“ ლექსეებში, რომლებიც რედუპლი-

1 მსგავსი შემთხვევები ლაკურში სხვაგვარაა. მაგ., სოფ. შადნის მეტყველებაში „ტბის“ აღმნიშვნელი სახელის ირიბ ბრუნვათა ფუძე ბჷნ-ნი- < \*ბჷრ-ნი სახ. ბრუნვის ფორმაა. ასევე, ვიხლის მეტყველებაში იხმარება ტუნ-და- „წილი“, რომელიც, აგრეთვე, წარმოშობით ირიბ ბრუნვათა ფორმაა (შდრ. სალიტ. ლაკურის ირიბ ბრუნვათა ფუძე ტუნ-ი-). ასევე ჩანს მიღებული ლაკურში ადიმა-ნა „ადამიანი“, რომელშიც ნა- I გრ. კლასის აღმნიშვნელი „ჩანართია“. შდრ. მრ. რიცხვის ფორმა არამ-თალ „ადამიანები“, სადაც რ < \*დ ორ ერთგვაროვან ხმოვანს შორის ( დ > რ ინლაუტში ზოგი ნასესხები ლექსემის მაგალითზე (ად. ერემი, თაბ. არმი „ადამიანი“, ლაკ. არამთალ „ადამიანები“, არჩ. ქაღრა „ქაღალი“, ფარჩაჰ „სულთანი“, „ფადიშაჰი“) აღნიშნა ჯერ კიდევ ე. დიუმეზილმა: [I67], გვ. 17).

2 მსგავსი ბგერათვლისათვის ამ ენებში იხ.: ([I9], გვ. 103).

3 „თხების“ მნიშვნელობითაა წუქ-რი < \*წუქ-რუ. ამ სიტყვაში წ ძირეული ელემენტია, რაც რიგ იბერიულ-კავკასიურ ენაშია წარმოდგენილი.

ცირებული ჩანან: ბურება < \*რებუ-რება ([107], გვ.76).

იგივე ძირეული მორფემაა დარგულში „მახათის“ აღმნიშვნელ ლექსე-  
მებშიც: დურუბ (ახუმ.), ფურუფ < \*ბურუბ (სირხ., წუდ.), თურუფ < \*დუ-  
რუბ (ხაიდაყ.), დუფ < \*დუბ (კუბ.).

ლაკურში ფვა „მახათი“ ფორმის მიხედვით აღადგენენ \*დიფვა ფორ-  
მას ([107], გვ.76); უფრო ზუსტი იქნებოდა \*დიფურ < \*დიბურ ფორმის  
აღდგენა (შდრ. არჩ. დაბ. „მახათი“). დ- > რ- (წარმოშობით ნივთთა გრ.  
კლასის ნიშანი<sup>1</sup>) წარმოდგენილია რიგ ლეზგიურ ენაში: ლეზგ. რიბ, წახ.,  
რუთ. რაბ, თაბ. რიტი (ჩრდ. დ.), რიბ (სამხრ. დ.), კრიწ., ბუდ. რაბ „მა-  
ხათი“.

ძირისეული ბ კი, აგრეთვე, ხუნძურ-ანდიურ ენებშია, სადაც ბ-ს  
ზოგჯერ ენაცვლება მ უ-ის წინ. ასევეა დილოურ ენებშიც:

ხუნძ. შებუ, ჭამ. ჰიმ, ჰიმუ, ტინდ. ჰიმუ ... ხვარშ. იმუ, კაპ.  
ემო, დიდ., ჰუნზ. ემუ „მახათი“. აქვეა გასაღვრიანებელი დიდ. მური „ნემ-  
სი“, ხინ. ბელა „მახათი“, აგრეთვე, უდ. ებ-სუნ „კერვა“, რომელსაც დარგ.  
ირბ-ის და ბაცბ. აბ-არ „კერვა“ ზმნებთან ერთად რ. ლაფონი „მახათის“  
აღმნიშვნელ ლექსემებთან აერთიანებს ([170], გვ. 81).

დიდ. მ-ურ-ი „ნემსი“ და ხინ. ბ-ელ-ა „მახათი“ სიტყვებში -ურ,  
-ელ < \*ულ წარმოშობით ისეთივე ელემენტებია, როგორც ლაკ. ფურ <  
\*ბ-ურ „მახათი“ სიტყვის ბოლოკიდური -ურ.

მ. ხ~ოა „თოკი“ — ერგ.-ნათ. ხ~უ-თ-ა-ლ < \*ხ~ოუნ-თ-ა-ლ  
< \*ხ~ოუნ-დ-ა-ლ < \*ხ~ოუნ-რ-ა-ლ < \*ხ~ოან-რ-ა-ლ

შდრ. ხუნძ. რუხ~ენ, ანდ. რომან < \*როხ~ან „თოკი“<sup>2</sup>.

ხუნძურში ნათ. ბრუნვაშია რუხ~ად-უ-ლ ფორმა, რომელიც მიღებული  
ჩანს \*რუხ~ან-დ-უ-ლ ფორმისაგან. ამდენად, ლაკურისათვის აღდგენილ  
ერგ.-ნათ. \*ხ~ოან-რ-ა- ფორმაში ბოლოკიდური ნ ფუძისეულია, ხოლო მისი  
მომდევნო \*რ — ერგატის ძველი აფიქსი (ამაზე გამოწველილგით ქვე-  
მოთ).

4. ჭია „ქობი“ — ერგ.-ნათ. ჭიათ-ი-რ-ა-ლ < \*ჭიადი-რ-ა-ლ

ლაკური \*ჭიადი მიღებული ჩანს \*კიადი ფორმისაგან; სათანადო  
შესაბამისი ფუძეები წარმოდგენილია ლეზგიურ ენებში:

უდ. კოჯ < \*კოჯი < \*კოდი<sup>4</sup>; აგრეთვე: ბუდ., კრიწ. კულ, ლეზგ. კტალ,  
ხინ. წტა < \*ჭტა < \*ჭტალ < \*კტალ „სახლი“<sup>5</sup>.

1 მართლაც, ფვა „მახათი“ ლაკურში დღეს IV გრ. კლასს განეკუთვნება, რისი  
ნიშანიც აქ დ- (ან მისი ბგერინაცვალი რ-) უნდა ყოფილიყო.  
2 ამდენად, ლაკურშიც არაგემინატი ხ~ო უნდა გვეტონოდა: \*ხ~ოა. ჩანს,  
დღევანდელი ხ~ოა < \*ხ~ო.  
3 მართალია, ლაბიალიზებული თანხმოვნები ლაკურში დღეს არ განიცდიან პა-  
ლატალიზაციას, მაგრამ ისტორიულად, ჩანს, ისინიც ექვემდებარებოდნენ ამ  
პროცესს. შდრ. აქვე წარმოდგენილი ლეზგიურ ენათა სათანადო მასალა.  
4 დ > ჯ ი ხმოვნის წინ (შდრ. ლაკურის დამაკავშირებელი ი ხმოვანი).  
5 წტა < \*კტალ, \*ჭტა < \*ჭტალ საფეხურს გარდა, სპეციალურ ლიტერატურაში  
აღნიშნულია ([145], გვ. 241).

5. შესაძლოა, ნაჰ „კარაქი“, „ერბო“ სიტყვის ირიბ ბრუნვათა ფუძე-ში „ჩართული“ თანხმოვანი წარმოადგენდეს სხვა რომელიმე თანხმოვნის რეფლექსსაც: ერგ.-ნათ. ნაჰ-ლ-ი-ლ < \*ნაჰ-ვლ-ი-ლ.

შდრ. ახგახ. ი<sup>ნ</sup>ხტა (ჩრდ. დ.), ი<sup>ნ</sup>ხტამ (თლიანუბ), იხტან (წეგობ), იხტამ (რათლუბ) „ერბო“, „კარაქი“, სადაც ი<sup>ნ</sup>ხტა < \*ნიხტა < \*ნიხტამ, ი<sup>ნ</sup>ხტამ < \*ნიხტამ, იხტან < \*ი<sup>ნ</sup>ხტან < \*ნიხტან ... მაშინ, შესაძლოა, ლაკ. ნახ მივიჩნიოთ \*ნაჰალ ფორმის გზით \*ნაჰამ || \*ნაჰან ფორმათა-გან მიღებულად<sup>1</sup>.

როგორც ამ მიმოხილვიდან ჩანს, ლაკურში ირიბ ბრუნვათა ფორმებში ზოგჯერ დაკუთლია ისტორიულად სავარაუდებელი ფუძე<sup>2</sup>. ამ თვ. საზრისით სა-ინტერესოა რიგი ნაცვალსახელის აგებულება.

V. პირის ნაცვალსახელთა აგებულებისათვის ლაკურში. I და II პი-რის ნაცვალსახელები ერთ ფუძეს იყენებენ სახელობითში, ხოლო სხვას — ირიბ ბრუნვათა ფუძეში:

სახ. ნა „მე“           ინა „შენ“

ნათ. თჷ-ლ           ტი-ლ

ასეა მხოლოდით რიცხვში, მრავლობითში კი ყველა ბრუნვაში ერთი და იგივე ფუძე დასტურდება:

სახ. უჷ „ჩვენ“       ზუ „თქვენ“

ნათ. უჷ-ლ           ზუ-ლ

ლაკურის ახლომონათესავე ენაში, დარგულში, I პირის ნაცვალსახე-ლები მხ. რიცხვში ზოგი დიალექტის მიხედვით ასეა წარმოდგენილი ([I2], გვ.215-217; [I28], გვ.139-143):

	<u>ურახ.</u>	<u>ახუშ.</u>	<u>წუდ.</u>	<u>ხაიდაყ.</u>	<u>კუბ.</u>
სახ. ნუ	ნუ	ნუ	დუ	დუ	დუ „მე“
ერგ. ნუ-ნი	ნუ-ნი	ნუ-ნი	დ-ა-ლე	დუ-ლ	დუ-დი-ლ
ნათ. დი-ლა	დი-ლა	დი-ლა			

დარგულში I პირის ნაცვალსახელად აღადგენენ \*დუნუ ფორმას ხუნძ. დუნ, ბოთიხ. დენ, ლოდ., ჭამ., კარ. დინ, ად., ლეზგ. ზუნ, არჩ.

<sup>1</sup> ჩანს, ლაკური ენის განვითარების გარკვეულ ეტაპზე იყო ტენდენცია ორ-მარცვლიან \*ბაკურ „თავი“, \*კაკურ „მხარი“, \*მამრ „ცხვირი“, \*მაკურ „ძილი“, „სიზმარი“ ტიპის სახელებში ბოლოკიდური ხმოვნის ჩავარდნისა (მიზეზი მახვილში უნდა ვეძიოთ, რომლის მატარებელი თავკიდური მარცვა-ლი უნდა ყოფილიყო). ხმოვნის ჩავარდნის შემდეგ ვიღებდით ლაკურისათვის სტრუქტურულად უცხო წყობას ფუძის ბოლოს: ჩქამიერი + სონორი (პირუკუ დასაშვებია: ბარწ „მგელი“, თხარხ~ „შოლტი“, ზიანჩ „თოვლის ზეგვი“, ყანყ „სუნო“, ქაჟს „კორდი“, „ბუსნო“ და ა.შ.). ამიტომ ასეთი კომპ-ლექსი მარტივდებოდა. დაკარგული თანხმოვანი წარმოჩნდება ხოლმე ხმოვნით დაწყებული სუფიქსის წინ, რადგან ჩქამიერი + სონორი ინლათში ბუნებრივია ([8], გვ.177; [164], გვ.96-97). ანალოგიური თვალსაზრისი გამოთქმულია დარგულში ენის მიმართაც ([87], გვ.104).

<sup>2</sup> გამოწვევლივით ამის თაობაზე იხ.: [91ა].

ზონ, ახვახ. დენე „მე“ ფორმათა მიხედვით ([I8], გვ.165); ადღგენილ ფორ-  
მაში გამოიყოფა -ნუ, რომელიც იგივე ოდენობაა, რასაც ვადასტურებთ ქართ.  
შე-ნ, მე-ნა, აგრეთვე, ჭან. სი-ნ „შენ“ და მა-ნ „მე“ ფორმებშიო (იქვე)<sup>1</sup>.

ლაკურში I პირის ნაცვალსახელის ირიბ ბრუნვათა ფუძე თუ- მი-  
ღებული ჩანს \*ღუ- ნაცვალსახელური ძირისაგან ( თუ < \*ღ ლაკურში ცნო-  
ბილი ფონეტიკური პროცესია), ხოლო სახ. ბრუნვის ფორმა ნა „მე“ —  
\*ღუნა ფორმისაგან (შდრ. ახვახ. დენე „მე“), სადაც -ნა წარმოშობით  
იგივე ელემენტია, რაც დასტურდება ზემოთ სათანადო ნაცვალსახელებში -ნ,  
-ნა, -ნე-ს სახით - ფუძის დ ე ტ ე რ მ ი ნ ა ნ ტ ი - ს უ ფ ი ქ -  
ს ი .

II პირის ნაცვალსახელის ირიბ ბრუნვათა ფუძე ჲი-ს ლაკურში  
ნ.ტრუბეტკოი აკავშირებს დარგ. ჰუუ, თაბ. იჲუ, აღ. ჲუნ, ლეზგ. ჲუნ  
(ახთ. ჲენ ), რუთ. ჲე, წახ. დჲუ (მიც. ჲას)<sup>2</sup>, უდ. უნ (ნათ. ჲი ), არჩ.  
უნ (ნათ. ჲას) „შენ“ ([I74], №5). მისივე აზრით, ამავვე ფუძეებთანაა  
კავშირში ხუნძ. მუნ, ანდ. მინ „შენ“, რომლებიც მიღებულია \*ჲენ ფორმი-  
საგან შორეული ასიმილაციით ანლაუტის ნაზალიზაციის შედეგადო ([I74], №5).

აქვეა მოსახმობი, აგრეთვე: ანდ., კარ. მე-ნ, ბოთლიხ., ლოდ. მი-ნ,  
ჭამ. მი\* < \*მი-ნ, ბავგ. მე(ნ), ტინდ. მე, ახვახ. მე-ნე, დიდ., ხვარზ.  
მა, ჰინ. მე, ჰუნზ. მჰ, კაპ. მი, რუთ. ლუ, კრიწ. ჲუ-ნ, ჲე-ნ, ბუდ.  
ჲე-ნ, ხინ. ჲე „შენ“.

მართალია, გარაუდობენ, რომ ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა მონაცემები  
ს ხ ვ ა წ ა რ მ ო მ ა ვ ლ ო ბ ი ს ა ა , ვინემ დარგულ-ლაკური თუ  
ლეზგიური ენებისაო ([I44], გვ.229), მაგრამ უფრო სარწმუნოა ის თვალსაზ-  
რისი, რომლის თანახმადაც ამოსავალი, უფრო ძველი ვითარება რიგ ლეზგიურ  
ენაშია დაცული: ხუნძ. მუნ „შენ“ რიგის ფორმები \*ჲუ-ნ-ისაგან უნდა  
მომდინარეობდეს, ხოლო თვით აღნიშნული პროცესი უნდა მომხდარიყო წინარე  
ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენაში ([I08], გვ.199).

მაშასადამე, ლაკურის ირიბ ბრუნვათა ფუძის მიხედვით ინა < \*ჲი-ნა  
„შენ“. ეს უკანასკნელი ფორმა ინა-ს პარალელურად დღესაც დასტურდება  
არაქულის მეტყველებაში. მიიჩნევენ ([I50], გვ.28), და სამართლიანადაც,  
რომ ჲინა ფორმა აქ უფრო ძველია, გიძრე ინა (ოღონდ ერთია, ირიბ ბრუნ-

<sup>1</sup> ქართ. შე-ნ, მე-ნა, ჭან. სი-ნ „შენ“, მა-ნ „მე“ და სხვა ნაცვალსახე-  
ლებში -ნ || -ნა ნაწილაკი სადეტერმინაციო ელემენტია ([48], გვ.72-74;  
[47], გვ.222-224), რომლის კავშირი ხუნძ. ღუნ „მე“, მუნ „შენ“ ნაცვალ-  
სახელთა ბოლოკიდურ ნ-სთან ადრევე იყო შენიშნული ([44], გვ.46).

<sup>2</sup> წახურ ენაში მიუთითებენ ლუ || ჲუ ფორმებზე, აგრეთვე, მიც. ჲას ფორმის  
გვერდით ღ<sup>1</sup>ჲას ვარიანტზე ([62], გვ.415). ამოსავლად სახ. ბრუნვისა-  
თვის ნავარაუდევია ლუ < \*ღუნ, ჲუ < \*ჲუნ ([I13], გვ.42).

<sup>3</sup> ვარაუდობენ, რომ ლუ < ღჲა < \*ღჲან ([I16], გვ.78), რაც, შესაძლოა, ისტო-  
რიულად მართებული იყოს, ოღონდ, კონკრეტულ შემთხვევაში რუთ. ლუ < \*ღუნ,  
რადგან ამ ენაში დღესაც ცოცხალია ფორმები: ლუნ-არ (აღამ. კლ. ლუნ-  
აბ (ცხოვ. კლ.), ლუნ-ად (ნივთ. კლ.) „შენც“ ([68], გვ.41).



ლაკ. თნ „ის“ (ნეიტრ.); შდრ. დარგ. ით < \*თი (კუმბ. იდ < \*დი), ხუნდ. ღო-გ (-ა,-ბ) < \*ღა-გ (-ა,-ბ)<sup>1</sup>, ანდ. ჰე-დე-გ (-ა,-ბ,-რ), ჰინ-ღი<sup>1</sup>-ღი-გ (-ა,-ბ,-რ), ჰუნ-ღო-გ (-ა,-ბ,-რ) „ის“ ...

ლაკ. კან „ის“ (მაღლა მყოფი); შდრ. დარგ. იკ < \*კი „ის“ (ზევით), ხუნდ. ტა-დ < \*ტ<sup>ა</sup>-დ, ანდ. ჰი-ტ<sup>ა</sup> „ზედ“, „ზემოთ“<sup>2</sup> ...

ლაკ. გინ || ღინ (ბალხ.) „ის“ (დაბლა მყოფი); შდრ. დარგ. იხ < \*ხი „ის“ (ქვევით), ხუნდ. ღო-გ (-ა,-ბ) < \*ღა-გ (-ა,-ბ), ანდ. ჰე-გე-გ (-ა,-ბ,-რ), ჰი-გი-გ (-ა,-ბ,-რ), ჰინ ო<sup>1</sup>-გი-გ (-ა,-ბ,-რ), ჰუნ-გო-გ (-ა,-ბ,-რ) „ის“ (დაბლა მყოფი) ...

ასევე უნდა უკავშირდებოდეს ერთმანეთს ლაკ. \*მნ „ეგ“ და დარგ. ილ < \*ლი (< \*მი) „ეგ“.

ეგვეე \*მნ ჩანს ხუნდ. ნა-ვა < \*მა-ვა „უკან“ ზმნისართში, აგრეთვე, ნაცვალსახელებში: წახ. მან-ნ (მან-ნა) „ეგ“ (შდრ. შე-ნ, შე-ნა „ის“), ლეზგ. ი-მი < \*ი-მა „ეს“, ა-მა „ის“, ატა-მა „ის“ (შორს), ტანი-მა „ეს“ (მაღლა), ალა-მა „ეს“ (ქვემოთ) ჰა-მა „თვით ის“, ალულური ენის აულეების ბურზაგი-სა და ხუდიგი-ს მეტყველებებაში მრ. რიცხვში: მან-არ „ესენი“ (შდრ. მი || მი-მ „ეს“); ჰა-მან-არ „ესენი“ (შდრ. ჰა-მი-მ „ეს“); კრიწ. ღი-მან-ნ „ასეთი“, „ამგვარი“ (შდრ. ღი „ეს“)<sup>3</sup>.

მის შემცველი ნაცვალსახელური ძირია, აგრეთვე:

თაბ. მუ „ეს“ (შდრ. მი-ნა<sup>4</sup> „აქეთ“), ალ. მე „ეს“, რუთ. მი (მი-დ), უდ. მე, არჩ. აა-მუ (გრ. კლასების მიხედვით) „ეს“<sup>5</sup> ...

ლაკ. \*მნ „ეს“ (შდრ. ში-ქუშუ „აქ“ — I პ. ახლოს); შდრ. დარგ. იზ < \*ზი „ეს“ (მთქმელთან ახლოს მყოფი — [147], გვ. 58), ხუნდ. ლ<sup>ო</sup>-გ (-ა,-ბ) < \*ლ<sup>ა</sup>-გ (-ა,-ბ)<sup>6</sup>, ანდ. ჰე-ლ<sup>ე</sup>-გ (-ა,-ბ,-რ), ჰი-ლ<sup>ი</sup>-გ (-ა,-ბ,-რ), ჰინ ო<sup>1</sup>-ლ<sup>ი</sup>-გ (-ა,-ბ,-რ), ჰუნ-ლ<sup>ო</sup>-გ (-ა,-ბ,-რ) „ის“ (მაღლა მყოფი) ...

1 ამის შესახებ იხ.: ([44], გვ. 35; [49], გვ. 217). ალდგენილი ფუძე დაცულია ბოთლიხურში ღო-გ (-ა,-ბ) ფორმათა გვერდით ([17], გვ. 41).

2 ხუნძურ, ანდიურ და ლაკურ ენათა მასალა შედარებული აქვს ი. ცერცვაძეს ([58], გვ. 342).

3 გამოწვლილვით ამ ნაცვალსახელთა თაობაზე იხ.: ([4], გვ. 788-785).

4 სადაც -ნა ადგილ. ბრუნვათა სუფიქსია ([126], გვ. 628).

5 რიგი აქ წარმოდგენილი მასალა შედარებული აქვს ნ. ტრუბეცკოის ([174], №16). მას იქვე მოყავს არჩ. -მუ, -მი. — „ძირის მავრცობი ელემენტი ნაცვალსახელური ბრუნებისა (რომელიც ჩაერთვის ძირსა და ბრუნვის დაბოლოებას შორის)“. ეს -მუ, -მი არჩიბულში ფაქტობრივ ერგატივის ნიშნებია (სხვა ნიშანთა გვერდით) — ნაცვალსახელური წარმომავლობისა, მსგავსად დიდოური ენების -მუ, -მე, -მო, -მა<sup>6</sup> ელემენტებისა ([30], გვ. 379-381). იმავე \*მნ ძირის შემცველი ჩანს ქართ. ი-მან-ნ, ა-მან-ნ, მან-ნ, ტან. ჰა-მ „იგი“, ა-მუ-ქ || ჰა-მუ-ქ „ამან“ ... ქართულ-ზანურისა და დაღესტნის ზოგი ენის (მაგ., ლეზგიურის) სათანადო ნაცვალსახელთა საერთო წარმომავლობაზე ადრევე მიუთითებდნენ ([48], გვ. 73).

6 იხ.: ([44], გვ. 35; [49], გვ. 217).

აღდგენილი \*შან ფორმის შ ელემენტსა და ხუნძურ-ანდიურ ენათა (აგრეთვე, დარგულის) სათანადო მონაცემებს შორის კანონზომიერი ბგერათ-შესატყვისობა დასტურდება:

ხუნძ.-ანდ. ლ<sup>ა</sup> : ლაკ. ხ<sup>~</sup> (> შ ) : დარგ. შ<sup>1</sup>

ლაკურში \*შან „ეს“ ნაცვალსახელის აღდგენას ხელს უწყობს ლაკურ-დარგულ ენათა ჩვენებითი ნაცვალსახელების ერთმანეთთან შედარებაც:

<u>ლაკური</u>	<u>დარგული</u>
თან	ით < *თი
კიან	იკ < *კი
გიან    დიან	იხ < *ხი
მი ( < *მი )	ილ < *ლი ( < *მი )
*შან	იშ < *ში

დარგულში, ჩანს, ჩვენებითი ნაცვალსახელები მეტათეზირებული სახითაა წარმოდგენილი. ამას მოწმობს არა მარტო ლაკური, ხუნძური და ანდიური ენების ზემოთ შედარებული სათანადო ნაცვალსახელები, არამედ დარგულშივე დაცული ის მეშველი ზმნები, რომელთა შემადგენელ ელემენტებად აღნიშნული ნაცვალსახელები ამოსავალი წყობით დასტურდება:

ლი-ბ „არის“ ( I, II პირთან ) ;	შდრ. ილ „ეს“
თი-ბ „ ( III პირთან ან სადღაც )	„ ით „ის“
კი-ბ „ ( მთქმელთან, ზევით )	„ იკ „ის“ ( ზევით )
ხი-ბ „ ( „ ქვევით )	„ იხ „ის“ ( ქვევით )
*ში-ბ „ ( „ ახლოს ) <sup>2</sup>	„ იშ „ეს“ ( გვერდით )

მართალია, ლაკურში სათანადო ნაცვალსახელებს ხმოვნით ელემენტად ა მოუდით ( გიან, კიან, თან, \*მიან, \*შიან ), რასაც სათანადო ხუნძური მასალაც უმაგრებს მხარს, დარგულს კი — ი ( ილ < \*ლი, ით < \*თი ... ), მაგრამ ეს არ ცვლის საქმის ვითარებას — ლაკ. ა : დარგ. ი დასტურდება სხვა შემთხვევებშიც:

<u>ლაკური</u>	<u>დარგული</u>
მაზ	მეძ    მიძ, მეც    მიც „ენა“ <sup>3</sup>
ბაკ	ბეკ    ბიკ „თავი“
მაყ	ნერდ    ნირდ „ცრემლი“
ნახ <sup>~</sup> ი	ნეგ    ნიგ, ნიქ, ნიქჟ „ბზე“

გარდა ამისა, დარგული ენის ჩირაღოს მეტყველებაში ჩვენებითი ნაცვალსახელები ლაკურისებრი წყობითაა წარმოდგენილი; თანაც, სათანადო ნაცვალსახელებში ე || ი-ს ნაცვლად ყველგან წარმოდგენილია ა ([139], გვ. 5 ) :

<sup>1</sup> ხუნძ. ლ<sup>ა</sup> : ლაკ. შ პირველად აჩვენა ნ. მარმა ([128], გვ. 326); იხ., აგრეთვე [173].

<sup>2</sup> \*ში-ბ „არის“ მეშველი ზმნა დარგულში არ დასტურდება. ჩანს, მისი ფუნქცია სხვა მეშველმა ზმნამ შეითავსა.

<sup>3</sup> ამოსავალი ვითარება ლაკურში ჩანს დაცული, დარგულში კი ე < ა, ხოლო ი < ე .

ლა „ის“ ( II პირთან); შდრ. სამწ. ილ იმავე მნიშვნელობით.  
 კა „ის“ (რაც ზევითაა); „ „ იქ „ „  
 ხა „ის“ (რაც ქვევითაა); „ „ იხ „ „  
 თა „ის“ ; „ „ ით „ „

აღნიშნულ ნაცვალსახელთა გვერდით სათანადო ლოკალური პრეფერბებიც ლა-, კა-, ხა-, თა- სახითაა წარმოდგენილი.

აღსანიშნავია ისიც, რომ სამწერლობო დარგულშივე შესაბამისი ა ვარიანტიანი ფუძეები ზმნისართებშია წარმოდგენილი:

ი-შა-ბ (-რ) „აქ“, ი-ლა-ბ (-რ) „იქ“ ( II პირთან), ი-კა-ბ (-რ) „იქ“ (რაც ზევითაა), ი-ხა-ბ (-რ) „იქ“ (რაც ქვევითაა), ი-თა-ბ (-რ) „იქ“ (ნეიტრ.).

შესაძლოა იმის ვარაუდიც, რომ თავკიდური ი ი გ ი ვ ე ა , რაც დასტურდება ი-ხ, ი-ლ ... რიგის ნაცვალსახელებში ი-ის სახით. მაშინ ჩირადის მეტყველებაში წარმოდგენილი ლა შეიძლება ჩაითვალოს \*ი-ლა ფორმისაგან მიღებულადაც, ხოლო კა — \*ი-კა-საგან და ა.შ. ასევე სხვა დიალექტების ილ, იქ — შესაბამისად \*ი-ლა, \*ი-კა და ა.შ. ფორმათაგან მიღებულად. ჩანს, ისინი რ თ უ ლ ი ნაცვალსახელები ყოფილან, რასაც მხარს დაუჭერდა, ერთი მხრივ, ურახულის ჰი-ლ, ჰი-კ ... ფორმები ([147], გვ.58), ხოლო, მეორე მხრივ, ანდიურის სათანადო ჩვენებით ნაცვალსახელებში წარმოდგენილი თავკიდური ჰე-, ჰი- ... ელემენტები.

საკითხი როგორადაც არ უნდა გადაწყდეს, ერთი ნათელია, ა მ ო ს ა - ვ ა ლ ი ძ ი რ ე უ ლ ი თ ა ნ ხ მ ო ვ ნ ე ბ ი შესადარებულ ენებში ს ა ე რ თ ო წ ა რ მ ო მ ა გ ლ ო ბ ი ს ა ა და, მაშასადამე, ლა-კურისათვის \*შ- ძირეულმორფემიანი ფუძის აღდგენაც კანონზომიერი.

ლაკურში დღეს რეალურად დადასტურებულ ჩვენებით ნაცვალსახელებს ბოლოკიდური ხმოვანი გ რ ძ ე ლ ი აქვთ: გიჲ, კიჲ, თჲ, ჭიჲ, მუ ( < \*მჲ ). შეიძლება გვეგარაუდო, რომ ასეთ შემთხვევებში ხმოვნის სიგრძე აღნიშნულ ნაცვალსახელებში ადრე არსებული გრ. კლასის ნიშნების დაკარგვის შედეგიაო<sup>1</sup> (შდრ. სათანადო ხუნძურ-ანდიური ფუძეები, სადაც გრ. კლასის სუფიქსური ნიშნები დღესაც ცოცხალია და მოქმედი), მაგრამ — არა, რადგან ე.წ. ირიბ ბრუნვათა ფუძეებში ხმოვანი ს ა დ ა ა — კლასის ნიშნები კი არც აქაა წარმოდგენილი<sup>2</sup>:

სახ. გიჲ „ის“ (დაბლა მყოფი), კიჲ „ის“ (მაღლა მყოფი) ...  
 ერგ.-ნათ. გიჲ-ნა-ლ || გიჲ-ნი-ლ, კიჲ-ნა-ლ || კიჲ-ნი-ლ ...  
-ნა || -ნი ელემენტები, აღნიშნულ ფუძეებს რომ ირიბ ბრუნვებში გამოაჩნდებოთ, რა თქმა უნდა, გრ. კლასის ნიშნები არაა (მიუხედავად იმისა, რომ

<sup>1</sup> აღადგენენ კიდევ. \*თა-ჭი (\*თა-რ, \*თა-ბ) რიგის ჩვენებით ნაცვალსახელებს და უდარებენ ხუნძურის სათანადო მონაცემებს ([164], გვ.188-184).  
<sup>2</sup> ლაკურში გვაქვს აღნიშნულ ჩვენებით ნაცვალსახელთაგან ნაწარმოები უკუ-ქვევითი ნაცვალსახელები თჲ-ჭი (თჲ-რა) „თვით ის“, ჭიჲ-ჭი (ჭიჲ-რა) „თვით ეს“ ... რიგისა, სადაც გრ. კლასის ნიშნები წარმოდგენილია, მაგრამ ძირისეული ხმოვნები მაინც გ რ ძ ე ლ ი ა .

-ნა ოდენ I გრ. კლასთან გამოიყენება, ხოლო -ნი — სხვა დანარჩენ-  
თან) და მეორეც: ლაკურში სუფიქსური გრ. კლასის ნიშანი არ იკარგება —  
მაგ., წინამდებალ უ-ს I გრ. კლასის -ნი ნიშანი ერწყმის და აგრძელებს  
მას (ცუწ „თვით ის“ < \*ცუ-ნი ), ხოლო სხვა შემთხვევაში ქვაბდება ხოლმე.  
ამისი ნათელი ნიმუშია ლაკურში ზოგი ზმნისართის ისტორია. კერძოდ:

დ<sup>3</sup>ნი-ნი „შუაში“, ითხა-ნი „თვალში“, ჭარა-ნი „გვერდით“ რიგის ზმნი-  
სართებში რომ -ნი გაქვავებული გრ. კლასის ნიშანია, ამას ბალხარული დი-  
ალექტის აულ წალჭუჰან-ის მეტყველება მოწმობს<sup>1</sup> — აქ -ნი დღესაც  
ცოცხალი, მოქმედი გრ. კლასის ნიშანია:

<u>წალჭუჰან</u>	<u>სამწ. ენა</u>
ითხა- <u>ნი</u> ( I, III გრ.კლ.)	ითხა- <u>ნი</u> „თვალში“
ითხა- <u>რ</u> ( II, IV გრ.კლ.)	
დ <sup>3</sup> ნი- <u>ნი</u> ( I, III გრ.კლ.)	დ <sup>3</sup> ნი- <u>ნი</u> „შუაში“
დ <sup>3</sup> ნი- <u>რ</u> ( II, IV გრ.კლ.)	
ჭარა- <u>ნი</u> ( I, III გრ.კლ.)	ჭარა- <u>ნი</u> „გვერდით“
ჭარა- <u>რ</u> ( II, IV გრ.კლ.)	

ცხადია, თ<sup>3</sup>, გ<sup>3</sup>, კ<sup>3</sup> ... რიგის ჩვენებით ნაცვალსახელებს ლაკურში  
რომ გრ. კლასის ნიშანი ხლებოდა, მოსალოდნელი იყო გაქვავებულიყო. მაშ,  
რატომაა, რომ აღნიშნულ ნაცვალსახელებს სახ. ბრუნვის ფორმებში გრძელი  
ხმოვანი აქვთ? — ეს, ალბათ, იმიტომ რომ აღნიშნულ ნაცვალსახელებს  
სახ. ბრუნვის ფორმებში დაკარგული აქვთ დეტერმინანტი-სუფიქსი \*-ნა  
(შდრ. I და II პირის ნაცვალსახელთათვის ზემოთ აღდგენილი \*დუნა  
„მე“, \*ტინა „შენ“ ფორმები), რის კომპენსაციასაც წარმოადგენს წინამდებ-  
ლი ხმოვნის დაგრძელება. ამიტომაცაა, ირიბ ბრუნვათა ფუძეში, სადაც აღდგა  
დაკარგული დეტერმინანტი-სუფიქსი, ფუძისეული ხმოვანი სადაა.

მაშასადამე, ლაკურში ჩვენებით ნაცვალსახელთა ფუძეები დღეს სახელო-  
ბითში გ ა ც ვ ე თ ი ლ ი ა , მათი უფრო ძველი სახე შემოუნახავს ირიბ  
ბრუნვათა ფუძეებს.

ამდენად, სახელობითშიც უნდა გვექნოდეს: \*გიანა, \*თანა, \*კიანა ...  
ეს რომ მხოლოდ სტრუქტურული მოსაზრებით არაა ნაკარნახევი, ამას მოწმობს  
ლაკურში ზოგი ნაწილაკის ისტორიის გათვალისწინებაც.

სპეციალურ ლიტერატურაში ტინა „აი, აგერ, აჰა“ სამართლიანადაა მიჩ-  
ნეული ტ<sup>3</sup> „ეს“ და -ნა ნაწილაკისაგან მიღებულად, ხოლო თანა „აი, აი  
იქ, აგერ“ — თ<sup>3</sup> „ის“ და -ნა-საგან ([66], გვ. 88). ამიტომაცაა, რომ ამ  
ნაწილაკებში შემავალი ტ<sup>3</sup>, თ<sup>3</sup> ა რ ა ა გ რ ძ ე ლ ი . შდრ. ლაკურისა-  
ვე თ<sup>3</sup>ნი „იმ დროს“, სადაც ამოსავალია თ<sup>3</sup> „ის“, ხოლო -ნი დროის ზმნისარ-  
თის ერთ-ერთი მაწარმოებელია. ამ -ნი-ს არავითარი კავშირი არა აქვს -ნა||  
-ნი ზემოთ აღნიშნულ დეტერმინანტიულ ელემენტებთან; ამიტომაცაა, რომ ზმნი-  
სართის მაწარმოებელი -ნი სუფიქსის წინ ხმოვანი კვლავ გრძელია.

<sup>1</sup> ბალხარული მეტყველების ნიმუშთა წყარო, აქ და ქვემოთ, დადესტნის ასსრ  
პედაგოგიური ინსტიტუტის უცხოურ ენათა კათედრის ასისტენტის, ბალხარელი  
მ ა ჰ მ ე დ ყ ა ლ ა ნ დ ა რ ო ვ ი ს ინფორმაციაა.

VII. კითხვით ნაცვალსახელთა აგებულებისათვის ლაკურში. მსგავსად I და II პირის ნაცვალსახელებისა, კითხვითი ნაცვალსახელები ლაკურში ცუ „ვინ“ და ცი „რა“ ერთ ფუძეს არჩენებენ სახელობითში, ხოლო მეორეს — დანარჩენ ბრუნვებში<sup>1</sup>:

სახ.	ცუ „ვინ“	ცა „რა“
ერგ.-ნათ.	<u>შვი-ლ</u>	<u>სვა-ლ</u>

ეგვივე ნაცვალსახელები ბრუნებისას ხშირად იცვლიან ფუძეს დარგულში, ხუნძურსა თუ ანდიურში<sup>2</sup>:

<u>დარგ.</u>	<u>ხუნძ.</u>	<u>ანდ.</u>
სახ. ჩამ	შვი-ვ (-ა)	ე-მ ( I, II გრ.კლ.) „ვინ“
ერგ. ში-ნი	<u>ლ'ვი-ცვა</u>	<u>ლ'ვე-დი</u>
სახ. სი	შვი-ბ (III გრ.კლ.)	ე-ბ, ე-რ (III, IV გრ.კლ.) „რა“
ერგ. სი-ლი	<u>სჟუნ-ცვა</u>	<u>ლ'ჟუნ-დი</u>

ნათელია, „ვინ“ ნაცვალსახელის აღმნიშვნელი ფუძეები აქ ს ა ე რ თ ო ა : ლაკ. შვი-, დარგ. შვი-, ხუნძ. ლ'ვი-, ანდ. ლ'ვე- ... იმავე წარმომავლობის ფუძეები დასტურდება რიგ სხვა დალესტნურ ენაში: ბოთლიხ., ლოდ., ჭამ. ლ'ვე-, კარ., ახვახ., ტინდ., ბაგვე. ლ'ვო- ...

ძირეული თანხმონენები აქ კანონზომიერ შესატყვისობას იძლევა:

ხუნძ.-ანდ. ენათა ლ'ვ : ლაკ. შვი<sup>4</sup> : დარგ. შ

ცხადია, „ვინ“ ნაცვალსახელის აღმნიშვნელი უძვილესი ფუძეები და-ცულია ირიბ ბრუნვათა ფუძეში, რაც ასე სისტემობრივ არაა გატარებული „რა“-ს გამომხატველ მასალაში. კერძოდ, დარგ. სი „რა“ კორდება ყველა ბრუნვაში მაშინ, როცა ლაკურსა და ხუნძურში (აგრეთვე, ანდიურში) „რა“-ს აღმნიშვნელ ფუძეებს სუბლექტური წარმოება ახასიათებთ.

მართალია, ანდიურში „რა“ იმავე ძირისეული თანხმონენითაა (ლ'ვ)

- I მოგვყავს მხოლოდ მხ. რიცხვის ფორმები, რადგან მრ. რიცხვისა ფუძის აგებულების თვალსაზრისით ახალს არას იძლევა რა: ცია „ვინ(ებ)ი“ — ნათ.-ერგ. ცია-ლ ...
- 2 საილუსტრაციო მასალა ი. ცერცვაძის ([54], გვ. 174-175) ნაშრომიდანაა; არ მოგვყავს სხვა დალესტნურ ენათა მასალა, სადაც პრინციპულად ანალოგიური ვითარებაა. იხ., მაგ. ([60], გვ. 347-348).
- 3 ასეა ურახულში ([147], გვ. 59), სამწერლობო ენის საყრდენ დიალექტში, ახშურში კი ჩა „ვინ“ წარმოდგენილია ჩი ფორმით. ამავე ფუძითაა იგი სხვა ბრუნვებშიც: ერგ. ჩი-ნი, ნათ. ჩი-ლა ...
- 4 ლაკურისათვის ასეთ შემთხვევებში ნავარაუდევია შვ < \*ხ~ვ ([54], გვ. 176). მართლაც, \*ხ~ვ ფაქტობრივ დადასტურდა „ალ-ბურდას“ ენაში (პოემა არაბულიდან ლაკურ ენაზე უთარგმნიათ XVII ს. ბოლოსა თუ XVIII ს. დასაწყისში): შვილკატი „არავინ“ ფორმის ნაცვლად გვაქვს მისთვის ამოსავალი \*ხ~ვილკატი ( ქ > ჭ , ჩანს, შემდეგაა მომხდარი), სადაც ხ~ვი- ცუ „ვინ“ ნაცვალსახელის ირიბ ბრუნვათა ფუძეა (ამ ხელნაწერის შესახებ იხ.: [141], გვ. 131). შედარებით უფრო ადრინდელ ხელნაწერშიც (XVI-XVII სს.) იგივე ხ~ვილკატი დასტურდება ([65ა], გვ. 32).

გადმოყვებული, რითაც „ვინ“ ნაცვალსახელი ირიბ ბრუნებში, მაგრამ აქ დასტურდება იგივე დეტერმინანტისეული ელემენტი ( ლ<sup>1</sup>ჟუნ-), რაც ხუნძურში-აც წარმოჩნდა ირიბ ბრუნებათა ფუძეში ( სჟუნ-).

ლაკურ სხა-ს არ ახლავს დეტერმინანტსუფიქსისეული ელემენტი -ნ, მაგრამ იგი ლაკურშივე წარმოჩნდება ზედსართავ ( უღჟა. ატრიბუტივთა) სა-ხელთა ე.წ. სრულ ფორმათა ბრუნებისას (სადაც ატრიბუტივთა სრული ფორმის -სხა სუფიქსი გადაჰყვება ხოლმე სახელობითიდან სხვა ბრუნებაში) :

მხ. რიცხვი

სახ. კინ-სხა „კარგი“, „კეთილი“  
ერგ.-ნათ. კინ-სხან-ნა-ლ ( I გრ. კლ.), კინ-სხან-ნუ-ლ ( II-IV გრ. კლ.)

მრ. რიცხვი

სახ. კინ-სხა „კარგები“, „კეთილები“  
ერგ.-ნათ. კინ-სხან-ნა-ლ ( I, II გრ. კლ.), კინ-სხან-ნუ-ლ ( III, IV გრ. კლ.)

მაშასადამე, დეტერმინანტისეული ელემენტი -ნ ლაკურშიც ხლებია „რა“-ს აღმნიშვნელ ნაცვალსახელს: ჩანს, \*სხან დროთა განმავლობაში გაცვეთილა და -ნ დაკარგულა. ამ პროცესისათვის ხელი უნდა შეეწყო ლაკურში -სხა აფიქსის მორფოლოგიურ დატვირთვას. კერძოდ:

-სხა- ლაკურ ზმნებში გამოიყენება ე.წ. მტკიცებითი ფორმების საწარმოებლად. ასეთი ფორმები „უმთავრესად გამოიყენება ეჭვის გასაფანტავად“ ([146], გვ. 88). -სხა- მორფემის ფუნქცია, აღნიშნოს ზმნაში გამონათქვამის უეჭველობა, დამარწმუნებლობა, მ ე ო რ ე უ ლ ი ა — შედეგი ამ აფიქსის მნიშვნელობის რეინტერპრეტაციისა.

-სხა ლაკურში ზედსართავ სახელთა და მიმდებობათა ( უღჟა. ატრიბუტივთა) ცნობილი მაწარმოებელია; ის ორსავე შემთხვევაში აწარმოებს ე.წ. ს რ უ ლ ფორმებს. ამ ელემენტამოცილებული ზედსართავისა და მიმდებობის ფორმა კი წარმოადგენს სათანადო ზედსართავისა და მიმდებობის უ ს რ უ ლ ( მ ო კ ლ ე ) ფორმას.

ვარაუდობენ, რომ -სხა ატრიბუტივებში ჯერ ასრულებდა გ ა ნ უ -ს ა ზ დ გ რ ე ლ ი არტიკლის როლს, ხოლო შემდეგ განზოგადებულა დერივაციულ ელემენტად ([121], გვ. 758).

ლაკური -სხა-ს შესატყვისი აფიქსები სხვა დადესტნურ ენებშიცაა წარმოდგენილი: დარგ. -სი, ახვას. -სხე, ბოთიხ. -სხუ-ბ (-ა, -გ), ბაგვ. -სხ, ჭამ. -ი-სხ, კარ. -ი-სხ, -სხ, თაბ. სხი-ბ (სამხრ. დ.), -სხუ-ტი (ჩრდ. დ.) და სხვ. ([9]).

წარმოშობით მათი იდენტური მასალაა:

ბაცბ. სტ-ენ, ქვემოადილ. სტ-დ, ყაბ. სტ-თ, ქართ. ს-ა ( > რა ) : სა-ნა-მდის, სა-და<sup>1</sup>.....

აგრეთვე: ჩაჩნ. ჰუ, ინგ. ჭუ „რა“ ნაცვალსახელთა ირიბ ბრუნებათა

ჩამოთვლილ ფუძეთა აგებულება გარკვეულია რ.გაგუას, გ.როგავასა და არნ. ჩიქობავას მიერ ([54], გვ. 178).

ფუძეები — ჩაჩნ. სთი(5)<sup>-1</sup>, ინგ. სე-ნ- „რა“<sup>2</sup>.

ხომ არაა იგივე ძირეული მორფემა და დეტერმინანტ-სუფიქსი ჩაჩნურისავე სთენ-გა „საით“ ზმნისართში?

აქ შედარებულ ფუძეებში, ძირეულ მორფემათა გარდა, საერთო ჩანს, აგრეთვე, ერთი მხრივ, ნახურ-ქართული -ნ, ხოლო, მეორე მხრივ, ადიდურ-ქართული -დ; მათ ე რ თ ნ ა ი რ ი ფ უ ნ ქ ც ი ა ც უნდა ჰქონოდათ.

ქართ. სა-ნა-მდის სიტყვის -ნა- ელემენტი ჩვენს ყურადღებას წარმართავს ხუნძ. „რა“ ნაცვალსახელის ირიბ ბრუნვათა ფუძეში წარმოადგენილ -ნ-სა (სხუ-ნ) და ლაკ. -სხა აფიქსის მქონე ატრიბუტიულ სახელთა ირიბ ბრუნვებში წარმოჩენილ -ნ-კენ (კინ-სხან-ნა-).

ამრიგად, ლაკურში ცი „რა“ ნაცვალსახელის ირიბ ბრუნვათა ფუძეში წარმოადგენილი -სხა ფუძის უფრო ძველი სახე (დეტერმინანტსუფიქსისეული ელემენტით გაფორმებული) შემონახულია ატრიბუტივთა ბრუნვებისას -სხან- აფიქსის (=ფუძის) სახით<sup>4</sup>.

§ 4. სახელური ფუძის სტრუქტურა ლაკურში. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ ლაკური სიტყვა შეიძლება იყოს ერთ-, ორ-, სამ- და ოთხმარცვლიანი. ეს სიტყვები ძირითადად ასეთი სტრუქტურისაა:

V, CV, SV, VC, VS, CVC, CVS, SVC, SVS (იშვიათად), VSCV, CVSSV, CVSCV, CVSSVS, SVSCVSV, CVSCVCV, CVSCVCV, (C)VSCVSVCV ([I5I], გვ. 142-156)<sup>5</sup>.

ძველად ლაკური სიტყვა (=სახელი) სხვაგვარი აგებულებისა უნდა ყოფილიყო. ჩანს, ლაკური სახელის სტრუქტურა ც ვ ღ ი ლ ა , რაც შინაგანი რეკონსტრუქციის მეშვეობით და ახლომონათესავე ენებთან შედარებით ირკვევა. კერძოდ, ი ს ტ ო რ ი უ ლ ა დ ლაკური სახელი შემდეგი აგებულებისა ჩანს:

გრამატიკული კლასის ნიშანი (თანმხლები ხმოვნითურთ) + ძირი + ფუძის დეტერმინანტი სუფიქსი. მაგალითად:

ლაკურში ბაკ „თავი“ სახელის მს. რიცხვის ირიბ ბრუნვათა ფუძეში წარმოჩენილი რ ( ბაკ-რ-ა- ) დეტერმინანტ-სუფიქსის თანხმონითი ელემენტია. ამ ფუძის შედარება მრ. რიცხვის ირიბ ბრუნვათა ფუძესთან (ბაკურ-დ-ი- ), ცხადია, ლაკურისათვის ამოსავლად \*ბაკურ ვარიანტს აღგვადგენინებს [91ა], სადაც ბ(ა)- თავის დროზე გრ. კლასის მოქმედი ნი-

1 ლაკ. სხ : ჩაჩნ. სთ სხვაგანაც შეინიშნება. კერძოდ: ჩაჩნ. სთიმ ; ლაკ. სხი < \*სხიმი „ნადეღი“.

2 რომლებიც ამ ენებში არაპიროვნების აღმნიშვნელ სახელებთან „რა“ ნაცვალსახელის ფუნქციით გამოიყენება ([112]; გვ. 46I).

3 ადიდ. -დ ისტორიულად \*-დწ-საგან ჩანს მიღებული და შესაძლოა მას კავშირი ჰქონდეს ყაბ. დწ-ნწ „სად“, „საით“ ადგილის ზმნისართის -ნჯ ელემენტთან — შენიშნავენ სპეციალურ ლიტერატურაში ([140], გვ. 98-94).

4 ამდენად, ლაკ. \*სხან „რა“ და მასთან მატერიალურად და გენეზისურად დაკავშირებული ზემოთ აღნიშნული ძირეული მორფემები იბერიულ-კავკასიურ ენათა საერთო ლექსიკის უძველეს ფონდს განეკუთვნება [9].

5 V — ხმოვანი, C — თანხმოვანი, S — სონორი თანხმოვანი.

შანი იყო, -კ- ძირეული მორფემა, ხოლო \* - ურ დეტერმინანტ-სუფიქსის როლში გამოდიოდა.

გვარაუდობთ, რომ ლაკური სახელი საზოგადოდ ანალოგიური აგებულებისა უნდა ყოფილიყო<sup>1</sup>, ამიტომაც, ბუნებრივია, რომ სახელის ფუძის შემადგენლობაში შემავალი ყოველი კომპონენტი ცალ-ცალკე დახასიათდეს.

ა) გრამატიკული კლასის ნიშანი. გრ. კლასის ნიშანი ლაკურ არსებობი სახელებში დღეს ცოცხალი, მოქმედი არაა<sup>2</sup>, ისტორიულად კი — უნდა ყოფილიყო. ჩანს, გრ. კლასის ნიშანი ლაკურ სახელებში გ ა ქ ვ ა ვ ე ბ უ - ლ ა, ხოლო ზოგჯერ — დ ა კ ძ რ გ უ ლ ა კიდევ.

დღეს კი, თუ რომელ გრ. კლასს განეკუთვნება ესა თუ ის სახელი, გარკვევით ხოლმე სახელთან დაკავშირებული კლასნიშნის ან ზმნის ან იმავე სახელთან გამოყენებული ცვლადი გრ. კლასის ნიშნის მქონე ატრიბუტივების მეშვეობით. ასე, მაგალითად:

- თულ ბაკ წია ბ-ურ „მე თავი მტკივა“
- ბაკ ბ-უსხა ინსან „თავიანი, ჭკვიანი კაცი, ადამიანი“
- პირველ ფრაზაში ბ-ურ „არის“ მეშველ ზმნაში ბ- მიუთითებს ბაკ „თავი“ სახელის გრ. კლასზე, ხოლო მეორე შემთხვევაში იმავე ზმნის მიმდევარაში ( ბ-უსხა „მყოფი“, „მქონე“ ) ბ- კვლავ „თავის“ გრ. კლასს აღნიშნავს. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ბაკ „თავი“ სახელში ბ(ა)- ისტორიულად III გრ. კლასის ნიშანი იყო. ამიტომაცაა, რომ ბ- თავსართიანი სხვა სახელებიც (მხედველობაში გვაქვს ლაკური ან დადესტნური წარმომავლობისა) ზმნაში ჩვეულებრივ ბ- კლას-ნიშნის ითხოვენ ხოლმე:
- ბ-არდ „მზე“: ბარდ ლაგლა ბ-ურ „მზე ჩადის“
- ბ-არზ „მთვარე“, „თვე“ : ბარზ ბ-ურ-ტი-ქუნნი „მთვარე ამოვიდა“...
- ბ-არზუ „არწივი“: ბარზუ ჰაჭა ბ-ულაა ბ-ურ „არწივი ჰაერში ღივლივებს“<sup>3</sup>.

ბ-ურკ „ლორი“: ტი კინმურ ბურკ ბ-ურ „ეს დიდი ღორია“

1 რაც ანალოგიურია სახელის ფუძის აგებულებისა ქართულურსა [45] და აფხაზურ-ადიღურ ენებში [140].

2 მსგავსად სხვა იბერიულ-კავკასიური ენებშიცა, თუმცა ზოგ დადესტნურ ენაში მოქმედი გრ. კლასის ნიშანი შემორჩენილია რელიქტის სახით:

დარგუული: უძი „ძმა“ — რ-უძი „და“; ე-ეშ „პატრონი“, „მფლობელი“ — რ-ეშ „პატრონი, მფლობელი ქალი“; ბ-ეშ „პატრონი, მფლობელი“ (არადაამიანი); ე-ჰჰჰ „სახე კაცისა“; რ-ჰჰჰ „სახე ქალისა“, ბ-ჰჰჰ „სახე“ (არადაამიანისა); ე-არგ (ბ-, რ-) „შუა“, „შუაგული“ ...

ხუნძურში: ე-აცჷ „ძმა“, ა-აცჷ „და“, ბ-აცჷ „ძმა ან და ცხოველისა“; ე-ას „თავიშვილი“, ა-ას „ქალიშვილი“, ბ-ას „მოზვერი“; ე-ატბად „სიამამრი“, ა-ატბად „სიდედრი“ და სხვ.

3 ლაკურ ბარზ „არწივი“ სახელში ბ-ს გრ. კლასის ნიშნად ვარაუდობს თ.გონიაშვილი; მისივე აზრით, ლაკ. ბარზუ „არწივი“ შეიძლება დაუკავშირდეს ჩარჩ. ერზტო, ინგ. ჰრზია „არწივი“ სახელებს, რომელთაც აკლიათ ის გრ. კლასის ნიშანი, რაც ლაკურს დაუკავსო ([16], გვ. 584-585).

ბ-არკ „ფარი“: ტნ ბარკ ბ-ურ „ეს ფარია“

ბ-ჭრხ „კურდღელი“: ანდაზაა — ბჭრხ ბ-უთანინ კუნკურ ბიზლაა „კურდღლის მოკვლამდე ქვაბს ამზადებდნენ“

ბ-არჰ „ზურგი“: ბარჰ ბ-ულუნ „ზურგის ქვევა“, „დათმობა“ ...

იხ., აგრეთვე: ბ-წრჩ „ხბო“, ბ-ურჩუ „ტყავი“, ბ-უტა „ნაწილი“, „წილი“, ბ-ჭყ „მრგვალი, უსწორო ქვა“, ბ-იკი „დასაწყისი“ (შდრ. (ბ-, დ-) იკიან „ყოფნა“, „არსებობა“), ბ-იხუუ „საკლავი ადგილი სატონლისა“ (შდრ. (ბ-, დ-) იხიან „დაკვლა“), ბ-უსალა „ამბავი“ (შდრ. ბ-უსან „თქმა“) და სხვ. ([64], გვ. 45-47).

ანალოგიურია დ- და რ- თავსართიანი სახელების ქვევაც — ისინი ზმნას ( ან ატრიბუტივს ) ითხოვენ დ- ან რ- მოქმედი გრ. კლას-ნიშნით:

დ-აკ „გული“: თხულ დაკ წია დ-ურ „მე გული მტკიცა“

დ-იკ „ხორცი“: დიკ დ-უსუა ჰხააჲიან „სახორციე სატონელი“

დ-უშ „გოგონა“, „ქალიშვილი“: დღეს სამწერლობო ლაკურსა და რიგ თქმაში, მართალია, ეს სახელი ბ- ( III გრ. კლ.) კლასს განეკუთვნება, მაგრამ ბალხარული დიალექტის საკუთრივ ბალხარულსა და წალჭვჭან-ის თქმებში იგი II გრ. კლასისაა ([IIB], გვ. 276-277): დუშ დ-ურ „გოგონა, ქალიშვილი არის“ ( შდრ. სამწ. დუშ ბ-ურ იმავე მნიშვნელობით). ცხადია, სახელი ისტორიულად დ- კლასს განეკუთვნება ([26], გვ. 180). ამის თაობაზე არნ. რიქობავე წერს: „ახლანდელი დუშ ბ-ურ — შედეგია ახლებური გააზრებიანებისა: დ კლასს ენაცვლება ბ კლასი“ ([I58], გვ. 18).

რ-იკი „ცული“: რიკი რ-იშუნ „ცულის დარტყმა“

რ-უკ „უღელი“: ტნ რუკ დ-ურ „ეს უღელია“

რ-ატ „ხეობა“: ტნ ზუნთხალ რატ დ-ურ „ეს მთის ხეობაა“

ზმნათაგან ნაწარმოებ არსებით სახელებში, როგორც წესი, რიგ შემთხვევაში დ- ნიშანია გაქვეავებული ([64], გვ. 47-51): დ-აჭუ „საწყაო მარცვლისა“ (შდრ. ბ-აჭინ (დ-) „გაყოფა ნაწილ-ნაწილ“), დ-უღანუ „კოს-მეტეკა“ (შდრ. ბ-უღან (დ-) „წასმა“), დ-უქიჲა „საკეები“, დ-უქიარ „საჭმელი“ (შდრ. ბ-უქიან (დ-) „ჭამა“), დ-უქხაჲუ „სწავლა“ (შდრ. ბ-უქხინ (დ-) „კითხვა“, „თვლა“), დ-უკუ „შემოსავალი“ (შდრ. ბ-უჭან (დ-) < \*ბ-უჭან (დ-) „მოსვლა“) და მრავალი სხვა.

გარკვეული ფონეტიკური ცვლილებების შედეგად, ჩანს, ლაკურში თავი-დური ბ- > მ- ( > ნ ). დღეს ამის მიზეზი ლაკურში, მართალია, არა ჩანს, მაგრამ ამ ცვლილებებს რომ ადგილი ჰქონდა, ამას სათანადო სახელთა ბ- კლასისადმი განკუთვნებაც მოწმობს არა მარტო ლაკურში, არამედ მის მონათესავე ზოგ დაღესტნის ენაში:

1 ქვემოთ სათანადო ლაკურ მასალასთან ერთად მოგვყავს შესაბამისი მონაცემები (გენეტურად საერთო წარმომავლობისა) ანდიური, ჭამალალური, დიდოური, ჰინუბური, ხეარშიული, კაპუჭური, ჰუნზიბური და არჩიბული ენებისა, რომელთა შესადარებელი არსებითი სახელები გრ. კლასის მიხედვით ერთნაირადაა განაწილებული — ლაკურისდა ანალოგიურად.

1. მავ „ენა“ ბ- კლასს ( III გრ.კლ.) განეკუთვნება; ასევე — ანდ. მიწხი, ჭამ. მიწხ, დიდ., ჰინ. მეც, ხვარშ. მიც, მეც, კაპ. მიც, ჰუნზ. მეც, არჩ. მაცხ „ენა“<sup>1</sup>.

2. მჩჟ „ჭინჭარი“ ბ- კლასს განეკუთვნება; ასევეა: ანდ. მიჭხი, ჭამ. მიწხჟ, მიწხუ, ჭილუ, ხვარშ., ჰუნზ. მიჩ, არჩ. მაჩხ „ჭინჭარი“<sup>2</sup>.

3. მაჰ „ცხვირი“ ბ- კლასს განეკუთვნება; ასევეა: ანდ. მაჰარ, ჭამ. მაჰ, მარ, დიდ. მჰლი, ხვარშ. მჰნი, ჰინ. მჰლუ, კაპ. მა, მარო, ჰუნზ. მარუ „ცხვირი“, არჩ. მულ „მთა“. „მთა“ და „ცხვირი“ მნიშვნელობათა ერთი ლექსებით გადმოცემა დადესტნურ ენებში არაა უჩვეულო. მაგ., ხუნძ. მეჭერ, რომელსაც უდავო კავშირი აქვს აქ წარმოდგენილ ლექსებებთან, „ცხვირსაც“ აღნიშნავს და „მთასაც“.

4. მიხ~ „ფრჩხილი“ ბ- კლასისაა; ასევეა ანდ. მულ<sup>ა</sup> „ფრჩხილი“<sup>3</sup>. ხომ არაა თაბ. შიბ, შაბ, შაჟ, რუთ. ხ~ებ „ფრჩხილი“ მიღებული \*ბ-იშ, \*ბ-აშ, \*ბ-ეხ~ ფორმათაგან? — თუ ეს ასეა, მაშინ \*ბ- გაქცევილი გრ. კლასის ნიშანი იქნებოდა — ის, რასაც გვარაულობთ ლაკურისათვის ისტორიულად.

5. მაქ „მერქანი“, „კვარი“ ბ- კლასისაა; ასევეა: ჭამ. ქვან, კაპ., ჰუნზ. ქა<sup>ა</sup> < \*ქან, არჩ. მაქჟ „კვარი“.

ლაკ. მაქ < \*მაქხ < \*მაგ. შდრ. ერთ-ერთ ძველ ლაკურ ხელნაწერში დადასტურებული ერგ.-ნათ. მუქუუ-ლ ფორმა ([I55], გვ. 347), რომელიც მიღებულია ასიმილაციით \*მაქუუ-ლ ფორმისაგან (ეს ფორმა დღესაცაა დაცული ბალხარულში), ხოლო ეს უკანასკნელი — \*მაგუ- ფორმისაგან.

ლაკ. \*მაგ ფორმა უნდა ედოს საფუძვლად ლაკურისავე დიალექტურ მაჟა „მუხა“ ფორმას: მაჟა < \*მაგ-ა ([95], გვ. 40-41). აქვე შემოვიღოდა ანდ. ნოჟი, ნოგი (< \*ნოგ-ი) „მუხა“, რომელიც, აგრეთვე, ბ- კლასს განეკუთვნება.

6. ნაწ „ტილი“ ბ- კლასს განეკუთვნება; ასევე — ანდ. ნოწხი, ჭამ. ნაწხ, ჰინ. ნოცე, ხვარშ. ნუცა, ნოცო, კაპ. ნაცო, არჩ. ნაწ „ტილი“:

აღნიშნულ ენათა შესახებ გამოყენებულია ლიტერატურა: [50] ; [78] ; [89] ; [90] ;, [81] ; [88] ; [82] ; [79] ; [86] ; [117] ; [127] ; [93] ; [180] ; [120] .

შესადარებელ ნიმუშებში, ბუნებრივია, ვერ მოხვდნენ ის არსებითი სახელები, რომელთა გრ. კლასზე არაა მითითებული.

1 ბ- გაქცევილი ჩანს აფხაზურ-ადიღურ ენებშიც: აფხ. ა-ბ-ზ, აბაზ. ბ-ზგ, უბიხ. ბ-ზ'ჰ, ადიღ. ბ-ზჰ „ენა“. ამ მასალის დადესტნურ ენათა სათანადო მონაცემებთან კავშირზე იხ.: ([174] №66).

2 შესაძლოა, თაბ. ჭარჟი, ჭარჯი „ჭინჭარი“ მიღებული იყოს \*ბ-არჟი, \*ბ-არჯი ფორმათაგან.

3 მართალია, იმავე წარმომავლობისაა ჭამ. ლ<sup>ა</sup>უმუ „ჩლიქი“, დიდ. მჰლ<sup>ა</sup>უ, ჰინ. მოლ<sup>ა</sup>უ, კაპ. მილ<sup>ა</sup>ო, ჰუნზ. მალუ „ფრჩხილი“, მაგრამ განეკუთვნებიან ა- < \*რ- გრ. კლასს.

7. ნიც „ხარი“ ბ- კლასს განეკუთვნება; ნიც ბ-აჰონ „ხარის შებმა“. ასევეა: ანდ. უნსო < \*უნსო, ჰამ. მუსა, დიდ. ის, ხვარშ. ჯ<sup>6</sup>ს < \*უნს, კაპ., პუნზ. ო<sup>6</sup>ს < \*უნს, არჩ. ანს < \*უნს „ხარი“.

ამ ლექსემათათვის სავარაუდო ბ- კლას-ნიშნის ადგენისათვის საინტერესოა ალუღური ენის მონაცემები: აც, ბიც, ჟიც „ხარი“, რომელთაგან ჟიც < \*ბიც, ხოლო აც < \*რაც ( შდრ. ანდიურის ვითარება, სადაც უნსო „ხარი“ მხოლოდობით რომ ბ- კლასს განეკუთვნება, მრავლობითში — ა < \*რ კლასისა) ფორმისაგან, თუმცა არაა გამორიცხული, რომ აც < \*ჟაც. სხვა ლეზგიურ ენებში ალუღური ჟი-, ბ-ის ადგილს იკავებს ა- : ლეზგ., თაბ., წახ. ა-აც, რუთ. ა-ას, ა-აც „ხარი“.

8. ნწყა ( < \*ნწყა < \*ნუცა ) „ჩრჩილი“ ბ- კლასს განეკუთვნება; ასევეა: ანდ. რესი, დიდ. ზედო, კაპ. სიდა<sup>1</sup>, არჩ. ნიბსუ „ჩრჩილი“. ზემოთ განხილულ შემთხვევებში თაგვიდურად ყველგან მ- ელემენტი წარმოდგენილი ( გამონაკლისია: ნაწ „ტილი“, ნიც „ხარი“, ნწყა „ჩრჩილი“, რომლებშიც ნ- , სავარაუდოა, მ-ისაგან იყოს მიღებული), რომელიც \*ბ-ისაგან ჩანს მიღებული.

ასეთი გზა ლაკურში ერთგან ფაქტობრივ დასტურდება:

ლაკურ მ-ასხუ-თათუ „თოვლ-ჰყაპი“ სიტყვაში მ-ასხუ < \*ბ-ასხუ (შდრ. ბ-ასხან „დნობა“), ხოლო თათუ მიღებულია თათან „შედეგება“ ზმნისაგან. მართლაც, მასხუთათუ „თოვლ-ჰყაპი“ ლემურ მეტყველებაში რომ დასტურდება, ს.ხოსრების მეტყველებაში დაცულია ამოსავალი ბ-ასხუ-თათუ ფორმის სახით ([64], გვ. 51).

ლაკურში თაგვიდური ნ- ელემენტით დაწყებული სახელების ერთ წყებაში ნ- \*დ-ის რეფლექსი ჩანს (ზოგჯერ \*დ-ის რეფლექსად მ- გვხვდება):

1. ნის „ყველი“ დ- (||რ-) კლასისაა ( ე.წ. IV გრ. კლასისა); ამავე კლასისაა: ანდ. ისო < \*ნისო ([110], გვ. 48), არჩ. ნჯო „ბრინჯა“. ა- ( < \*რ- ) კლასშია გაერთიანებული: ჰამ. ი<sup>6</sup>სა < \*ინსა < \*ნისა, დიდ. იზუ < \*ნიზუ < \*ნისუ „ყველი“ (მოხდილი რძისაგან), პუნზ. ნესუ, კაპ. ნისო „ხაჭო“.

2. ნიწ „თაფლი“ დ- (||რ-) კლასისაა; ასევეა: ანდ. პუნწი < \*უნწი < \*ნუწი, დიდ. ნუცი, პინ. ნუცი, ხვარშ., პუნზ. ნუუუ, არჩ. იმწ < \*მიწ < \*ნიწ „თაფლი“. ჰამ. პუწწ < \*უწწ < \*უნწწ < \*ნუწწ, კაპ. ნუუო „თაფლი“ კი გაერთიანებულია ა- ( < \*რ- ) კლასში.

3. ნუბ „კარი“ დ- (||რ-) კლასს განეკუთვნება; ასევეა ანდ. პინ-წუ < \*ინწუ < \*ნიწუ „კარი“. ჰამ. პიწწ < \*იწწ < \*ინწწ < \*ნიწწ, დიდ. პხაც < \*აყ < \*ნაც, ხვარშ. ყა<sup>6</sup>ყ < ა<sup>6</sup>ყ < \*ანყ < \*ნაც, კაპ. ა<sup>6</sup>ყ < \*ანყ < \*ნაც, პუნზ. ჯ<sup>6</sup>ცუ < \*უნცუ < \*ნჯუუ „კარი“ კი ა- ( < \*რ-)

1 ჩანს, ანდ. რ-ესი „ჩრჩილი“ ისტორიულად ა- ( < \*რ-) კლასისა იყო, მსგავსად დიდ. ზედო < \*დ-ოზე, კაპ. სიდა < \*დ-ასი ლექსემებისა. ად-სანიშნავია, რომ იმავე წარმომავლობის ჩაჩნ. ნეცა „ჩრჩილი“ მხ. რიცხვ-ში ბ- კლასისაა.

კლასისაა.

4. ნაკ „რძე“  $\underline{დ}$ - ( $\|\underline{რ}$ -) კლასისაა; ასევეა არჩ. ნატბ „რძე“.

$\underline{რ}$ - კლასს განეკუთვნებიან იმავე წარმომავლობის  $\underline{ქ}$  ძირეულმორფემიანი „ყველის“ აღმნიშვნელი სახელები: კაპ., ჰუნზ. კიმა, ხვარზ. კორო (ეს უკანასკნელი  $\underline{დ}$ - <  $\ast\underline{რ}$ - კლასისაა).

5. ნუბ „გამოქვაბული“  $\underline{დ}$ - ( $\|\underline{რ}$ -) კლასისაა; ასევეა არჩ. ნობ „გამოქვაბული“. დიდ. იმხუ <  $\ast$ მიხუ <  $\ast$ ნიხუ, კაპ. ო-ნობ „გამოქვაბული“  $\underline{ქ}$ - (<  $\ast\underline{რ}$ -) კლასს განეკუთვნებიან.

6. ნაჰ „კარაქი“, „ერბო“  $\underline{დ}$ - ( $\|\underline{რ}$ -) კლასისაა; ასევეა: არჩ. ინხ < ნიხ „ერბო“, ჰუნზ. ა\*ხ <  $\ast$ ანხ <  $\ast$ ნახ „საჭმელი“<sup>1</sup>.

7. ნაყ „სუფი“  $\underline{დ}$ - ( $\|\underline{რ}$ -) კლასისაა; ნაყ  $\underline{დ}$ -ან „სუფის მომზადება“. ამავე გრ. კლასს განეკუთვნება არჩ. დიყ „სუფი“; კაპ. ჯაყო, ჰუნზ. ჯჰყუ იმავე მნიშვნელობით  $\underline{ქ}$ - (<  $\ast\underline{რ}$ -) კლასისაა.

ამოსავალი სავარაუდო კლასნიშნისანი ფორმები, არჩიბულს გარდა, დაცულია, აგრეთვე, აღ.  $\underline{რ}$ -აყ, რუთ.  $\underline{რ}$ -იყ „სუფი“ ფორმებში. წახ.  $\underline{ქ}$ -ჯყ,  $\underline{ქ}$ -იყ, ხვარზ. ჯ-ოყუ „სუფი“ ლექსემებში თავიკიდური  $\underline{ქ}$ - <  $\ast\underline{რ}$ - .

8. ნაკ „წყრთა“ (სიგრძის საზომი)  $\underline{დ}$ - ( $\|\underline{რ}$ -) კლასს განეკუთვნება: ნაკ  $\underline{დ}$ -იშინ „სიგრძის გაზომვა“. ამავე კლასისა უნდა ყოფილიყო ისტორიულად ანდ.  $\underline{რ}$ -ეტ\*უ იმავე მნიშვნელობით, თუმცა დღეს იგი  $\underline{ბ}$ - კლასისაა. იმავე წარმომავლობის ჭამ. ჯ-ელა (< ჰიჰ.  $\underline{რ}$ -ელა) <  $\ast\underline{რ}$ -ეტ\*ა „ხელის მტევანი“, რომელიც  $\underline{ქ}$ - (<  $\ast\underline{რ}$ -) კლასს განეკუთვნება, ანდ. რეტ\*უ „წყრთა“ სახელის ოდინდელ  $\underline{რ}$ - კლასში გაერთიანებაზე მიუთითებს.

დარგ. დ-იკ, დ-იკ (კუბ.) „სიგრძის საზომი“ იმავე  $\underline{დ}$ -ს წარმოარჩენს, რაც ლაკურისათვისაა აღსადაგენი. სავარაუდო  $\ast\underline{დ}$ -აკ ფორმის რეალურობას ლაკურში მხარს დაუჭერდა, აგრეთვე: ბოთიხ.  $\underline{რ}$ -ეჰუ, ლეზგ. წახ.  $\underline{ქ}$ -უკ <  $\ast\underline{რ}$ -უკ, აღ.  $\underline{ქ}$ -უკ,  $\underline{ქ}$ -იკტი <  $\ast\underline{რ}$ -უკტი იმავე მნიშვნელობით<sup>2</sup>.

9. ნახ~ო <  $\ast$ ნახ~ხი (შდრ. ერგ.-ნათ. ნუხ~ხი-ა-ლ <  $\ast$ ნახ~ხი-ა-ლ) „ბზე“  $\underline{დ}$ - ( $\|\underline{რ}$ -) კლასს განეკუთვნება, ასევე — არჩ. ნახჰ „ბზე“. ჭამა ნიქჰუ „ბზე“, კაპ. ნახო „ჩაღა“, „ნამჯა“ კი  $\underline{ქ}$ - (<  $\ast\underline{რ}$ -) კლასისაა.

10. მაკ „ძილი“, „სიზმარი“  $\underline{დ}$ - ( $\|\underline{რ}$ -) კლასს განეკუთვნება; ასევეა ანდ. მოტფი, არჩ. ნაბკ „ძილი“. ჭამ. მატფ, მატფუ (ჰიჰ.), დიდ. მოლ\*უ, კაპ. მალ\*ო (ამოსავალი დიდ. და კაპ. ლ'-ისათვის  $\ast\underline{დ}$  ფონემაა ([108], გვ. 181) „ძილი“  $\underline{ქ}$ - (<  $\ast\underline{რ}$ -) კლასისაა.

11. მაც „ყრემლი“  $\underline{დ}$ - ( $\underline{რ}$ -) კლასს განეკუთვნება; მაც  $\underline{დ}$ -უჰან „ყრემლის შეკავება“, მაც  $\underline{რ}$ -უთლან „ყრემლების დენა“. ამავე კლასშია გაერთიანებული ანდ. მოყო, არჩ. ნაბკ <  $\ast$ ნაბტი „ყრემლი“, ხოლო დიდ. მოჰ, ხვარზ. მოყუ (ინხოყე.), კაპ. მაყო, ჰუნზ. მჰყუ „ყრემლი“  $\underline{ქ}$ - (<  $\ast\underline{რ}$ -)

1 ლექსემათა დაკავშირება ბ. გიგინეიშვილისაა ([107], გვ. 72).

2 ლექსემათა დაკავშირება ი. აბდულაევისაა ([64], გვ. 56).

კლასისაა.

12. \*მუყ (შდრ. მუყ-ატი „ზურგზე“) „ზურგი“ დ- (||რ-) კლასს განეკუთვნება: მუყატი დ-იშინ „ზურგზე დადება რაიმესი“. იმავე წარმომადგობისა უნდა იყოს არჩ. კოკ (ლოკატ. კაკ-ა) „ზურგი“<sup>I</sup>, რომელიც, აგრეთვე, IV გრ. კლასისაა. შდრ., აგრეთვე: ლეზგ. დ-უყ, წახ. დ-ჭყ, რუთ. დ-ჩყ, თაბ. დ-უყ იმავე მნიშვნელობით, სადაც დ- < \*რ-.

ნივთთა კლასის \*დ- ნიშანი რიგ სიტყვაში გადასული ჩანს თხ-ში:

1. თხარკ < \*დ-არკ „ძვალი“ დ- (||რ-) კლასს განეკუთვნება: ტჷმ თხარკ დ-ურ „ეს ძვალია“. ამავე კლასისაა ანდ. როტაი „ძვალი“, ჭამ. დ-ატაილ (< ჰიჰ. რ-ატაილ), კაპ. ლ'ორა < \*რ-ალ'ო < \*რ-ატაო, არჩ. ლექზი < \*ლეგი < \*რ-ეგი „ძვალი“ კი დ- (< \*რ-) კლასისაა.

2. თხილიკ < \*დ-ილიკ „ღვიძლი“ დ- (||რ-) კლასს განეკუთვნება: თხულ თხილიკ დ-ურ „მე ღვიძლი მტკიცა“. ამავე კლასისაა ანდ. რელილ' < რეტაილ'ი (ქვანხ.) „ღვიძლი“ ([50], გვ. 46), არჩ. დილიკ იმავე მნიშვნელობით, ჭამ. დ-ელალ (< ჰიჰ. რ-ელალ) < \*რ-ეტაალ კი დ- (< \*რ-) კლასისაა.

\*დ-ილიკ ფორმის ადგენას ლაკურში არჩიბულს გარდა მხარს უმაგრებს დარგული, სადაც წარმოდგენილია დ-ულეკ „ღვიძლი“ ფორმა.

მ. თხარწ < \*დ-არწ „ბოძი“ დ- (||რ-) კლასს განეკუთვნება: თხარწ რ-იშუნ „ბოძის ჩასობა“; ამავე კლასისაა არჩ. დარწ „ბოძი“, სადაც ლაკურისათვის ადგენილი ამოსავალი კლას-ნიშანი \*დ- დაცულია: დ-არწ.

4. თხარხ~ < \*დ-არხ~ „ჯოხი“ განეკუთვნება დ- (||რ-) კლასს: თხარხ~ დ-უჰან „ჯოხის დაკავება“, თხარხ~ რ-იშუნ „ჯოხით ცემა“. აქ ადგენილ \*დ-არხ~ „ჯოხი“ ფორმას მხარს უმაგრებს დარგ. დ-ერ-ხ~ა „ჯოხი“, სადაც დ- ფაქტობრივ წარმოდგენილია.

5. თხარაწალუ „კალო“, მართალია, დღეს ბ- კლასს განეკუთვნება, მაგრამ ისტორიულად იგი დ- (||რ-) კლასისა უნდა ყოფილიყო: \*დ-არაწალუ. იმავე კლასისაა ლაკურის შესაბამისი ძირის მქონე არჩ. წხი, ანდ. ჰინწხუ < \*ინწხუ < \*ნიწხუ < \*დ-იწხუ „კალო“.

რ- კლას-ნიშანი ჩანს გაქვავებული ხინ. რ-ოწ, თაბ. რ-აცხ, ლეზგ. რ-ატ, ად., რუთ. რ-ათ „კალო“ სახელებში და სხვ.

6. თხურშ < \*დ-ურშ „ასი“; ადგენილი \*დ- ფაქტობრივ დასტურდება დარგულში „ასის“ აღმნიშვნელ სახელში: დ-არშალ.

„ასის“ აღმნიშვნელ ლექსემებში გრ. კლასის ნიშანი სხვაგანაცაა გაქვავებული: ანდ. ბ-ეშონუ-გუ, დიდ. ბ-იშონ, არჩ. ბ-შშ- ([64], გვ. 120).

<sup>1</sup> არჩიბულში გრ. კლასის ნიშნის დაკარგვის შემდეგ, ჩანს, მომხდარა საკომპენსაციო რედუქციკაცია. ასევე ჩანს მიღებული დარგ. კვაკუ, კვაკ, ხინ. ყაყალ „ზურგი“. ანალოგიური ვითარება საზოგადოდ დასტურდება ლაკურ-შიც [96]

ლაკურში ზოგჯერ ნივთა გრ. კლასის სავარაუდო \*დ- ნიშანი ლ-ში ჩანს გადასული, ალბათ, \*რ-ის გზით. ამას გვადასტურებინებს რიგი ახლო-მონათესავე ენის სათანადო მასალა, სადაც \*დ- ან მისი ბგერინაცვალი \*რ- გაქვევებული სახით დასტურდება:

1. ლიქრი < \*რ-იქრი „ფეხები“ განეკუთვნება დ- (|| რ-) კლასს; თხულ ლიქრი წია დ-ურ „მე ფეხები მტკიცა“.

ლიქ-რი „ფეხები“ ფორმაში -რი ( < \*რ-უ — ფუძისეულ ი-სთან ასიმილაციით) მრ. რიცხვის ფორმანტი; ლიქ < \*ლიქურ (შდრ. ერგ.-ნათ. ლიქურ-თხ-ა-ლ ) < \*ლიგურ < \*რ-იგურ<sup>1</sup>.

იმავე ძირეულ მორფემას შეიცავს:

ლაკურისავე ჩხან < \*ქხან < \*გან „ფეხი“, რომელიც ხან ბ- კლასს განეკუთვნება ( ჩხან ბ-ახჩინ ბ-ან „ფეხის რაიმეზე მოდება“ ), ხანაც — დ ( || რ-) კლასს ( ჩხან რ-იშლან „წიხლის კვრა“, „ტლინკვა“ );

ანდ. ნიქო „ფეხის ნაწილი მუხლიდან ფეხის გულამდე, მუხლი“ ბ- კლასისაა, მაგრამ „კანჭის“ მნიშვნელობით რ- კლასს განეკუთვნება.

იმავე ძირისაა, აგრეთვე, ლაკ. ლიჩხა „წვივის ძვალი“, „ძვალი“, რომელიც დ- ( || რ-) კლასს განეკუთვნება; ლიჩხა < \*ლიქხა < \*ლიქურ (შდრ. ერგ.-ნათ. ლიქურ-ა-ლ ) < \*ლიგურ < \*რ-იგურ.

პ.უსლარი ლიჩხა სიტყვის ერთ-ერთ მნიშვნელოვად აჩვენებს „ფეხ-საც“ ([146], გვ.317). ეს მნიშვნელობა ლაკურის ზოგ გამოთქმაში, აგრეთვე, დაცულია: ლიქურაა აწან „ფეხზე დადგომა, დამოუკიდებლად ყოფნა“, ლიქურაა ბაწან ბან „ვისიმე ფეხზე დაყენება, დამოუკიდებელი გზის ჩვენება“.

იმავე ძირეულმორფემიანია დარგ. ლიგა (ახუმ., ურახ.), ლიქხა < \*ლი-გა (მური., წუდ., სიჩხ., ხაიდაყ., კუბ.) „ძვალი“. ამოსადავლ ფორმად სავარაუდოა \*რ-იგ-ა. არჩ. ლექში < \*ლეგი < \*რ-ეგ-ი „ძვალი“ იმავე გ ძირის შემცველია და განეკუთვნება რ- კლასს.

2. ლაჟინ < \*რ-აგინ „სახე“, „პირისახე“ დ- ( || რ-) კლასს განეკუთვნება: ლაჟინ წა-რ-წან „სახის მოხოკვა“. იმავე კლასს განეკუთვნება ანდ. რიჟი < \*რ-იგი „სახე“ ფორმაც.

ლაკურისათვის ადგენილი \*რაგინ ფორმის მომდევნო საფეხური \*ლა-გინ დაცულია პოემა „ალ-ბურდას“ ენაში ([141], გვ.181). მაშასადამე, ლაკურისათვის \*გ ძირეულმორფემიანი სახელის ადგენა მართებულია; კანონზომიერია \*რ- კლას-ნიშნის ადგენაც — ამას ანდიური რიჟი < \*რიგი ფორმა დაუჭერდა შხარს.

ზოგიერთი ლ-თი დაწყებული სახელი, მართალია, დღეს არ განეკუთვნება დ- ( || რ-) კლასს, მაგრამ, საფიქრებელია, რომ ისტორიულად ისინი აღნიშნული კლასისანი იყვნენ: \*რ- > ლ-. ჩანს, მომხდარა გრ. კლასთა ა დ რ ე ვ ა : დ- ( || რ-) კლასის სახელი გ ა დ ა ს უ ლ ა ს ხ ვ ა გრ. კლასში:

1. ლას „ქმარი“ დღეს I გრ. კლასს განეკუთვნება, ისტორიულად კი

<sup>1</sup> შესაძლოა, თავკიდური \*რ- დისიმილირებული იყოს დეტერმინანტისეული რ- ელემენტის მეზობლად, რის შემდეგ განზოგადებულა ლ-ის სახით.

— დ- (|| რ-) კლასისა ჩანს: ლ-ას < \*რ-ას.

\*რას „ქმარი“ ფორმის ადგენას ლაკურში მხარს უმაგრებს, ერთი მხრივ, ხუნდ. რ-ოს<sup>1</sup>, ხოლო, მეორე მხრივ, არჩ. ბ-ოზორ „ქმარი“.

2. ლახ „მტვრი“, „ნაცარი“, „ფერფლი“ დღეს ბ- კლასისაა: ლახ ბ-იზინ „მტვრით დაფარვა“. ისტორიულად ეს სახელიც რ- კლასისა უნდა ყოფილიყო: ლ-ახ < \*რ-ახ.

რ- ჩანს გაქცევილი სათანადო ხუნდ. რ-აქუ, ლეზგ. რ-ჰეკ, თაბ., ად. რ-ჰეკ, რუთ. რ-ჰეკ, კრიწ. რ-აქ, ბუდ. რ-ჰეკ, წახ. ლ-ჰეკ < \*რ-ჰეკ „ნაცარი“, „ფერფლი“ სახელებში. არჩ. დ-ჩეხ „ნაცარი“, „ფერფლი“, სადაც ლ- გაქცევილი გრ. კლასის ნიშანია, აგრეთვე, IV გრ. კლასს განეკუთვნება.

მ. ლარხი „ნიორი“ დღეს ბ- კლასს განეკუთვნება: ლარხი ბ-უთან „ნიგრის დანაცვა“; იმავე კლასისაა, აგრეთვე, არჩ. ლარი „ნიორი“.

ლაკ. ლარხი < \*ლ-აგი < \*რ-აგი „ნიორი“, სადაც \*რ- იგივეა, რაცა გაქცეს ხუნდ., ანდ., ბოლხი., ბაგე., ლაღ., ტინდ., კარ., ახვახ. რ-აჟი < \*რ-აგი „ნიორი“ ფორმაში წარმოადგენილი<sup>2</sup> — გრ. კლასის გაქცევილი ნიშანი. ძირეულ ელემენტად ყველგან \*ტ-ს ვეგარაუდობთ, იმას, რაც დასტურდება ფაქტობრივ დღეს „ნიგრის“ აღმნიშვნელ ლეზგიურ ენათა რიგ ლექსებში: ლეზგ., ად. სერ-ტ, ბუდ., კრიწ. სარ-ტ<sup>3</sup>, თაბ. შარ-ტ < \*შარ-ტ < \*შარ-ტ<sup>4</sup>.

არჩ. ლარი < \*ლ-აქი < \*რ-აქი „ნიორი“ სიტყვაში ძირეულ ელემენტად გამოსაყოფია \*ქ, რაც ამ სახით უდიურშია დაცული: ქენ „ნიორი“. იგივე \*ქ უნდა ედოს საფუძვლად რუთ. რ-უხ~უბ < \*რ-უქუბ „ნიორი“ სიტყვას, რომლის თავკიდური რ-, მსგავსად ლაკ.-არჩ. ლ < \*რ-ისა, გრ. კლასის გაქცევილი ნიშანია.

4. ლაჭა „ხორბალი“ დღეს ბ- კლასს განეკუთვნება: ლაჭა ბ-ურ

I ლაკ. და ხუნდ. მასალა პირველად დააკავშირა ნ. მარმა ([128], გვ. 21).

ხუნდური ენის მონაცემი ანალოგიურ შემთხვევებში საკონტროლო ჩანს.

მაგ., ნ. მარი იქვე ერთმანეთს უდარებს ლაკ. ლ-ასუნ „აღება“, „ყიდვა“ და ხუნდ. ცოცხალ კლასნიშნიან ბ-ოსიზე იმავე წარმომადგობისა და მნიშვნელობის ზმნებს. ცხადია, ლაკურში კლას-ნიშანი გაქცევილია: \*რ- > ლ-.

2 ხუნდ. რ-აჟი „ნიორი“ ფორმას უდარებენ ადიღ. ბ-ჟინჯფ „ნიორი“, ბ-ჟინჯფ „ხახვი“ ლექსებებს, რომლებშიც ბ- გაქცევილი გრ. კლასის ნიშანი ჩანს ([49], გვ. 90).

მ ამ მასალის მიხედვით საერთო-ლეზგიურ დონეზე სამართლიანად ადაგენენ \*ტ-ს როგორც ძირეულ მორფემას ([145], გვ. 286); შდრ. ([154], გვ. 59), სადაც აღნიშნული სახელები აზერბაიჯანულიდან შემოსულადაც მიჩნეული.

„ნიგრის“ აღმნიშვნელი ლეზგიურ ენათა ბქ დასახელებული ლექსებები რთულია, რომელთა პირველ კომპონენტად სერ-, სარ-, შარ- გამოიყოფა, ხოლო მეორე ნაწილად — ტ. ანალოგიური აგებულებისაა დარგ. სერ-ხ~ი < \*სერ-ტი < \*სერ-ტი „ნიორი“, რომლის ადაგენას ხელს უწყობს დარგული სახე სმჟი < \*სერ-ჟი < \*სერ-გი (კუბ.) „ნიორი“.

„ეს ხორბალი“; ამოსავალია \*ლაკა (შდრ. მრ. რ.: ლაკ-რი „ხორბლები“, სადაც ამოსავალი ქ დაუტულია თანხმონის წინ) < \*რ-აკ-ა < \*რ-აკ-არ, რომლის თავიკიდური \*რ- ისტორიულად გრ. კლასის ნიშანი იყო.

იგივე ძირეული ქ მოჩვენება დასტურდება დარგულში: ანკი (ურახ., ახუშ.), ანჭი < \*ანკი (მური., წუდ.), აჭი < \*აკი (ხაიდაყ., სირხ.), აჭე < \*აკე (კუბ.) იმავე მნიშვნელობით.

სპეციალურ ლიტერატურაში მართებულად ეარაუდობენ, რომ დარგ. ანკი < \*ანკირ; შდრ. მრ. რიცხვის ფორმა ანკურ-ბი < \*ანკირ-ბი ([14], გვ. 288), რომლის უფრო ძველ სახედ, ალბათ, \*ნ-აკირ < \*დ-აკირ ფორმა გვქონდა, სადაც \*დ- ისტორიულად გრ. კლასის ნიშანი უნდა ყოფილიყო<sup>1</sup>.

ამავე წარმომავლობისაა თაბ. რ-იჭინ < \*რ-იკინ „ყუდი ხარისხის ხორბალი“, ად. აქტრ < \*რ-აქტრ „ხორბალი“, რომლებშიაც, აგრეთვე, \*რ- გრ. კლასის გაქვემდებარებული ნიშანია.

შესაძლოა, იმავე ქ ძირეული მოჩვენების შემცველი იყოს ლეზგ. ცხჷკ < \*ძჷკ < \*დ-ჷკ, თაბ., ად. დ-უკ, რუთ. დ-ჷკ, წახ., ბუდ. დ-იკ „ფიტვის“ ადმინისტრაციის სახელები. თუ ეს ასეა, მაშინ \*დ- აქაც გრ. კლასის გაქვემდებარებული ნიშანია.

ამდენად, საფიქრებელია, რომ ლაკურში ადრე მოქმედი, ცოცხალი გრ. კლასის ნიშნები ბ-, დ- (|| რ-) ცვლილან და რიგ შემთხვევაში შესაბამისად გადასულან:

- \*ბ- > ბ- (|| > ნ-)
- \*დ- (|| რ-) > ნ- (|| > ბ-)
- \*დ- > თხ-
- \*რ- > რ-

შეიძლება, ეს ცვლილებანი ისევე აგვეხსნა, როგორც ადრე ეს ითქვა, მაგალითად, ხუნძურ-ანდურ ენათა III გრ. კლასის ნიშნის ერთი ვარიანტის თაობაზე ([120], გვ. 185-148). კერძოდ:

ბ- > ნ- ასიმეორებული ვარიანტია \*ბ-ისა სათანადო სიტყვის ბოლოკიდურ ნაზალურ თანხმონთან, ასევეა რ- > ნ- — ანალოგიურ შემთხვევებში ([122], გვ. 886). ოდნავ, ლაკურის შემთხვევაში განაღობულ ნიმუშებში ბოლოკიდურ ელემენტად ნ- ყველგან ვერ აღგვება და, ბუნებრივია, ასეთი ახსნის გ ა ნ ზ ო გ ა დ ე ბ ა ვ ე რ ხ ე რ ხ დ ე ბ ა .

შემთხვევით დადასტურებული ფონეტიკური ცვლა საზოგადოდ გრ. კლასის გაქვემდებარებული ნიშნებს უფრო ახასიათებს, ვიდრე მოქმედს. მაშასადამე, ლაკურში ა დ ნ ი შ ნ უ ლ ი ც ვ ლ ი ლ ე ბ ა ს ა ხ ე ლ ე ბ შ ი გ რ ა - მ ა ტ ი კ უ ლ ი კ ლ ა ს ი ს ს ი ს ტ ე მ ი ს მ ო შ ლ ი ს შ ე მ - დ ე ბ დ ა ი წ ე ბ ო დ ა , ამ დროს ექნებოდა მის უფრო მეტი გასაქანი.

<sup>1</sup> სპეციალურ ლიტერატურაში ადნიშნავენ ([119], გვ. 216), რომ ლაკ.-დარგ. ძირეული \*ქ მოჩვენება იგივეა, რაცა გვაქვს ქართ. დ-იკ-ა, სვან. კ-ულ „საზაფხულო ხორბლის ჯიში“ (აქ ზანურიდან შემოსული) ლექსებში ქ-ის სახით. ქართ. დ-იკ-ა < \*დ-იკ-ალ ... ქართ. \*ალ, სვან. -ულ, ლაკ.-დარგ. -არ, -ირ, ასევე თავიკიდური დ- ერთი და იმავე დანიშნულებისაა.

როდის უნდა მომხდარიყო აღნიშნული ცვლილება — საკუთრივ ლაკურ-ში, თუ დარგულ-ლაკურის ერთობის ხანაში ან კიდევ უფრო ადრე? — ამაზე ერთგვაროვანი პასუხის გაცემა ჭირს. ჩანს, რიგ შემთხვევაში აღნიშნული ცვლილება საკუთრივ ლაკურ ნიადაგზეა ასახსნელი (ლაკ. მასჟუთათუ < \*ბ-ასჟუთათუ „თოვლ-ჭყაპი“ ...), როცა სხვა შემთხვევებში ი გ ი შ ე - ს ა დ ა რ ე ბ ე ლ ე ნ ა თ ა ს ა ე რ თ ო მ ო ვ ლ ე ნ ა უ ნ - დ ა ი ყ ო ს . არაა გამორიცხული, რომ კლას-ნიშანთა აღნიშნული ცვალე-ბა ერთი რომელიმე რეგიონისათვის იყო დამახასიათებელი და შ ე მ დ ე გ გ ა ვ რ ც ე ლ დ ა ს ხვაგან. აქ დიალექტურ წრეთა არსებობაცაა გასათ-ვალისწინებელი — შესაძლოა, ერთ რომელიმე წრეში ერთი ნიშანი დომინი-რებდა, მეორეში — მისი ფონეტიკური ვარიანტი და ა.შ.

ბ) გრამატიკული კლას-ნიშნის მომდევნო ხმოვნის შესახებ. გრ. კლასის ნიშანი იბერიულ-კავკასიურ ენებში მეტწილად ხმოვანიანია — მარც-ვლოვანი სახე აქვს. ამას ანდიური ენის მასალის მიხედვით პირველმა ა. დირმა მიაქცია ყურადღება ([114], გვ. 6-7), ხოლო ქართველურ ენებში მარც-ვლოვანი თავსართები გამოყო არნ. ჩიქობავამ ([47], გვ. 24, 36, 50, 52, 53...; [45], გვ. 169, 172, 175, 178-179 ...; [159], გვ. 267). ამასვე ვარაუდობენ სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა მიმართაც ([77], გვ. 32; [78], გვ. 60; [140]; [109], გვ. 162-168; [111], გვ. 12; [18], გვ. 311-312; \* [181], გვ. 38). ის, რომ ერთსა და იმავე გრ. კლასის ნიშანს სხვადასხვა ხმოვანი ახლავს, ბუნებრივად სვამს მათი ფუნქციის გარკვევის საკითხს ([45], გვ. 169; [42], გვ. 127).

გრ. კლას-ნიშნის თანმხლებ ხმოვანს ლაკურში გრ. კლასის აღნიშვნას-თან არ უნდა ჰქონოდა კავშირი; ეს ნათლად წარმოჩნდება ლაკურ ზმნაში, სა-დაც გრ. კლასების აღნიშვნა დღესაც ჩვეულებრივი და პროდუქტიულია.

ლაკური ზმნა, თუ იგი კლასნიშნიანია, წარსული დროის ფორმებში ო რ კლასის ნიშანს გამოავლენს — პრეფიქსისა და ინფიქსის სახით:

თ<sup>1</sup> ი-ტი-ზუნნი < \*ტი-ი-ტი-ზუნნი „ადგა“ ( I გრ. კლ.)<sup>1</sup>

„ ბ-ი-ტი-ზუნნი < \*ბ-ი-ბ-ზუნნი „ „ ( III გრ. კლ.)

„ დ-ი-ტი-ზუნნი < \*დ-ი-დ-ზუნნი „ „ ( II, IV გრ. კლ.)

ხოლო, თუ ზმნა უკლასნიშნოა, მაშინ — ე რ თ ს — ინფიქსის სა-ხით: თანაღ ტი-ტი-ტუნნი ლუ < \*თანაღ ტი-ბ-ტუნნი ლუ „მან გადაშალა წიგნი“ ( III გრ. კლ.) ... თანაღ ტი-ტი-ტუნნი ნუზ < \*თანაღ ტი-დ-ტუნნი ნუზ „მან გააღო კარი“ ( II, IV გრ. კლ.) ....

როგორც ვხედავთ, ზმნაში ინ ფ ი ქ ს უ რ ი კ ლ ა ს - ნ ი შ ა - ნ ი უ ხ მ ო ვ ნ ო დ ა ა წ ა რ მ ო დ გ ე ნ ი ლ ი დ ა ხ მ ო - ე ა ნ ი დ ა კ ა რ გ უ ლ ა დ ა რ ც ი ვ ა რ ა უ დ ე ბ ა (რად-

1 \*ტიტიზუნნი, \*ბიბიზუნნი რიგის ფორმებს აღადგენდა ვ. თოფურია ([26], გვ. 178). -ბ-, ვითარცა კლას-ნიშანი, დღესაც დაცულია ბალხარულსა და აულ ჩუენას მეტყველებაში ([134], გვ. 156-157; [74], გვ. 52). აღსანიშნავია, რომ -ბ- იმავე პოზიციაში დასტურდება პოემა „ალ-ბურდას“ ენაში ([141], გვ. 181).

გან პროცესს ბ > ჭ ლაკურში ცხედებით მხოლოდ უშუალოდ თანხმონის წინ ან სიტყვის აბსოლუტურ ბოლოს).

მაშასადამე, გრ. კლასის ნიშანი თანხმლები ხმოვნის გარეშე ლაკურ ზმნაში ფაქტია. სახელებში? — აქაც ასევე უნდა ყოფილიყო; ოღონდ, გა- დამწყვეტი მნიშვნელობისა, ჩანს, ისაა, რომ ლ ა კ უ რ ი (ლ ა კ უ რ ი დაღეს- ტნური) ს ი ტ ყ ვ ა ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა ი წ ყ ე ბ ო ლ ე ს თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ თ ა კ ო მ პ ლ ე ქ ს ი თ. ამდენად, შესაძლოა, ისტორიულად სავარაუდებელი გრ. კლას-ნიშნის თანხმლები ხმოვანი ზოგჯერ გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ უ ლ ი ც კ ი ი ყ ო ს (თუ იგი ფუძისეული არაა).

ამდენად, აქაც ძალაშია დებულება, პირველად ჩამოყალიბებული ქართვ- ლურ ენათა მასალის ანალიზით: გრ. კლასის აღმნიშვნელ პრეფიქსად ოდენ თანხმოვანი უნდა გვქონდეს, „ხმოვნის დართვით კი მის ეარიანტებს ვი- ლებთ“ ([45], გვ. 169).

გ) სახელის ძირი. სახელის ძირი ლაკურში, მსგავსად სხვა იბერიულ- კავკასიური ენებისა, ისტორიულად ც ა ლ ი თ ა ნ ხ მ ო ვ ნ ი ს ა - გ ა ნ შედგებოდა. თუა ამ წესისაგან გადახვევა, იგი ცალკე ახსნას მო- ითხოვს. ორივე ტიპური შემთხვევა:

I. უ „ქერის ერთ-ერთი სახეობა“ დღეს ოდენ გრძელი ხმოვანითაა წარ- მოდგენილი. ირკვევა, რომ უ < \*უჟი, რაც კარგად ჩანს ირიბ ბრუნვათა უჟი-ა- ფუძიდან. აქ რომ \*უჟი არ გვქონოდა, მაშინ, ლაკურში გატარებული საერთო წესის მიხედვით, ორ ხმოვანს შორის ჟ უნდა განვითარებულიყო: \*უ-ა-ა- — ასეთი ფორმა კი ლაკურში არ დასტურდება. მაშასადამე, ამ სახელის ძირეულ მორფემად აღსადგენია \*ჟ, რომლის წინ მდგომი უ ხმოვანი (\*უ-ჟი) წარმოშობით სავარაუდო გრ. კლას-ნიშნის (ამჟამად და- კარგულის) თანხმლები ხმოვანი ჩანს.

2. ჟ „სისხლი“ ფორმის უპირატესად იხმარება უთხუ ფორმაც. ზე- მოთ გაირკვა, რომ უთხუ < \*უდუ, სადაც \*დ ფუძისეულია. მონათესავე ენებთან სათანადო ფუძის შედარებამ ისიც ცხადყო, რომ ამ სიტყვას თავკი- დური ძირისეული ბე თანხმოვანიც უნდა ხლებოდა ([97ა], გვ. 308).

მ. აა „თვალ“ დღეს ლაკურში ერთმარცვლიანი სიტყვაა, ისტორიულად კი იგი \*აარ ფორმიდან უნდა მოდიოდეს, სადაც \*ა, როგორადაც ეს უკვე ზე- მოთ აღინიშნა, სხვა თანხმოვნის რეფლექსი ჩანს და სხვ.

ძირეული თანხმოვანი ლაკურში შეიძლება იყოს სადაცა და გემინირებუ- ლიც (ინტენსიურიც), ლაბიალიზებულიცა და არალაბიალიზებულიც :

დღარალ	„წვიმა“ <sup>1</sup>	—	ღალ	„მატყლი“, „ბაწვი“, „ბალანი“
კან	„ის“ (ზემოთ)		კა	„მური“
ქვა	„ფიცო“		კა	„ქერი“
წიუ	„მარილი“ <sup>2</sup>		წუ	„ცეცხლი“

1 ლაბიალიზებული თანხმოვანი ლაკურში მონოფონემური ბუნებისაა და ამიტო- მაც შესაძლებელია იგი სიტყვის აბსოლუტურ დასაწყისში.

2 ეს იმაზე მიუთითებს, რომ ლაბიალიზებული თანხმოვნები (=კომპლექსები) დასაშვებია უ ხმოვნის წინ; შდრ. ([107], გვ. 45).

<u>ჩიუ</u>	„ცხენი“	—	<u>ჩუ</u>	„სად?“
<u>შია</u>	„მომკილი პური“		<u>შა</u>	„ნაბიჯი“
<u>ნახი</u>	„მდინარე“		<u>ნახ</u>	„კარაქი“
<u>ხ~ხი</u>	„მტრედი“		<u>ხ~ხირი</u>	„ზღვა“
<u>ჰია</u>	„ქობი“		<u>ჰი</u>	„ბატყანი“
<u>ჰხიარ</u>	„ცური“		<u>ჰხარი</u>	„დედაბერი“
<u>ჩხიან</u>	„სიყვარული“, „ნდობა“		<u>ჩხან</u>	„ფენი“

ჩვენ მიერ ზემოთ გაანალიზებული მასალის მიხედვით ძირეულ თანხმობას ლაკურში სხვადასხვა ცვალებადება განუცდია. ამათგან ძირითადია:

1. პრერუპტივიზაცია: ლიჩხა < \*ლიქხა < \*ლიგა „ძვლი“, ფუუ < \*ბუუ „მამა“, ჭთუუ < \*ჭუუ „სისხლი“ ...

2. პალატალიზაცია: ლაჰა < \*ლაკა „ხორბალი“, ლაჟინ < \*ლაგინ „სახე“, ლაჩხი < \*ლაქხი < \*ლაგი „ნიორი“ ...

3. დელაბიალიზაცია: დაკ < \*დაკო „გული“ (შდრ. ანდ. რაკჟო, ტინდ., ახვას., ბაგვ., კარ., ბოთლიხ., ლად. რაკჟა „გული“), კუუუ < \*კოუუუ „თაგვი“ (შდრ. ბოთლიხ. პინკუჟა, ჰამ. ჰეკუჟად, კარ. ჰერკუჟა „თაგვი“) ...

4. დეგემინაცია: აქ ორი სახეა გასარჩევი — ა) ისტორიული, ბ) მოქმედი.

ა) ისტორიული დეგემინაციისას ივარაუდება ლაკურ-დაბრუნებული ამოსავალი გემინირებული თანხმობების არაგემინატში გადასვლა<sup>1</sup>:

\*კჰ > კ: დიკ < \*დიკჰ (შდრ. ანდ. რიტყი) „ხორცი“, კიილი < \*კჰიილი (შდრ. ხუნდ. ტყილი) „უნაგირი“ ...

\*წჰ > წ: წა < \*წჰარ (შდრ. ხუნდ. წჰარ) „სახელი“, ნაწ < \*ნაწჰ (შდრ. ხუნდ. ნაწჰ) „მკბენარი“ ...

\*ჭჰ > ჭ: მიჭ < \*მიჭჰ (შდრ. ხუნდ. მიჭჰ) „ჭინჭარი“ ...

ბ) მოქმედი დეგემინაციისას მხედველობაშია ლაკურში ამ პროცესის პოზიციური ხასიათი: გემინირებული თანხმობანი (რომელსაც პირობითად ვაკუთვნებთ ე.წ. პრერუპტივებს<sup>2</sup>) სიტყვის აბსოლუტურ ბოლოსა და თანხმობნის წინ კარგავს გემინაციას და გადადის სათანადო სადა თანხმობანში<sup>3</sup>. რამდენიმე ნიმუში:

1. ნუხ < \*ნუხჰ „გამოქვამული“ (შდრ. ერგ.-ნათ. ნუხჰ-ა-ლ) ...

2. ლიქრი < \*ლიქჰრი „ფეხები“ (შდრ. ერგ.-ნათ. ლიქჰურ-თჰ-ა-ლ) ...

3. ნახ~ო < \*ნახ~ოჰ „ბზე“ (შდრ. ერგ.-ნათ. ნუხ~ხი-ა-ლ < \*ნახ~ხი-ა-ლ) ...

ამდენად, ამოსავალ ძირეულ თანხმობანს ლაკურში შესაძლოა გარკვეული ცვალეობა მოსდოოდეს, მაგრამ მისი ტიპი მაინც შენარჩუნებულია — იგი ცალკე თანხმობანის აგან შედგება.

1 გამოწვლილვით ასეთ შემთხვევებზე ლაკურში იხ.: ([15], გვ. 55-56, 65).

2 რაკი გემინატთა და პრერუპტივთა „ქვევა“ ერთნაირია.

3 მართალია, ლაკურის ზოგ დასაღვეტსა და თქმაში გემინატის ამ პოზიციასაც დასტურდება, მაგრამ აქ ის აშკარად მეთოდურია — კომპენსაციის რეფლექტირებული ხმონისა ([2], გვ. 120-126).

დ) დეტერმინანტ-სუფიქსთა შესახებ. ლაკურში დეტერმინანტ-სუფიქსებად წარმოდგენილია -რ, -ნ, -ლ, -დ, -ბ — წინამდებელი ხმოვნებიოთურთ:

-Vრ დეტერმინანტ-სუფიქსად:

1. წა „სახელი“ — ერგ.-ნათ. წან-ი-ლ < \*წ-არ-ი-ლ < \*წა-არ-ი-ლ შდრ. ხუნძ. წა-არ, ანდ. წა-ერ, ახვას., ბოთლის., კარ. წა-ერ-ი ... კაპ. ც-არ-ო ... არჩ. წა-ორ, ლეზგ. ტყ-არ, თყ-არ, თ-არ, ბუდ. თ-ურ, რუთ. დ-ურ „სახელი“ (გამოწვლილგით იხ. ზემოთ გვ.12-18).

2. ხ~უ „უბე“, „ილია“, „ამონაჭერი“ — ერგ.-ნათ. ხ~უნ-ი-ლ < \*ხ~ურ-ი-ლ შდრ. ხუნძ. ლ'-ორ „უბე“, „ილია“, ანდ. ინ-ლ'-ირ-ა, ლოდ. ჰინ-ლ'-არ-ი „უბეში“, „ილიაში“ (გამოწვლილგით იხ. ზემოთ, გვ.13),

3. წუ „ცეცხლი“ — ერგ.-ნათ. წ-არ-ა-ლ. შდრ. ხუნძ. წ-ა < \*წ-არ, ანდ., ბოთლის., ბაგვ., კარ., ტინდ. წ-აჟ < \*წ-არ, ახვას. ჭ-არ-ი < \*წ-არ-ი ... უდ. არ-უხ < \*წ-არ-უხ „ცეცხლი“ (გამოწვლილგით იხ. ზემოთ, გვ.17-18).

-Vნ დეტერმინანტ-სუფიქსად:

1. ქუ „კუჭი“ — ერგ.-ნათ. ქ-უნ-ი-ლ < \*ქა-უნ-ი-ლ < \*ქა-ან-ი-ლ შდრ. დარგ. ქ-ან-ი (ახუშ.), ქუ-ან-ი (ურახ., მური.), ქ-უნ-ი < \*ქუ-უნ-ი < \*ქუ-ან-ი (წუდ.) „კუჭი“ (გამოწვლილგით იხ. ზემოთ, გვ.15).

2. კაი „ზამთარი“ — ერგ.-ნათ. კა-ინ-ი-ლ || კა-ინ-თ-ნ-ი-ლ შდრ. დარგ. ჭ-ინ-ი (ურახ.), ინ-ი (მური.), ჰ-ან-ი (ახუშ.), გ-ან-ი (ხაიდ.), გ-ა < \*გ-ან-ი (წუდ., კუბ., სირხ.), ხუნძ. ტა-ინ, ანდ. ტა-ინ-უ „ზამთარი“ ... დიდ., ხვარშ. ელ'ნუ < \*ლ'-ენ-უ, ჰინ. ელ'ნი < \*ლ'-ენ-ი, კაპ. ლ'-ინ-ე, ჰუნზ. ლ'-ინ-ი „ზამთარი“ ([97ა], გვ.810).

3. ქუ „ცხვარი“ — ერგ.-ნათ. ქ-უნ-ი-ლ შდრ. ხუნძ. ქუჟ || ქუი < \*ქ-უნ-ი, ანდ. ქ-უნ, ბოთლის. ქუნი < \*ქ-უნ-ი, ჭამ., კარ. ქუჟ < \*ქ-უნ-ი, ბაგვ. ქუი < \*ქუ-ინ „ცხვარი“ (გამოწვლილგით იხ. ზემოთ, გვ.15).

-Vლ დეტერმინანტ-სუფიქსად:

1. კა-ილ-ი „უნაგირი“; შდრ. ხუნძ., არჩ. ტა-ილ-ი, დარგ. გ-ულ-ი - ხაბთა (წუდ.), ც-ულ-ი-ბს~ა (ურახ.) „უნაგირი“ ([97ა], გვ.811).

2. ლაარალ < \*რალა-ალ „წვიმა“ შდრ. წახ., რუთ., აღ. უდ-ალ, უდ. აღ-ალ „წვიმა“ [91ა].

-Vდ დეტერმინანტ-სუფიქსად:

1. ჭ || ჭთაუ < \*ჭედუ „სისხლი“, რომელშიც \*-ჭედ წარმოშობით დეტერმინანტი სუფიქსია. შდრ. იმავე წარმომავლობის ხუნძ. ბი „სისხლი“ — ნათ. ბ-იდ-უ-ლ, ბოთლის. ჰ-იდ-ი < \*ჰ-იდ-ი < \*ბ-იდ-ი „სისხლი“ (გამოწვლილგით იხ. ზემოთ, გვ.22-28).

2. ჭია „კოხი“ — ერგ.-ნათ. ჭიათხ-ირ-ა-ლ < \*ჭია-ად-ი-რ-ა-ლ ლაკ.\*ჭია-ად-ი < \*კა-ად-ი; შდრ. უდ. კოჟ < \*კოჯი < \*კ-ოდ-ი, აგრეთვე,

ბუღ., კრიწ. კ-ულ < \*კტი-ულ < \*კტი-ალ, ლეზგ. კტი-ალ, ხინ. წტი < \*ჭტი < \*ჭტი-ალ < \*კტი-ალ „სახლი“ (გამოწვლილივით იხ. ზემოთ, გვ. 24).

-Vბ დეტერმინანტ-სუფიქსად:

1. ლ-ამ-უ < \*ლ-აბ-უ „ხიდი“

\*-აბ დეტერმინანტ-სუფიქსის აღდგენას მხარს უმაგრებს დარგული: გ-უბ-ი (ურახ., მური.), ქვ-უბ-ი < \*გ-უბ-ი (წულ.), გ-უმ-ი < \*გ-უბ-ი (ახუშ.), ჩხ-იმ-ი < \*ქვ-იმ-ი < \*გ-იმ-ი < \*გ-იბ-ი (კუბ.) „ხიდი“ ([97ა], გვ. 311).

2. ჰ-აბ-ი < \*კ-აბ-ი < \*კ-აბ-ი „ფოთლი“, სადაც ჰ < \*კ ძირეული მორფემაა, ხოლო \*-აბ — დეტერმინანტ-სუფიქსი; შდრ. ხვარშ. ლ'-იბ „წელი“, „ფოთლი“, კაპ. ლ'-იბ-ო „ფოთლი“.

მართალია, დარგულის დიალექტებში სათანადო ფუძის შემადგენლობაში არა ჩანს \*-Vბ, როგორც ზემოთ, მაგრამ მის ადრინდელ არსებობაზე უნდა მიუთითებდეს ხაიდაყური დიალექტის კაფხი „ფოთლი“ ფორმა, რომლის ამოსავალი, რა თქმა უნდა, \*კ-აბ-ი ვარიანტია (\*ბ > ფ). პ. უსლარს ლაკური-სათვის მოყავს ჭაფი „ფოთლი“ ფორმაც ([164], გვ. 387); ცხადია, ჭაფი < \*ჭ-აბ-ი < \*კ-აბ-ი.

„ფოთლის“ გამომხატველ სათანადო ხუნძურ მასალაში ლაკურში სავარაუდო \*ბ-ის ადგლას დასტურდება მ:

ხუნძ. ტ-ამ-ახ (ხუნძახ.), ტ-ამ-აჰჰ (ანწუხ.), ყ-ამ-აჰჰ (ანდალ.), კა-ამ-აჰჰ (ჭარ.), ტ'-ამ-აჰჰ (ჰიდ.) „ფოთლი“ ([58], გვ. 342). რიგ ან-დიურ ენაში კი ხუნძური -ამ-ის ნაცვლად წარმოდგენილია მისი ფუნქციური შესატყვისი -ალ, -ოლ (< \*-ალ) ელემენტი — წარმოშობით დეტერმინანტ-სუფიქსი: ანდ. ტ'-ოლ-ი (< \*ტ'-ალ-ი), ახვახ. ტ'-ალ-ი, კარ. ტ'-ალ-ე „ფოთლი“.

ამრიგად, დეტერმინანტ-სუფიქსები ლაკურში შეიძლება იყოს ს რ უ - ლ ი ც ა და მ ო კ ვ ე ც ი ლ ი ც , წარმოდგენილი ოდენ ხმოვნის სახით.

დეტერმინანტ-სუფიქსი ს რ უ ლ ი სახით უმეტესად მაშინ გვხვდება, როცა მის მომდევნოდ ხ მ ო ვ ნ ე ბ ი ა , რომელთა ფუნქცია არაა საცხებით ნათელი:

ლ-ამ-უ < \*ლ-აბ-უ „ხიდი“, ჰ-აბ-ი < \*ჭ-აბ-ი < \*კ-აბ-ი „ფოთლი“, კი-ილ-ი „უნაგირი“, კ-ულ-უ „თავგი“, ჰ-ალ-ი „თავთავი“, კა-ან-უ „ადგილი“, „სკამი“, ხ~ზ-ირ-ი „ზღვა“, შთხუ < \*შედ-უ „სისხლი“, შ-ან-უ „საწოლი“, „ლეიბი“ ...

ამით აიხსნება ისიც, თუ რატომაა, რომ დეტერმინანტ-სუფიქსების სახელობითი ბრუნვის ფორმაში მ ო კ ვ ე ც ი ლ ი თ ა ნ ხ მ ო ვ ნ ი თ ი ე ლ ე მ ე ნ ტ ე ბ ი ი რიბ ბრუნვათა ფუძეში დ ა ც უ ლ ი ა ხ ო ლ - მ ე დამაკავშირებელი ხმოვნების წინ:

წ-ა „სახელი“; შდრ. ერგ.-ნათ. წ-ან-ი-ლ < \*წ-არ-ი-ლ < \*წზ-არ-ი-ლ ქ-უ „კუჭი“; ერგ.-ნათ. ქ-უნ-ი-ლ < \*ქო-უნ-ი-ლ < \*ქო-ან-ი-ლ კა-ი „ზამთარი“; შდრ. ერგ.-ნათ. კა-ინ-ი-ლ და სხვ.

დეტერმინანტ-სუფიქსთა მთავარი თანხმობის  
 ელემენტები შეიძლება დაცული იყოს,  
 აგრეთვე, მრავლობითი რიცხვის ფორმებში მრ.  
 რიცხვის ფორმანტის წინ:

- წ-ა „სახელი“ — მრ.რ.: წ-არ-ღუ „სახელები“
- ქ-უ „ცხვარი“ მრ.რ.: ქ-უნ-ნი „ცხვრები“
- ქი-ა „ხელი“ მრ.რ.: ქი-არ-ღუ „ხელები“ და სხვ.

ის, რომ ზემოთ წარმოდგენილ  $-V_r$ ,  $-V_6$ ,  $-V_l$ ,  $-V_d$ ,  $-V_3$  დეტერმი-  
 ნანტ-სუფიქსთა შემადგენლობაში შედიან  $\underline{r}$ ,  $\underline{n}$ ,  $\underline{l}$ ,  $\underline{d}$ ,  $\underline{3}$  ელემენტები, რომ-  
 ლებიც დღეს ლაკურში დასტურდება როგორც მოქმედ, ასევე გაქვავებულ კლას-  
 ნიშნებად, კანონზომიერია. ცნობილია, რომ გრ. კლასის ნიშნები და დეტერმი-  
 ნანტ-სუფიქსები იბერიულ-კავკასიურ ენებში მატერიალურად  
 იდენტური ია.

ე) ფუძის ძირითადი ტიპები ლაკურში. გრ. კლას-ნიშნებისა და დეტერ-  
 მინანტ-სუფიქსთა წარმოდგენის თვალსაზრისით ლაკურში ისტორიუ-  
 ლად ისეთივე ვითარება უნდა გვექონოდა, როგორცაა, მაგალითად, დღეს  
 ხუნძურ-ანდიურ ენებში (ამ უკანასკნელთა შესახებ იხ.: [56], გვ. 21-22).  
 კერძოდ, გაირჩევა ფუძის შემდეგი ძირითადი ტიპები:

1. როგორც კლას-ნიშნის, ისე დეტერმინანტ-სუფიქსის მქონე ფუძეები;
2. ოდენ დეტერმინანტ-სუფიქსის მქონე (კლას-ნიშნის გარეშე) ფუძე-  
 ები;
3. ოდენ კლას-ნიშნის მქონე ფუძეები (დეტერმინანტ-სუფიქსის გარე-  
 შე);
4. უკლასნიშნო და უდეტერმინანტსუფიქსო ფუძეები.

1. კლას-ნიშნისა და დეტერმინანტ-სუფიქსის მქონე ფუძეთა შესახებ.

ასეთი ფუძეები, მართალია, ლაკურში დღეს ძალზე მცირეა (ჩვენ მიერ გაანა-  
 ლიზებულ მასალაში იგი მხოლოდ ლ-აჟ-ინ „სახე“ ფორმითაა წარმოდგენილი),  
 მაგრამ ისტორიულად უნდა გვექონოდა, რასაც ზო-  
 გი სახელის ირიბ ბრუნვათა ფუძე ადასტურებს:

- $\underline{ბ-აკ} < * \underline{ბ-აკ-რ}$  (შდრ. ერგ.-ნათ. მხ.რ. ბაკ-რ-ა-ლ) <  $* \underline{ბ-აკ-ურ}$   
 (შდრ. ერგ.-ნათ. მრ.რ. ბაკ-ურ-დ-ი-ლ) „თავი“.
- $\underline{რ-იკო} < * \underline{რ-იკო-ირ}$  (შდრ. ერგ.-ნათ. რ-იკო-ირ-ა-ლ) „ნაჯახი“  
 (შდრ., აგრეთვე, იმავე წარმომავლობის ჩაჩნ. დიგ „ნაჯახი“ ფუძის ირიბ  
 ბრუნვათა ფორმა  $\underline{დ-აგ-არ-}$ , მრ.რ.:  $\underline{დ-აგ-არ-შ}$  „ნაჯახები“);
- $\underline{მ-აკ} < * \underline{მ-აკ-რ}$  (შდრ. ერგ.-ნათ. მხ.რ. მ-აკ-რ-ა-ლ) <  $\underline{მ-აკ-ურ}$   
 (შდრ. ერგ.-ნათ. მრ.რ. მ-აკ-ურ-დ-ი-ლ; აგრეთვე: დარგ.  $\underline{მ-უგ-ირ} <$   
 $\underline{მ-უგ-ირ}$  (ხაიდაყ.),  $\underline{მ-უგ-ირ}$  (ურახ.) „სიზმარი“ „სიზმარი“, „ძილი“

1 არაა შემთხვევითი, რომ სპეციალურ ლიტერატურაში  $\underline{რV}$ ,  $\underline{ლV}$ ,  $\underline{ნV}$ ,  $\underline{დV}$ ,  $\underline{ბV}$   
 გამოყოფენ პირველად ზედსართავ სახელთა ფუძეებში, როგორც „დეტერმინან-  
 ტიულ ან გაქვავებულ სუფიქსებს“ ([151], გვ. 159), ასევე ზოგი ისეთი  
 მარტივი ზედსართავის ფუძის მაწარმოებლად, რომლებიც ლაკურში მომდინა-  
 რეობენ სხვადასხვა სახელური და ზმნური ფორმებიდან ([72], გვ. 255-257).

და სხვ.

2. ოღენ დეტერმინანტ-სუფიქსის მქონე (კლას-ნიშნის გარეშე) ფუძე-თა შესახებ. ასეთი ფუძეები ირიბ ბრუნვათა ფორმებში ე.წ. ს ა გ რ - ც ო ბ ე ლ ე მ ე ნ ტ ს ხშირად არ ჩაირთავენ:

ჭ-ან	„ფსკერი“	—	ერგ.-ნათ.	ჭ-ან-უ-ლ
ლ-ამ-უ	„ხიდი“		„	ლ-ამ-უ-ლ <sup>1</sup>
ხ~ზ-ირ-ი	„ზღვა“		„	ხ~ზ-ირ-ი-ლ <sup>2</sup>
შ-ინ	„წელი“		„	შ-ინ-ა-ლ <sup>3</sup>
შ-ან-უ	„საწოლი“		„	შ-ან-უ-ლ <sup>4</sup>
კ-უთ < *კ-უთხ < *კ-უდ	„ბლაო“	—	ერგ.-ნათ.	კ-უთხ-უ-ლ < *კ-უდ-უ-ლ <sup>5</sup>

იმ შემთხვევაში, თუ ანალოგიური აგებულების მქონე ფუძეთა ირიბ ბრუნვებში საგრცობმა იჩინა თავი, საფიქრებელია, რომ მას რაღაც მორფოლო-გიური დანიშნულება ჰქონდა ( ამის შესახებ სპეციალურად ქვემოთ).

3. ოღენ კლას-ნიშნის მქონე ფუძეთა შესახებ (დეტერმინანტ-სუფიქსის გარეშე). ასეთი ფუძეები ლაკურში არც თუ მცირეა. შესაძლოა, მათ დეტერმინანტ-სუფიქსი ადრე გააჩნდათ, მაგრამ დღეს ლაკურში მათი კვალიც კი არა ჩანს:

ბ-არლ	„მზე“	—	ერგ.-ნათ.	ბ-ურღ-ი-ლ
ბ-ურკ	„ლორი“		„	ბ-ურჭ-ა-ლ < *ბ-ურკ-ა-ლ
დ-იკ	„ხორცი“		„	დ-იკ-უ-ლ
თხ-არკ < *დ-არკ	„ძვალი“		„	თხ-ურჭ-ა-ლ < *დ-ურკ-ა-ლ
თხ-არხ ~ < *დ-არხ ~ „ჯოხი“			„	თხ-ურშ-ა-ლ < *დ-ურხ ~ -ა-ლ
ლ-ახ < *რ-ახ	„ნაცარი“,		„	ლ-უხზ-ა-ლ < *რ-უხზ-ა-ლ

- 1 არ ჩაირთავს საგრცობს არც მისი შესატყვისი ხუნძ. ტოო „ხიდი“. მართა-ლია, ხუნძურში ნათ. ბრუნვაშია ტოო-ღ-უ-ლ, მაგრამ დ აქ ფუძისეუ-ლია; მამასადამე: ტოო < \*ტო-ოდ-უ. შდრ. ანდ. ენათა: ტირუ (ანდ.), ტირი (ბოლხი, ლოფ.), ტერუ (ტინდ., კარ.), ტირა (ახვახ.), რომლებ-შიც დ > რ ინტერვოკალურ პოზიციაში.
- 2 არ ჩაირთავს საგრცობს არც მისი შესატყვისი ხუნძ. რაღად „ზღვა“.
- 3 არ ჩაირთავს საგრცობს არც მისი შესატყვისი ხუნძ. სონ „წელი“.
- 4 ხუნძურში სათანადო ფუძის ნათ. ბრუნვაში -დ- წარმოჩნდება: ბოსენ „საწოლი“ — ნათ. ბოსა-დ-უ-ლ; ოლონდ, აქ დ-ის წინ ნ ჩანს და-კარგული: ბოსა-დ-უ-ლ < \*ბოსან-დ-უ-ლ. -დ-ს, საფიქრებელია, ძველად ერგატოვის ფუნქცია ჰქონდა (ასეთ შემთხვევათა შესახებ ხუნძურში იხ.: [49], გვ. 120-121).
- 5 სათანადო ხუნძ. ტი (< \*ტ<sup>1</sup>ი — ჰიდ.) „ბლაო“ სიტყვის ნათ. ბრუნვაში -დ- წარმოჩნდება: ტი-ღ-უ-ლ, სადაც იგი ერგატოვის ძველი ფორმანტი ჩანს: ტი-ღ-უ-ლ < \*ტ<sup>1</sup>-ინ-ღ-უ-ლ ... ლაკ. -უთხ < \*-უდ დეტერმინანტ-სუფიქსის ადგილას ხუნძ.-ანდიურ ენებში -ღ-იანი ვარიანტია: ანდ. ტ<sup>1</sup>-ინ-ნი, კარ. ტ<sup>1</sup>-ინ-ი, ტინდ. ყ-ღ<sup>1</sup> < \*ყ-ინ < \*ტ<sup>1</sup>-ინ, ზაგვ. ყ-ღ<sup>1</sup> (ოლონდ.), კ<sup>1</sup>-ღ<sup>1</sup> (კვან.) < \*ტ<sup>1</sup>-ინ ([I10], გვ. 184).

„მტვერი“

<u>ნ</u> -იც < * <u>ბ</u> -იც	„ხარი“	--	ერგ.-ნათ.	<u>ნ</u> -იც-ა-ლ < * <u>ბ</u> -იც-ა-ლ
<u>ნ</u> -იწ < * <u>დ</u> -იწ	„თაფლი“		„	<u>ნ</u> -იწ-ა-ლ < * <u>დ</u> -იწ-ა-ლ
<u>მ</u> -ჩჭ < * <u>ბ</u> -ჩჭ	„ჭინჭარი“		„	<u>მ</u> -ჩჭ-ა-ლ < * <u>ბ</u> -ჩჭ-ა-ლ

4. უკლასნიშნო და უდეტერმინანტსუფიქსო ფუძეთა შესახებ. ეს ისეთი ფუძეებია, რომელთაც დღეს ლაკურში გრ. კლასის ნიშანი და დეტერმინანტ-სუ-ფიქსი არა აქვთ წარმოდგენილი; თანაც, ამ უკანასკნელთა აღდგენა არც შინაგანი რეკონსტრუქციით და არც მონათესავე ენებთან შედარების საფუძველზე არ ხერხდება<sup>1</sup>:

სუ	„ხარო“	—	ერგ.-ნათ.	სუ-ლ
სუს	„ჭვავი“		„	სუს-უ-ლ
წიუ	„მარილი“		„	წი-ი-ლ
უს	„ფეხსაცმელი“		„	უს-უ-ლ
შლ	„ძროხა“		„	შლ-ი-ლ
ცხაც	„ასკილი“		„	ცხუც-უ-ლ
ქიანწ	„ბლუჯა“, „ილია“, „კონა“		„	ქუწ-ა-ლ

როგორც ზემოთ აღინიშნა, ფუძეთა ანალოგიური სახეებია გარჩეული ხუნძურ-ანდიურ ენებში, რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ორსავე შემთხვევაში და დ ე ს ტ ნ უ რ (շւճք იბერიულ-კავკასიურ) ე ნ ა თ ა ს ა - ხ ე ლ ი ს ფ უ ძ ი ს ს ა ე რ თ ო მ ო დ ე ლ ი ს რ ე ა ლ ი - ზ ა ც ი ა გ ვ ა ქ ვ ს .

§ 5. დამაკავშირებელი ხმოვანი. ლაკურში სახელის ფუძესა და ბრუნვის ნიშანს შორის ხშირად ჩნდება ხმოვანი, რომელსაც დ ა მ ა კ ა ვ - შ ი რ ე ბ ე ლ ი ხმოვანი ეწოდება. ასეთი ხმოვნები დაღესტნის სხვა ენებშიც გამოიყოფა. მაგ., ხუნძურში, ანდიურში ...

დამაკავშირებელ ხმოვნებად ლაკურში დასტურდება სადა ა, ი, უ (არც თუ იშვიათად მათი ფარინგალიზებული სახეობანიც — ჰ, ჩ, ჟ) :

<u>ა</u> :	ჭრჭ	„ბავშვი“, „ბიჭი“	—	ერგ.-ნათ.	ჭრჭ-ა-ლ
	არს	„ვაფიშვილი“		„	არს-ნ-ა-ლ
<u>ი</u> :	შლ	„ძროხა“		„	შლ-ი-ლ
	შხარ	„სოფელი“		„	შხარ-ნ-ი-ლ
<u>უ</u> :	ჩხატ	„ჭური“		„	ჩხატ-უ-ლ
	ჭიჭი	„ჭური“		„	ჭიჭი-ლ-უ-ლ

წინასწარ განსაზღვრა იმისა, თუ რომელი დამაკავშირებელი ხმოვანი შეგვხვდება ამა თუ იმ სახელთან, ისევე ძნელია, როგორც იმისა, რომელი თან-ხმოვანი რა გარემოცვაში იჩენს ხოლმე თავს ბრუნვის ნიშნის წინ. ეს კი გამოწვეულია იმით, რომ ზოგი დამაკავშირებელი ხმოვანი ისტორიულად ფ უ - ძ ი ს ე უ ლ ი ა . აქაც ახლომონათესავე ენათა სათანადო მასალაა გასათ-

<sup>1</sup> არაა მხედველობაში ისეთი ერთეული შემთხვევა, როცა, მაგალითად, სახ. ბრუნვაში გრ. კლასის ნიშანი მხ. რიცხვში არა გვაქვს, მრავლობითში კი იგი წარმოდგენილია: ჩიუ „ცხენი“ — დ-ური-რი „ცხენები“ [165] .

ვალისწინებელი. ზოგი ნიმუში<sup>1</sup>:

1. ნიყ < \*ნიყა „ხარი“; შდრ. ერგ.-ნათ. ნიყა-ლ<sup>2</sup>

შდრ., აგრეთვე: ბოთლიხ., კარ., ლოდ. უნსა, ჭამ., ტინდ., ბაგვ. მუსა, ახვახ. მუ<sup>3</sup>სა, ანდ. უნსო < \*უნსა „ხარი“.

2. ნუზ < \*ნუზა „კარი“; შდრ. ერგ.-ნათ. ნუზა-ლ

შდრ., აგრეთვე: დარგ. უნდა (ახუშ., ურახ.), უნცხა (წუდ., მური., სირხ.), უუხა (ხაიდაყ., კუბ.), ხუნდ. ნუწხა „კარი“ ...

3. ნიწ < \*ნიწა „თაფლი“; შდრ. ერგ.-ნათ. ნიწა-ლ

შდრ., აგრეთვე: დარგ. ჭიზა (წუდ.), ჭიარცა (ურახ.), ჭიად (კუბ.) „თაფლი“ ...

4. თხარკ < \*თხარკა „ძვალე“; შდრ. ერგ.-ნათ. თხურჭა-ლ < \*თხურ-კა-ლ < \*თხარკა-ლ

შდრ., აგრეთვე: დარგ. ლიგა (ურახ.), ლიქხა (წუდ.), ხუნდ. რატაძა „ძვალე“ ...

5. მაყ < \*მაყა < \*მაყი „ცრემლი“; შდრ. ერგ.-ნათ. მუყა-ლ < მუყი-ლ < \*მაყი-ლ<sup>3</sup>

შდრ., აგრეთვე: ახვახ. მაყ<sup>4</sup>, ანდ. მოყ<sup>5</sup> < \*მაყ<sup>4</sup>, ბოთლიხ. მადა, ხუნდ. მაჭო < \*მაჭი „ცრემლი“ ( აქ ა > ლ აუსლაუტში : [I10], გვ. I37).

6. მჩჭ < \*მჩჭა „ჭინჭარი“; შდრ. ერგ.-ნათ. მჩჭა-ლ

შდრ., აგრეთვე: ლოდ., ტინდ. მიჩხა < \*მიჩხა ([I10], გვ. I05), დიდ., შინ. მეჩა < \*მეჩხა ([I08], გვ. I65), ანდ. მიჭხი „ჭინჭარი“.

7. სუს < \*სუსუ „ჭვავი“; შდრ. ერგ.-ნათ. სუსუ-ლ

შდრ., აგრეთვე: დარგ. სუსულ (-ანკი) ზედმიწ. „ჭვავი-ხორბალი“ ([I44], გვ. I67), ხუნდ. სუსურ, ახვახ. შუშუ < \*სუსუ „ველური შვრია“.

8. ნუხ < \*ნუხუ „გამოქვაბული“; შდრ. ერგ.-ნათ. ნუხუ-ლ

შდრ., აგრეთვე: დიდ. იმხუ < \*იმხუ, ხუნდ. ნოკლ „გამოქვაბული“.

ნათელია, დამაკავშირებელი ხმოვანი ზოგჯერ მართლაც ფუძისეულია. საფიქრებელია, რომ ასეთ ხმოვანს ახლდა თანხმონითი ელემენტი, რომელიც, ჩანს, დ ა კ ა რ გ უ ლ ა. ორიოდ ნიმუში:

1. თხარკ < \*თხარკა-ა < \*დარკ-არ „ძვალე“

შდრ. ერგ.-ნათ. მრ.რ. თხურჭ-არ-დ-ი-ლ < \*თხარჭ-არ-დ-ი-ლ < \*დარკ-არ-დ-ი-ლ; აგრეთვე: ბოთლიხ. რატა-ირ, რატა-ილ, ლოდ. რატა-ინ, ჭამ. მატა-ილ < \*რატა-ილ (შიპი.) ... კაპ.-ჰუნზ. ლ<sup>1</sup>-ორ-ა < \*ტა-ორ-ა ([I08], გვ. I78) ... ლეზგ. კ-არ-აბ, თაბ. კ-ურ-აბ, ბუდ. კ-ერ-ებ „ძვალე“ ...

2. მჩჭ < \*მჩჭა < \*მჩჭ-არ „ჭინჭარი“

შდრ. ად. მაჯ-არ ([I07], გვ. 84).

1 ვრცლად ასეთ შემთხვევათა შესახებ იხ.: [91ა] .

2 ლაკურში ანალოგიურ შემთხვევებში ბოლოკიდური ხმოვანია მოკვეცილი. მსგავსი პროცესი ცნობილია, მაგალითად, ანდიურ ენებში [52] .

3 გამოწველიდან ამ ფორმათა შესახებ ქვემოთ, ცალკე.

4 ანალოგიური ვითარებაა, მაგალითად, სვანურში ([I09], გვ. 45-46...).

ვ. სუს < \*სუსუ < \*ს-ურ-ს-ურ „ჭვავი“

ზღრ. ხუნდ. სუს-ურ < \*ს-ურ-ს-ურ, დარგ. სუს-ულ < \*ს-ურ-ს-ულ < \*ს-ურ-ს-ურ „ჭვავი“, ახვახ. (წეგობ) შუშ-ულ < \*სუს-ულ < \*ს-ურ-ს-ულ < \*ს-ურ-ს-ურ „შვრია“, „მეღური შვრია“.

ამდენად, დღევანდელი და მ. ა. კ. ა. გ. შ. ი. რ. ე. ბ. ე. ლ. ხ. მ. ო. - გ. ა. ნ. ი. ლ. ა. კ. უ. რ. შ. ი. ს. ხ. მ. ო. გ. ნ. ი. თ. ი. ნ. ა. წ. ი. ლ. ი. ყ. ო. - გ. ი. ლ. ა. .

§ 6. საწერცობი ელემენტი. ეს ცნება ლაკური ენის მიმართ პირველად რ. ერკერტის შრომაშია გამოყენებული. რ. ერკერტი, განასხვავებს რა დამაკავშირებელი ხმოვნისაგან (Binde Vocal) საწერცობს, მას ძირის, ფუძის საწერცობ ელემენტს (Erweiterte Elemente) უწოდებს ([168]). ა. დირმა ამ ცნების გამოსახატავად დამაკავშირებელი ელემენტი (Bindeelemente) გამოიყენა ([166]), ხოლო ჰ. მურყელისკიმ მას უწოდა დამატებით შემადგენელი ელემენტი ([188]).

ისტორიულად ასეთი ელემენტი, როგორც ეს ნაჩვენებია ზემოთ, შეიძლება ფუძისეული იყოს, ზოგჯერ — საკუთრივ ერგატივის ფორმანტიც (ამის თაობაზე ქვემოთ), მაგრამ ქვემოთ ტერმინი ს ა გ რ ც ო ბ ი ყველგან გამოიყენება როგორც სინქრონიული ცნება იმ თანხმოდნურ ელემენტთა აღსანიშნავად, ირიბ ბრუნვათა ფუძეში ბრუნვის ნიშნის წინ რომ წარმოჩნდებიან ხოლმე.

საწერცობის ადგილი ლაკურში უმრავლეს შემთხვევაში მყარია — იგი დამაკავშირებელი ხმოვნის წინაა. დამაკავშირებელი ხმოვანი გვხვდება საწერცობის გარეშე, საწერცობი კი დამაკავშირებელი ხმოვნის გარეშე არა გვაქვს:

დიკ „ხორცი“ — ერგ.-ნათ. დიკ-უ-ლ; აქ -უ- დამაკავშირებელი ხმოვანია საწერცობის გარეშე. ზღრ. აკ „ბალი“ — ერგ.-ნათ. აკ-ნ-ი-ლ, სადაც საწერცობი -ნ- დამაკავშირებელი -ი- ხმოვნის წინაა.

ზოგჯერ სალიტ. ლაკურსა და დიალექტებსა თუ თქმებს შორის საწერცობ ელემენტთა გამოყენების თვალსაზრისით გარკვეული სხვაობაა<sup>2</sup>; სალიტ. ენა-ში ერთი საწერცობია გამოყენებული, დიალექტებსა თუ თქმებში — მეორე:

სახელობითი ერგატივ-ნათესაობითი

	სალიტ. ენა	დიალექტი, თქმა
კვათხა „სახლი“	კვათ-ლ-უ-ლ	კვათ-ნ-ი-ლ (ბართხი)
ხ~თი „მტრედი“	ხ~თი-ლ-უ-ლ	ხ~თი-ნ-ი-ლ ( „ )
მიწ „ლახვარი“	მიწ-ლ-ი-ლ	მიწ-ნ-ი-ლ ( „ )
წიხალუ „სახურავი“	წიხალ-ლ-ი-ლ	წიხან-ნ-ი-ლ ( „ )
კარტალა „კლდე“	კარტალ-ლ-უ-ლ	კარტალ-თხ-უ-ლ ( „ )
ხ~უ „ღამე“	ხ~უ-ნ-ი-ლ	ხ~უ-ლ-უ-ლ (შადნი)

1 საგანგებოდ ასეთ შემთხვევათა შესახებ იხ.: [91ა].  
 2 საილუსტრაციო მასალა ([182]; [150]; [125]) ნაშრომებიდანაა.

სახელობითი

ერგატივ-ნათესაობითი

სალიტ. ენა                      დიალექტი, თქმა

ქარი	„შაქარი“	ქარი-დანუ-ლ	ქარი-უნნი-ლ	(აშთ.)
ჟულზ	„წინდა“	ჟულზ-დანუ-ლ	ჟულზ-უნნი-ლ	( „ )
მარხხალა	„თოფლი“	მარხხალ-დანუ-ლ	მარხხალ-ლალი-ლ	(ბალხ.)

სალიტ. ლაკურში ირიბ ბრუნვათა ფუძე უსავეცობოდაა წარმოდგენილი, ხოლო დიალექტსა თუ თქმაში სავრცობია გამოყენებული:

საუ	„და“	სა-ი-ლ	საუ-ნ-ი-ლ	(არაქ.)
ტუტი	„ყვავილი“, „ყურძენი“	ტუტ-უ-ლ	ტუტი-ლ-უ-ლ	(შადნი)

გვხვდება პირუკუ: დიალექტსა თუ თქმაში ბრუნვის ნიშანი პირდაპირი ბრუნვის ფუძეს უშუალოდ დაერთვის, სალიტ. ენაში კი სავრცობია გამოყენებული:

ჭურუ	„ცერცვი“	ჭურუ-რ-ა-ლ	ჭურუ-ლ	(აშთ.)
ფურკუ	„კვამლი“	ფურკუ-რ-ა-ლ	ფურკუ-ლ	( „ )
ჭულუ	„ბაწარი“, „თოკი“	ჭულუ-რ-ა-ლ	ჭულ-ლ	(ბალხ.)
ჩინ	„საფქვავე ფიცარი“	ჩინ-დალუ-ლ	ჩინ-უ-ლ	( „ )

სავრცობთა წარმოჩენისა და გამოყენების თვალსაზრისით სანტერესოა ს. ზაიდაყოვის სტატიაში „ძველმუქური დიალექტი“ დადასტურებული ზოგი ფაქტი ([I55], გვ. 347-349):

1. მაქი „მერქანი“, „კვარი“ სიტყვის ირიბ ბრუნვათა ფუძედ დღეს მაქი-ლ-ი- სავრცობიანი ფორმა გვაქვს, სტატიაში კი დამოწმებულია სათანადო უსავრცობო ფორმა მაქი-უ-ი;

2. ღურუხლუ „ჭრილობა“, „ამობურცული“ სახელის ირიბ ბრუნვათა ფორმა სავრცობიანი ღურუხლუ-ლ-უ- , როცა წინათ ეს სახელიც უსავრცობოდ ყოფილა წარმოდგენილი;

3. ფიწ „თაფლის ცვარი“ სახელის ირიბ ბრუნვათა ფორმად დღეს თუ სავრცობიანი ფიწ-ლ-ი- ფუძეა, წინათ ისიც უსავრცობო ყოფილა: ფიწ-უ-ი .

ჩანს, უსავრცობო წარმოების დროს ბოლოკიდური ხმოვნის მომდევნო თ ა ნ ხ მ ო ე ა ნ ი ა რ ე ლ უ ე ი რ ე ბ უ ლ ი , ხოლო სავრცობიანი წარმოებისას — სავრცობის წინ მდგომი ხანარაულო ხ მ ო ვ ა ნ ი .

4. გვხვდება ისეთი შემთხვევაც, როცა სახელის ირიბ ბრუნვათა ფუძე სავრცობით იყო ნაწარმოები (ჩურხ „ტანი“ — ჩურხ-ი-რ-ა-), ამჟამად კი უსავრცობო წარმოებაა (ჩურხ-ა-).

§ 7. ბრუნვათა შედგენილობა (ძირითადი და ადგილობითი ბრუნვები) .

ზემოთაც აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ პ. უსლარმა ლაკურში ბრუნვები ო რ ჯგუფად დაყო: ჯგუფი ბრუნვებისა, რომლებიც საგნებს შორის აბსტრაქტულ დამოკიდებულებას აღნიშნავენ და ჯგუფი ადგილობითი (ლოკატიური) ბრუნვებისა. პირველი ჯგუფის ბრუნვებში მან I2 ბრუნვა გამოყო ([I46], გვ. 80), ხოლო დანარჩენი გააერთიანა ადგილობით ბრუნვებში. სხვა მკვლევართა მიერ ეს დაყოფა გაზიარებულია ზოგიერთი შესწორებით, რომელიც ეხება ძირითად ბრუნვათა რაოდენობას.

ძირითად ბრუნვად ლაკურში კი, როგორც ეს უკვე ითქვა, „... ნამ-  
დვილად სამი, წოდებითს თუ ჩავთვლით ოთხი, ბრუნვა გვაქვს“ ([24], გვ. 881).  
ესენია: სახელობითი, ნათესაობითი, რომელიც ლაკურში ერგატივის ფუნქცია-  
საც ასრულებს (თუმცა არა ყოველთვის, მაგალითად, I და II პირის ნაც-  
ვალსახელებთან), მიცემითი. ძირითად ბრუნვათა ასეთი დაყოფა კარგა ხანს  
იყო გატარებული ლაკური ენის სასკოლო სახელმძღვანელოებში ([41], გვ. 199).

ყველა სხვა ბრუნვა ლაკურში თანდებულიანია. აქედან ე ქ ვ ს ი  
ც ა ლ თ ა ნ დ ე ბ უ ლ ი ა ნ ი ა , და გამოხატავს საგნის მდგომარეო-  
ბას; დ ა ნ ა რ ე ე ნ ი ბ რუნვები, რომლებიც ო რ თ ა ნ დ ე ბ უ ლ ი -  
ა ნ ი ა , აღნიშნავენ საგნის მოძრაობას სივრცეში.

იმ ბრუნვათაგან, რომლებიც პ. უსლარმა გამოყო როგორც ძირითადი ბრუნ-  
ვა, ორი საერთოდ არაა ბრუნვის ფორმა (ამის შესახებ იყო მსჯელობა ზემოთ),  
ხოლო დანარჩენები წარმოადგენენ თანდებულიან ერგატივ-ნათესაობის.

§ 8. ძირითად ბრუნვათა ნიშნები და ამ ბრუნვათა მთავარი სინტაქსუ-  
რი ფუნქციები. ძირითად ბრუნვათაგან ლაკურში:

სახელობითი, ისევე როგორც სხვა დალესტნურ ენებში, უ ნ ი შ ნ ო ა .  
უკეთ, მისი ნიშანია უნიშნობა. სხვა ბრუნვათა ნიშნებთან შედარებით. ამ  
ბრუნვით გადმოიცემა:

1. გარდაუვალი ზმნის რეალური სუბიექტი<sup>1</sup>: ცულჰა ლოჭუენ ბურ შა-  
ფხაა „მელა წავიდა სახლში (შინ)“.

2. გარდამავალი ზმნის უახლოესი (ე.წ. პირდაპირი) ობიექტი: უსხილ  
ლუ ლოჭუსენი „ძმამ იყიდა წიგნი“.

ერგატიულ-ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია -ლ, რომელიც საბრუნებელი  
სახელის ფუძეს შეიძლება დაერთოს (ასევეა სხვა ბრუნვათა ნიშნებიც):

ა) უშუალოდ:

ქოაჩი „ძალი“ — ერგ.-ნათ. ქოაჩი-ლ

ბ) დამაკავშირებელი ხმოვნის შემდეგ:

ჭლ „ძროხა“ — ერგ.-ნათ. ჭლ-ღ-ლ

გ) საგრძობის შემდეგ (რომელსაც ახლავს დამაკავშირებელი ხმოვანი):

დაკ „გული“ — ერგ.-ნათ. დაკ-ღ-ღ-ლ.

როგორც ცნობილია, ერგატივი და ნათესაობითი ლაკურში ერთი და იმავე  
ფორმით გადმოიცემა<sup>2</sup>. ამავდროს იგი ზოგჯერ მოქმედებითის მაგივრობასაც

<sup>1</sup> აღნიშნავენ, რომ „სახელობითი ბრუნვა გამოხატავს ქვემდებარეს გარდამა-  
ვალ და გარდაუვალ ზმნებთან ნომინატიურ კონსტრუქციაში“ ([99], გვ. 12).  
თუ წარმოშობით გარდამავალმა ზმნამ სუბიექტი სახელობითში მოითხოვა,  
მაშინ იგი, ჩანს, გარდაუვალი გამხდარა და, ამდენად, სუბიექტი სახელობით-  
ში ასეთ ზმნებთან კანონზომიერიცაა (ზოგი ასეთი შემთხვევის თაობაზე  
ლაკურში იხ.: [91], გვ. 189-198).

<sup>2</sup> ანალოგიურად, მაგალითად, სვანურისა, სადაც ქან-ჩი-ემ აღნიშნავს როგორც  
„ხარმა“, ასევე — „ხარისა“ ([25], გვ. 842-845).

ეწევა. საფიქრებელია, როგორადაც ამაზე მიუთითებენ სპეციალურ ლიტერატურაში ([53], გვ. 253-254), რომ ლაკურში „ნათესაობითობის ფუნქციის სათანადო შემთხვევებში იმდენად აქვს მოქმედებითის ფუნქციაც, რამდენად აქვს ერგატისაც, ნათესაობითის არ ექნებოდა მოქმედებითის ფუნქცია, რომ არ ჰქონოდა ერგატის მნიშვნელობაც. სხვანაირად რომ ვთქვათ, ნათესაობითის ფორმას აქვს მოქმედებითის ფუნქცია არა როგორც კუთვნილების გამოხატველ ბრუნვას („მამის“), არამედ როგორც რეალური სუბიექტის ბრუნვას („მამამ“).“

დაღესტნურ ენებში ნათ. ბრუნვა მოქმედებითის ფუნქციით იზვიათია. ამდენად, შესაძლოა ვარაუდი, რომ ამ ბრუნვის მეშვეობით მოქმედებითის გადამოცემა ერგატის ნათესაობითობის შერწყმის შემდეგ დროინდელია.

აღნიშნული საზიარო ფორმა დღეს ლაკურში გვხვდება:

1. ერგატის ფუნქციით:

არს წინი || უზუნნი, ქუნუ ბურ ცულკულ-ლ „ცაუი იზვა, დაიბადა — თქვა მელამ“.

2. მოქმედებითის ფუნქციით:

ბალალუ-ლ ინსან სასან ააქსარ „უბედურებით კაცი კაჟდება“... მუკურთოი-ლ ლჷყა კვალაკაქსარ ზედმიწ. „სიტყვებით მუცელი არ ამოივსება“.

3. ნათესაობითის ფუნქციით<sup>1</sup>:

ბ~უზრეა ცულკულ-ლ ლჷყა წუნ დირკუნუ დურ „ღამით მელას (მელიის) მუცელი ატკივდა“.

მიცემითი ბრუნვის ნიშანია -ნ, რომელიც დაერთვის ერგ.-ნათ. ბრუნვის ფუძეს. მიცემითი ბრუნვა ლაკურში ირიბი ობიექტის ბრუნვაა:

ბურწილ — ასლანდალუ-ნ ბჷრს, თაუ-ნ-მა თაუქაუ, ცულკულ-ნ-გუ კააზ — ქუნუ „მგელმა — ლომს კურდელი, თვით მე — ვირი, მელასაც ბატი — თქვა“.

ე.წ. *Verba sentiendū* (გრძნობა-აღქმის) ტიპის ზმნებთან მიცემით ბრუნვაშია ქვემდებარეც ([85], გვ. 64).

ამის თაობაზე ვ.თოფურია შენიშნავდა: „ქართულისებრი მდგომარეობაა დაახლოებით კავკასიურ ენებში. გრძნობა-აღქმის ზმნებთან იქაც რეალური სუბიექტი მიცემით ბრუნვაში დგას; მაგ., ლაკურში: მე მინდა, მე მიყვარს, მე ვიცო, ოღონდ, ზმნას გრამატიკულ კლასში ითანხმებს არა მიცემითი, არამედ სახელობითი“ ([29], გვ. 5).

წოდებითი სახელობითისაგან განსხვავდება ინტონაციით ან თავში ჭა ნაწილაკის დართვით, თუ სახელი ფუძეხოლოთანხმოვნიანია, ხოლო, თუ იგი ფუძე-ხოლოხოვნიანია, მაშინ მას ბოლოში დაერთვის -ა:

მინნათრი, ცულკა-ა, მაბუსაზრა „შეგთხოვ, მელავ, ნუ იტყვი, ნუ ამბობ“.

<sup>1</sup> ნათესაობითი ბრუნვის ფუნქციებზე გამოწვლილგით: ([101], გვ. 236-244).

§ 9. ბრუნების ტიპები ლაკურში. ბრუნების ნიშნები ორსავე რიცხვში ერთი და იგივეა. ამდენად, ბ რ უ ნ ე ბ ა ც ე რ თ ი ა . სხვაობაა მხოლოდ ირიბ ბრუნვათა წარმოების თვალსაზრისით. ამ უკანასკნელის მიხედვით კი ლაკურში ბრუნების ო რ ი ტ ი პ ი გამოიყოფა:

I. საგრეცობიანი ბრუნება

II. უსაგრეცობო ბრუნება

I. საგრეცობიანი ბრუნება

ამ ტიპის ბრუნებისას პირობითად ე ქ ე ს ი ქვეტიპი გამოიყოფა:

- I.1. ბრუნება -რ- საგრეცობით
- I.2. ბრუნება -თხ- საგრეცობით
- I.3. ბრუნება -ლ- საგრეცობით
- I.4. ბრუნება -ნ- საგრეცობით
- I.5. სონორ თანხმოვანზე დაბოლოებულ სახელთა ბრუნება
- I.6. ბრუნება ფუძის შინაგან ხმოვანთა ფლექსიით .

I.1. ბ რ უ ნ ე ბ ა -რ- ს ა გ რ ე ც ო ბ ი თ

როგორც აღინიშნა, ლაკურში ბრუნებისას მთავარია ო თ ხ ი ფორმა: 1. მხ. რიცხვის სახ. ბრუნვისა, 2. მხ. რიცხვის ერგ.-ნათ. ბრუნვისა, 3. მრ. რიცხვის სახ. ბრუნვისა, 4. მრ. რიცხვის ერგ.-ნათ. ბრუნვისა. ლაკურში ყველა ბრუნვა აღნიშნული ფორმების მეშვეობით იწარმოება.

ამდენად, ქვემოთ ბრუნების ტიპების განხილვისას სქემატურად წარმოვადგენთ მხოლოდ მ თ ა ვ ე რ ფ ო რ მ ე ბ ს . მაგ. ჭარა „თმა“ სახელის ძირითად ბრუნვათა პარადიგმას, რომელიც ასეთი სახისაა:

მხ. რიცხვი

მრ. რიცხვი

სახ. ჭარა „თმა“

ჭარა-რდუ „თმები“

ერგ.-ნათ. ჭარა-რ-ა-ლ

ჭარა-რდ-ა-ლ

მიც. ჭარა-რ-ა-ნ

ჭარა-რდ-ა-ნ

ასე აღენიშნავთ: -რ-ა-; -რდუ, -რდ-ა-, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მხ. რიცხვის ირიბ ბრუნვათა საგრეცობია -რ-, რომელსაც ახლავს -ა- დამაკავშირებელი ხმოვანი; -რდუ მრ. რიცხვის ფორმანტია სახ. ბრუნვაში, ხოლო -რდ- — მრავლობითისავე ნიშანი ირიბ ბრუნვებში, -ა- აქაც დამაკავშირებელი ხმოვანია, ოღონდ ახლა უკვე — მრ. რიცხვის ირიბ ბრუნვათა ფუძისა. აღნიშვნის ამ სქემატური წესიდან გამომდინარე:

-რ-ა-; -რდუ, -რდ-ა- აწარმოებს ძირითად ფორმებს ხმოვანზე დაბოლოებული ზოგი სახელისაგან: ფურკუ „კვამლი“, კჭრუ „კერცვი“, ჭაჰჰა „ლექვაში“, კასა „ანწლი“, ჭარა „თმა“, ჰანნა „თესლი“ ...

-რ-ა-; -რდუ || -რთუ, -რდ-ა- || -რთხ-ა- ძირითად ფორმებს აწარმოებს ჩ-თი დაბოლოებულ სახელთაგან: ჭატი „ლაწვი“, ჰვისატი „ანგარიში“, უუნატი „შვინდი“, ბურატი „ლიბრი“, სატიტი „მიზეზი“, ჰზატი „წამება“ ...

-რდუ || -რთუ და -რდ-ა- || -რთხ-ა- მორფემათა აქ გამოყენება იმიტომ შეპირობებულია, რომ ჩ ლაკურში წყვილბაგისმიერი ბგერაა და აღიქმება როგორც უ ხმოვანი, ხმოვანზე დაბოლოებულ სახელებს კი მრ. რიცხვის ნიშანი, როგორც წესი, რთული აქვთ (გამონაკლისი მხოლოდ ზოგი ღ-ზე და-

ბოლოვებული სახელია).

-რ-ა-; -რუ, -ი-რდ-ა- || -ი-რთ-ა-<sup>1</sup> ძირითად ფორმებს აწარმოებს სახელთაგან: გუთ „ძალა“, ბად „ზადი“, ბანთ „ბაბთა“, თხრილც „ლვილი“, ქუნუთქ „კვერცხი“, ხშირიმჭ „ჩლიქი“, მიჭაქ „კოლო“, ზიმიზ „ზუზი“ ...

-რ-ა-; -რუ, -უ-რდ-ი- ძირითად ფორმებს აწარმოებს სახელებისაგან: კაჯ „მხარი“, ბაც „თავი“, მაზ „ენა“, სპჷთ „სათი“, მად „კული“ ...

-ი-რ-ა-; -რუ, -ი-რ-დ-ა- || -ი-რ-თ-ა- ძირითად ფორმებს აწარმოებს:

ა) სახელებისაგან, რომელთა ფუძეში რ ხმოვანია: მიზ „ფრჩხილი“, მირზ „ნამგალი“, ნიჰ „დოლაბი“, სპიჰ „სუნთქვა“, ნიქ „მუხლი“, მიკ „ყინული“, ნიჷს „ნეკნი“, ნის „ყველი“, რიკა „ნაჯახი“, „ყული“ ...

ბ) სახელებისაგან, რომელთა ბოლოკიდური ორი თანხმოვნისაგან პირველი სონორია: ხარუ „ხარჯი“, „ხელფასი“, რანგ „ფერი“, ბურუ „ვადი“, „მოვა-ლეობა“, მურზ „ხე“, სურკ „იდაყვი“ ...

-ი-რ-დ-ა- / -ი-რ-თ-ა- მონაცვლეობა აქ თავისუფალია. ჩანს, მრ. რიცხვის ირიბ ბრუნვათა ფუძედ სათანადო მხოლობითის ფუძეა გამოყენებული, ხოლო -დ- < \* -დუ-, -თ- < \* -თუ- — მრ. რიცხვის ფორმანტებია, ხმოვანმოკვეცილი (რაც, ალბათ, დამაკავშირებელმა -ა- — ხმოვანმა გამოიწვია). ანალოგიური ვითარებაა ქვემოთ, როცა:

-უ-რ-ა-; -რი, -უ-რ-თ-ა- აწარმოებს ძირითად ფორმებს რამდენიმე სახელისაგან: ჰინჩ(ა)<sup>2</sup> „თოკი“, ქიახ(ა) „სახელო“, კის(ა) „თითი“, ნიკ(ა) „ქუსლი“, ლიჩ(ა) „წვივის ძვალი“, სიჩ(ა) || სიქ(ა) „სიფათი“.

### 1.2. ბ რ უ ნ ე ბ ა -თ- ს ა ვ რ ც ო ბ ი თ

-თ-უ-; -თუ, -თ-ა- აწარმოებს ძირითად ფორმებს ზოგი ისეთი სახელისაგან, რომელსაც რედუცირებული ხმოვნის წინ სონორი თანხმოვანი აქვს:

ა) ხმოვნისწინა თანხმოვანია ლ: კიჭალ(ა) „ციცხვი“, მარხვალ(ა) „თოვლი“, ხუჭალ(ა) „ჯოჯი“, ჰარჩალ(ა) „მარგლის ტოტი“ ...

ბ) ხმოვნისწინა თანხმოვანია ნ: სინ(ა) „ლრძილი“, ზაქიან(ა) „მუშტი“, ბაქიან(ა) „მიზეზი“, ჭარან(ი) „აქლემი“, ხაჯიან(ი) „ერზო - კვერცხი“, დაქიან(ი) „სარკე“, ითაქიან(ი) „წარბი“, კიან(უ) „ადგილი“, „სკამი“<sup>3</sup>, ბიან(უ) „მდელო“, „საძოვარი“, ჰმ(უ) „ვარკლი“<sup>4</sup> ...

გ) ხმოვნისწინა თანხმოვანია რ: კიარ(ა) „თონე“, ლადარ(ა) „ფართოყელიანი თიხის სურა, ჭურჭელი“, აქარ(ი) „მამალი“, მურარ(ი) „მჭადი“, კაქინარ(ი) „თიხის სურა წყლისათვის“ ...

-თ-ა-რ-ა-; -თუ, -თ-ა- აწარმოებს ძირითად ფორმებს რამდენიმე ისეთი სახელისაგან, რომლებსაც რედუცირებული ხმოვნის წინ რ აქვთ: უი-

1 მრ. რიცხვის ირიბ ბრუნვათა ფუძეში -ი-რდ-ა- დასტურდება ერთმარცხელიან სახელებთან, ხოლო დანარჩენებთან — -ი-რთ-ა-.

2 ( ) ჩასმული ხმოვნით, აქ და ქვემოთ, აღნიშნულია ხმოვანი, რომელიც იკმეცება ყველგან, გარდა მხ. რიცხვის სახ. ბრუნვის ფორმისა.

3 ვიცხიურში, აგრეთვე: კან-უ- || კან-ი- ([46], გვ. 296).

4 ეს სახელიც აქ ერთიანდება, რაკი ლაკურში თანხმოვნის წინ მ > ნ.

რ(ა) „ბარძაყი“, ქვირ(ი) „ნაჭუჭი“, ჭირ(ი) „წვერი“<sup>1</sup>...

თუ ასეთივე სტრუქტურის მქონე სახელის ფუძეშია უ, მაშინ მრ. რი-ცხვის სახ. ბრუნვაში გვექნება -თხი < \*-თხუ: ხ~ურ(ი) „აღვრი“, ყუ-რ(უ) „ყანწი“, ქწრ(უ) „ბუდე“, ჩურ(უ) „ფორი“ ...

-თხ-ი-რ-ა-; -თხ-ი-რ-დუ, -თხ-ი-რ-დ-ა- ძირითად ფორმებს აწარმოებს ღია, ერთმარცვლიან სახელთაგან: შა „ნაბიჯი“, „კვალი“, მშ „კავი“, ჭია „ქობი“, კა „ფრთა“, „ხალიჩა“ ...

I.მ. ბ რ უ ნ ე ბ ა -ლ- ს ა ვ რ ც ო ბ ი თ

-ლ-უ-; -რდუ, -რდ-ა- ძირითად ფორმებს აწარმოებს:

ა) ფუძებოლოხმოვნიან სახელთაგან, რომელთაც ბოლოკიდური ხმოვანი არ ეკვეცებათ: ღანნა „ტანსაცმელი“, თაჭა „ტაფა“, ზუმა „ნაპირი“, ღაღა „ღაპარაკი“, ყინი „ღღე“, თაჟ „კვიცი“, სხინი „სასა“, ტიმუ „ფრთა“, ქუქუქუ „მარცვალი“, ჰუთრუ „ფილტი“, თუნუ „ძარღვი“, ბაკუ „მაღლობი“ ...

თუ სახელი სამ- ან ოთხმარცვლიანია, ხშირად მრ. რიცხვის ნიშანი წარმოდგენილია -რთხუ < \*-რდუ<sup>2</sup> მორფემის სახით, ხოლო ირიბ ბრუნვებშია -რთხ-ა- < \*-რდ-ა-. ასეა სახელებთან: დარჭაზა „ჭიშკარი“, ჰვაჭიჯა „სასმელი“, ბიჯაღა „თავისუფლება“, წურის~უ „სამზარეულო“, ბადაქუ „ბა-ღია“, კვაჭაჩუ „ტყაპუჭი“ ...

ბ) ტრ-ზე დაბოლოებული ორიოდე სახელისაგან: აჭი „ნადირობა“, „ჯიხ-ვი“, კჷჷ < \*კჷჷ „ბუმბული“ ...

-ლ-უ-; -რი, -რ-ა- ძირითად ფორმებს აწარმოებს სახელებისაგან, რომელთაც ბოლოკიდური რედუცირებული ხმოვნის წინ ჩქამიერი თანხმოვანი მიუძღვის: ქაწ(ა) „ლეცი“, ბუტ(ა) „ნაწილი“, ტაწ(ა) „ტყე“, ურტ(ა) „კარტოფილი“, შუშ(ა) „ბოთლი“, კვათხ(ა) „სახლი“, „ოთახი“<sup>3</sup>, შვათხ(ა) „გველი“, ცულჭ(ა) „მელა“<sup>4</sup>, ცუშ(ა) „დათვი“<sup>5</sup> ...

-ლ-უ-; -ლი, -ლ-ა- ძირითად ფორმებს აწარმოებს სახელებისაგან, რომლებსაც ბოლოკიდური რედუცირებული ხმოვნის წინ ლ თანხმოვანი აქვთ და, თანაც, სახელის ფუძეში უ ხმოვანია<sup>6</sup>: ყულ(ი) „ლეცი“, ყულ(უ) „თაგ-ვი“, ყულ(ა) „გასაღები“, ხ~ულ(ა) „ფიწალი“, ჭულ(ა) „დვირე“, ულ(ა) „ფიცარი“ ...

1 პ.უსლართან განსხვავებული ფორმებია: ჭურ-თხარა-; ჭურ-თხი < \*ჭურ-თხუ, ჭურ-თხ-ა- ([I46], გვ. 389).  
2 -რდუ და -რთხუ აფიქსთა მონაცვლეობა ზოგჯერ იმდენად თავისუფალია, რომ სასკოლო სახელმძღვანელოში ერთსა და იმავე სახელთან ერთგან ერთი ფორმა შეგვხვდებოდა, მეორე ადგილას — მეორე: უჩაღა-რდუ „ანდაზები“ ნახმარია გვ. 20-ზე, ხოლო უჩაღა-რთხუ — გვ. 48-ზე [I62].  
3 ლაკურში გატარებული წესის თანახმად, ყოველი გემინატი თანხმოვნის წინ ან სიტყვის აბსოლუტურ ბოლოს გადადის შესაბამის არაგემინატში.  
4 თანხმოვნის წინ ყველგან ამოსავალი ცულც- დასტურდება.  
5 თანხმოვნის წინ ყველგან ამოსავალი ცუხ~ დასტურდება.  
6 ამდენად, -ლი, -ლ-ა- ვარიანტებია -რი, -რ-ა-სი ლ-ის მეზობლად.  
7 პარალელურადაა: ულ-ლ-უ- || ულ-თხ-უ-; ულ-ლი || ულ-თხი, ულ-ლ-ა- || ულ-თხ-ა-.

-ღ-უ- | -ღუ- | -ღ-ა- აწარმოებს ძირითად ფორმებს სახელეებისაგან, რომელთა ფუძეში უ ხმოვანი არაა წარმოდგენილი და რედუცირებული ხმოვნის წინ ლ-ია<sup>1</sup>: ტილ(ა) „დანა“, თხალ(ა) „მორი“, ჩხალ(ა) „ხიშტი“, ტალ(ი) „თაღთაღი“, კთილ(ი) „უნაგირი“, ხაშლ(ი) „კლდე“, ყალ(ი) „ყასრი“ ...

-ღ-უ- | -ტი- | -ა- აწარმოებს ძირითად ფორმებს ზოგი ღ-ზე დაბლოებული სახელისაგან, რომელთა ბოლოკიდური ღ მრ. რიცხვის ირიბ ბრუნვასა ფუძეში -ა- დამაკავშირებელი ხმოვნის წინ რედუცირდება: მურჩხი „ბაბი“, ტიჭი „ყური“, შჰპი „ფლოქვი“, ყაჭი „ჭია“, ბაჭი „თათი“ ...

-ღ-უ- | -ტი- | -რდ-ა- ძირითად ფორმებს აწარმოებს საშიოდე ღ-ზე დაბლოებული სახელისაგან: ქაში „ქონება“, სხული „მთის ინდაური“, ფე-სხი „წითელი სპილენძი“ ... სავარაუდოა, რომ აღნიშნულ სახელთა მრ. რიცხვის სახ. ბრუნვის ფორმაში მრ. რიცხვის ნიშნად -ტი-ის პარალელურად -რდუ ფორმანტაცია იხმარებოდა (შდრ. ირიბ ბრუნვასა ფუძე მრ. რიცხვში).

-ღ-ი- | -რუ- | -უ-რდ-ი- ძირითად ფორმებს აწარმოებს სახელთაგან: ყაწ „პირი“, შხიკ „ჩლიქი“, კათ „ხელის გული“, ნაწ „ტილი“, სუწ „ტკიპა“, ჰკ „ბუზანკალი“, „კრაზანა“, ნაკ „რძე“, მაჭ „მთელი“ ...

-ღ-ი- | -რუ- | -ა- ძირითად ფორმებს აწარმოებს სახელთაგან: ყუჭი „ღენთა“, კხჭ „გული“, ტიტ „ბადლიჯო“, ყიფ „ჯიბე“, მიწ „ლახვარი“, რუკ „წიფი“, კხუფ „კოკობი“, „კვირტი“<sup>2</sup>, ყრტ „კაკუნე“ ...

#### I.4. ბ რ უ ნ ე ბ ი -ღ- ს ა გ რ ც ო ბ ი თ

-ნ-ი- | -რუ- | -უ-რდ-ი- ძირითად ფორმასა მწარმოებლად სულ რამდენიმე სახელთან დასტურდება: დაკ „გული“, აკ „ბადი“<sup>3</sup>, ცურქ „ქურდობა“ ...

-ნ-ი- | -რდუ- | -რდ-ა- აწარმოებს ძირითად ფორმებს სახელთაგან: ლარზუ „აივანი“, ტპრჭუ „საკვამლე“, „ხერელი“, ქხურჭა „აფგილი აულში, სადა(უ) ხალხი იკრიბება ახალი ამზის გასაგებად“, ტარკუ „მყირე სათაღისი“ (რომელთა ბოლოკიდური ხმოვანი მხ. რიცხვის ირიბ ბრუნვასა ფუძეში რედუცირებულია), კქ „ეზო“, ხ~ხუ „დამე“ ...

-ნ-ი- | -რუ- | -ა- აწარმოებს ძირითად ფორმებს ორიოდე სახელისაგან: რატ „ხეობა“, ქხუტ „ხერელი“<sup>4</sup> ...

-ნ-ნ-უ- | -რი- | -რი-ნ-ნ-უ- ძირითად ფორმებს ისეთი სახელისაგან აწარმოებს, რომელიც ბოლოვდება -სხა-თი: ტირსხა „შიგნელი“, ყურტუსხა „ხიწვი“, ბუხჩინსხა „დედელი“, უთუსხა „მსხვილი ბოძი“, ატულსხა „ხილი“, კირიტსხა „შითივი“ ... ეს სახელეები ზედსართაული წარმოშობისა ჩანან. ასე, მაგალითად: ტირ-სხა „შიგნელი“, შდრ. ტი-ტი „შიგ“, ტი-რ-

1 ამდენად, -ღუ- | -ღ-ა- დარიანტებია -რუ- | -რ-ა-სი ლ-ის მეზობლად.

2 მრ. რიცხვის ირიბ ბრუნვასა ფუძეა კხუფუ-ა- .

3 აკ-ღ-ი- ფორმის პარალელურადაა აკ-ღ-ი- ფორმა.

4 პარალელურადაა: რატ-ნ-ი- || რატ-ღ-ი- | ქხუტ-ნ-ი- || ქხუტ-ღ-ი- .

5 ამიტომ, რომ მიჰყვებიან -სხა-თი დაბლოებული ზედსართაული სახელთა ბრუნვას (უღჟ. -სხა მწარმოებლიან ატრიბუტივთა ბრუნვას). შდრ. კისხა „თითი“ — ერგ.-ნათ. კისხურ-ა-ლ ... ჩანს, სხა აქ ფუძისეულია.

დავ „შუაგული“; აქველ-სხა „ხილი“, შდრ. აკ „ზადი“<sup>1</sup>; კირიტი-სხა „მზით-  
ცი“, შდრ. კირიტი „უყან“<sup>2</sup> და სხვ.

-ნ-ნ-რ- საერყობი ისტორიული თვალსაზრისით რ თ ე ლ ი ჩანს.  
პირიელი -ნ- იგივეა, როგორც ეს უკვე აღინიშნა, რაცა გვაქვს ხუნდ.  
ში-ბ „რა“ ნაცვალსახელის ირიბ ბრუნვითა ფუძეში -ნ--ის სახით წარმო-  
დგინილი; სხუ-ნ-; მორრ -ნ- კი -რ- საერყობის ცარიანტი უნდა იყოს  
პირიელი -ნ--ის უშუალო მფობლობაში. რაც შეეხება მრ. რიცხვს, აქ სა-  
ერყობი მხ. რიცხვიდან ჩანს გადაწყობილი. მაშასადამე, -ნ-რ-<sup>4</sup> \* -რ-რ-.

-ნ-ნ-ა-, -ნ-ნ-რ- საერყობებს (გრ. კლასების მიხედვით) იყენებენ  
ჩუღსხა „ჩენი“ და ზუღსხა „თქენი“ კუთვნილებითი ნაცვალსახელები:

I გრ. კლ. II-IV გრ. კლ.

სახ. ჩუღსხა ჩუღსხა „ჩენი“  
ერგ.-ნათ. ჩუღსხა-ნ-ნ-ა-ლ ჩუღსხა-ნ-ნ-რ-ლ  
მრ. რიცხვში იგივე ვითარებაა, ოღონდ, I გრ. კლასის სახელებს  
უერთდება II გრ. კლასის სახელებიც ([115], გვ. 66).

რიგობითი რიცხვითი სახელები მრ. რიცხვის ფორმებში ირიბ ბრუნ-  
თა საერყობად იმავთ -ნ-ნ-ა-, -ნ-ნ-რ- ელემენტებს იყენებენ<sup>5</sup>:

I, II გრ. კლ. III, IV გრ. კლ.

სახ. ცალჩინმჩ ცალჩინმჩ „პირიელები“  
ერგ.-ნათ. ცალჩინმჩ-ნ-ნ-ა-ლ ცალჩინმჩ-ნ-ნ-რ-ლ  
ასევე იბრუნვიან ჩენებითი ნაცვალსახელები თაა „ისინი“, კააა  
„ისინი“ (მადაა მყოფნი), ვააა „ისინი“ (დაბლა მყოფნი), ჭაა „იენი“,  
მჩ < \*შია (< \*მუ-ა) „იგენი“.

კუთვნილებით ნაცვალსახელთა თხუღმწ (I გრ. კლ.), თხუღმწ (II-IV  
გრ. კლ.) „ჩემი“, ჭიღმწ (I გრ. კლ.), ჭიღმწ (II-IV გრ. კლ.) „შენი“  
ირიბ ბრუნვითა ფუძეებში გრ. კლასი ხმოვის მფეიეობითაა გარჩეული<sup>6</sup>.

- 1 ზედმიწ. გადმოცემა როგორც „რადაც ბადისა, ე.ი. ნაცოფი“ ([115], გვ. 50). აკ „ზადი“ — ნათ. აკ-რ-ლ „ზადისა“ ...
- 2 კირიტსხა „ის, რაც მიჰყვება გოგონას გათხოვებისას“ ([115], გვ. 50).
- 3 პ. უსლართან დასტურდება: უთხუსხა „მსხილი ბოძი“ — ერგ.-ნათ. უთხუსხან-დ-რ-ლ ([146], გვ. 662) < \*უთხუსხან-რ-რ-ლ, სადაც -დ- < \*რ- -სხან ელემენტის -ნ-სთან დისიმილაციით.
- 4 -ნ-რ- ცალკე ფუძებლობაში ირიბ ბრუნვითან სახელთან შეიგებება ლუხჩიი „მიწა“ — ერგ.-ნათ. ლუხჩიი-ნ-რ-ლ ჩანს, -ნ-რ- < \*ნ-რ- (ფუძისე-  
ულ უ-სთან ასიმილაციით). მართლაც, ენლიურშია: ლუხჩიი-ნ-რ-ლ ([105]).
- 5 -ნ-ნ-ა- < \*ნ-რ-ა-, -ნ-ნ-რ- < \*ნ-რ-რ- (ასიმილაციით), ციციურში  
კი — -ნ-რ-ა- < \*ნ-რ-ა-, -ნ-რ-რ- < \*ნ-რ-რ- (დისიმილაციით).
- 6 რაც ისტორიულად, მართალია, მ ე ო რ ე ლ ი ა , მაგრამ იმის კომპენ-  
საცია კი ჩანს, რომ ირიბ ბრუნვებში (აღბათ, ჯერ ერგატრეში, ხოლო შემ-  
დგ მასზე დამყარებულ სხვა ბრუნვებში) ადრე გვქონდა გრ. კლასების  
მიხედვით განსხვავება (დაპირისპირება) — კლასი პ ი რ ი ე ნ ე -  
ბ ი ს ა და კლასი ნ ი ე თ ი ს ა .

I გრ. კლ.-

II-IV გრ. კლ.

სახ. თხულმან თხულმურ „ჩემი“  
ერგ.-ნათ. თხულმან-ნ-ა-ლ თხულმურ-ნ-ი-ლ

ასევე იბრუნვის რიგობითი რიცხვითი სახელი მხ. რიცხვში.

-ნ-ა-, -ნ-ი- ელემენტები (გრ. კლასების მიხედვით) იგივე ოდენობაა, რასაც ვხვდებით თნ „ის“, კიან „ის“ (მაღლა), გიან „ის“ (დაბლა), ჭიან „ეს“, მუი „ეგ“ ჩვენებით ნაცვალსახელთა ირიბ ბრუნვათა ფორმებში. მაგალითად:

სახ. თა თა „ის“  
ერგ.-ნათ. თა-ნ-ა-ლ თა-ნ-ი-ლ

რაოდენობით რიცხვით სახელთა ფუძე ირიბ ბრუნვებში გართულებულია

-უ-ნ-ა-, -უ-ნ-ი- ელემენტებით: სახ. მუყ-ა ( I გრ.კლ.) „ოთხი“, მუყ-ჭ-ა ( III გრ. კლ.), მუყ-რ-ა ( II-IV გრ. კლ.)

ერგ.-ნათ. მუყ-უ-ნ-ნ-ა-ლ მუყ-უ-ნ-ნ-ი-ლ

ზემოთ წარმოდგენილი საანალიზო მასალის მიხედვით ლაკურში ის - ტოროულად ბრუნების ორი ტიპია გამოსაყოფი (იხ., აგრეთვე: [64], გვ. 69):

**I. ატრიბუტიული**

**II. სუბსტანტიური**

ატრიბუტიული ბრუნებისას მხედველობაშია ჩვენებით ნაცვალსახელთა ბრუნება -ნ-V- საგრცობით, ხოლო სუბსტანტიური ბრუნებისას — ბრუნება -რ-V- საგრცობითა და მისი ფონეტიკური ვარიანტებით.

მართალია, -სხა აფიქსიანი ატრიბუტები საგრცობთა წინ კიდევ ერთ -ნ-ს წარმოაჩენენ ( ულსხა-ნ-ნ-ა-ნ, ულსხა-ნ-ნ-უ- ), მაგრამ, როგორც გაირკვა, ეს -ნ- ისტორიულად -სხა-ს უნდა ხლებოდა: \*სხან .

ის, რომ ატრიბუტიული სახელები მიჰყვებიან ხოლმე ჩვენებით ნაცვალსახელთა ბრუნებას, გასაგებია: ატრიბუტიული სახელები გაფორმებულია -სხა ან -მან, -მურ, -მინ აფიქსებით<sup>2</sup>, რომელთა ამოსავალი, როგორც ითქვამს, ნაცვალსახელებია. პირველისათვის — ცუ „ვინ“ ნაცვალსახელის ირიბ ბრუნვათა ფუძე სხა < \*სხან , ხოლო მეორისათვის — მწ < \*მან „ეგ“ ჩვენებითი ნაცვალსახელი.

და მაინც, ატრიბუტიული ბრუნებისას გასარჩევია -სხა აფიქსითა და

1 როცა ფუძე ბოლოვდება თანხმოვანზე, ხოლო, თუ რიცხვითი სახელი ხმოვანზე მთავრდება, მაშინ გვექნება -ნ-ნ-ა-, -ნ-ნ-ი- ([II5], გვ. 57). ცხადია, -უ- ელემენტი თანხმოვანთგამყარია.

2 რომელთაც ატრიბუტივებში ისტორიულად განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის გაგება შეეჭონდათ. სახელდობრ, ლაკურში განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობა გარჩეულია ე.წ. ს რ უ ლ ზედსართავ სახელებში ( ლეჟრ. ატრიბუტივებში). -სხა სუფიქსით ნაწარმოები ზედსართავი სახელი გა ა ნ უ - ს ა ზ დ ვ რ ე ლ ი შინაარსისაა, ხოლო -მან, -მურ, -მინ სუფიქსებით ნაწარმოები - გა ა ნ ს ა ზ დ ვ რ უ ლ ი ს ა (გამოწვლილვით იხ. [92]).

მრ. რიცხვში -მნ ფორმანტი ნაწარმოებ ატრიბუტივთა ბრუნება.

-მნ, -მურ აფიქსებით ნაწარმოებ ატრიბუტიულ სახელებთან მხ. რი-  
ცხეში რომ -ნ-ა- (-ნ-უ-) სავრცობი ვლინდება, იგი უ ც ვ ლ ე ლ ი ა  
ხმოვნის მომდევნოდ, როცა მრ. რიცხვში გამოვლენილი ლემუქურის -ნ-ა-,  
-ნ-უ- ელემენტები ვიცხიურის ტიპის მეტყველებაში ნ-ის მომდევნოდ  
-დ-ა-, -დ-უ- ვარიანტებითაა წარმოდგენილი ([I64], გვ.60):

სახ. თხულ-მნ „ჩემი“ თხულ-მნ „ჩემ(ებ)ი“  
ერგ.-ნათ. თხულ-მნ-ნ-ა-ლ თხულ-მნ-ნ-დ-ა-ლ ( I, II გრ.კლ.),  
თხულ-მნ-ნ-დ-უ-ლ (III, IV გრ.კლ.)

ასეთივე ვითარებაა -სხა აფიქსით ნაწარმოებ ატრიბუტივებთანაც,

ოლონდ, აქ — ო რ ს ა ვ ე რიცხვში:

სახ. აკულ-სხა „ხილი“, „ნაყოფი“ აკულ-ს-რი „ხილ(ებ)ი“,  
„ნაყოფ(ებ)ი“

ერგ.-ნათ. აკულ-სხან-ნ-უ-ლ აკულ-ს-რი-ნ-ნ-უ-ლ

ვიცხიურის ტიპის მეტყველებაში კი ყველგან გვექნება: აკულ-სხან-  
დ-უ-ლ, აკულ-ს-რი-ნ-დ-უ-ლ ...

ამ რიგის მოვლენები გვაფიქრებინებს, ხომ არაა ასეთ შემთხვევებში  
ამოსავალი სავრცობი \*რV- აგებულებისა, რომელიც ვიცხიურის ტიპის მე-  
ტყველებაში სონორის მომდევნოდ, როგორც ეს საზოგადოდაა ლაკურში, დ ი -  
ს ი მ ი ლ ი რ დ ე ბ ა , ხოლო ლემუქურის ტიპისაში — განიცდის  
ა ს ი მ ი ლ ა ც ი ა ს .

ანალოგიური საკითხი დგება ჩ ვ ე ნ ე ბ ი თ ი ნაცვალსახელების  
ბრუნების დროსაც. აქაც, მრ. რიცხვის ფორმებში ამოსავალი \*რV სავრ-  
ცობი ჩანს:

ა) ვიცხიურის ტიპის მეტყველებაში

სახ. თნ „ის“ თა-ჟ „ისინი“  
ერგ.-ნათ. თა-ნ-ა- || თა-ნ-ი-ლ თაჟ-ნ-დ-ა-ლ < \*თაჟ-ნ-რ-ა-ლ,  
თაჟ-ნ-დ-უ-ლ < \*თაჟ-ნ-რ-უ-ლ

ბ) ლემუქურის ტიპის მეტყველებაში

სახ. თნ „ის“ თა-ჟ „ისინი“  
ერგ.-ნათ. თა-ნ-ა-ლ || თა-ნ-ი-ლ თაჟ-ნ-ნ-ა-ლ < \*თაჟ-ნ-რ-ა-ლ  
თაჟ-ნ-ნ-უ-ლ < \*თაჟ-ნ-რ-უ-ლ

საფიქრებელია, რომ \*რV სავრცობის წინ მდგომი ნ ისტორიულად  
დეტერმინანტისეული ელემენტია (მის წინ მდგომი -ჟ- < \*ჟ- — მრ.  
რიცხვის ფორმანტი), ოლონდ, მრ. რიცხვის ფორმებში მხ. რიცხვის ანალოგიით  
წარმოჩენილი და მრ. რიცხვის ფორმანტის შემდეგ გა და ა ს მ უ ლ ი  
( სხვა მხრივ მოულოდნელია მრ. რიცხვის ფორმანტი ინფიქსად).

საკითხს დამატებითი კვლევა სჭირდება. მხოლოდ ის კია ნათელი, რომ  
ამ რიგის სავრცობები (-ნ-უ-, -დ-უ- ...) ა რ ა ა პ ი რ ვ ე ლ ა დ ი  
— ისინი ლაკურში გატარებული კანონზომიერი ცვლილებების შედეგია. აქ  
რომ ლაკურში ამოსავლად -ნV- სავრცობი გვექნოდა, მაშინ იგი ვიცხიურის  
ტიპის მეტყველებაში უ ც ვ ლ ე ლ ა დ გვექნებოდა ყ ვ ე ლ ა ს ო -  
ნ ო რ ი ს მომდევნოდ ისევე, როგორადაც ეს გვაქვს:

დუშმან	„მტერი“	—	ერგ.-ნათ.	დუშმან-ნა-ლ
დიტირ	„მოლა“	„		დიტირ-ნა-ლ < *დიტირ-ნა-ლ
ზალ	„დმერთი“	„		ზან-ნა-ლ < *ზალ-ნა-ლ
შხარ	„ქალი“, „ყოლი“	„		შხან-ნი-ლ < *შხარ-ნი-ლ
ჩხარ	„ღეწვა“	„		ჩხან-ნი-ლ < *ჩხარ-ნი-ლ
კუხურ	„საგარგული“	„		კუხურ-ნი-ლ < *კუხურ-ნი-ლ
ბზრ	„ტბა“	„		ბზნ-ნი-ლ < *ბზრ-ნი-ლ
ფხალ	„ბოსელი“	„		ფხან-ნი-ლ < *ფხალ-ნი-ლ

ეს წესი საზოგადოდ ვრცელდება -ნ-თი დაწყებულ აფიქსებთან. მხოლოდ ერთი ნიმუში:

-ნუ ლაკურში ზმნისართთა ცნობილი მაწარმოებელია ( წაყ „ძალა“ — წაყ-ნუ „ძალიან“ ), რომელიც, აგრეთვე, სონორთა მეზობლად უცვლელია:

ჩან-სხა „მცირე“ -- ჩან-ნუ „მცირედ“; ჭალ-სხა „გვიანი“ — ჭალ-ნუ „გვიან“; ანატიარ-სხა „სწრაფი“ — ანატიარ-ნუ „სწრაფად“... .

ასეთ შემთხვევებში ამოსაცალი რომ \*-რV ყოფილიყო, მაშინ ციციხურ-რის ტიპის დიალექტებსა და თქმებში ყველგან გვექნებოდა: \*ჩან-დუ „მცირედ“ ( შდრ. ჩხან-დუ „ფეხები“, რაკი -დუ < \*-რუ ), \*ჭალ-დუ „გვიან“ ( შდრ. ჭალ-დუ „თავთავები“ ), \*ანატიარ-დუ „სწრაფად“ ( შდრ. ჩადარ-დუ „ქაღალდები“ ) ... .

ასევე, თუ ზემოთ ჩამოთვლილი სახელებისათვის ამოსაცალი \*-რV საერცობი იქნებოდა და არა — \*-ნV, მაშინ აქაც უნდა გვექნოდა:

\*ბზრ-დი-ლ შდრ. ბზრ-დუ „ტბები“ და ა.შ.

\*ფხალ-დი-ლ „ ფხალ-დუ „ბოსლები“ და ა.შ.

ცხადია, ამოსაცალი \*-ნV- საერცობი უცვლელია, \*-რV- საერცობია ვიციხურის ტიპის დიალექტებსა და თქმებში რომ გვაძლევს დისიმილაციით -დV- საერცობს, ხოლო ლემუქურის ტიპისაში ასიმილაციით — -ნV-ს (რი-თაც იგი ე მ თ ხ ვ ე ე ა ისტორიულად ა მ ო ს ა ე ა ლ \*-ნV-ს).

ამდენად, დღევანდელი ატრიბუტიული ბრუნება, მართალია, მისდევს სათანადო ჩვენებით ნაცვალსახელთა ბრუნებას, მაგრამ თვით ჩვენებით ნაცვალ-სახელთა ბრუნება ყოფილა ნარჩევი ( და აქედან გადმოსულა ატრიბუტივებში ), სადაც მხ. რიცხვში წარმოჩენილი საერცობები წარმოშობით -ნV- რიგის დეტერმინანტ-სუფიქსებია, ხოლო მრ. რიცხვისა — -რV- რიგისა.

I.5. ს ო ნ ო რ თ ა ნ ხ მ ო ვ ნ ე ბ ზ ე დ ა ბ ო -  
 ლ ო ე ბ უ ლ ს ა ხ ე ლ თ ა ბ რ უ ნ ე ბ ა

იმის მიხედვით, თუ რომელ სონორზე ბოლოვდება ფუძე, უმეტეს შემთხვევაში შეიძლება ამ სახელის ძირითადი ფორმების განსაზღვრა. სახელდობრ: -დანუ-; -ლუ-, -ლ-ა- ძირითად ფორმებს აწარმოებს ლ-ზე დაბოლოებულ სახელთაგან: ლიარალ „წვიმა“, ყილ „ფუფხი“, წილ „ყინული“, თხარალ „საგარცხელი“, კილ „რიკტაფელა“ ... .

ლ-ზე დაბოლოებულ სახელთაგან ორი ძირითადი ფორმებს განსხვავებულად აწარმოებს: ფხალ „ბოსელი“ ( ფხალ-ნი-; ფხალ-ლუ, ფხალ-ლ-ა- ), პრალ

„არშია“ ( ჰრალ-უნნა-; ჰრალ-ლუ, ჰრალ-ლ-ა ).

-დალუ-; -ნუ, -ნ-ა- ძირითად ფორმებს აწარმოებს ნ-ზე დაბოლოებული სახელთაგან; კალან „თადი“, სხან „წინა თათი“, უხჭინ „კალთა“, ფჭრუნ „მინა“, ლაჩინ „შეხარდენი“, ქუთან „გუთანი“, ყან „სული“, „ჯანი“<sup>1</sup>...

ნ-ზე დაბოლოებულ ორ სახელს ძირითად ფორმათა პარალელური წარმოება ახასიათებს:

ყუნ „დიდი ქვა“: ყუნ-დალუ- || ყუნ-თხ-უ-; ყუნ-ნუ || ყუნ-თხუ, ყუნ-ნ-ა- || ყუნ-თხ-ა- ;

ხხარყან „ხანჯალი“: მრ. რიცხვი — ხხარყან-ნუ || ხხარყან-თ, ხხარყან-ნ-ა- || ხხარყან-თ-რ-ა-<sup>2</sup>.

განსხვავებულად ეწარმოებათ ძირითადი ფორმები სახელებს; კაზან „მკერდი“ ( მხ. რ.: კაზამ-რ-ა- ), შან „მთის დაქანების ჩრდილოდანი მხარე“ ( მხ.რ.: შან-ნ-ი- ), ჩხან „ფეხი“ ( მხ.რ.: ჩხან-ნ-ა- ), შხან „სპირტიანი სასმელი“ ( შხან-თხ-ი-, შხან-თხუ, შხან-თხ-ა- ).

-დანუ-; -დუ, -და- ძირითად ფორმებს აწარმოებს რ-ზე დაბოლოებული ნასესხები სახელებისაგან, როგორცაა: ჩადარ „ქადაღდი“, „წერილი“, ახტარ „ეზო“, ხატარ „ამბავი“, ქაჩარ „შაქარი“, ჩინარ „ჭადარი“, ააღურ „ულაჟ“, უანატარ „მხეცი“, უიგარ „შიგნელი“ ...

რამდენიმე დადესტნური წარმომავლობის რ-ზე დაბოლოებული სახელი ძირითად ფორმებს ასე აწარმოებს: თხარ „წიწვიანი ხე“ ( თხარ-ლ-ი-; თხარ-დუ, თხარ-და- ), თურ „მახილი“ ( თურ-ლ-ი-; თურ-დუ, თურ-და- ), ჰურ „ტბა“ ( ბურ-ნ-ი-; ბურ-დუ, ბურ-და- ), ჩხარ „ღეწვა“ ( ჩხარ-ნ-ი-; ჩხარ-დუ, ჩხარ-და- ), შხარ „სოფელი“ ( შხარ-ნ-ი-; შხარ-ჰუ, შხარ-ჰ-ა- ).

**1.6. ბ რ უ ნ ე ბ ა ფ უ ძ ი ს შ ი ნ ა გ ა ნ  
ხ მ ო ც ა ნ თ ა ფ ლ ე ქ ს ი ი თ**

ლაკურში გვხვდება „მცირე შემთხვევა, როცა მარცხლის გამოვლინებასთან ერთად ფუძის დრეკადობაც ხდება“ ([24], გვ. 821; ხაზი ჩიენია - გ.ბ.).

ამგვარი შემთხვევები ჯერ კიდევ პ. უსლარს აქვს გამოვლენილი ([146], გვ. 19). ამასვე ადნიშნავს ლ. ჟირკოვი ([115], გვ. 81) პ. უსლარისკიულ მასალაზე დაყრდნობით. ისე კი ფაქტობრივი მასალა მეტია, ვიდრე ადნიშნულ მონოგრაფიებში ([8], გვ. 180-184; [164], გვ. 92-98; [68], გვ. 98-99).

ლ. ჟირკოვი ხმოვანთა ფლექსიასთან ერთად თანხმოვანთა მონაცვლეობასაც იხილავს; თანხმოვანთა მონაცვლეობა გათანაბრებულა ხმოვანთა მონაცვლეობასთან ([115], გვ. 81). თანხმოვანთა ფლექსია ლაკურისათვის არაა

- 1 განსხვავებულია ენა „დემონი“ სახელის ძირითადი ფორმები: ენ-დალუ-; ენ-ფრი, ენ-ფრ-ა- ( -ფრი < \*რდი- < \*-რდუ ! ).
- 2 ანალოგიური ფორმები დასტურდება ასლან „ლომი“ სიტყვისათვის მრ. რიცხვი: ასლან-ნუ || ასლან-თ, ასლან-ნ-ა- || ასლან-თ-რ-ა- ([148], გვ. 86).

დამახასიათებელი<sup>1</sup>. იქ, სადაც ეს უკანასკნელი დასტურდება, წმინდა ფონეტიკურ ნიადაგზე იხსნება — იგი პალატალიზაციის შედეგია. რა თქმა უნდა, ხმოვანთა ფლექსიაც ისტორიულად ფონეტიკურ ნიადაგზეა წარმოქმნილი (ამის თაობაზე გამოწვლილვით ქვემოთ), მაგრამ მას ა დ წ ე რ ი ს დონეზე მ ო რ ფ ო ლ ო გ ი უ რ ი დატვირთვა აქვს — პირდაპირ და ირიბ ბრუნვათა ფუძე ერთმანეთისაგან შინაგანი ხმოვნის ფლექსიის მეშვეობით განსხვავდება. ამიტომაცაა, რომ იქ, სადაც შინაგანი ხმოვნის ფლექსიაა, უმეტეს შემთხვევაში, საცრვობი არ გამოიყენება და პირუკუ. ნათლად ჩანს ეს სამიოდე სახელთან, რომელთაც ირიბ ბრუნვათა პარალელური ფორმები ეწარმოებათ:

კარას „კადი“ — ირიბ ბრუნვათა ფუძე მხ. რიცხვში: კურსხ-უ-  
 კხარქი „ნაპირი“ „ კხურქხი-ა-ა-  
 ზიანჩი „თოვლის ზვადი“ „ ზუნჩი-ა-

შდრ. სათანადო ირიბ ბრუნვათა ფუძეები მრ. რიცხვში:

კურსხ-უ-რდ-ი- || კარასხ-ირ-თხ-ა-  
 კხურქხი-ა-რდ-ი- || კხიარქხ-ურ-დ-  
 ზუნჩი-ა-რდ-ი- || ზიანჩი-ურ-დ-ი-

ცხადია, აბლაუტიკის საცრვობი არაა გამოყენებული, სამაგიეროდ, როცა საცრვობია, ფუძის შინაგანი ფლექსია არა გვაქვს.

ამდენად, საცრვობი და შინაგანი ხმოვნის ფლექსია ვარიანტებია იმ მორფოლოგიური ოდენობისა, რომელიც ლაკურში გამოყენებულია პირდაპირ და ირიბ ბრუნვათა ფუძის განსახსნავებლად.

რამდენიმე შემთხვევაა ზემოთ აღნიშნული წესის დარღვევისა, როცა შინაგანი ხმოვნის ფლექსიის გვერდით საცრვობიცა გვაქვს გამოყენებული:

ხ<sup>ა</sup>ხა „თოკი“, „ძარღვი“: ხ<sup>ა</sup>უ<sup>ა</sup>-თხ-ა-; ხ<sup>ა</sup>ხა-რუ, ხ<sup>ა</sup>უ<sup>ა</sup>-თხ-ა-რდ-ი-  
 ხაა „ხაზი“, „ვეწრო ზოლი“: ხ<sup>ა</sup>უ<sup>ა</sup>-თხ-ა-  
 კამა „სიმწარე“: კუნ-თხ-უ-  
 სიმი „აბრეშუმი“: სუნ-თხ-უ-  
 ქიარჭ „ლეკვი“: ქურჭ-უ-ლ-ი-; ქიარჭ-რუ, ქურჭ-უ-რდ-ი-  
 კაწ „კალია“: კუწ-უ-ლ-ი-; კაწ-რუ, კუწ-უ-რდ-ი-  
 შხა „ხაზი“: შუ<sup>ა</sup>-თხ-ა-  
 ბჭრი „ხბო“: ბურჩი-უ-ლ-ი-; ბჭრი-რუ, ბურჩი-უ-რდ-ი-<sup>2</sup>  
 კხააზ „ბატი“: კხუზ-უ-რ-ი-; კხააზ-რუ, კხუზ-უ-რდ-ი-

საგარაუდოა, რომ საცრვობს ასეთ შემთხვევებში ისტორიულად ს ხ ე ა მორფოლოგიური დანიშნულება ჰქონდა ( ზოგი ასეთი შემთხვევისათვის იხ. ქვემოთ — ძირითად ბრუნვათა ნიშნების გენეზისისას ).

1 ანალოგიური ვითარება ჩანს სვანურსა და მეგრულში, სადაც ხმოვანთმონაცვლეობა, როგორც გრამატიკული პროცესი, გვაქვს, თანხმოდანთმონაცვლეობა კი ამ ფუნქციით არც იქაა ([28], გვ. 62, 86).  
 2 ქიარჭ „ლეკვი“, ბჭრი „ხბო“ სახელების ირიბ ბრუნვათა საცრვობი -ლ- მიღებული ჩანს \*ლ-საგან ფუძისეულ ლ-სთან დისიმილაციით.

## II. უსაერცობო ბრუნება

უსაერცობო ბრუნებისას გამოიყოფა ს ა მ ი ქვეტიპი:

II.1. ფუძებოლოხმოგნიან სახელთა ბრუნება

II.2. ფუძებოლოხმოგნიან სახელთა ბრუნება

II.3. ბრუნება ფუძის შინაგან ხმოვანთა ფლექსიით

II.1. ფ უ ძ ე ბ ო ლ ო ხ მ ო გ ნ ი ა ნ ს ა ხ ე ლ თ ა  
ბ რ უ ნ ე ბ ა

ფუძებოლოხმოგნიან სახელთა ერთ ნაწილს მხ. რიცხვის ირიბ ბრუნებათა ჟუძეში დამაკავშირებელი ხმოვანი არა აქვს, მაგრამ მრ. რიცხვის ირიბ ბრუნებათა ფუძეში იგი უეჭველადაა.

-შ-; -რდუ, -რდ-ა- ძირითად ფორმებს აწარმოებს სახელთაგან: ხაა-რა „დერო“, ფარა „ნენცი“, ინი „ფქვილის გუნდა“, ხ~ზირი „ზღვა“, ბურჩუ „ტყავი“, ლამუ „ხიდი“, ზუნთუ „მთა“, ჩურთუ „კიბე“, სუ „ხარო“ ...

-რ-; -რი, -რ-ა- აწარმოებს ძირითად ფორმებს სახელებისაგან: ჩხით(უ) „კატა“, სხიხ~(უ) „თოჯინა“, თუქუ(უ) „ვირი“, ჰუქ(უ) „ჩოჩო-რი“, ლაჭ(ა) „ხორბალი“<sup>2</sup>, ჩიტ(უ) „მერცხალი“ ...

-ლ-; -ლთ, -ლთ-რ-ა- ძირითად ფორმებს აწარმოებს სახელებისაგან: ხააღუ „ობობა“, ბარზუ „არწივი“, ჩხიქუ „გუგული“, კააღუ „ჭილყვავი“, ინიეუუ „კირკიტა“ ...

-უ-; -რი, -რ-ა- ძირითად ფორმებს აწარმოებს ა ხმოვანზე დაბოლოებული ზოგი სახელისაგან: ყაა(ა) „ქუდი“, კაა(ა) „კოვზი“, კაა(ა) „ნიისკარტი“, ჰაა(ა) „ნირაბი“, კაა(ა) „ბურქი“ ...

-უ-; -რე, -ა- ძირითად ფორმებს აწარმოებს ზოგი ი-ზე დაბოლოებული სახელისაგან: მა(ი) „სახურავი“, ქა(ი) „კბილი“, წუ(ი) „კოცხი“, ჰა(ი) „ფოთლი“, შურა(ი) „ბაყაყი“, ჰა(ი) „ქათამი“ ...

რამდენიმე ფუძებოლოხმოგნიანი სახელი ძირითად ფორმებს აწარმოებს განსხვავებულად:

ჭირა „კედელი“: ჭირა-; ჭირ-თუ, ჭირ-თხ-ა-

ჩარუ „ქვა“: ჩარ-ი-; ჩარ-თუ, ჩარ-თხ-ა-

აათუ „ცხვრები“: აათ-ი-

წიუ „მარილი“: წი-ი-

II.2. ფ უ ძ ე ბ ო ლ ო თ ა ნ ხ მ ო გ ნ ი ა ნ ს ა ხ ე ლ თ ა  
ბ რ უ ნ ე ბ ა

-ა-; -რუ, -ა- ძირითად ფორმებს აწარმოებს სახელებისაგან: მჭა „ჭინჭარი“, ნიწ „თაფლი“, ნიწ „ხარი“, შრჭ „ბავშვი“, „ბიჭი“, „ნაშიერი“, წუბ „კარი“ ...

<sup>1</sup> ნიშნით აღვნიშნავთ, რომ ბრუნვის ნიშანი ფუძეს უშუალოდ დაერთვის.

<sup>2</sup> მრ. რიცხვის ფორმებში ყველგან ლაკ- ძირია.

<sup>3</sup> მსგავსად მხ. რიცხვის სახ. ბრუნვის ფორმისა, ხმოვანი არ იკვეცება არც მრ. რიცხვის სახელობითში, რაკა რიცხვის ფორმანტი ოდენ თანხმოვანია.

-ა-; -რუ, -ა-რდ-ი- ძირითად ფორმებს აწარმოებს სახელებისაგან: ნწხ „მდინარე“ (ირიბ ბრუნვებშია ნწხ-), ჩურხ „ტანი“, „აგებულება“ (ირიბ ბრუნვებშია ჩურხ-), ბურკ „ლორი“ (ირიბ ბრუნვებშია ბურკ-ა-).

-უ-; -რუ, -ა- ძირითად ფორმებს აწარმოებს ორიოდ სახელისაგან: ნუხ „გამოქვაბული“ (ირიბ ბრუნვებშია ნუხ-), უს „ფეხსაცმელი“ (ირიბ ბრუნვებშია უს-) ...

-უ-; -რუ, -უ- ძირითად ფორმებს აწარმოებს სახელებისაგან: ვით „შრატი“, ჰიჭხ „თხილი“ (ირიბ ბრუნვებშია ჰიჭხ-), ჩიმუს „ხახვი“, ჰიჭჩ „ვაშლი“ ...

ასევე უსაფრთხოდ იბრუნვის რამდენიმე სონორზე დაბოლოებული სახე-  
ლი:

-უ-; -ნუ, -ნ-ა- ძირითად ფორმებს აწარმოებს ზოგი ნ-ზე დაბოლო-  
ებული სახელისაგან: სუნ „ბზე“, ჭუნ „დრო“, კან „ცელი“, ჭუნ „კრილო-  
სანი“ ...

მხ. რიცხვის ირიბ ბრუნვათა ფუძეში ყველგან ამოსავალი ფუძისეული  
მ დაცულია: სუმ-უ-; ჭუმ-უ-; კამ-უ-; ჭუმ-უ-. თანაც, ბოლო სამ სახელს  
ირიბ ბრუნვათა ფორმები პარალელურად ეწარმოება: ჭუმ-უ- || ჭუნ-დალუ-;  
კამ-უ- || კან-დალუ-; ჭუმ-უ- || ჭუნ-დალუ-.

-უ-; -ლუ, -ლ-ა- ძირითად ფორმებს აწარმოებს ზოგი ლ-ზე დაბო-  
ლოებული სახელისაგან: ჩულ „გვერდი“, „მხარე“, დალ „ფაფარი“, კვრლ  
„სატყვილი“, შლ „ძობა“ (ოლონდ, მხ. რიცხვის ირიბ ბრუნვებში დამაკავ-  
შირებელი ხმოვანია -ღ-: შლ-ი-).

## II. მ. ბ რ უ ნ ე ბ ა ფ უ ძ ი ს შ ი ნ ა გ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ თ ა ფ ლ ე ქ ს ი ი თ

შინაგანი ხმოვნის ცვლების დროს ძირითადი ფორმები ასეთი კანონზო-  
მიერებითაა ნაწარმოები: მხ. რიცხვის სახ. ბრუნვის ფორმა საყრდენია  
მრ. რიცხვის სახ. ბრუნვის ფორმისა, ხოლო მხ. რიცხვის ირიბ ბრუნვათა ფუ-  
ძეს ეყრდნობა მრ. რიცხვის სათანადო ფუძე. ამ უკანასკნელს ემატება  
ირიბ ბრუნვათა მრ. რიცხვის ნიშანი -რდ- < \*-რდუ და დამაკავშირებელი  
ხმოვანი მრ. რიცხვში (სწორედ ეს ხმოვანია \*-რდუ > -რდ- მიზეზი).

ა) ა > უ ირიბ ბრუნვათა ფუძეში, როცა დამაკავშირებელი ხმოვანია

-ა- :

მარჩი „ქარი“: მურჩი-ა-; მარჩი-რუ, მურჩი-ა-რდ-ი-

თარწ „ბოძი“: თურწ-ა-; თარწ-რუ, თურწ-ა-რდ-ი-

ყანყ „სუნი“: ყუნყ-ა-; ყანყ-რუ, ყუნყ-ა-რდ-ი-

ბარჰ „ზურგი“: ბურჰ-ა-; ბარჰ-რუ, ბურჰ-ა-რდ-ი-

მარხ „შოლტი“: მურხ-ა-; მარხ-რუ, მურხ-ა-რდ-ი-

ბარკ „ფარი“: ბურკ-ა-; ბარკ-რუ, ბურკ-ა-რდ-ი-

თარკ „ძვალი“: თურკ-ა- < \*თურკ-ა-; თარკ-რუ, თურკ-ა-რდ-ი-

< \*თჳრჳ-ა-რდ-ი-1

თჳარხ~ „ჯოხი“: თჳრჳმ-ა- < \*თჳრჳხ~ -ა-; თჳარხ~ -რჳ, თჳრჳმ-ა-რდ-ი-

< \*თჳრჳხ~ -ა-რდ-ი-

მავ „რკინა“: მჳხჳ-ა-; მახ-რჳ, მჳხჳ-ა-რდ-ი-

მავ „ნარმა“: მჳჳ-ა-

ნახ~ი „ბზე“: ნჳხ~ჳჳ-ა-

მავ „ცრემლი“: მჳჳ-ა-

ლავ „მტვერი“, „ნაცარი“: ლჳხჳ-ა-

მარჳჳ „ნაფენი სახლის სახურავის ქვეშ“: მჳრჳჳ-ა-

ქიჳჳ „კორდი“, „ბუსნო“: ქჳჳსჳ-ა- ( < \*ქიჳჳსჳ-ა-)

ქიჳჳ „ბლუჯა“, „ილია“: ქჳჳ-ა-

კჳჳჳ „ცური“: კჳჳრჳ-ა-

კჳჳჳ „ძნა“: კჳჳ-ა- ( < \*კჳჳჳ-ა-)

მჳრ „ლურსმანი“: მჳრჳ-ა-

ბ) ა > უ ირიბ ბრუნვათა ფუძეში, როცა დამაკავშირებელი ხმოვანია -ი-:

ქიჳრჳჳ „სიზარმაცე“: ქჳრჳჳ-ი-

ბარჳ „მგელი“: ბჳრჳ-ი-; ბარჳ-რჳ, ბჳრჳ-უ-რდ-ი-<sup>2</sup>

ბარდ „მზე“: ბჳრდ-ი-; ბარდ-რჳ, ბჳრდ-უ-რდ-ი-

გ) ა > უ ირიბ ბრუნვათა ფუძეში, როცა დამაკავშირებელი ხმოვანია -უ-:

მავ „სიტყვა“: მჳჳჳ-უ-; მავ-რჳ, მჳჳჳ-უ-რთჳ-ი-

კჳჳჳ „ქუმელის გუნდა“: კჳჳჳსჳ-უ-; კჳჳსჳ-რჳ, კჳჳჳსჳ-უ-რდ-ი-

1 მართალია, ამ და ანალოგიურ შემთხვევებში ხმოვანთა მონაცვლეობასთან ერთად მიუთითებენ თანხმოვანთა მონაცვლეობაზეც ([115], გვ. 81), მაგრამ ეს უკანასკნელი პოზიციური ხასიათისაა: ა რ ა ლ ა ბ ი ა ლ ი ზ ე ბ უ- ლ ი წინაგველარული თანხმონები ლაკურში ა და ი ხმოვანთა წინ, ჩვეულებრივ, პალატალიზაციის პროცესს ექვემდებარებიან. სახელდობრ: ჳ > ჳ, ქ > ჩ, კ > ჳ, ქჳ > ჩჳ, ხ~ > შ, ხ~ > შჳ; ნ. ტრუბეცკოიმ ხ~ > შ, ხ~ჳ > შჳ გადასვლათა მაგალითზე პირველმა შენიშნა „ლაკურის საერთო მიდრეკილება, რომ ა და ი ხმოვნების წინ არალაბიალური გე- ლარები შეცვალოს შიშინა ბგერებით“ ([178], გვ. 191).

სხვა საკითხია, რატომ ხდება პალატალიზაცია ა ხმოვნის წინ. აქ ორი მომენტია გასათვალისწინებელი: 1. ლაკურს არა აქვს ფონემატური ღირებულების ე და, ამდენად, მის ადგილს ლაკურის ფონემატური სისტემაში გარკვეულწილად ა იკავებს. 2. ა-ს ლაკურში ზოგჯერ იოტაცია ახლავს ხოლმე, შემართვიანია (ჩვენ ორიოდ სიტყვა ასეც მოგვისმენია: სოჳდა- ჟჳარ < \*სოჳდაგჳარ „სოვდაგარი“; ჟჳამ < \*გჳამ „გემი“, შდრ. დარგ. გამი, ხუნძ. გამა „გემი“).

2 პ.უსლარი იცნობს ბჳრჳ-ი-რდ-ი- ფორმას ([146], გვ. 251); შდრ. მხ. რიცხვის ირიბ ბრუნვათა ფუძე ბჳრჳ-ი-.

3 მრ. რიცხვის ფორმებს პ.უსლარი არ იცნობს ([146], გვ. 250). აქ მოყვანილი ფორმები სხვა ფორმათა ანალოგიით ჩანს ნაწარმოები.

ცხატ „ასკილი“: ცხუცხ-უ-; ცხაც-რუ, ცხუცხ-უ-<sup>1</sup>

კლამ „ნახშირი“: კულშ-უ-

კანაკ „ასკილი“ (ნაყოფი): კუნკ-უ-<sup>2</sup>

მაქა „მერქანი“: მუქხ-უ-

ყველა ასეთ შემთხვევაში ხმოვანთა მონაცვლეობა ძ ი რ ი თ ა დ ი ა და რ ე ლ ე ვ ა ნ ტ უ რ ი — ხმოვანთა შინაგანი ფლექსიის ფუნქციური მნიშვნელობა წინაა წამოწეული მაშინ, როცა ზემოთ ჩამოთვლილ რამდენსამე ნიმუშში (გვ.66) ძირითად და ირიბ ბრუნვათა დაპირისპირება -თხ- და -ლ- საგრძობთა მეშვეობით ხდება და, მაშასადამე, ხმოვანთა შინაგანი ფლექსია ოდენ მათი თ ა ნ მ ბ ლ ე ბ ი პროცესი ჩანს.

სახოგადოდ კი აღნიშნული შინაგან ხმოვანთა ფლექსია ლაკურის არსებით სახელებში წარმოშობით წარმოადგენს ფონეტიკურ, პოზიციურად შეპირობებულ ხმოვანთა მონაცვლეობას. სახელდობრ:

I. დამაკავშირებელ უ ხმოვანთან ასიმილაციის ნიადაგზე ირიბ ბრუნვათა ფუძეში ფუძისეული ა > უ ( ჳ > უ ) :

1. კამა „სიმწარი“: კუნ-თხ-უ- < \*კან-თხ-უ-
2. ბჭრი „ხბო“: ბჭრ-უ-ლ-ი- < \*ბჭრ-უ-ლ-ი-
3. კაწ „კალია“: კუწ-უ-ლ-ი- < \*კაწ-უ-ლ-ი-
4. მაც „სიტყვა“: მუცხ-უ- < \*მაცხ-უ-
5. კვჯს „ქუმელის გუნდა“: კვჭს-უ- < \*კვჯს-უ-
6. ცხატ „ასკილი“: ცხუცხ-უ- < \*ცხაცხ-უ-
7. კლამ „ნახშირი“: კულშ-უ- < \*კალშ-უ- < \*კალამშ-უ-
8. კარას „კავი“: კურსხ-უ- < კარსხ-უ- < \*კარასხ-უ-
9. კანაკ „ასკილი“ (ნაყოფი): კუნკ-უ- < \*კანკ-უ- < \*კანაკ-უ-
10. ქაღჭ „ლეცი“: ქურჭ-უ-ლ-ი- < \*ქაღჭ-უ-ლ-ი-<sup>4</sup>
11. კვაძხ „ბატი“: კვუხ-უ-რ-ი- < \*კვაძხ-უ-რ-ი-<sup>4</sup>
12. მაქა „მერქანი“, „კვარი“: მუქხ-უ- < \*მაქხ-უ-<sup>4</sup>

II. ამოსავალ ლაბიალიზებულ თანხმოვანთან ასიმილაციის შედეგად ირიბ ბრუნვათა ფუძეში ფუძისეული ა > უ ( ჳ > უ ) :

1. კვაძარ „ცური“: კვურ-ა- < \*კვაძურ-ა- < \*კვაძარ-ა-<sup>5</sup>; შდრ. არჩ. კჟალ, ხუნძ. ლჟარი იმავე მნიშვნელობით.

1 ვიცხიურში მრ. რიცხვშია ცხუცხ-უ-რდ-ი ([146], გვ. 878).

2 გამოთქმაში კუნკულ ტუტი „მთის ვარდი“, ზედმიწვ. „ასკილის ყვავილი“ ([68], გვ. 99).

3 ასეთივე ვითარება დასტურდება სიმი „აბრეშუმი“ სახელთანაც, რომლის ირიბ ბრუნვათა ფუძეში ძირისეულ უ ხმოვანს იმსგავსებს დამაკავშირებელი -უ-: სუნ-თხ-უ- < \*სინ-თხ-უ- < \*სიმი-თხ-უ-.

4 აღნიშნულ ლექსეებში ა/ უ მონაცვლეობის მიზეზი, შესაძლოა, ლაბიალიზებული ქა, ქვა, კვა თანხმოვნების დელაბიალიზაცია იყოს.

5 კვურ-ა- ფუძეში \*კვა დელაბიალიზებულია უ-ის წინ — დისიმილაციის შედეგად. ანალოგიური ვითარება დასტურდება, მაგალითად, ანდიურში ([50], გვ. 79).

2. ქიარჭ „სიზარმაცე“: ქურჭ-ი- < \*ქურჭ-ი- < \*ქიარჭ-ი-<sup>1</sup>

8. ნახ~ „ზხე“: ნუხ~ში-ა- < \*ნახ~ში-ა-; შდრ. დარგ. ნიქტი (კუბ.), ხუნდ. ნაქუუ, ანდ. ნიქუუ, ახვან. ნიხ~ო, არჩ. ნახტი, ლეზგ. ნალტი, თაბ. ნაქტი და ა.შ. იმავე მნიშვნელობით.

4. ქიატის „კორდი“, „ბუსნო“: ქუს-ა- < \*ქიუს-ა- < \*ქიუსა-ა- < \*ქიას-ა-<sup>2</sup>

5. მარხ~ „შოლტი“: მურხ~-ა- < \*მურხ~-ა- < \*მარხ~-ა-<sup>3</sup>

6. ბარკ „ფარი“: ბურკ-ა- < \*ბურკ-ა- < \*ბარკ-ა-; შდრ. დარგ. ბარკ < \*ბარკი, ხუნდ. ბუტ < \*ბუტ < \*ბატ'ტი „ფარი“<sup>4</sup>.

7. ქიანწ „ბლუჯა“, „ილია“: ქუწ-ა- < \*ქიუწ-ა- < \*ქიანწ-ა-; შდრ. დარგ. ქტიწ (მეჭებური დიალექტისა: [I24], გვ.405), ხუნდ. ქტიარწი, არჩ. ქტიწი „თაიგული“.

8. ქიარქი „ნაპირი“: ქურქი-ა- < \*ქიურქი-ა- < \*ქიარქი-ა-.

9. კვატი „ძნა“: კვა-ა- < \*კვა-ა- < \*კვა-ა- < \*კვა-ა- < \*კვა-ა-; შდრ. არჩ. კვაბ „ძნა“.

10. ლახ „ნაცარი“, „მტვერი“: ლუხ-ა- < \*ლუხ-ა- < \*ლახ-ა- < \*ლახ-ა-; შდრ. ლეზგ. რუტ (ერგ. რუტიედი), ხუნდ. რაქუუ „ნაცარი“, „მტვერი“<sup>5</sup>.

11. მარჩი „ქარი“: მურჩი-ა- < \*მარჩი-ა-; შდრ. ბაგვ. მურ(ტი), ჭამ. მუშ(ტი) „ქარი“. \*ჩი-ის კვალი უ, უ ხმოვნების სახით ჩანს ანდ. მორჩი, ხუნდ. მურ(ჭური), ბოთლიხ., ლოდ., ტინდ., კარ. მურჩუ, უდ. მუშ „ქარი“ ფორმებში<sup>6</sup>.

12. მარკი „ნაფენი სახლის სახურავის ქვეშ“: მურკ-ა- < \*მარკ-ა-.

13. შხია „ხაზი“: შხუ-თ-ა- < \*შხი-თ-ა- < \*შხი-თ-ა-

14. ხხია „ხაზი“, „ვიწრო ზოლი“: ხხუ-თ-ა- < \*ხხი-თ-ა- < \*ხხი-თ-ა-

15. ხ~ხია „თოკი“, „ძარღვი“: ხ~ხუ-თ-ა- < \*ხ~ხი-თ-ა- < \*ხ~ხი-თ-ა-

16. ბარღ „მზე“: ბურღ-ი- < \*ბურღ-ი- < \*ბარღ-ი-; შდრ. დარგ.

1 ქურჭ-ი- ფუძეში \*ქი დედაბიალიზებულია უ-ის წინ — დისიმილაციის შედეგად.

2 აქ აღდგენილი ფორმის რეალობაზე სამწერლობო ენაში მიუთითებს ს.ხაიდაყოვი ([I50], გვ. I18).

3 ხ~ი ლაბიალიზებული თუ არ იქნებოდა, იგი უსათუოდ შ-ს მოგვეცემდა.

4 ამოსავალი \*ტ' ლაბიალიზებული უნდა ყოფილიყო (\*ტ'ი), სხვა შემთხვევაში მისი შესატყვისი ლაკური კ უნდა გადასულიყო ჭ-ში.

დარგული მასალა ლაკურისას დაუკავშირა ნ.ტრუბეცკოიმ [I78], ხოლო ლაკურისა — ხუნძურს ი.ცერცვაძემ [58].

5 ლექსემათა შედარება ბ.გიგინეიშვილისა ([I07], გვ. I86).

6 ლაკური, ხუნძური და უდიური ენების სათანადო მასალა ერთმანეთს დაუკავშირა ბ.გიგინეიშვილმა ([I07], გვ. 92), ხოლო ხუნძურ-ანდიურ ენათა — ტ.გუდავამ ([I10], გვ. 94).

ბეგეძალა (კუბ.)<sup>1</sup>, აგრეთვე: ხუნძ. ბაყ < \*ბაყლ „მზე“, ბაყტიზე „მზე - ზე ხმობა“ (ზედმიწ. „გამზვევება“), კაპ. ბლტ, დიდ. ბუტ (რომლებშიაც ლ, უ, შესაძლოა, ამოსავალი \*კე-ის რეფლექსებია) „მზე“ ... ძველი ქართულის ბლუარ < \*ბე-ლუ-არ || \*ბა-ლუ-არ, სადაც ძირეული მორფემებია ლუ < \*ლო < \*ლუა<sup>2</sup>.

17. მაყ „ყრემლი“: მუყ-ა- < \*მუყი-ა- < \*მაყი-ა-; შდრ. დარგ. ნელტი (კუბ.), დიდ. მოტი < \*მოყტი<sup>3</sup>, ხვარშ. მუყუ, ჰინ., ჰუნზ. მოყუ, კაპ. მაყი „ყრემლი“. ლაბიალიზებულია ლეზგიურ ენათა სათანადო ძირეულმორფემიანი ლექსემებიც: ლეზგ., რუთ., ნაღტი, თაბ. ნიტილ < \*ნიღტი, არჩ. ნაბტ < \*ნატიტ < \*ნატიტი „ყრემლი“ და სხვ.

18. მვრ „ლურსმანი“: მწრ-ა- < \*მწრყი-ა- < \*მარყი-ა-; შდრ. დარგ. ცუბულ (ახუშ.), ყტიპაშულ (ურახ.), ღამულ (ხაიდ.) „ლურსმანი“, რომელთა ამოსავალ ფორმებად აღადგენენ \*ყტიპაშულ, \*ყტიპაშულ ვარიანტებს ([I05], გვ. 274). შდრ., აგრეთვე: არჩ. მარყტი „ლურსმანი“, კაპ. მუყუ „სოლი“, „ლურსმანი“. ჩანს, ლაკურში \*ყი-ის კვალი შემოგვრჩა უ-ის ფარინგალიზაციის სახით, ხოლო შემდეგ უ > ჯ — შედეგია იმავე \*ყი-ის ოდინდელი ლაბიალიზაციისა<sup>4</sup>.

1 კუბაჩურის ფორმა, აქ და ქვემოთ, დამოწმებულია ([I24]) შრომიდან.

2 აქ მოყვანილი მასალის ერთობა (ასევე ზოგი სხვა ენისაც) აჩვენა არნ. ჩიქობავამ ([40], გვ. 67-68).

3 ჩანს, ლაკურში შემონახულია ამოსავალი \*ყი ძირეული მორფემის დელაბიალიზებული ვარიანტი, დიდოურში კი — \*ყი-ის რეფლექსი ტი. ანალოგიურ ცვლილებებს ვადასტურებთ ზოგჯერ თვით ლაკურშიც. მაგ., ბალხარულში, ს.ხაიდაყოვის მიერ ჩაწერილი მასალის მიხედვით ([150], გვ. 220), გვხვდება: აჰ, ილ ბაზი-ბაზუ ზაჰა ლატიბუჰა „... შენი სხეულის ნაწილები, დაე, დალპეს!“; დაშინ ზაჰა ლარი თხულ მუსილ ჭირმე „... ტყუილუბრალოდ ჩაიარა ჩემმა ოქროს სიცოცხლემ“. სალიტ. ლაკურში ლატიბუჰა, ლარი ფორმათა ნაცვლადაა ლაგირიჰუჰა, ლაგირი. ლატიბუჰა ფორმაში ტი ლაბიალიზებული გე-ის რეფლექსია, ხოლო ლარი ფორმაში ეს ტი-ც დაკარგულა, რის შედეგად წინამავალი უ ხმოვანია დაგრძელებული. ბალხარელი მ. ყალანდაროვის ცნობით, ასეთივე ვითარებაა სხვა შემთხვევებშიც: ტიანზს (შდრ. სალიტ. გიანზსაჰა) „სქელი“, (გ)ტიურტი (შდრ. სალიტ. გურგია < \*გიურგია < \*გიარგია) „მრგვალი პური“, ზუ ტიხ ლჷჰან ბურუ „ჩვენ შენ დაგეძებთ“, სადაც ლჷჰან < \*ლუჷჰან < \*ლუგიაჰან (შდრ. სალიტ. ლუგიაჰან) „ძებნა“ ... ეს გვაგონებს აფხაზურის ანალოგიურ ვითარებას, როცა ამოსავალი \*წი ერთგან იძლევა წ-ს, ხოლო სხვა დიალექტში — ტი-ს ([82], გვ. 32-33).

4 მაშასადამე, ლაკურში \*ყი > ჯ, ოღონდ, მისი რეფლექსებია — ერთგან ფარინგალიზაცია ხმოვნისა, ხოლო მეორეგან — უ > ჯ.

ლაკურისათვის აღადგენენ \*მაარ ([I07], გვ. I08), \*მარჰჰ ფორმებსაც და მას უდარებენ ხუნძ. მაშ „ლურსმანს“ ([75], გვ. 78). ს.ხაიდაყოვის აზრით კი ლაკ. მწრ, ისევე როგორც ხუნძ. მაშ „ლურსმანი“, ნასესხებია ([154], გვ. 52), რაც რეალურ ვითარებას არ უნდა შეესაბამებოდეს.

19. ბარწ „მგელი“: ბურწ-ი- < \*ბურწი-ი- < \*ბარწი-ი-

მართალია, ლაბიალური წ (წი) „მგლის“ აღმნიშვნელ ლექსემაში არც ერთს იმ ენაში არა ჩანს, სადაც სათანადო წარმომავლობის ფუძე დასტურდება, მაგრამ დიდ. ბოწი, ხვარშ. ბოწა (ინხოყც. ბოწო), ჰინ. ბოწე, კაპ. ბაწო „მგელი“ ფუძეებში ლ-ს წარმოჩენა ბადებს ვარაუდს, ხომ არაა იგი რეფლექსი მოსალოდნელი \*წი ბგერისა?

III. შესაძლოა, ირიბ ბრუნვათა ფუძეში ამოსავალმა ხმოვანმა იჩინოს თავი, როცა სახელობითში ხმოვანია ცვლილი:

I. წუ „ცეცხლი“, „ალი“: წარ-ა-; შდრ. ანდ., ბოთლის., ბაგვ., კარ., ტინდ. წაჲ < \*წარ, ახვახ. ჭარი < \*წარი, უდ. არ-უხ < \*წარ-უხ იმავე მნიშვნელობით.

2. ფა „მახათი“: ფაურ-დ-უ- < \*ბურ-დ-უ; შდრ. დარგ. ბურება, ხუნძ. ჭებუ იმავე მნიშვნელობით.

მ. ხაულუ „თივა“: ხაულ-ა-; შდრ. ლაკურის ზოგ დიალექტში დადასტურებული ხაულა „თივა“ ([154], გვ. 68), აგრეთვე: ხუნძ. ხაერ „თივა“, რომლის ფუძისეული ე ხმოვანი მიღებულია ა-საგან — ხაერ < \*ხარ (შდრ. ნათ. ბრ.: ხარ-ი-ლ; მრ. რიცხვის სახ. ბრ.: ხაურ-დულ < ხარ-დულ, სადაც -დულ მორფემისეულ უ-ს სრულად დაუმსგავსებია ფუძისეული ა).

მართალია, ყველა დანარჩენი (განუხილველი) შემთხვევის თაობაზე ანალოგიური მსჯელობა ჭირს, მაგრამ განალიზებული მაგალითები მოწმობენ ზემოთ გამოთქმული დებულების მართლზომიერებას: შინაგან ხმოვანთა ფლექსიის მეშვეობით პირდაპირ და ირიბ ბრუნვათა დაპირისპირება მეორეულია — შედეგი კომბინატორული ცვლილებებისა<sup>1</sup>.

§ 10. ნაწარმოებ სახელთა ბრუნება. ნაწარმოებ სახელთა ბრუნებისას გარკვეული კანონზომიერებაა — ამა თუ იმ სუფიქსით ნაწარმოებ სახელს ძირითადი ფორმები ერთნაირად ეწარმოება, თუ, რასაც გირველია, ასეთი სახელი ერთსა და იმავე გრ. კლასს განეკუთვნება ([7], გვ. 46). აქაც ბრუნების ორი ტიპია გამოსაყოფი:

I. საგრცობიანი ბრუნება

II. უსაგრცობო ბრუნება

I. ს ა გ რ ც ო ბ ი ა ნ ი ბ რ უ ნ ე ბ ა

-რ-ი- აწარმოებს ძირითად ფორმებს -აჭუ სუფიქსიან ნაზმნარ სახელთაგან<sup>2</sup>: ბ-უც-აჭ(უ) „მოყვანა“ (შდრ. ბ-უცინ „მოყვანა“), ლას-აჭ(უ) „აღება“ (შდრ. ლასუნ „აღება“) და მისთანანი.

<sup>1</sup> ამდენად, ზემოთ განალიზებული მასალის თანახმად ჭირს გაზიარება ინდო-ევროპულ ენათა მასალის მიხედვით ფ. დე სოსიურის მიერ წამოყენებული ცნობილი ზოგადი დებულებისა „ხმოვანთმონაცველობის მკაცრი გრამატიკული ბუნების შესახებ“ ([142], გვ. 193), რომელიც ყველაზე უფრო თანმიმდევრულადაა გაშუქებული ე.კურტილოვიჩის შრომებში (ამის თაობაზე: [148], გვ. 226).

<sup>2</sup> საილუსტრაციო მასალა ([37]; <sub>1</sub>[151]; [70]) ნაშრომებიდანაა.

ამავე საერცობითაა ნაწარმოები. -შატი(უ) სუფიქსიან სახელთა ძირითადი ფორმები: ხუტი-შატი(უ) „გამარჯვება“ (შდრ. ხუტი ხუნ „გამარჯვება“), კინ-შატი(უ) „გამოჯანმრთელება“ (შდრ. კინ ხუნ „გამოჯანმრთელება“)...

-რ-უ- აწარმოებს ძირითად ფორმებს -შიტი(უ) აფიქსიან აბსტრაქტულ სახელთაგან: მარწ-შიტი(უ) „სისუფთავე“ (შდრ. მარწსა „სუფთა“), შრჭ-შიტი(უ) „ბავშვობა“ (შდრ. შრჭ „ბავშვი“) და სხვ.

-ატიუ, -შატიუ, -შიტიუ სუფიქსებით ნაწარმოებ სახელებს, როგორც წესი, მრ. რიცხვის ფორმები არ გააჩნია, თუმცა ზოგჯერ თარგმნილ ლიტერატურაში ისინი დასტურდება:

გაჩნდა დამატებითი ცინზრდაგუ ზაჰმათ-შიტიუ-რთუ დუჰლა ბიტქსარ „მათ ომის ყველა სიძნელები გადაიტანეს“.

-რ-ა-; -ი-რთ-ა-; -რუ ძირითად ფორმებს აწარმოებს -ლუ სუფიქსიანი აბსტრაქტული სახელებისაგან: ხან-ლუ „ხანობა“ (შდრ. ხან „ხანი“) შად-ლუ „სიმხიარულე“ (შდრ. შად-სა „მხიარული“) ...

-ლ-უ-; -რდუ, -რდ-ა- გამოყენებულია ძირითად ფორმათა საერცობ ელემენტებად ისეთ ნაზმნარ სახელებთან, რომლებიც ნაწარმოებია:

ა) -უ სუფიქსით: ბ-იხ-უ „სასაკლაო“ (შდრ. ბ-იხ-ხან „დაკვლა“), ბახჩ-უ „დაბრკობა“ (შდრ. ბახჩინ „შეფერხება“, „შეშლა“) ...

ბ) -ნლა სუფიქსით: უჩ-ნლა „ანდაზა“ (შდრ. უჩინ „თქმა“), ბუს-ნლა „ამბავი“ (შდრ. ბუსან „მოყოლა“) ...

გ) -რა, -რუ სუფიქსებით: დუქ-რა „საჭმელი“ (შდრ. დუქიან „ჭამა“), ჩირ-რუ „ჩინაწერი“ (შდრ. ჩირინ „წერა“), ლულუ-რუ „ჭუჭყი“ (შდრ. ლულუთინ „დასვრა“) ...

დ) -ანნუ სუფიქსით: დულანნუ „კოსმეტიკა“ (შდრ. დულან „გასვრა“, „წასმა“), ფარხ-ანნუ „სილუეტი“ (შდრ. ფარხ „აფეთქება“), ფარ-ანნუ „ელვა“ (შდრ. ფარ უჩინ „გაბრწყინება“) ...

ეს საერცობებია გამოყენებული, აგრეთვე, -ხანა სუფიქსით ნაწარმოებ სახელებთან: ჩა-ხანა „სარაიე“ (შდრ. ჩა „რაი“), აზარ-ხანა „საავადმყოფო“ (შდრ. აზარ „ავადმყოფობა“) ...

-ლ-უ-; -რთუ, -რთ-ა- ძირითად ფორმებს აწარმოებს -იჰა სუფიქსიანი ორიოდ სახელისაგან: ლახ-იჰა „ტანსაცმელი“ (შდრ. ლახინ „რაც-მა“), დუქ-იჰა „საკვები“ (შდრ. დუქიან „ჭამა“) ...

-ლ-ი-; -ლუ, -ლ-ა- აწარმოებს ძირითად ფორმებს -ალუ სუფიქსიან სახელთაგან: ურჭახ-ალ(უ) „მარჯვენა მხარე“ (შდრ. ურჭახ „მარჯვნივ“), ჰათ-ალ(უ) „სასაფლაო“, ხულუხ-ალ(უ) „ჭიშკრის წინ მდებარე ქუჩის ნაწილი“ (შდრ. ხულუხ „ჭიშკრის იქით“) <sup>1</sup> ...

-ლ-უ-; -უ, -ა- <sup>2</sup> ძირითად ფორმებს -ი სუფიქსიანი რამდენიმე სახე-

1 ჰარა-ალუ „წისკვილი“ (შდრ. ჰარა-ზუ „მეწისკვილე“) -ალუ სუფიქსითაა ნაწარმოები, მაგრამ საერცობად -ლ- ელემენტის ნაცვლად -თ- აქვს წარმოდგენილი; ასევე მრ. რიცხვის -ლუ-ს ცვლის -თ-. ორივეგან ამოსავალია \*რV ვარიანტიანი მორფემა (ამის თაობაზე ქვემოთ).

2 მრ. რიცხვის ფორმებში -ი სუფიქსი რედუცირდება -ა- ხმოვნის წინ.

ლისაგან აწარმოებს: ხზარტ-ი „სამურველი“ (ზღრ. ხზარტ ბან „აფხეკა“),  
წარწ-ი „ნამსხვრევი“ (ზღრ. წარწან „გაფხაჭანა“), კულმ-ი < \*კულმ-ი  
„შეგნება“ (ზღრ. კულ ხუნ „გაგება“) ...

-ლ-უ-; -ლ-ი-ჟი, -ლ-ა- აწარმოებს ძირითად ფორმებს -ლუ ელემენ-  
ტი დაბოლოებულ სახელთაგან: ჩხარ-ლუ „თირკმელი“, ყანჩ-ლუ „ნიში სა-  
ხურავის ქვეშ“, ჩუნტ-ლუ „მეჭვეჭი“, ჭბათ-ლუ „ცოცხი“, ყანს-ლუ „ხბრტილი“,  
ზუნკ-ლუ „ქვის ფილა“, მურ-ლუ „კლდე“ ... ოღონდ, ამ რიგის სახელებს -ლუ  
მხ. რიცხვის ირიბ ბრუნვათა ფუძეში წარმოდგენილი აქვთ -ულ-ის სახით:  
მურ-ლუ „კლდე“ — ირიბ ბრუნვათა ფუძე მურ-ულ-ლ-უ- ...

-ლუ დაბოლოებულ სახელთა მსგავსად აწარმოებს ძირითად ფორმებს  
-ა-ზე დაბოლოებული ოთხიოდე სახელი: ჟნტ-ა „მცირე ზომის ჭურჭელი“,  
ქუნწ-ა „ჭაობი“, კვჩნთ-ა „კეფა“, კუნტ-ა „ორმო“<sup>2</sup>. ... ირიბ ბრუნვათა ფუ-  
ძის მიხედვით (მაგ., ქუნწ-ა „ჭაობი“ — ირიბ ბრუნვათა ფუძე ქუნწ-ულ-  
-ლ-უ-) სახ. ბრუნვისათვის სავარაუდოა \*ქუნწ-ლა < \*ქუნწ-ლუ და ა.შ.

-თხ-უ-; -თხ-ი-ჟი, -თხ-ა- აწარმოებს ძირითად ფორმებს იმავე  
-ლუ-ზე დაბოლოებულ სახელთაგან, ოღონდ, -ლუ-ს წინ უძღვის -რც სტრუქ-  
ტურის ბგერათმომდევრობა: ბურჰ-ლუ „კარის რგოლი“, კურჭ-ლუ „საცერი“,  
ყურშ-ლუ „კოჭი“. აქაც ირიბ ბრუნვათა ფუძეში -ლუ > -ულ-: კურჭ-ლუ  
„საცერი“ — ირიბ ბრუნვათა ფუძე კურჭ-ულ-თხ-უ-.

ანალოგიურად ეწარმოება ძირითადი ფორმები, აგრეთვე, სახელებს: მჭჰ-  
ლუ „ქამარი“, ჰანზ-ლუ „წისკელის არხი“.

-თხ-უ-; -თხ-ი-ჟი, -თხ-ი- ძირითად ფორმებს აწარმოებს სახელთაგან,  
რომელთა მწარმოებლად ირიბ ბრუნვათა ფუძის მიხედვით აღსადგენია \*-ნუ:  
ბურკ-ნა < ბურკ-ნუ<sup>3</sup> „საფლავის ქვა“, ბჰრ-ნი < \*ბჰრ-ნუ „ირემი“, ტაჰ-  
ნი < \*ტაჰ-ნუ „თიხის ჭურჭელი“, ზირკ-ნა < \*ზირკ-ნუ „ლერწი“ ...

ირიბ ბრუნვათა (ასევე მრ. რიცხვის სახელობითის) ფუძეში ყველგა-  
ნაა ბურკ-უნ-, ბჰრ-უნ- (ზღრ. ზემოთ, -ლუ-თი დაბოლოებულ სახელთა სათა-  
ნალო ფორმები) ... რიგის ფორმები<sup>4</sup>.

-თხ-უ-; -თხუ, -თხ-ა- ძირითად ფორმებს აწარმოებს -ილუ-თი და-  
ბოლოებული ორიოდე სახელისაგან: სხირს-ილ(უ) „ულვაში“, ცინც-ილ(უ)  
„სასწორი“ ...

I სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ ([I53], გვ. 324), რომ -ლუ იხმა-  
რება საგანთან, რომელიც თავისი ფორმით ახლოსაა წრესთან, ხოლო სხვა სა-  
ხელები აქ -ლუ ელემენტის ფუნქციის გაფართოების შემდეგ შემოვიდნე-  
ნო.

2 ზღრ. ([I53], გვ. 324), სადაც სუფიქსად გამოყოფილა -ტა ელემენტი.

3 ასეთი ფორმა ჩვენ ფიქსირებულიცა გვაქვს.

4 ანალოგიური აგებულებისა ჩანს ჯრღმუ „ჩიტი“, მაგრამ იგი ძირითად ფორ-  
მებს აწარმოებს -ლუ-თი დაბოლოებულ სახელთა მსგავსად. ჩანს, ჯრღმუ  
< \*ჭრმ-ლუ. ასეთი ბგერათგადასმა ნათელია, თუ გავითვალისწინებთ იმას,  
რომ მლ ლაქურში უჩვეულო კომპლექსია (ასევეა: კვამა „მარცვალი“  
სახელის ირიბ ბრუნვათა ფუძეა კვამლ-უ- < კვამ-ლ-უ-).

-ნ-ა-; -თხალ, -თურა- ძირითად ფორმებს აწარმოებს ლაკური წარმომავლობის -უნ სუფიქსითა და ნასესხები -ჩი, -ქარ ფორმანტებით ნაწარმოებ I გრ. კლასის სახელთაგან: შაჭრტ-უნ „მატყუარა“ (შდრ. შაჭრტ „ტყუილი“), კჭრთ-უნ „ბინძური“, „უსუფთაო“ (შდრ. კჭრთ „მხსალი“), ბაკ-ჩი „მეთაური“ (შდრ. ბაკ „თავი“), აჭლუ-ქარ „ჭკვიანი“ (შდრ. აჭლუ „ჭკუა“), სხა-ქარ „მესაათე“ (შდრ. სხა „საათი“) ...

-დარა- აწარმოებს ძირითად ფორმებს -ინ ფორმანტიან ნახმნარ სახელთაგან: ზანაზ-ინ „სიარული“ (შდრ. ზანან „სელა“, „სიარული“), ქიანაქი-ინ „საჭმელი“ (შდრ. ქიანან „ჭამა“), შანაშ-ინ „ძილი“ (შდრ. შანან „დაძინება“) ...

-დალუ- აწარმოებს ძირითად ფორმებს -შინ (< -შინ-ნა) ფორმანტიანი რამდენიმე აბსტრაქტული სახელისაგან: უთხარა-შინ „ცხოვრება“ (შდრ. უთხარ-სხა „ცოცხალი“), ქამალუ-შინ „სტუმართმოყვარეობა“ (შდრ. ქამალუ შინ „სტუმრად წასვლა“), ტაალა-შინ „სამართლიანობა“ (შდრ. ტაალა-სხა „სამართალი“, „სამართლიანი“) ...

## II. უ ს ა ვ რ ც ო ბ ო პ რ უ ნ ე ბ ა

-შ-; -ლთ, -ლთ-რ-ა- აწარმოებს ძირითად ფორმებს -უ და -ალა ფორმანტიანი I გრ. კლასის სახელთაგან<sup>1</sup>: ჩიჩ-უ „მწერალი“ (შდრ. ჩი-ჩინ „წერა“), ლწახ-უ „მფრინავი“ (შდრ. ლწახან „ფრენა“), მურჭ-უ „ბრმა“ (შდრ. მურჭი-სხა „ბრმა“), ჰრქვ-უ „კოჭლი“ (შდრ. არქვი-სხა „კოჭლი“) ... ზუზ-ალა „მუშა“<sup>2</sup> (შდრ. ზუნ „მუშაობა“), ცულუც-ალა „მოიბავი“ (შდრ. ცულუნ „თიბვა“) ...

ცხადია, ნაწარმოებ სახელთა ბრუნებისას ადვილად შეგვიძლია გამოვიცნოთ სახელის ძირითადი ფორმები, რაც სხვა შემთხვევებში მეტად ჭირს.

§ 11. ნათესაობის აღმნიშვნელ და საკუთარ სახელთა ბრუნების ზოგი თავისებურება. ნათესაობის აღმნიშვნელ სახელთა ერთ ნაწილს, თუ იგი I გრ. კლასს განეკუთვნება, მხ. რიცხვის ფორმებში სავრცობად -ნ-ა- ელ-

I შდრ., როცა იმავე სუფიქსით ნაწარმოები სახელი არაა I გრ. კლასისა, იგი სავრცობს იყენებს: ბახჩ-უ „დაბრკოლება“ — ერგ.-ნათ. ბახჩ-უ-ლუ-ლ ან კიდევ: ღაბ-ტ-ალა „მხენელი“ — ერგ.-ნათ. ღაბ-ტ-ალა-ლ, მაგრამ: ჭარხ-ტ-ალა „სასხური“ — ერგ.-ნათ. ჭარხ-ტ-ალ-ლუ-ლ ([64], გვ. 96).

2 ზუზალა „მუშა“ რიგის შემთხვევებში მრ. რიცხვის ფორმებში -ალა სუფიქსის ბოლოკიდური ხმოვანი რედუცირდება: ზუზალ-თ „მუშები“. ამ რიგის ფორმათა მიხედვით შეიძლება ვარაუდი, რომ მრ. რიცხვის ფორმანტად სახელობითში გვქონდა \*-თრუ. სხვა მხრივ ასახსნელი იქნება, თუ რამ გამოიწვია -ალა სუფიქსის ბოლოკიდური ხმოვნის რედუქცია ოდენ თანხმოვნის სუფიქსის წინ.

\*-თრუ სუფიქსის ადგენას ხელს უწყობს ირიბ ბრუნვითა ფორმებიც, სადაც წარმოდგენილია \*-თრუ > -თრ (\*-თრუ > -თრ გამოწვეულია მრ. რიცხვის სუფიქსის მომდევნო -ა- დამაკავშირებელი ხმოვნით).

მენტო გამოაჩნდება, თუ სახელი II-IV გრ. კლასისაა, მაშინ — -ნ-ი-  
ამ დაპირისპირებიდან ჩანს, თითქოს -ა- და -ი- ხმოვნები ირიბ ბრუნ-  
ვათა ფუძეში გრ. კლასებს განარჩევენ:  
არს „ვაყიშვილი“ ( I გრ.კლ.): არს-ნ-ა-  
ღუშ „ქალიშვილი“ (III გრ.კლ.): ღუშ-ნ-ი-  
ასეთივე ვითარებაა „მამისა“ და „დედის“ აღმნიშვნელ ლექსემათა ძი-  
რითად ფორმათა წარმოებისას, ოღონდ, აქ -ნ--ის ნაცვლად -თხ- წარმოჩნდე-  
ბა:

ფხუ „მამა“ ( I გრ.კლ.): ბუ-თხ-ა-  
ნინუ „დედა“ (II გრ.კლ.): ნი-თხ-ი-  
გრ. კლასების ასეთი გარჩევა მ ე ო რ ე უ ლ ი ა და არაა ბო-  
ლომდე გატარებული:

უსუ „ძმა“ ( I გრ.კლ.): უსუ-ი-  
სუ „და“ (III გრ.კლ.): სუ-ი-  
ცხადია, ხმოვანთა მემწეობით რომ იყოს გრ. კლასები დიფერენცირებუ-  
ლი, I და III გრ. კლასის სახელებს ს ა ე რ თ ო -ი- ხმოვანი არ  
უნდა ჰქონოდათ.

ზოგ ნათესაობის აღმნიშვნელ სახელს მრ. რიცხვის ირიბ ბრუნვათა ფუ-  
ძეში რთული -ჭაჭრა- -ჭარა-<sup>1</sup>, -რჭარა- ელემენტები ჩაერთვის:  
არს-რუ „ვაყიშვილები“: არს-ჭაჭრა- || არს-ჭარა-  
ღუშ-რუ „ქალიშვილები“: ღუშ-ჭარა-  
უსუ-რჭალ „ძმები“: უსუ-რჭარა-  
სუ-რჭალ || სუ-კლუ „დები“: სუ-რჭარა- || სუ-კლუ-ნნა-  
-კლუ, -კულ მრ. რიცხვის მაწარმოებლად ნათესაობის აღმნიშვნელ  
სხვა სახელებთანაც გვხვდება:

ფხუ-კლუ „მამები“: ფხუ-კლუ-ნნა-  
ნითხი-კულ „დედები“: ნითხი-კ-ა-

საკუთარ სახელთა ბრუნებისას ირიბ ბრუნვათა ფუძეში საღრცობი ზოგ-  
ჯერ წარმოჩნდება, ზოგჯერ კი — არა. ამბობენ და წერენ ილიჩ-ლუ-ლ  
(ერგ.-ნათ.), მაგრამ — გორკიჲ-ლ „გორკიმ“, „გორკისა“. თითქოს კანონ-  
ზომიერი წარმოებაა: ფუძეებოლთანხმოვნადიანი საკუთარი სახელი ირთავს სავ-  
რცობს, ხოლო ფუძეებოლს მოვნადიანი - არა. ეს რომ ბოლომდე არაა გატარებუ-  
ლი, კარგად ჩანს ზოგი ლაკური (ლესჲ. დაღესტნური) წარმომავლობის საკუთარ  
სახელთა ძირითად ფორმათა წარმოებისას:

ფარა (ვაყის საკუთარი სახელია): ფარა-ნ-ა- , მაგრამ:  
ჰჷამითჷჷ „ჰამიდი“: ჰჷამითჷჷ-

თუ ადამიანის აღმნიშვნელ საკუთარ სახელს მრ. რიცხვი ეწარმოა, მაშინ  
იგი იხმარება იმავე მნიშვნელობით, როგორცაა, მაგალითად, ქართ. ოთარაანი,  
გიორგიანი და ა.შ.

1 -ჭარა- ელემენტში -ჭ- გრ. კლასის ნიშნად, ხოლო -რ- მრ. რიცხვის  
სუფიქსად არის მიჩნეული ([78], გვ. 164).

§ 12. სუპლეტურ სახელთა ბრუნება. სუპლეტური წარმოების სახელები ლაკურში მცირეა. ესენია:

1. არსებითი სახელები: ჩუ „მამაკაცი“, შარსხა „ქალი“, „ცოლი“, ჩოუ „ცხენი“, ბარზ „მთვარე“, „თვე“; მათი ძირითადი ფორმებია: ჩუ „მამაკაცი“: ჩუ-ნ-ა-; ჩიჭარკ, ჩიჭარკ-უნნა- შარსხა „ქალი“, „ცოლი“: შარ-ნ-ი- || შარსხ-ნ-ი-; კამი<sup>1</sup>, კან-ნ-ი- ბარზ „მთვარე“, „თვე“: ზურ-უ-; ბარზ-რუ, ზურ-დალდი- || ზურ-დალდი- ჩოუ „ცხენი“: ჩი-ა-; ღურა-რი, ღურა-რ-ა-

2. ნაცვალსახელები: ნა „მე“, ინა „შენ“ (პირისა); ცუ „ვინ“, ცი „რა“ (კითხვითი). მათი ძირითადი ფორმებია:

ნა „მე“: თუ-  
 ინა „შენ“: ტი-  
 ცუ „ვინ“: შუი-  
 ცი „რა“: სხა-

ზოგი აქ მოყვანილი სახელის ირიბ ბრუნვათა ფუძეები ისტორიულად უფრო ძველია, ვიდრე სახელობითისა.


§ 13. დამატებითი ცნობები სავრცობის შესახებ. იმ სავრცობათაგან, რომლებსაც ვხვდებით მხ. რიცხვის ირიბ ბრუნვათა ფუძეებში<sup>2</sup>, განირჩევა ო რ ი სახის სავრცობი:

1. მარტივი სავრცობი
2. რთული სავრცობი

მ ა რ ტ ი ვ ი სავრცობებია: -რ- ( -რ-ა-, -რ-ი-, -რ-უ- ), -დ- ( -დ-უ- ), -თხ- ( -თხ-ა-, -თხ-ი-, -თხ-უ- ), -ლ- ( -ლ-ი-, -ლ-უ- ), -ნ- ( -ნ-ა-, -ნ-ი-, -ნ-უ- ).

ამ სავრცობათვის ამოსავალი \*არV- და \*-ნV- სტრუქტურის მქონე სავრცობებია, რომლებსაც გარკვეული ბგერათცვლილებების შემდეგ ასეთი ძირითადი ვარიანტები მოუყია ( მოგვყავს დამაკავშირებელი ხმოვნებითურთ ). სახელდობრ:

ა) \*არV-<sup>3</sup> რეალიზებულია \*რ-ა-, \*რ-ი-, \*რ-უ- სავრცობათა სახით:




1 შადნის მეტყველებაშია შარს-ნი „ქალები“, „ცოლები“, სადაც მრ. რიცხვის -ნი ფორმანტი დარგულიდანაა შემოსული ([I50], გვ.68).

2 რომლებიც მეტწილად განმსაზღვრავია ირიბ ბრუნვათა ფუძეებისა მრ. რიცხვში.

3 შდრ. ([65], გვ.49), სადაც ამოსავლად მიჩნეულია \*-დ-, ხოლო -რ- ჩათვლილია მის ვარიანტად.

4 გვაქვს -რ(ა)- სავრცობი, არ დასტურდება -ლ(ა)-; გამონაკლისია ლექსება სურა „პიტნა“, რომლის ირიბ ბრუნვათა ფუძეში წარმოდგენილია


რ-ა- სავრცობის რ- ელემენტი ისტორიულად ზოგჯერ ფუძისეულია (იხ. ზემოთ, გვ. I7-20); იგი სონორ თანხმონებთან წარმოდგენილია, როგორც რთული რ-ა-ნ-უ- < \*რ-ა-ნ-უ- სავრცობის შემადგენელი ნაწილი. ეგვიპე რ-ა- დასტურდება, აგრეთვე, არასონორებთანაც, ასევე ფუძებოლოზ მოგნიან სახელებთან (იხ. ზემოთ, გვ. 57). რაც შეეხება თხ-ა- < \*დ-ა- სადრ-ცობს, იგი წარმოდგენილია რთული თხ-ა-რ-ა- < \*დ-ა-რ-ა- სავრცობის შემადგენლობაში.



ლ-ი- ვარიანტია რ-ი-სი ფუძისეულ მასალაში ერთზე მეტ ან დახუ-რულმარცვლიან სახელებთან (იხ. ზემოთ, გვ. I6-17). ეგვიპე ლ-ი- დასტურ-დება, აგრეთვე, სხვა შემთხვევებშიც.

ნ-ი- ღია ერთმარცვლიან სახელებთან მიღებულია \*რ-ი-საგან, რა-საც ახლომონათესავე ენათა ჩვენება მოწმობს (იხ. ზემოთ, გვ. I2-I4); ამით იგი ემთხვევა იმ ნ-ი-ს (ფუძისეულ თუ აფიქსისეულ მასალაში), რომელიც ისტორიულად უნდა ყოფილიყო, დაიკარგა და შემდეგ აღდგა გარკვეულ პოზიცი-აში (იხ. ზემოთ, გვ. I5-I6).

თხ-ი- < \*დ-ი- < \*რ-ი- შედის რთული თხი-რ-დ-ა- სავრცობის შემადგენლობაში.



რ-ი- სავრცობი, როგორც ეს უკვე ითქვა, გამოიყენება აჟუ სუფიქ-სით ნაწარმოებ სახელთა ბრუნებისას; ლას-აჟუ „აღება“ — ლას-აჟუ-რ-ი-. აშკარაა, რ-ი- < \*რ-უ- აჟუ სუფიქსის ბოლოკიდურ უ-სთან დისიმილა-ციით, რის შემდეგ უ რედუცირებულა<sup>1</sup>: \*ლას-აჟუ-რუ- > \*ლას-აჟუ-რი- > ლას-აჟუ-რ-ი-.

\*რ-უ- > \*დ-უ- > თხ-უ- სონორ თანხმონებთან მეზობლად (იხ. ზე-მოთ, გვ. 58).

ასევე \*რ-უ- სავრცობის ვარიანტებია ლ-უ-, ნ-უ- ზოგ ლ და ნ სონორზე დაბოლოებულ სახელთან (იხ. ზემოთ, გვ. 59, 66).

ის, რომ დიალექტებსა და თქმებს შორის ხშირია სავრცობთა თავისუფალი მონაცვლეობა (მაგ., ლ-უ- / ნ-ი-, ლ-უ- / თხ-უ-, რ-ა / ლ-ი-), გვაგა-რაულებინებს, რომ ამ რიგის სავრცობათვის ა მ ო ს ა ვ ა ლ ი უნდა ყო-ფილიყო რ + V- სტრუქტურის მქონე სავრცობი, თავდაპირველად სხვადასხვა პოზიციებში რომ სხვადასხვაგვარად რეალიზდებოდა. ის აღრევა კი, რასაც ამ

ლ-ა-: სურა-ლ-ა-. ცხადია, აღნიშნული ფორმა მიღებულია \*სურა-რ-ა- ფორმისაგან დისიმილაციით.

<sup>1</sup> შდრ. ჭრჭ-შიჟუ „ბავშვობა“ — ჭრჭ-შიჟუ-რ-უ-, სადაც რ-უ- სავრცო-ბი სრულადაა წარმოდგენილი (მიუხედავად იმისა, რომ აქაც უ-ზე ბოლოვდე-ბა). ამისი მიზეზი ისა ჩანს, რომ შიჟუ სუფიქსში ღ ხმოვანია.

თვალსაზრისით დღეს ვადასტურებთ, გვიანდელია.

ბ). \*-5V- რეალიზებულია -ნ-ა-, -ნ-ი-, -ნ-უ- სავრცობთა სახით. ამათგან:

1. -ნ-ა- სავრცობად გამოყენებულია I გრ. კლასის სახელებთან;

2. -ნ-ი-, -ნ-უ- სავრცობებად დასტურდება II-IV გრ. კლასის სახელებთან.

-ნ-V- რიგის სავრცობი ძირითად ფორმებს აწარმოებს როგორც ატრიბუტიულ სახელთაგან (იხ. ზემოთ, გვ. 61-62), ასევე — სუბსტანტივთაგანაც (იხ. ზემოთ, გვ. 60, 77).

ისიცაა აღსანიშნავი, რომ \*-5V- სტრუქტურის მქონე სავრცობი ისტორიულად უცვლელია, როცა \*-რV- აგებულებისა ცვლილა — ამიტომაცაა, რომ იგი სხვადასხვა ვარიანტითაა წარმოდგენილი.

რ თ უ ლ ი სავრცობები -დანუ-, -დალუ-, -თხირდა-, -დარა-, -თხარა-, -თხირა- კი იმავე ელემენტებისაგან შედგებიან, რომლებიც ცალკე დასტურდება მარტივ სავრცობთა სახით.

§ I4. ადგილობითი ბრუნვები. იმ ბრუნვათაგან, რომლებიც პ.უსლარმა ძირითად ბრუნვებად გამოყო, როგორც ეს ითქვამს, ორი საერთოდ არ წარმოადგენს ბრუნვის ფორმას, ხოლო ე ქ ვ ს ი — თანდებულიანი ერგატივ-ნათესაობითია:

კავშირებითი<sup>1</sup>: უსხუ-ა-შხალ „ძმიუთრთ“<sup>2</sup>

დათმობითი: უსხუ-ა-არ ( უსხუ-ნიჯარ ) „ვიდრე ძმა“

მეოხებითი: უსხუ-ა-ნუ „ძმის საშუალებით, მეოხებით“

მითვისებითი: უსხუ-ა-ხ „ძმას“

დაახლოებითი: უსხუ-ა-ხ<sup>~</sup>უნ „ძმას“

დაშორებითი: უსხუ-ა-შხა „ძმისგან“

ლ.ჟირკოვის „ლაკურ ენაში“ ძირითად ბრუნვად დამატებულია -ხლუ „გამო“ ([I15], გვ. 36), რომელიც ადრე პ.ჰიტინაევს პქონია შეტანილი თავის სასკოლო გრამატიკაში -ხლუნუ „ნაცვლად“ ბრუნვასთან ერთად ([24], გვ. 332).

იმ ექვსი ბრუნვიდან ორი — მითვისებითი და დაახლოებითი — ლ.ჟირკოვმა გააერთიანა ადგილობით ბრუნვათა VII არასრულ სერიაში ([I15], გვ. 87).

დანარჩენი ადგილობითი ბრუნვები თავისი ფუნქციისა და სტრუქტურის მიხედვით ო რ ძირითად ჯ გ უ ფ ა დ დაიყოფა:

I. ჯგუფი ბრუნვებისა, რომლებიც გამოხატავენ საგნის მდგომარეობას და ცალთანდებულიანია;

II. ჯგუფი ბრუნვებისა, რომლებიც გამოხატავენ საგნის მოძრაობას

I ბრუნვათა დალაგება და უსხუ „ძმა“ სახელის პარადიგმა პ.უსლარის მონოგრაფიიდანაა ([I46], გვ. 30). ბრუნვათა სახელწოდების ქართული შესატყვისი კი ვ.თოფურიასეულია ([24], გვ. 332).

2 ბრუნვის ნიმუში ვიცხიური მეტყველებისაა, ლემუქურის ტიპის დიალექტებში კი ირიბ ბრუნვათა ფუძედ ყველგან უსხ-ი- გვექნება.

**I. მდგომარეობის გამომხატველი ცალთანდებულობანი ბრუნვები**

ასეთი ბრუნვა ლაკურში სულ ექვსია<sup>1</sup>:

- |                                    |          |             |                |               |
|------------------------------------|----------|-------------|----------------|---------------|
| 1. - <u>ა</u> „-ზე“                | კითხვაზე | <u>სად?</u> | ჭირა- <u>ა</u> | „კედელზე“     |
| 2. - <u>ბ</u> „-ში“                |          |             | ჭირა- <u>ბ</u> | „კედელში“     |
| 3. - <u>ლ</u> „-ქვეშ“              |          |             | ჭირა- <u>ლ</u> | „კედლის ქვეშ“ |
| 4. - <u>ჭ</u> „-თან“, „-ახლოს“     |          |             | ჭირა- <u>ჭ</u> | „კედელთან...“ |
| 5. - <u>ხ</u> „-იქით“              |          |             | ჭირა- <u>ხ</u> | „კედლის იქით“ |
| 6. - <u>წ</u> „-თან, ძალიან ახლოს“ |          |             | ჭირა- <u>წ</u> | „კედელთან...“ |

**II. მიმართულების გამომხატველი ორთანდებულობანი ბრუნვები**

მიმართულების გამომხატველი ბრუნვა იწარმოება მდგომარეობის აღმნიშვნელი თითოეული ბრუნვისაგან — მასზე მიმართულების გამომხატველი თანდებულის დართვით. ასეთი თანდებულები კი ლაკურში სულ ხუთია:

1. -ა || -ათუ „-გან“
2. -ენ „-კენ“
3. -ხ „-გავლით“, „-ზე“
4. -ნაა ( I გრ.კლ. ), -მმაა ( III გრ.კლ. — ასე გამოითქმის, თუცა წერენ -ნმაა-ს ), -ნნაა ( II, IV გრ.კლ. ) „-მიმართულებით“
5. -ხჭინ „-გავლით“<sup>2</sup>

მაშასადამე:

**I. -ა || -ათუ „-გან“**

1. ჭირა-ა-ა || ჭირა-ა-ათუ „კედელზე-გან, კედელზე-ით ( კედლიდან )“
2. ჭირა-ბ-ა || ჭირა-ბ-ათუ „კედელში-გან, კედელში-ით ( „ )“
3. ჭირა-ლ-ა || ჭირა-ლ-ათუ „კედლის ქვეშიდან, კედელქვეშიდან ( კედლიდან )“
4. ჭირა-ჭათუ<sup>3</sup> „კედლის ახლოდან ( „ )“
5. ჭირა-ხ-ა || ჭირა-ხ-ათუ „კედლის იქიდან ( „ )“
6. ჭირა-წ-ა || ჭირა-წ-ათუ „კედლის ძირიდან, კედლის ახლოდან ( კედლიდან )“

**2. -ენ „-კენ“**

1. ჭირა-ა-ენ „კედელზე-კენ ( კედლის-კენ )“
2. ჭირა-ბ-ენ „კედელში-კენ, კედელში-კენ ( კედლის-კენ )“
3. ჭირა-ლ-ენ „კედლის ქვეშის-კენ“, „კედლის ქვეშ“
4. ჭირა-ჭ-ენ „კედლის ახლოს-კენ“, „კედელთან“
5. ჭირა-ხ-ენ „კედლის იქეთ-კენ“, „კედლის იქით“<sup>4</sup>
6. ჭირა-წ-ენ „კედლის ძირის-კენ“, „კედელთან“, „კედლის გვერდით“

<sup>1</sup> ქვემოთ მოყვანილი ჭირა „კედელი“ სახელის ბრუნვის პარადიგმა ვ.თო-ფურიას ([24]) შრომიდანაა.

<sup>2</sup> ეს ბრუნვა პირველად ვ.თოფურიამ გამოყო.

<sup>3</sup> ჭათუ < \*ჭა + ათუ ([24], გვ. 333 ).

<sup>4</sup> -უ- ლაკურში თანხმოდანთგამყარია ([24] გვ. 333).

6. გ. ბურჭულაძე

მ. -ბ „-გავლით“

1. ჭირა-ა-ბ „კედელზე გავლით“
2. ჭირა-ტუ-ბ „კედელში გავლით“
3. ჭირა-ლუ-ბ „კედლის ქვეშე გავლით“
4. ჭირა-ხ-უ-ბ „კედლის იქით გავლით“
5. ჭირა-წ-უ-ბ „კედელთან გავლით“, „კედლის გვერდით გავლით“

არა გვაქვს მოსალოდნელი \*ჭირა-ჭა-ბ „კედლის ახლოს გავლით“, „კედელთან გავლით“ ფორმა, მას ცვლის აღწერიითი ჭირალ ჭარახ იმავე მნიშვნელობით. სხვა სახელებთან კი ორგანული წარმოება დასტურდება:

კვათლუ-ჭა-ბ „სახლის გვერდით“, „სახლთან“  
 ე.ი. ბრუნვათა ამ წყებაშიც ექვსი ბრუნვაა.

4. -ნაა (-მმაა, -ნნაა) „-მიმართულებით“

1. ჭირა-ა-ნაა (-მმაა, -ნნაა) „კედლის მიმართულებით ზევით“
2. ჭირა-ტუ-ნაა ( „ , „ ) „კედლის „ შიგნით“
3. ჭირა-ლუ-ნაა ( „ , „ ) „კედლის „ ქვეშე“
4. ჭირა-ჭა-ნაა ( „ , „ ) „კედლის „ ახლოს“
5. ჭირა-ხ-უ-ნაა ( „ , „ ) „კედლის „ იქით“
6. ჭირა-წ-უ-ნაა ( „ , „ ) „კედლის „ გვერდით“

5. -ბჰინ „-გავლით“

1. ჭირა-ა-ბჰინ „კედელზე გავლით“
2. ჭირა-ტუ-ბჰინ „კედელში გავლით“
3. ჭირა-ლუ-ბჰინ „კედლის ქვეშე გავლით“
4. ჭირა-ხ-უ-ბჰინ „კედლის იქით გავლით“
5. ჭირა-წ-უ-ბჰინ „კედლის გვერდით გავლით“, „კედელთან გავლით“

ბრუნვათა ამ წყებაში გვაცლია მოსალოდნელი \*ჭირა-ჭა-ბჰინ „კედელთან ახლოს გავლით“ ბრუნვის ფორმა. ასე რომ, ჩანს, ეს წყება დეფექტურია. ამის გათვალისწინებით, მიმართულების გამოხატველ ორთანდებულებიან ბრუნვათა რიცხვი ლაკურში 29-ს აღწევს (ზოგჯერ — 28-ს). დღეს ზოგი ზემოთ აღნიშნული ბრუნვათაგანი, როგორც ამაზე შენიშნავენ ([100], გვ. 280; [136], გვ. 80), აღარც კი გამოიყენება. მაგალითად, მიუთითებენ, რომ ადგილობრივ ბრუნვები -ჭა „-თან“, „-ახლოს“, -წ „-ძალიან ახლოს“ დღეს ძალზე იშვიათად იხმარება და ამ აფიქსებით ნაწარმოები სახელები უკვე ზმნისართებადაა ქვეული. ცხადია, ადგილობრივ ბრუნვათა სისტემა ლაკურში დღეს რ დ გ ე - ვ ა ს განიცდის.

§ 15. ბრუნვათა გამოყენების ზოგი თავისებურება დიალექტებსა და თქმებში. ბრუნვათა გამოყენების თავისებურებანი ლაკურის დიალექტებსა და თქმებში რაიმე სისტემურ ხასიათს არ ატარებს, ისინი ლოკალური ბუნებისაა და ცალკეულ შემთხვევებში დასტურდება:

კ ა ი ა ს თქმაში სახ. ბრუნვის ფორმაა გამოყენებული, როცა სალიტერატურო ლაკურში მას ადგილ. ბრუნვის ფორმა ენაცვლება:

ნაჰით ლუგლაა ბურ „ნახვით დაეძებენ“; შდრ. სალიტ. ნაჰით-ლი-ბ ლუგ-

ლაზ ბურ იმავე მნიშვნელობით ([182], გვ. 45).

ამავე თქმაში ზმნისართი ადგილ. ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი, სალიტერატურო ენაში კი — არა:

თხიქვა-ხ ცოუ ბაჭიჭუენ უხ<sup>~</sup>უუ „მიაბამ რა იქ ცხენს, მოდი“; შდრ. სალიტ. თხიქსუ რიუ ბაჭიჭუენუ უხ<sup>~</sup>უუ იმავე მნიშვნელობით ([182], გვ. 44).

სოფ. უ ნ რ უ ყ ა თ ლ ი ს მეტყველებაში ნაცვალსახელთან იხმარება ადგილ. ბრუნვის ფორმა უუ-ჰა-ნ არუ „მოდი ჩვენკენ, ჩვენთან“, როცა სალიტ. ლაკურშია უუ-ნინ არუ „მოდი ჩვენთან“ (ზედმიწ. „მოდი ჩვენამდე“).

ა რ ა ქ უ ლ ი ს მეტყველებაში ზოგჯერ მიცემითის ფორმაა გამოყენებული, როცა სალიტერატურო ლაკური ადგილ. ბრუნვის ფორმას იყენებს ხოლმე ([150]):

დიალექტი

სალიტ. ენა

კიანთხ-ა- <u>ნ</u>	„სკამს“, „ადგილს“	კიანთხ-უ- <u>ჰ-ნ</u>	„სკამზე-კენ“, „ადგილზე-კენ“
ბაკრა- <u>ნ</u>	„თაცს“	ბაკრა- <u>ჰ-ნ</u>	„თაცზე-კენ“
მაზრა- <u>ნ</u>	„ენას“	მაზრა- <u>ჰ-ნ</u>	„ენაზე-კენ“
ღანმინნა- <u>ნ</u>	„ნათესაგებს“	ღანმინნა- <u>ჰ-ხ</u>	„ნათესაგებზე...“
ნწხხ- <u>ჰ-ნ</u>	„მდინარეს“	ნწხხ-ა- <u>ჭუ-ნ</u>	„მდინარეში-კენ“

არაქულის დიალექტის ქ ა თ რ უ ხ ი ს თქმაში -ხ „-იქით“ ბრუნვაა გამოყენებული, როცა სალიტერატურო ენაში მას ცვლის -ჰ-ხ „-ზეიქით“, „-ზე-ით“ ადგილ. ბრუნვა:

თქმა

სალიტ. ენა

სინთუ- <u>ხ</u>	„ლანგარს იქით“	სინი-ლუ- <u>ჰ-ხ</u>	„ლანგარზე იქით“
ურხ <sup>~</sup> ლუ- <u>ხ</u>	„თიხის სურის იქით“	ურხ <sup>~</sup> ლუ- <u>ჰ-ხ</u>	„თიხის სურაზე იქით“

ამავე თქმაში სალიტ. ენის -ხ „-იქით“ ბრუნვას ენაცვლება -შხალ „-ურთ“ ბრუნვა: ხხარყანნალი-შხალ „ხანჯლითურთ“; შდრ. სალიტ. ხხარყან-დალუ-ხ „ხანჯლის იქით“.

შ ა დ ნ ი ს დიალექტში მიცემითია გამოყენებული, სალიტერატურო ენაში კი — -ჰ-ნ „-ზე-კენ“ ადგილ. ბრუნვა: ურთაყა-ნ „ამხანაგებს“; შდრ. სალიტ. ურთაყურა-ჰ-ნ „ამხანაგებზე-კენ“, „ამხანაგებისკენ“.

შადნისავე მეტყველებაში -ჰ-ნ „-ზე-კენ“ ადგილ. ბრუნვის ნაცვლად გამოყენებულია -ხ<sup>~</sup> „-თან“ ბრუნვა: არამიურა-ხ<sup>~</sup> „ადამიანებთან“; შდრ. სალიტ. არანთურა-ჰ-ნ „ადამიანებზე-კენ“ ფორმა.

როგორც ამ მცირე საილუსტრაციო მასალიდან ჩანს, ბრუნვათა გამოყენების თავისებურებანი უმთავრესად არაქულის, ქათრუხისა და შადნის ნეტყველებაშია. ამისი მიზეზი, ჩანს, ისაა, რომ მათი მეტყველება განიცდის სხვა ენათა გავლენას. კერძოდ, არაქულის დიალექტი წარმოდგენილია რუთულის რაიონში და მთლიანად იზოლირებულია ლაკური ენისაგან ([150], გვ. 18), შადნის დიალექტი კი განიცდის დარგულის გავლენას, რაც კარგად ჩანს როგორც მორფოლოგიაში, ასევე — ლექსიკაშიც ([150], გვ. 68-81).

§ 16. ძირითად ბრუნვათა ნიშნების გენეზისისათვის. ლაკურში ძირითად ბრუნვათაგან (სახ., ერგ.-ნათ., მიც.) მარკირებულია ორი — ერგატრიც-ნათესაობითი და მიცემითი. ცალკე დამოუკიდებელი ერგატრიცი დღეს ლაკურს არ გააჩნია, მაგრამ, ჩანს, ი გ ი უ ნ დ ა გ ვ ქ ო ნ ო დ ა . ამიტომ ბუნებრივია, რომ ერგატრიცის ისტორია ლაკურში სპეციალური მსჯელობის საგნად იქცა.

I. საკუთრივ ერგატრიული ბრუნვის შესახებ ლაკურში. საკუთრივ ერგატრიული ბრუნვის თაობაზე ლაკურში ორი ძირითადი ვარაუდია ([53], გვ. 254):

1. ერგატრიცის ფუნქცია შეითავსა ნათესაობითმა ( პ.უსლარი, ლ.ჟირ-კოვი, პ.მურყელინსკი );

2. ერგატრიცი ითავსებს ნათესაობითის ფუნქციას ( პ.შუხარდტი ).

ლაკურში დამოუკიდებელი, საკუთრივ ერგატრიული ბრუნვის არსებობა პირველად ივარაუდა არნ.ჩიქობავამ. მისი აზრით, „იქნებ ისტორიულად ლაკურსაც ჰქონდა ერგატრიცი და მერეა იგი დაკარგული — ნათესაობითთან ფუნქციურად შეერწყმული“ ([39], გვ. 111 — საზგასმა ავტორისაა — გ.ბ.). შემდეგ კი ნათესაობის აღმნიშვნელი ზოგი სიტყვის საფუძველზე ე.პოკარევი გამოთქვა მოსაზრება, რომ -თხ- < \*-დ- ერგატრიცის უძველესი ნიშანი ენდა იყოს, რომელიც შემოგვრჩენია ზოგ გონიერ არსებათა სახელწოდებასთან, მაგალითად, რომლებიც, ჩვეულებრივ, გამოდიან მოქმედი სუბიექტის როლში. იქვე მოხმობილია ანალოგიური ვითარება დიდოური ენებისა, სადაც -დი || -ტი საბაზ ბრუნვათა ფუძეში ერგატრიცის ფუნქციით გადმონაშთის სახით გვხვდება ([33], გვ. 122 ).

ი. ცერცვაძის ვარაუდით, ლაკურში სისტემატური ანალიზის თვალსაზრისით ცალკეა გამოსაყოფი ერგატრიცი და ცალკე — ნათესაობითი ბრუნვა, რადგან ერგატრიცი I და II პირში შეიძლება იყოს დამოუკიდებელი როგორც ნათესაობითისაგან, ისე III პირში — სახელობითისაგან ([53], გვ. 256).

გ. თოფურიას აზრით, ე.წ. „ჩანართიანი“ ბრუნვების გვერდით ერგატრიცის ფუნქცია შესაძლოა ჰქონოდა ოდენ დამაკავშირებელი ხმოვნების მქონე ფორმებსაც ( \*დიკ-უ-, \*შლ-ი- რიგისა ), მსგავსად ლეზგიურ ენათა ოდენხმოვანიანი ერგატრიცისა ([28], გვ. 165).

მართლაც, ე.წ. ს ა ვ რ ც ო ბ თ ა ერთი წყება, შესაძლოა, ძველად ერგატრიცის აღმნიშვნელი იყო. სახელწოდება:

ა) -რ და -თხ ( < \*-დ < \*-რ ) ნიშნიანი ერგატრიცის შესახებ. ე.პოკარევის ზემოთ მოყვანილი მოსაზრება ნინუ „დედა“ — ნი-თხ-ი-ლ „დედაშ“, „დედისა“ რიგის ნიმუშებს ემყარებოდა, რაც სარწმუნო ჩანს, ოღონდ, მის დაკვირვებას დაზუსტება სჭირდება: ამ რიგის -თხ- ლაკურში არაგო-სა ხელწოდებასაც ვლინდება, როგორც ეს მოსალოდნელი იყო:

ბ) საწი „ნადველი“, ამრისხანება“ — ერგ.-ნათ. სპითხ-უ-ლ < \*სპითხ-უ-ლ < \*სპინ-დ-უ-ლ < \*სპიმი-რ-უ-ლ ( გამოწველილგით იხ. ზემოთ,

გ) საწი „თოკი“ — ერგ.-ნათ. ხ~შუთხ-ა-ლ < \*ხ~შიუნ-თხ-ა-ლ < \*ხ~შიუნ-რ-ა-ლ < \*ხ~შიუნ-რ-ა-ლ ( გამოწველილგით იხ. ზემოთ, გვ. 24 ).

მ. ლიქ-რი „ფეხები“ ფორმაში -რი < \*-რუ (ფუძისეულ ი-სთან დილაჯიით) მრ. რიცხვის ფორმანტია, ხოლო ფუძეა ლიქ-, რომლის ერგ. -ლიქსურ-თხ-ა-ლ ფორმაში -თხ- < \*-ღ- < \*-რ- კვლავ იჩენს თავს.

ასეთივე წარმომავლობის -თხ- გამოიყოფა სხვა შემთხვევებშიც:

4. კამა „სიმწარე“ — ერგ.-ნათ. კუნ-თხ-უ-ლ < \*კუნ-ღ-უ-ლ < \*კუმ-ღ-უ-ლ < \*კამა-რ-უ-ლ .

5. სიმი „აბრეშუმი“ — ერგ.-ნათ. სინ-თხ-უ-ლ < \*სინ-ღ-უ-ლ < \*სიმ-ღ-უ-ლ < \*სიმი-რ-უ-ლ .

ასეთ შემთხვევებში -თხ- მიღებული ჩანს \*-ღ-საგან, რაც ლაკურში გაცრცელებული ფონეტიკური პროცესია. თვით \*-ღ- მიღებულია \*რ-საგან დისიმილაჯიით სონორ თანხმოვნებთან მეზობლად. აქ აღდგენილი \*-ღ- ფაქტობრივ დასტურდება ფუძისეული რ თანხმოვნის მეზობლად:

ფა „მხახათი“ — ერგ.-ნათ. ფჟურ-ღ-უ-ლ < \*ფჟურ-რ-უ-ლ , სადაც -ღ-ის წინ მდგომი რ ფუძისეულია (ამის თაობაზე იხ. ზემოთ, გვ.23-24) - ამოსავალი \*-რ- ლაკურშივე დასტურდება ხმოვნის წინ:

1. ჭია „ქოსი“ — ერგ.-ნათ. ჭიათხ-ი-რ-ა-ლ < \*ჭიად-ი-რ-ა-ლ (გამოწვლილვით ამის თაობაზე იხ. ზემოთ, გვ.24) .

2. შა „ნაბიჯი“, „კვადი“ — ერგ.-ნათ. შათხ-ი-რ-ა-ლ < \*შათ-ი-რ-ა-ლ; შდრ. ხუნძ. ლ<sup>ა</sup>ლ-კ, ანდ. ლ<sup>ა</sup>ლ, თაბ. შილ „კვადი“ . . .

ამ რიგის \*-რ- უნდა გვეტონდეს წარმოდგენილი რთულ სავრცობებში. როგორცაა, მაგალითად, -თხ-ი-რ-ა- — „ორმაგი ერგატივი“, როგორც ამას ვარაუდობს გ.თოფურია ([28], გვ.166) .

აი, ასეთ შემთხვევებში გამოვლენილი -თხ- < || \*-ღ- < \*-რ- , რომლებიც სათანადო სახელებს სხვა ბრუნვებში გადაწყვეტიან, შესაძლოა იყოს ერგატივის ერთ-ერთი ძველი ნიშანი ლაკურში. მათ ისტორიულად ხმოვანი უნდა ხლებოდათ: \*-ღV, \*-რV .

ასეთი აგებულებისაა დღესაც დარგულში მოქმედი ერგატივის ნიშანი ასეა ეს სხვა დაღესტნურ ენებშიც. მაგალითად, ანდიურში, სადაც ერგატივი -ღი ნიშნის გვერდით წარმოდგენილია როგორც -თხი < \*-ღი , ასევე — -ღი > -ღ ([50], გვ.111) .

ამდენად, ლაკურისათვის ერგატივის ერთ-ერთი უძველესი ფორმანტი \*-რV უნდა ყოფილიყო, რომელიც გარკვეულ პოზიციაში გადასულა \*-ღ ნიშანში, ხოლო ეს უკანასკნელი -თხ-ში. რაც შეეხება ხმოვნით ელემენტს, იგი ან რ ე დ უ ც ი რ ე ბ უ ლ ი ა , ან არადა, იგივე ელემენტია, დღეს რომ დამაკავშირებელ ხმოვანს ვეძახით.

ლაკურში საკუთრივ ერგატივის ერთ-ერთ მანქარაობლად აღდგენილი \*-რ(V) წარმოშობით იგივე უნდა იყოს, რაცა გვაქვს ლაკურში ნიჟის გრამატიკული კლასის -რ ნიშნის სახით წარმოდგენილი, ხოლო მისი თანხმობი ხმოვანი — ო დ ე ნ ბ რ უ ნ ე ი ს ნ ი შ ნ ი ს ფ უ ნ ქ ც ი ი - ს ა უ ნ დ ა ყ ო ფ ი ლ ი ყ ო<sup>1</sup> .

1 შდრ. ([88], გვ.112), სადაც ერგატივის ნიშნად წავარაუდევია -თხ- ფორმანტი; ასევე შდრ., აგრეთვე ([107], გვ.76), სადაც ლაკ. -თხუ || -ღუღ (< \*-ღუ || \*-ღა), ირიბ ბრუნვათა მანქარაობელი სუუიქსები, მიჩნეულია ერგატივის ამოსავალ ფორმანტად.



სახელებში (ლესა. ჩვენებით ნაცვალსახელებში) — კი დამოუკიდებელი  
ერგატივი გვქონდა — მას -5V აწარმოებდა. თანაღ, თანიღ ... რიგის  
ნაცვალსახელები იმდენადაა ერგატივის აღმნიშვნელი, რამდენადაც მათში  
წარმოდგენილია -ნა, -ნი ელემენტები, ხოლო ნათესაობითია იმიტომ, რომ  
მათ ახლავს -ღ — ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტი.

თხუ-ღ, ჭი-ღ ფორმებს ისტორიულად, მართალია, უნდა ჰქონოდათ ეს  
-5V, აღვადგინეთ კიდევ ზემოთ (იხ. გვ. 25-27) \*ღუნა, \*ჭინა რიგის ფორ-  
მები, მაგრამ მათ ეს -5V, ჩანს ადრე დაუკარგავთ, მანამ, სანამ -5V შეი-  
ძენდა ერგატივის ფუნქციას.

დღეს კი თხულ, ჭიღ ფორმები -5V ელემენტის გარეშეა, იმის გარე-  
შე, რასაც ჩვენებით ნაცვალსახელებში ერგატივის გაგება შეაქვს. ცხადია,  
უამეღემენტო ნაცვალსახელის ფორმები ერგატივის როლში ვერ მოგვევლინე-  
ბოდნენ.

ერთი სიტყვით, ლაკურში ერგატივი და ნათესაობითი ერთმანეთს შეერ-  
წყა იქ, სადაც ერგატივი, როგორც დამოუკიდებელი ბრუნვა, გაფორმებული იყო.  
I და II პირის ნაცვალსახელებში ერგატივი არ გა-  
ფორმებულა და, ბუნებრივითაა, რომ ამ ნაცვალსახელთა ნათე-  
საობითი მხოლოდ კუთვნილებას გამოხატავს.

მაშასადამე, -5V ერგატივის ერთ-ერთი უძველესი ფორმანტია ლაკურში,  
მასთან — ნაცვალსახელური წარმომავლობისა.

ეს გვაგონებს ქართულის ვითარებას<sup>1</sup>, სადაც დღევანდელი ერგატივის  
ნიშანი -მა || -მ მიღებულია მან ნაცვალსახელისაგან. ლაკურში, განს-  
ხვავებით ქართულისაგან, ნაცვალსახელი მთლიანად არაა აღებული, გამო-  
ყენებულთა ჩვენებით ნაცვალსახელთა  
საერთო ელემენტი — დეტერმინანტი -სუ-  
ფიქსია.

მაგრამ ძველი ქართულის ერგატივის დაბოლოება -მან წარმო-  
შობით თვით წარმოდგენს ერგატივის ფორმას, მსგავსად ვინ კითხვი-  
თი ნაცვალსახელისა: მა-ნ, ვი-ნ<sup>2</sup>.

ორსავე შემთხვევაში მოთხრობითის ორგანული წარმოებაა<sup>3</sup>.

მაშასადამე, ერგატივის უძველესი ნიშანი ქართულში -ნ ყოფილა<sup>4</sup>, რო-

1 დადესტნურ ენათაგან, მაგალითად, ხუნძურისას, სადაც ერგატივი დაბოლოება-  
ნი -სა და -ლ<sup>ა</sup> მასალაობრივ იგივეა, რაცა გვაქვს ხოლმე ჩვენებით  
ნაცვალსახელთა ერგატივში წარმოდგენილი.

2 მართალია, ვი-ნ ერგატივს გარდა სახელობითშიც დასტურდება, მაგრამ, რო-  
გორადაც ამაზე სამართლიანად მიუთითებდა ჯერ კიდევ ჰ. შუხარდტი, იგი  
სახელობითში ერგატივიდანაა გადასული ([156], გვ. 52).

3 შდრ. ([31], გვ. 62), რომლის თანახმადაც მან და ვინ ქართულში „წარ-  
მოდგენენ წმინდა ფუძეებს (და არა მოთხრობითი ბრუნვის ფორმებს). ნ  
დეტერმინანტი სუფიქსია იმავე რიგისა, როგორც მენა, შენა და სხვ.“

4 რომლის მორფოლოგიური ბადალია ნაცვალსახელოვანი წარმომავლობის ზან.  
-ქ (< \*-გ) და ქართ. -ნ-ის ფონეტიკური კორელატი სვან. -ღ ([48],  
გვ. 172-174).

მელიც მიჩნეულია ჩვენებითი ნაცვალსახელის ძირად ([43], გვ. 174).

მასალობრივ ეს -ნ იგივე უნდა იყოს, რაც დასტურდება ხოლმე -ნა-ს სახით ქართლისავე ზმნისართებში, რომლებსაც ენაცვლებათ -და: ზედა — ზენა, ქვედა — ქვენა, სადა — სანა(მდის), მა(ნ)და — მანა (მდის), შიდა — შინა ([38], გვ. 451). მართალია, „სემასიური დიფერენციაცია მათ შორის უთუოდ იგრძნობა“, მაგრამ „ცხადია, რომ ნ და დ ელემენტები პარალელურადაა ნახმარი“ ([27], გვ. 526). ეს გასაგებია, რაკი მათ ერთნაირი დანიშნულება ჰქონდათ.

აქაც, მსგავსად ლაკურისა, დეტერმინანტ-სუფიქსი თანხმოვანი + ხმოვნისაგან შედგება: -ნ + ა, -დ + ა...<sup>1</sup>

-ნ ელემენტით გაფორმებული ე.წ. ირიბი ბრუნვები ლაკურში მარტო აღნიშნული ჩვენებითი ნაცვალსახელებით რომ არ ამოიწურება, ზემოთაც ენახეთ. ეს სავსეობებია (-ნა, -ნი) ატრიბუტიულ სახელთა ბრუნებისას რომ გვაქვს, რაც, აგრეთვე, ბუნებრივია — ასეთი სახელები მოითხოვენ სწორედ დეტერმინაციას (განსაზღვრას). ერგატისის ზოგი ნიშანი კი, როგორც ეს ცნობილია, რიგს იბერიულ-კავკასიურ ენაში ნაცვალსახელური წარმომადგობისაა (ქართული, სვანური, ადიღური, ხუნძური ...) და, როგორც ამას სამართლიანად ფიქრობენ, ასეთი ნიშნით მარკირებული ფორმები თავდაპირველად გ ა ნ ს ა ზ დ გ რ უ ლ ო ბ ა ს გამოხატავდნენ (მაგ., კაც-მ — კაც-მან ... ([43], გვ. 174).

რჩება ერთი საკითხი: -ნ, ერგატისის ნიშანი ძველად, დღეს ლაკურში გრ. კლასების მიხედვით გარჩეულია: -ნა დასტურდება I გრ. კლასის სახელებთან, ხოლო -ნი — დანარჩენ სახელებთან. ცხადია, აქ გრ. კლასი ხმოვნებითაა გარჩეული. ეს, რა თქმა უნდა, არაა ამოსავალი ვითარების ამსახველი. აღნიშნული მორფემა გრ. კლასის მიხედვით თავდაპირველად არ განირჩეოდა, დღევანდელი გარჩევა კი მ ე ო რ ე უ ლ ი ა .

ლაკური ენის განვითარების ადრეულ ეტაპზე გრ. კლასები გარჩეული უნდა ყოფილიყო ბრუნებაშიც, რომლის მ ო შ ლ ი ს კ ო მ პ ე ნ ს ა - ც ი ა ა დღევანდელი კლასების გარჩევაც, დაფუძნებული ა/ი ხმოვანთა მონაცვლეობაზე.

თუ ზემოთ გატარებული თვალსაზრისი -თ < \*-დ < \*-რ თაობაზე მართებულია, მაშინ აქ წამოყენებული დებულებაც რეალურ საფუძველს პოვებს — \*-რ მასალობრივ ლაკურში დღეს მოქმედი ერთ-ერთი გრ. კლასის ნიშანია.

1 შდრ. ([35], გვ. 50-51), რომლის თანახმადაც, რაკი ქართველურ ენებში დეტერმინანტ-სუფიქსი საზოგადოდ -VC აგებულებისაა, პირისა და კითხვით ნაცვალსახელებში ( მე(ნ), შენ, ჩვენ, თქვენ, მან, ვინ ) სუფიქსად გამოსაყოფია -ენ, -ან, -ინ და არა — ნ < ნა ელემენტით.

ლაკურ სახელებშიაც დეტერმინანტ-სუფიქსი -VC აგებულებისაა, მაგრამ ეს არ გამორიცხავს იმავე ლაკურში -CV აგებულების მქონე იმავე დანიშნულების სუფიქსის არსებობას პირისა და ჩვენებით ნაცვალსახელებში. ასევეა ზმნებში, სადაც -რV რიგის პირის დაბოლოებანი წარმოშობით ფინიტიური მნიშვნელობის დეტერმინანტ-სუფიქსებია ([94], გვ. 301 ).

II. ნათესაობითი ბრუნვის -ლ ნიშნის გენეზისისათვის ლაკურში.

საფიქრებელია, რომ ის ს ა ვ რ ც ო ბ ე ბ ი , რომლებიც ისტორიულად ფ უ ძ ი ს ე უ ლ ი ა რ ა რ ი ა ნ , ე რ გ ა ტ ი ე ნ ის ნ ი შ - ნ ე ბ ს წ ა რ მ ო ა დ გ ე ნ დ ე ნ , როგორადაც ეს ადრევე იგარაუ- და არნ.ჩიქობავამ ([89], გვ.110-118). მაშასადამე, დღეს რომ ერგ.-ნათ. ბრუნვის -ლ ნიშანი გვაქვს, ი გ ი თ ა ვ ი ს ი ფ უ ნ ქ ე ი ი თ ო დ ე ნ ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ი ს ფ ო რ მ ა ნ ტ ი ყ ო ფ ი ლ ა .

ნათ. ბრუნვის -ლ ნიშანი ლაკურში გამარტივებული ჩანს — უნდა გვქონოდა, ალბათ, \*-ლV. თუ დარგულის სათანადო მონაცემს გავითვალისწინებთ, მაშინ ლაკურისათვის ნათესაობითი აღსადგენია \*-ლა; მის უფრო ადრინდელ სახედ კი სავარაუდოა \*-რV, სადაც -რ წ ა რ მ ო შ ო ბ ი თ გ რ ა მ ა ტ ი კ უ ლ ი კ ლ ა ს ი ს ნ ი შ ა ნ ი უ ნ დ ა ყ ო ფ ი ლ ი ყ ო , ხოლო მისი თანმხლები ხმოვანი — საკუთრივ ბრუნვის ფორმანტი.

-რ დღესაც ცოცხალი და მოქმედი ნიშანია, მაგალითად, ანდიური ენის კლასნიშნიან ნათესაობითში ([50], გვ.118):

- იმუ-გ გ-ოცხი „მამის ძმა“
- იმუ-ა ა-ოცხი „მამის და“
- იმუ-ბ კოთუ „მამის ცხენი“
- იმუ-რ ჰაყხუ „მამის სახლი“

როგორც ჩანს, ნათ. ბრუნვის დაბოლოება ყველგან დამოკიდებულია საზღვრულის გრ. კლასზე. ეს იგივე -რ ელემენტია, რაცა გვაქვს ხოლმე წარმოდგენილი -რ-ის სახით ხუნძ. დი-რ „ჩემი“, დუ-რ „შენი“, ჩიჰა-რ „სხვისი“ სიტყვებში ([50], გვ.118).

აი, ამ რიგისა უნდა იყოს წარმოშობით დღევანდელი ნათ. ბრუნვის ნიშანი -ლ < \*-რV ლაკურში ( ასევე დარგულში -ლა < \*-რა ).

III. მიცემითი ბრუნვის -ნ ნიშნის გენეზისისათვის ლაკურში.

მიცემითი ბრუნვის -ნ ნიშანი ლაკურში მეორდება სხვადასხვა ადგილობით ბრუნვის ფორმანტის შემადგენლობაში:

ადგილ. ბრუნვათა ერთ-ერთ სერიაში: კხათლუ-ტუ-ნ „სახლ-ში-კენ“, კხათლუ-ა-ნ „სახლ-ზე-კენ“ ...

მიახლ. კხათლუ-ხ~ზ-უ-ნ „სახლ-თან-კენ“ და სხვ.

ე.ბოკარეგმა ლაკურის მიც. ბრუნვის -ნ ნიშანი წარმოშობით ლოკატივის ფორმანტად მიიჩნია ([85], გვ.63), ასევე ვარაუდობს ბ.გიგინეიშვილი ([106], გვ.37).

ის, რომ -ნ დაერთვის ხოლმე სხვა თანდებულებიან ბრუნვას, მაინცა და მაინც -ნ ფორმანტის ლოკატიურ წარმომავლობაზე არ უნდა მიუთითებდეს. აქ პირუტყუ უნდა იყოს: მიც. ბრუნვის ნიშანია შემდგომ გამოყენებული მიმართ. ბრუნვის ფორმანტად. ასეა ეს სხვა დაღესტნურ ენებშიც, მაგ., ხუნძურში ([49], გვ.155-156), ანდიურში ([50], გვ.166) ... ასე რომ ა მ ო - ს ა ვ ა ლ ი მ ი ც ე მ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ი ს ნ ი შ ნ ო ბ ა ა — მისი ლოკატივში გამოყენება მ ე ო რ ე უ ლ ი , გვიანდელი ჩანს.

გენეზისის თვალსაზრისით ლაკურში მიც. ბრუნვის ნიშანი -ნ უნდა

ბოდოდეს \*ბ-ისაგან \*მ-ის გზით: \*ბ > \*მ > \*ვ<sup>1</sup>.

ამოსავალ \*ბ-ს ხმოვანი უნდა ხლებოდა: \*ბV. ალდგენილ ფორმანტში \*ბ წ ა რ მ ო შ ო ბ ი თ გ რ ა მ ა ტ ი კ უ ლ ი კ ლ ა ს ი ს ნ ი შ ა ნ ი ა, ხოლო მისი თანმხლები ხმოვანი — საკუთრივ მიც.

ბრუნვის ფორმანტი.

მართალია, ხმოვანგარიანტიანი მიცემითის კვალი ლაკურს არ დაუყავს, მაგრამ მის ახლომონათესავე დარგულში, კერძოდ, კუბაჩურის ნეტყველებაში, იგი ნახევარხმოვნის სახით დასტურდება:

აბა-ა „დედას“ ... უფი-ლი-ა „ძმას“ ([129], გვ. 94-95).

დარგულში მიცემითის რამდენიმე აფიქსია (დიალექტების მიხედვით): -დ, -უ, -ბ, -ზ, -ს, -მ, -ჟ, -ა, -ვ. აღნიშნავენ, რომ ესენი წარმოშობით რეალური ობიექტის კლას-კატეგორიის ნიშნებია და ისტორიულად მათ ხმოვანაც უნდა ხლებოდა: -დ-ი, ბ-ი, -მ-ი ... ([12], გვ. 227).

დარგულში მიც. ბრუნვის ფორმანტად \*მ-ის ალდგენას ხელს შეუწყობს კუბაჩური დიალექტის მონაცემები. აქ I პირის ნაცვალსახელს ( დუ „მე“ ) მიც. ბრუნვაში პარალელური ფორმები აქვს: „უფრო სრული. დამმი-ა ბრუნვის დაბოლოებით -ა და მოკლე — დამ „მე“ ([12], გვ. 141). დამ ფორმა, დღეს რომ აქ მიც. ბრუნვის ფუნქციით გამოდის, მიღებულია დამ-მი-(ა) ფორმისაგან (შდრ. დუ „მე“: ერგ. დუ-დი-ლ, ნათ. დი-ლა ). დამ-ში ბოლოკიდური მ < ნ იგივე ელემენტია, რაცა გვაქვს, მაგალითად, ხუნძ. დუ-ბ „ზე“, მუ-ნ „შენ“ ნაცვალსახელებში ნ-ის სახით წარმოდგენილი — ე. წ. სუფიქს-დეტერმინანტი ([18], გვ. 165). მაშასადამე, დამ ფორმაში -მ მიცემითის ნიშნად ვერ ჩაითვლება. სხვა რომ არაფერი დამ-მი-ა ფორმა ს ა მ მ ა გ ი მიცემითის ფორმა გამოგვივიდოდა, რაც ფაქტობრივ არც ერთ იბერიულ-კავკასიურ ენაში არ დასტურდება და თეორიულადაც ძნელი წარმოსადგენია.

-მი-ა დაბოლოების -მი კი მართლაც ის უნდა იყოს, რაც ჯერ კიდევ ადრე აღადგინა შ. გაფრინდაშვილმა სწორედ კუბაჩური მასალის საფუძველზე: „მიცემითი ბრუნვა დარგულში ისევე უნდა ყოფილიყო ხმოვნით დაბოლოებული, როგორც ეს დღემდე შემოგვინახა კუბაჩურის პირთა ნაცვალსახელების ბრუნვაში ([12], გვ. 222).

ზემოთ აღდგენილი ფორმანტების ანალოგიურია ხუნძური ენის ანწუხურ დიალექტში ფაქტობრივ დადასტურებული კლასნიშნინანი მიცემითი: -ვ-ე, -ბ-ე, -ა-ე, -რ-ე ([49], გვ. 146-147), სადაც თანხმოვნითი ელემენტი ცოცხალი

კლას-ნიშანია, ხოლო ხმოვანი — საკუთრივ ბრუნვისა.

ანალოგიურ ვითარებას ვარაუდობენ ისტორიულად დარგულისათვის და ვგარაუდობთ ჩვენც ლაკურისათვის.

I შდრ. ლაკ. შან „სამი“: შამ-უნნა-|| შამ-უნნი- (ირიბ ბრუნვათა ფუძეები); ეს შამ < \*შაბ < \*ხაბ < \*ლაბ. ბ-იანი ვარიანტია დარგულის სათანადო რიცხვით სახელში: შაშბ-ალ (ახუშე, ურახე, მეორე, წუდ.), შაშბ-ალ (ხაიდაყე, სირხე.), შაშბ (კუბე.), ხუნძ. ლაბ, არჩ. ლაბ, რუთ. ხაბ-დ, კრიწ. შიბ-ნირ „სამი“ სახელშიაც ბოლოკიდურად ბ-ია წარმოდგენილი.

ოლნდ, დარგულში მიც. ბრუნვის ფორმანტის კლასნიშნადანი ვარიანტი-დან წარმომავლობა უფრო ნათელია: გვხვდება ბ და დ ვარიანტიანი მიცემითი, მიცემითის -ჟ ვარიანტიანი სახეობაც, როცა ლაკურში მხოლოდ ნ დასტურდება. ცხადია, ამ უკანასკნელს უფრო მეტი ცვალება განუცდია, ვინემ სათანადო ფორმანტს დარგულში.

ლაკურისათვის მიც. ბრუნვაში ამოსავლად \*-ბV წყობის ნიშანი ვიგარაუდეთ, რომელსაც დროდა განმავლობაში, ჩანს, აფიქსისეული ხმოვანი მოკვეცია, რის შემდეგ, ბუნებრივია, ბრუნვის ნიშნის ფუნქცია \*-ბ > \*-მ > -ნ (ეს უკანასკნელი ფონეტიკური პროცესის სიტყვის აბსოლუტურ ბოლოს ლაკურში, როგორც უკვე ითქვა, ჩვეულებრივია) მორფემას უკისრია<sup>1</sup>.

ლაკურში პროცესი ბ > მ ისტორიულად დასტურდება, თანაც, დარგულის დიალექტებში დღეს ფაქტობრივ წარმოდგენილი ნა-მ (ურახ.), და-მ (წუ - დახ.)<sup>2</sup>, ნა-ბ (ახუშ.) „მე“ (მიც.) ასეთ დაშვებას რეალურს ხდის.

ამდენად, მიცემითი ბრუნვის ნიშანიც წარმოშობით გ რ ა მ ა ტ ი - კ უ ლ ი კ ლ ა ს - ნ ი შ ნ ი ს ა გ ა ნ მ ო მ დ ი ნ ა რ ე ყ ო - ფ ი ლ ა .

შეიძლება დავასკვნათ: ლაკურში ძირითად ბრუნვათა ნიშნები ის - ტ ო რ ი უ ლ ა დ ო რ ი რ ი გ ი ს ა ა ([IO], გვ. I43):

I. კლას-ნიშნისაგან მომდინარე:

ა) ერგატივისა: -თხ < \*-დ < \*-რ < \*-რV

ბ) ნათესაობითისა: -ლ < \*-ლV < \*-რV

გ) მიცემითისა: -ნ < \*-მ < \*-ბ < \*-ბV

II. ნაცვალსახელური წარმომავლობისა — დეტერმინანტიული სუფიქსისაგან მომდინარე:

ერგატივისა: -ნა -ნი < \*-ნV

§ 17. ადგილობით ბრუნვათა ნიშნების გენეზისისათვის. ადგილობით ბრუნვათა მრავალრიცხოვნება ლაკურში შეპირობებულია ზმნაში პრევერბთა უქონლობით ([24], გვ. 385). ეს არაა მხოლოდ ლაკურისათვის დამახასიათებელი — ასეთ რიგს დადესტნურ ენაში ([I60], გვ. I50).

საზოგადოდ შეიმჩნევა, რომ პრევერბთა უქონლობა ენაში კომპენსირებულია თანდებულთა მრავალფეროვნებით. ნათლად ჩანს ეს, მაგალითად, ზანურის მეგრულსა და ჳანურ დიალექტებში, სადაც პრევერბთა სისტემაა განვითარებული, სამაგვიეროდ — თანდებულთა სისტემაა ღარიბი. ეს იმიტომ რომ ორივე-ნი ერთი და იმავე წყაროდან მომდინარეობენ: ნაწილაკებისა ან ზმნისართული ფუძეებისაგან ([I60], გვ. I49).

ზმნისართული ფუძეებისა და თანდებულთაგანაა მიღებული ლაკურში ზოგი ადგილობითი ბრუნვის ნიშანიც, რასაც ქვემოთ წარმოვადგენთ.

<sup>1</sup> CV აგებულიების მქონე აფიქსთა ხმოვნისეული ელემენტის რედუცირება ლაკურში, როგორც ამას ქვემოთაც ვნახავთ, ადრე გავრცელებული ყოფილა.

<sup>2</sup> „... რომელსაც ისტორიულად მხოლოდ ღ ხმოვანი აკლია — მიცემითის ნიშანი“ ([I8], გვ. I64).

I. ბრუნვის ნიშანთა გენეზისი იმ ლოკატორი ბრუნვებისა, რომლებიც საგანთა ურთიერთობას სივრცის გარეშე გამოხატავენ. ასეთი ბრუნვა ლაკურში სულ ექვსია, შვიდი (ან რვა); თუ კი პიტინაევის მიერ გამოყოფილ -ხლუ (|| -ხლუნუ) „გამო“, „ნაცვლად“ თანდებულიან ფორმებსაც ჩავთვლით:

ა) -აარ || -ნიაარ „ვიდრე“ დაბოლოებათა გამოყენებისას სხვაობაა: -აარ, მსგავსად სხვა ბრუნვათა ნიშნებისა, დაერთვის ირიბ ბრუნვათა ფუძეს, -ნიაარ კი — სახელობითისას ([115], გვ. 44).

-აარ და -ნიაარ აფიქსთა შედარებისას -ნი გამოიყოფა. ეს ის ელემენტი ჩანს, ზმნებში რომაა გამოყენებული ერთ-ერთ საგარემოებო ნაწილად „როცა“-ს მნიშვნელობით: ჩიჩაა-ნი „როცა წერს“.

იმავე -ნი-ს ლაკურში ვხვდებით დროის ზმნისართთა ერთ-ერთ მაწარმოებლად: ჩაწ-ნი „ადრე“ (შდრ. ჩაწ-სხა „ადრიანი“), თწ-ნი „იმ დროს“ (შდრ. თწ „ის“)<sup>1</sup>. შესაძლოა, დროის ზმნისართთა ამ -ნი სუფიქსს გენეტური კავშირი ჰქონდეს საერცობ -ნი-სთან, ზემოთ რომ ერკატის ერთ-ერთ უძველეს ფორმანტად დავსახეთ.

რაც შეეხება -აარ „ვიდრე“ მაწარმოებელს, ისიც რთული ჩანს: -ა-აარ, სადაც -ა- ხმოვანთგამყარია (ფუძისეული ან დამაკავშირებელი ხმოვნისა და -აარ აფიქსის ა ხმოვნისა), ხოლო \*-აარ უნდა იყოს, სახელებთან რომ „ვიდრე“ მნიშვნელობით დასტურდება.

ბ) -ხლუ || -ხლუნუ „გამო“, „ნაცვლად“ დაბოლოებათა შეპირისპირებისას გამოიყოფა -ნუ, რომელიც იგივე ელემენტი, რასაც ვხვდებით დამოუკიდებლად, ერთი მხრივ, ზმნისართთა ერთ-ერთ მაწარმოებლად (წაყ-ნუ „ძლიერ“; შდრ. წაყ-სხა „ძლიერი“), ხოლო, მეორე მხრივ, აბსოლუტივის მაწარმოებლად მომავალ დროში.

-ხლუ, ჩანს, იშლება: -ხ- და -ლუ. ერთიცა და მეორეც ლაკურში დასტურდება დამოუკიდებლად: -ხ „იქით“ მნიშვნელობით, ხოლო -ლუ „ქვეშ“ გაგებითაა — ორივე კი მდგომარეობის გამოხატველ ცალთანდებულიან ბრუნვას წარმოადგენს.

გ) რაიმეს დაბეჯითებით თქმა -ა-ნუ „მეოხებით“ ადგილ. ბრუნვის ნიშნის წარმომავლობაზე ძნელია, მაგრამ იგი მასალობრივ რომ იმეორებს ლაკურში ზმნისართთა -ნუ მაწარმოებელს (ასევე, აბსოლუტივის -ნუ ფორმანტს ზმნაში), ეს კი ცხადია.

დ) ლაკურში ამათ გარდა კიდევ ოთხი ადგილ. ბრუნვაა, რომლებიც ად-ნიშნავენ, აგრეთვე, საგანთა ურთიერთობას სივრცის გარეშე:

- |                       |   |                        |
|-----------------------|---|------------------------|
| 1. <u>მითვისებითი</u> | — | - <u>ხ</u> ~           |
| 2. <u>მიახლოებითი</u> | — | - <u>წ</u> ~ <u>უნ</u> |
| 3. <u>დაშორებითი</u>  | — | - <u>შხა</u>           |
| 4. <u>კავშირებითი</u> | — | - <u>შხალ</u>          |

<sup>1</sup> -ნი გამოიყოფა ყწლტ-ნი „მალვით“, „ფარულად“ (შდრ. ყწლტ-სხა „დაფარული“, „მალული“) ზმნისართში, თუ ეს უკანასკნელი მიღებული არაა ყწლტ-ნუ იმავე მნიშვნელობის ფორმისაგან (-ნი < \*-ნუ დისიმილაციით — ფუძისეულ ქუ ხმოვანთან).

ამ ბრუნვათა ნიშნებს შორის შესაძლო ურთიერთკავშირზე პირველად მიუთითა ც.თოფურიამ — მიმართება -შა და -შაღ, -ხ და -ხ<sup>ჴ</sup>უნ ბრუნვათა ნიშნებს შორის და მათი გენეზისი „მომავალში გაირკვევაო“ ([24], გვ.მშ2). მართლაც, გაირკვა, რომ ისინი საერთო წარმომავლობის ანი არიან.

I. მითვისებითი ბრუნვა. ეს ბრუნვა ქართულში შეიძლება გადმოიცეს მიცემითი ბრუნვით; უკეთ, — „თან“ თანდებულიანი მიცემითით:

სახ. კვათა „სახლი“, „ოთახი“

მითვ. კვათ-ლუ-ხ „სახლს ... (თან)“, „ოთახს ... (თან)“

მითვ. ბრუნვის ნიშანი -ხ მიღებული უნდა იყოს \*-ხ<sup>ჴ</sup>-ისაგან სიტყვის აბსოლუტურ ბოლოს. ამას ადასტურებს ამ ნიშნის გამოყენება ტოპონიმიკურ სახელებში<sup>1</sup>, სადაც იგი წარმოდგენილია -შ ფორმანტის სახით -ი სუფიქსის წინ: \*-ხ<sup>ჴ</sup> > -შ.

ლაკური რაიონის ერთ-ერთი აულის სახელწოდებაა კუსრაში „ხოსრე-ხი“, რომლის ფუძედ გამოიყოფა კუს- (შდრ. კუს-ი-ჩჴ „ხოსრეხელი კაცი“, კუს-ი-შარ „ხოსრეხელი ქალი“). კუხ-რ-ა-შ-ი ფორმაში -რ- სადრეკობა, -ა- — დამაკავშირებელი ხმოვანი, ხოლო -შ- < \*-ხ<sup>ჴ</sup>- კრებიოზის -ი სუფიქსის წინ ([67], გვ.159; [69], გვ.17-18).

ეგვემ -შ (< \*-ხ<sup>ჴ</sup> ) ჩანს ხუნძახის ძველ ლაკურ სახელწოდებაში შრ-თა-ა-შ-ი; შდრ. შრ-უ-სა „ხუნძი“, შრ-უ-ჩჴ „ხუნძი მამაკაცი“, შრ-უ მზ „ხუნძური ენა“ და სხვ. ([71], გვ.161).

მაშასადამე, მითვ. ბრუნვის ნიშანი -ხ მიღებულია \*-ხ<sup>ჴ</sup>-ისაგან. მართალია, იგი უცვლელად არაა დაცული ლაკურში, მაგრამ ამ მორფემის ძველად არსებობაზე ცხადად მიუთითებს მისი -შ ვარიანტის სახილ წარმოდგენა -შ-ი ფორმანტში<sup>2</sup>.

2. მიახლოებითი ბრუნვა. მიახლ. ბრუნვა ქართულში შეიძლება გადმოიცეს „კენ“ თანდებულიანი ნათესაობითით:

სახ. კვათა „სახლი“, „ოთახი“

მიახლ. კვათ-ლუ-ხ<sup>ჴ</sup>უნ „სახლის, სახლის-კენ“ (ზედმიწ. „სახლს-თან-კენ“), „ოთახს...“ (ზედმიწ. „ოთახს-თან-კენ“).

მიახლ. ბრუნვის ნიშანი -ხ<sup>ჴ</sup>უნ რთულია: -ხ<sup>ჴ</sup>-უ-ნ, სადაც -ხ<sup>ჴ</sup>- სრული სახითაა წარმოდგენილი ხმოვნის წინ; -უ- თანხმოვანთგამყარია, ხოლო -ნ ადგილ. „კენ“ ბრუნვის ნიშანია, რომელიც წარმოშობით მიცემითი ბრუნვის -ნ ნიშანს უკავშირდება.

მ. დაშორებითი ბრუნვა. დამ. ბრუნვა ქართულში შეიძლება „გან“

1 ლოკატორ ბრუნვათა ნიშნების ტოპონიმიკურ სახელებში გამოყენება დადესტურ ენებში გავრცელებულია ([17], გვ.101-102).

2 რომელსაც თვლიან შარ „სოფელი“ სახელის სახეცვლილ ფორმად ([149], გვ.191), რაც რეალურ ვითარებას არ შეესაბამება. -ში ფორმანტი რთულია და, როგორც მართებულად შენიშნავს ი.აბდულაევი ([71], გვ.165), ზოგჯერ გვევლინება ერთიან ტოპოფორმანტადაც, მაგრამ, ეს, რა თქმა უნდა, არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ისინი გავაიგივეთ.

თანდებულებანი ბრუნვით გადმოიყვან:

სახ. კვათხა „სახლი“, „ოთახი“

დაშ. კვათ-ლუ-შხა „სახლისგან“ (ზედმიწ. „სახლს-თან-გან“),  
„ოთახისგან“ (ზედმიწ. „ოთახს-თან-გან“).

-შხა დაბოლოების -შხ- იგივე ელემენტია, რაც გვქონდა ზემოთ  
წარმოდგენილი -ხ-ის სახით -ხ-უ-ნ აფიქსში. -შხ- მიდებულება  
\*ხ-ისაგან -ა მორფემის წინ.

ლაკურში, როგორც ეს ცნობილია, ხ > შ, ხ- > შ- პროცესი დასტურ-  
დება ა და ი ხმოვნების წინ, თუ სათანადო ხ- და ხ-ს ლაბიალიზე-  
ბული არაა. მართალია, ხ- > შ- ლაკურში ახლა არ ატარებს საცესებით  
რეგულარულ ხასიათს ([15], გვ.72), მაგრამ აღნიშნული გადასვლა რომ მეტად  
ზუსტად იყო გატარებული, კარგად ჩანს ხუნძურ ლატერალთა ლაკურ შესატყვისი-  
სობათა გათვალისწინებით. კერძოდ, ყოველი ხუნძ. ლ- ლაკურში, \*ხ-ის  
გზით, ა და ი ხმოვნების წინ გვაძლევდა შ-ს; ასევე, ლ-ს, \*ხ-ის  
გზით, იმავი პოზიციისაში გადადიოდა შ-ში ([58], გვ.340).

ხუნძ. ლ-ბ-გო : ლკ. შამ-ა (<\*ხ-ამ-ა) „სამი“

„ ლ-ზინ : „ შხინ (<\*ხ-ზინ ) „წყალი“

აღნიშნული პოზიციური ბგერათყველილება თვით ლაკურში დასტურდება:

ლაქბ-უსსა „მსგავსი“; შდრ. ლაშხან < \*ლახ-ხან „დამსგავსება“

([15], გვ.72). აგრეთვე: კუშხინ < \*კუხ-ხინ „მოშარდვა“, კუშხალე <  
\*კუხ-ხალე „შარდი“; შდრ. ზმნური ფორმები: კუხ-ხუნე ( I, III გრ.კლ.),  
კურხ-ხუნე ( II, IV გრ.კლ.), რომლებშიაც ამოსაველი \*ხ-ს სახეზეა.

-შხა ფორმანტის -ა ელემენტი, როგორც ამას მართებულად მიუთი-  
თებს კ.პოუდა, აჩვენებს დ ა შ ო რ ბ ა ს ([165], გვ.44) და მიღებული  
უნდა იყოს -ათუ „-გან“ თანდებულისაგან. ეს რომ მართლაც ასეა, ამას  
მოწმობს ერთი ძველი ლაკური ხელნაწერის ენა, რომელშიაც ამოსაველი ვითა-  
რებაა დაკული. კერძოდ, იქ დასტურდება ფორმა ჭი-ხ-ათუ-სხა „შენგან“  
([141], გვ.181); შდრ. სამწ. ჭი-შხა იმავი მნიშვნელობით.

ლაკურ ხელნაწერში, როგორც ვნახეთ, ამოსაველი \*ხ-ის გვერდით -ა  
მორფემის წყარო -ათუ „-გან“ თანდებულებაცაა წარმოდგენილი.

4. კავშირებითი ბრუნვა. ეს ბრუნვა ქართულში შეიძლება გადმოიყვან  
„-ურთ“ თანდებულებანი მოქმედებითით:

სახ. კვათხა „სახლი“, „ოთახი“

კავშ. კვათ-ლუ-შხალ „სახლით-ურთ“, „სახლთან ერთად“, „ოთახ-ითურთ“,  
„ოთახთან ერთად“ ...

-შხალ ფორმანტის შემთხვევაში კ.პოუდა ვარაუდობს კავშ. და მოქშ.  
ბრუნვათა შეხვედრას ([165], გვ.44). მართლაც, ლაკურს არ გააჩნია ინსტრუ-  
მენტალისის საკუთარი მაწარმოებელი. ამ ბრუნვის ფუნქციით ლაკურში ზოგ-  
ჯერ ადგილს ბრუნვის ფორმა გამოდის. მაგ., ასეთებია: -ანუ „მეოხებით“,  
-ხ „გაილით“ ბრუნვათა ფორმები: ნაყ კიჭალ-თხ-უ-ხ „სუფი ციციხვით და-  
ასხა“ ([80], გვ.89).

იბერიულ-კავკასიურ ენათა მასალა გვიჩვენებს, რომ მოქშ. ბრუნვის  
ფუნქცია ზოგჯერ ერგატრის ეკისრება. ასე, მაგალითად:

თაბასარანულში მოქმ. და კავში. ბრუნვები იწარმოება ლოკატორ ბრუნვაზე სუფიქს -დი (-დი, -რი, -ე)-ის დაართვით ([126], გვ.180). იგივე სუფიქსი თაბასარანულშივე ერგატორებს ნიშანია ([126], გვ.116).

ლაკურში დედვანდელი ერგ.-ნათ. ითავსებს ხოლმე მოქმ. ბრუნვის ფუნქციასაც და, ამდენად, უპირანია, -შხალ ფორმანტის -ლ გენეზისურად დიფერენცირით ლაკურისადვე ერგ.-ნათ. ბრუნვის -ლ ნიშანს.

მთავსადამე, ლაკურის -შხალ ფორმანტი მართლაც რთული ყოფილა: შხა-ლ, სადაც -შხ-ა ფორმანტი იგივეა, რაცა გვაქვს დაშ. ბრუნვის ნიშნად, ხოლო -ლ — ერგ.-ნათ. ბრუნვის აფიქსი.

როგორც ჩანს, მთხივე ადგილმოებითი ბრუნვის ნიშანს აქვს საერთო ელემენტები \*-ხ, რომელიც შემდგომად გაართლებული სხვადასხვა ბრუნვის ნიშნით.

წარმოებით \*-ხ ნაშთია დაღესტნის რიგს ენაში დათასტურებული თანდებულისა:

\*-ხ კანონზომიერი შესატყვისია დოფობერიულსა და ბოთლიხურში გამოყენებული -ლ<sup>1</sup>ში „ურთ“, „იან“, „თან“ თანდებულისა.

ამავე წარმომავლობისა ჩანს ხუნძ. ენის ანწუხურ დიალექტში დადასტურებული ადგილ. ბრუნვის ფორმა, რომელსაც -ხ თანდებული აწარმოებს: დუნ-ხ „ჩემთან“, ცაც-ხ „მამასთან“ ... ([57], გვ.169)<sup>1</sup>.

ანწუხურში ლატრალი ლ<sup>1</sup>ხ საზოგადოდ დელატრალიზაციას არ განიცადის და, ამდენად, ბუნებრივია, დაისვას საკითხი, თუ საიდან გაჩნდა ეს თანდებული აქვს საერთაფოთა, რომ იგი შემოსულია სხვა ენიდან, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ კონკრეტულ შემთხვევაში დელატრალიზაციასთან გვეკონდის საქმე.

მაშინ ბუნებრივად დგება მეორე საკითხი: თუ -ხ თანდებული ანწუხურში რეფლექსია ამოსავალი \*-ლ<sup>1</sup>ხ + V თანდებულისა, მაშინ რატომ არ მივიღეთ აქ \*-ხ + V ?

საკითხი მარტივად წყდება, რადგან ხუნძურში, ჯერ ერთი, არა გვაქვს დაპირისპირება მაგარ და არამაგარ ხ-ს შორის და, მეორეც, ხ ხუნძურში თავისი აქუსტიკურ-ფიზიოლოგიური თვისებით მაგარი ჩანს ([49], გვ.41).

ანდიურ ენაში \*-ხ-ს შეესატყვისება -ლ<sup>1</sup>ხ, ადგილის ზმნისართის საწარმოებელი სუფიქსი, რომელიც „შეიძლება დაერთოს ყოველ სახელს და აჩვენოს შესაბამისად ადგილი ( „იქ, სადაც ვინმე ან რამე იმყოფება“); ვინ ვუკვო იმა-ლ<sup>1</sup>ხ „მე ციყავი იქ, სადაც მამაა — მამასთან“; ჰო-ლ<sup>1</sup>ხ „აქ“ ( < \*ჰო-ბ „ეს“), ზედმიწე „ამასთან“ = „აქ“ ([50], გვ.278)

კაბოლუა ლაკურის სათანადო მასალის კვლევისას იშველიებს თაბასარა-

I მართალია, ანწუხურის ეს -ხ მიაჩნიათ იმავე ოდენობად, რაცა გვაქვს წარმოდგენილი კაპ. ქა, ჰუნზ. გო „თან“ თანდებულთა სახით, სადაც ამოსავლად თელიან \*ტ-ს ([84], გვ.290), მაგრამ კაპუჭურ-ჰუნზიბურის ამ \*ტ ელემენტთან ფორმანტს ხუნძურში კანონზომიერი შესატყვისი -ჟუნ (-ჟინ) მოეპოვება, რომელიც აქ თანაობას ადნიშნავს და დაერთვის სახედის სხვადასხვა ბრუნვის ფორმას ([48], გვ.666).

ნულს და უკავშირებს მას თაბ. ხ~დი „-თან“, „-ურთ“ თანდებულს ([165], გვ.44). ფუნქციური სიახლოვე აშკარაა, მაგრამ მასალობრივი იგივეობა, შე-საძლოა, საეჭვო იყოს, რადგან თაბასარანულში გემინატთა პოზიცია არაა შეზ-ღუდული ([126], გვ.44). თუ ეს ასეა, მაშინ ხ~დი თანდებულს ვერ ჩავთ-ვლით \*ხ~დი ფორმისაგან მიღებულად და, მაშასადამე, დაკავშირებაც ძნე-ლია, რადგან ლაკურში ხ~ < \*ხ~. თუმცა არც იმისი დაშვებაა გამო-რიცხული, რომ თაბასარანულში აქ გვქონდეს ინტენსიური / არაინტენსიურის თავისუფალი (დუბლეტური) მონაცვლეობა.

სწორედ ასეთი მონაცვლეობა დასტურდება არჩიბულში, სადაც სათანადო -ლ~შუ || -ლ~უ „გვერდით“, „ახლოს“, „-თან“ ფორმანტი ადგილ. V-ის აფიქს-სია ([80], გვ.802).

\*ხ~-ის შემცველ ლაკურ -შხალ (< \*ხ~შალ) „-ურთ“, „-თან“ ფორმანტს უკავშირებენ დარგ. -ჩილ „-თან“, „ერთად“ აფიქსს ([151], გვ. გვ.7): ლაკ. წლი-შხალ — დარგ. წლი-ჩილ „აღისთან ერთად“.

დარგ. -ჩილ „-თან“, „ერთად“ რ თ უ ლ ი ფორმანტია: ჩი-ლ, სა -დაც -ჩი იგივეა, რაც მიმართულების აღმნიშვნელი -ჩი „-ზე“ ფორმანტი დარგულშივე.

-ჩი-ლ აფიქსის -ჩი ელემენტი დარგულში მიღებულია \*-ქი-საგან პალატალიზაციის ნიადაგზე; ამოსავალი \*-ქი „-ზე“ დაცულია დღეს დარგუ-ული ენის რიგს თქმაში -ქი || -ქე ვარიანტთა სახით ([93], გვ.230-231).

მაშასადამე, დარგ. -ჩილ < \*-ქილ ფორმანტის დაკავშირება ლაკ. -შხალ მაწარმოებელთან არ ხერხდება.

სამწერლობო დარგულში, რომელიც ახუშურ დიალექტს ეყრდნობა, ლაკური \*ხ~-ის შესატყვისი ფორმანტი არ დასტურდება, ურახულ დიალექტში კი, რომელიც პ. უსლარმა გამოიკვლია, -ჩუ ფორმანტთან (რომელიც გამოსატყვის მიმართულებას რაიმეს გვერდით) ერთად გვაქვს -ში სუფიქსიც — აღნიშ-ნავს მიმართულებას რაიმეს ზედაპირზე ([104], გვ.492).

როგორც ცნობილია ([107], გვ.147), ურახული ტიპის დიალექტებში ინ-ტენსიური თანხმონები გადავიდნენ არაინტენსიურ თანხმონებში. მაშასა-დამე, შეგვიძლია დავუშვათ, რომ -ში < \*-შხი.

მართლაც, შხ-ის შემცველი მიმართულებითი ბრუნვის ფორმანტი „-კენ“ მნიშვნელობით ზოგ დიალექტში დღესაცაა წარმოდგენილი:

წუდახარულ დიალექტში მიმართულებით ბრუნვათა III სერიაში დასტურ-დება -შუ „-კენ“ ([104], გვ.497), ასევე კუბაჩურში, სადაც იგივე ფორმან-ტი გამოყენებულია „რაიმესკენ“ მნიშვნელობით ([128], გვ.114), მეჭებურ დიალექტში კი -შუ „-კენ“ ფორმანტის გვერდით გვაქვს -ჩე „-ზე“ სუფიქსიც ([128], გვ.119):

სტუა-შუ „მაგიდისკენ“ — სტუა-ჩე „მაგიდაზე“.

ბუნებრივია დავასკვნათ, „-კენ“ მნიშვნელობა გადმოიცემა შხ-ის შემცველი სუფიქსით, ხოლო „-ზე“ მნიშვნელობა კი — ჩ < \*ქ-ის შემ-ცველი ფორმანტით. რაც შეეხება -შუ აფიქსის -უ ელემენტს, იგი ცალ-კეა გამოსაყოფი, ისევე როგორც -ში < \*-შხი ფორმანტის -ი — ორივეს მიმართულება უნდა აღენიშნა ([93], გვ.281-282).

უნდა ვივარაუდოთ, რომ -შუჟ, \*-ში ფორმანტების შუ ელემენტი იმაცე წარმომავლობისაა, როგორისაცაა ლაკურისათვის ზემოთ აღდგენილი თან-ღებულო \*-ბ~შ . მაშასადამე, დარგუულში შუ მიღებულია \*-ბ~შ-საგან.

მართალია, პროცესი ბ~შ > შუ დარგუული ენის დიალექტებში დღეს არაა რეგულარული, მაგრამ ცალკეულ უდავო შემთხვევაში იგი მაინც დასტურდება. მაგალითად:

ახუშ., ურახ. მახ~ი < \*მახ~ში, მუირ., სირხ., კუბ. მაშუი < \*მახ~ში „ხუტორი“; შდრ. ლაკ. მაშუი < \*მახ~ში იმაცე მნიშვნელობით.

ამ ფორმათათვის ამოსავალი სახე დაცულია არჩიბულში მალ<sup>1</sup>ში „ხუ-ჭორის“ სახით ([107], გვ. 128-129).

ჩანს, დარგუულის სათანადო მასალაც უმაგრებს მხარს ლაკურში ამოსავალ ფუძედ \*ბ~შ ძირეულმორფემიანი თანდებულის აღდგენას.

ამდენად, მითვისებით, მიახლოებით, დაშორებით და კავშირებით ბრუნვათა ნიშნებში შემავალი \*ბ~შ თითოეულ ამ ბრუნვაში რეალიზებულია სხვადასხვაგვარად და შემდგომად გართულებული სხვა ბრუნვის ნიშნით ან თანდებულის. ამოსავალი ლატერალიანი ძირის შემცველი თანდებული ჩანს, რომელიც სქემატურად ასეთი სახისა უნდა ყოფილიყო: \*ლ<sup>1</sup>შ +  $\sqrt{1}$ .

თუ ეს ასეა, მაშინ ზემოთ განხილულ ადგილობით ბრუნვათა ფორმანტების პირვანდელი სახე ასეთი უნდა ყოფილიყო:

1. მითვისებითი: -ბ~ < \*-ბ~შ < \*-ლ<sup>1</sup>შ < \*-ლ<sup>1</sup>შV
2. მიახლოებითი: -ბ~შ-უ-ნ < \*-ლ<sup>1</sup>შ-უ-ნ
3. დაშორებითი: -შშ-ა < \*-ბ~შ-ა<sup>2</sup> < \*-ლ<sup>1</sup>შ-ა
4. კავშირებითი: -შშ-ა-ლ < \*-ბ~შ-ა-ლ<sup>3</sup> < \*-ლ<sup>1</sup>შ-ა-ლ

II. მდგომარეობის გამომხატველი ზოგი ბრუნვის ნიშნის გენეზისის ანგის. ასეთი ბრუნვა, როგორც ვნახეთ, სულ ექვსია: -ჟ „-ზე“, -ლუ „-ქვეშ“, -ჟუ „-ში“, -ჭა „-თან“, „-ახლოს“, -ხ „-იქით“, -წ „-თან“, „-ძალიან ახლოს“. ამ ნიშანთაგან განვიხილავთ პირველ ხუთს:

1. -ჟ „-ზე“ მიღებულია ჟ-ალუ „ზევით“, „ზემოთ“ ზმნისართისაგან ([24], გვ. მმ4). ამიტომ, რომ -ჟ „-ზე“ ბრუნვას ზოგჯერ ცვლის ხოლმე სათანადო ზმნისართიანი ფორმა:

ნა ჟილ ჰათთხალ ჟალუ მუსილ ბურკნუ ბიშუჟუნა „მე შენი(ს) საფლავის ზევით (=საფლავზე) ოქროს საფლავის ქვას დაგიდგამ“.

2. გარკვეულია, რომ ლაკ. -ლუ „-ქვეშ“ შეესატყვისება ხუნძ. ტუ თანდებულს „-ქვეშ“ მნიშვნელობით ([58], გვ. მ40).

ჩანს, ხუნძურს დაუკარგავს თანხმონის მომდევნო ხმონითი ელემენტი. შდრ., ერთი მხრივ, ლაკ. -ლუ „-ქვეშ“, ხოლო, მეორე მხრივ, ანდ., ახვას.

-ტ<sup>4</sup>დ, დარგ. ჟუ (ურახ.), -გუ (კუბ.) „-ქვეშ“ ([107], გვ. 110).

ლაკურ -ლუ „-ქვეშ“ ბრუნვის ფორმათა პარალელურად გვხვდება ლ<sup>1</sup>

<sup>1</sup> მაშასადამე, ლაკურში \*-ლ<sup>1</sup>შ > -ბ~შ რომ გვაქვს, იგი რედუცირებულია.

<sup>2</sup> დაცულია პოემა „ალ-ბურდას“ ენაში: ჟი-ბ~შ-ათუსა „შენგან“.

<sup>3</sup> დაცულია პოემა „ალ-ბურდას“ ენაში: ჟრჭ-ა-ბ~შალ „ბავშვებთან ერთად“.

„ქვერით“, „ქვეშ“ ზმნისართით ნაწარმოები აღწერიითი ფორმებიც:

კვათლუ-ლუ || კვათლუ-ლ ლჷ „სახლის ქვეშ“, „ოთახის ქვეშ“

ამგვარი პარალელური ფორმების არსებობას ხსნიან მნიშვნელობათა ნი-  
უანსური სხვაობით: კვათლუ-ლუ „სახლის ქვეშ“, „ოთახის ქვეშ“; კვათლუ-ლ  
ლჷ „სახლის ქვეშ ... ქვემოთ“, „ოთახის ქვეშ ... ქვემოთ“ ([146], გვ.  
16; [115], გვ. 88). ისე კი აღნიშნული სხვაობა მნიშვნელობისა მ ე რ -  
რ ე უ ლ ი ა — განსხვავებულ ფორმებს განსხვავებული შინაარსი დაე -  
ძებნა.

პრინციპულად მსგავსი სურათია ძველი ქართულის სახლსა შინა და  
ახალი ქართულის სახლ-ში ფორმებსა, ერთი მხრივ, და ლაკურის კვათლუ-ლუ  
და კვათლულ ლჷ ფორმებს შორის, მეორე მხრივ.

ადგილობრივი ბრუნვის -ლუ „-ქვეშ“ დაბოლოება მიღებული ჩანს  
\*ლუ-ჴი „ქვევით“, \*ქვეშ“ ზმნისართისაგან ლჷ-ს გზით<sup>1</sup>:

\*ლუ-ჴი > \*ლჷ > -ლუ

თვით ლჷ < \*ლუ-ჴი „ქვევით“, „ქვეშ“ სიტყვაში -ჴი წარმოშობით  
გრ. კლასის ნიშანია, რასაც მოწმობს ამაღე ზმნისართისაგან ნაწარმოები  
მიმართულების აღმნიშვნელი ზმნისართები:

ლჷ-ჴიაჲ „ქვევით მიმართულებით“ ( I გრ. კლ.)

ლჷ-ფხაჲ „ქვევით „ ( III გრ. კლ.)

ლუ-რდაჲ „ქვევით „ ( II, IV გრ. კლ.)

ლუ-რ დაცულია, აგრეთვე, „გრადემლის“ აღმნიშვნელ ლუ-რ-ზი მახ  
(ზედმიწ. „ქვეშ მომუშავე რკინა“) რთულ სიტყვაში, სადაც -რ- მახ „რკი-  
ნა“ სახელის გრ. კლასზე მიუთითებს ([97], გვ. 19); ასევე, ლუ-რ-სხა „სა-  
ქონლის საგები, საფენი“, „საწოლი“ სიტყვაში იგივე ლუ ძირია, -რ- —  
გრ. კლასის ნიშანი, ამჟამად გაქცავებული, ხოლო -სხა წარმოშობით ზედ-  
სართავი სახელის მწარმოებელია, ფუძეს შეხორცებული ([8], გვ. 126).

რაც შეეხება ლჷ-ჴიაჲ < \*ლუ-ჴი-ჴიაჲ ( I გრ. კლ.), ლჷ-ფხაჲ < \*ლუ-  
ჴი-ფხაჲ < \*ლუ-ბ-ბაჲ ( III გრ. კლ.) ფორმებს, აქ დამთხვევია ერთმანეთს  
I გრ. კლასის -ჴი და III გრ. კლასის -ბ > -ჴი ნიშნები. მაშასადამე,  
უნდა გვქონოდა: \*ლუ-ჴი ( I გრ. კლ.), \*ლუ-ბ ( III გრ. კლ.), \*ლუ-რ ( II,  
IV გრ. კლ.) „ქვევით“, „ქვეშ“.

ჩანს, გაქცავებულია პირველი გრამატიკ-  
კული კლასის -ჴი ნიშანი. ეს რომ ასეა, კარგად ჩანს  
ლაკური ენის ბალხარული დიალექტის აულ წალჭუჭინ-ის მეტყველებაში, სა-  
დაც სუფიქსური კლასნიშნები ზმნისართებში, როგორც ზემოთაც ვნახეთ, დდე-  
საც ცოცხალია. ორიოდე ნიმუში:

თქმა  
ითხა-ჴი ( I, III გრ. კლ.) }  
ითხა-რ ( II, IV გრ. კლ.) }

სამწ. ენა  
ითხა-ჴი „თვალში“

1 -ლუ დაბოლოებისა და ლჷ ზმნისართის კავშირი შენიშნული აქვს ჯერ  
კიდევ პ. უსლარს ([146], გვ. 16).

ლუ-ჲ(თუ) ( I, III გრ. კლ.) }  
 ლუ-რ(თუ) ( II, IV გრ. კლ.) }  
 ჭარა-ჲ ( I, III გრ. კლ.) }  
 ჭარა-რ ( II, IV გრ.კლ. ) }

ლუ-ჲ „ძვივით“, „ძვივ“  
 ჭარა-ჲ „გვირდით“

ამდენად, სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ ლაკურ-ში „ლოკატორი ფორმა პირველი გრამატიკული კლასისა გამოყენებულ იქნა განზოგადებული მნიშვნელობით ყველა კლასისათვის“ ([64], გვ.189 — დაყოფა ჩვენია — ტ.ბ.), რეალურ ციხარებას უნდა ასახავდეს.

მ. -ჲ „-ში“ ადგილობითი ბრუნვის ნიშანს თვლიდნენ ლაკურისავე ჭიჲ „შიგ“, „შიგნით“ ზმნისართისაგან მიღებულად ([24], გვ.მ84); [188], გვ.125), რაც ამ ბოლო დროს ნაკლებ სარწმუნოდ მიიჩნიეს ([106], გვ. 5).

მართლაც, -ჲ „-ში“ თანდებულის ჭიჲ „შიგ“, „შიგნით“ ზმნისართთან დაკავშირებას ერთი არსებითი სახის დაბრკოლება ახლავს. ლაკური ენის ციხიური ტიპის დიალექტებში -ჲ „-ში“ წარმოდგენილია -ჲ-ს სახით, როცა ჭიჲ „შიგ“, „შიგნით“ უცვლელადაა. ცხადია, ესენი სხვადასხვა წარმომავლობისაა.

თვით ჭიჲ ზმნისართში ბოლოკიდური -ჲ სუფიქსი ჩანს ( ჭი-ჲ ) — წარმოშობით გრ. კლასის გატევილებული ნიშანი. შდრ. ჭი-რ-საა „შიგნეული“, ჭი-რ-დაკ „შუაგული“, „ბირთვი“ ( ორივე სახელი IV გრ. კლასისაა და ამიტომაც აქვთ კლასის ნიშნად -რ- ) ან ჭი-ა-ის „შიგნიდან“.

აღნიშნული -ჲ ლაკურში სხვა ზმნისართებთანაც დასტურდება: ჰაა-ჲ „ჰალაში“, აკუ-ჲ „ბალში“, კჲ-ჲ „ეზოში“ და სხვ. ([64], გვ.101).

ასეთ ფორმათა შესახებ ჯერ კიდევ პ.უსლარი შენიშნავდა: „შიგ“ მნიშვნელობის გამოსახატავად ბევრი სახელი განსაკუთრებულ ფორმებს იღებს: ფალა-ჲ „საჯინბოში“<sup>1</sup>, რატჲ < რატუ-ჲ „ხეობაში“, ჭარკუ < ჭარკუ-ჲ „ფარდულში“ და სხვ. ([146], გვ.88).

ანალოგიური ფორმები კი დღეს ბალხარული დიალექტის საკუთრივ ბალხარულსა, კჲლ-ის, წალჲკჲნ-ისა და ურუჩარ-ის მეტყველებებაში მოქმედი, ცოცხალი კლასნიშნებითაა გაფორმებული.

რატ „ხეობა“: რატუ-ჲ, -რ (წალჲკჲნ.), რატუ-ბ, -რ (კჲლ, ურუჩ., საკუთრ. ბალხ.) „ხეობაში“

ჭარკუ „ფარდული“: ჭარკუ-ჲ, -რ (წალჲკჲნ.), ჭარკუ-ბ, -რ (კჲლ, ურუჩ., საკუთრ. ბალხ.) „ფარდულში“

მაჲ „მდელო (მთის ფერდობზე)“: მაჲუ-ჲ, -რ (წალჲკჲნ.), მაჲუ-ბ, -რ

<sup>1</sup> პ.უსლართან ჲ-ის ნაცვლად ყველგან უ გრაფიმა გვხვდება. ჩანს, მას წყვილბაგისმიერი ჭი ალექვამს როგორც ხმოვანი უ. ასევეა მასთან წარმოდგენილი I გრ. კლასის ჭი ნიშანი ზმნებში, აგრეთვე, III გრ. კლასის ბ > ჭი ([26], გვ.174). ჩვენ ასეთ უ-ს ყველგან გადმოცემთ ჭი-თი.

(კჷლ, ურუჩი, საკუთრ. ბალხ.) „მდელობი (მთის ფერდობზე)“ და სხვ.<sup>I</sup>

როგორადაც ზემოთ აღინიშნა, სამწერლობო ენასა და ზოგ დიალექტში ზმნისართებში გაქცავებული ჶ წარმოშობით I გრ. კლასის ნიშანია<sup>2</sup> — დღეს მოქმედი აულ წალჭვანის მეტყველებაში (სადაც მას დამთხვა, აგრეთვე, III გრ. კლასის ბ > ჶ ნიშანი), ხოლო კჷლ-ის, ურუჩარ-ისა და საკუთრივ ბალხარულის მეტყველებაში ამ ჶ-ს მოუცია ბ.

ამდენად, -ჶუ „-ში“ დაბოლოების -ჶ უკავშირდება არა უშუალოდ ჶიჶ „შიგ“, „შიგნიტ“ ზმნისართისეულ -ჶ-ს, არამედ ლაკურში საზოგადოდ გამოყენებულ III გრამატიკული კლასის ბ ნიშანს, რომელიც ვიცხიური ტიპის დიალექტებში დაცულია გაქცავებული სახით -ბუ „-ში“ აფიქსში<sup>3</sup>.

ამაში არაფერია მოულოდნელი. იგივე -ჶ, -ბ ... დღესაც მოქმედი კლასის ნიშანია ლოკატივთა ერთ ჯგუფში — ლაკურის ახლომონათესავე დარგული ენის დიალექტებში: ბურკი-ჶ „საჯინიბოში“, ინჭვი-ჶ „გამოქცაბულში“ და სხვ. ([108], გვ. 307). მოქმედი გრ. კლასის ნიშნებია გამოყენებული „-ში“-ს გამომხატველი ერთ-ერთი ლოკატიური ბრუნვის ნიშნად, აგრეთვე, ხუნძურშიც: -ჶ, -ბ, -ჶ ([49], გვ. 150).

4. -ჶა „-თან“, „-ახლოს“ მიღებული ჩანს ჶარაჶ „ახლოს“ ზმნისართის გაცვეთის შედეგად: ჶირა-ჶა < ჶირალ ჶარაჶ „კედლისა თანა, კედელთან, კედლის ახლოს“ ([24], გვ. 334). შდრ., აგრეთვე ჶარაჶ ჶურჶ „ხელის ნომკიდე ვაჶი“ (ზედმიწ. „გვერდზე (ახლოს) ვაჶი“).

5. -ხ „-იქით“ ადგილობითი ბრუნვის ნიშანი მიჩნეულია საერთო-დადესტნური იმ ლოკატიური ბრუნვის ნიშნის კანონზომიერ შესატყვისად, რომელიც წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო \*-ჶჶ მორფემის სახით ([106], გვ. 36). ამ \*-ჶჶ-ს შესატყვისება:

ხუნძ. -ჶჶ „-თან“, დიდ. -ხ(ო), ლაკ. -ხ „-იქით“ (< \*-ჶჶ), ლეზგ. -ჶჶ „-იქით“, „-თან“, თაბ. -ჶჶ „-იქით“, რუთ. -ხ(და) „-თან“, „-იქით“, წახ. -ჶა „-კენ“.

მართალია, ლაკურში ხმოვნის წინ არ აღდგება -ხჶ (რაც სხვა შემთხვევებში ხდება ხოლმე), მაგრამ ეს ახსნილია როგორც პარადიგმის უნიფიკაციის შედეგი — ფორმები ანალოგიის საფუძველზე გასწორებულა, გაბატონებულა -ხ ([106], გვ. 36).

აქ ერთი საკითხი მაინც მოითხოვს დამატებით ძიებას — რატომაა,

I ამ რიგის ნიმუშებში გრ. კლასის ნიშანთა გამოყენების სიძველეზე ბალხარულში ისიც უნდა მიუთითებდეს, რომ კლასის ნიშნები აქ ბ ი რ და - ბ ი რ მიერთებიან სუფთა ფუძეს, როცა სხვა აფიქსები ჩვეულებრივ — ერგატივ-ნათესაობითისას: ჶარკუ „ფარდული“ — ერგ.-ნათ. ჶარკ-ნი-ლ (შდრ. ჶარკუ-ჶ, -ლ), რატ „ხეობა“ — ერგ.-ნათ. რატ-ნი-ლ (შდრ. რატ-უ-ჶ, -ბ) და სხვ.

2 I გრ. კლასის ნიშნის განზოგადება ლაკურში სხვა შემთხვევებშიც ხდება: ([6], გვ. 211; [91], გვ. 234).

3 რაც შეეხება -ჶჶ < \*-ბჶჶ „-ში“ ნიშნისეულ უ-ს, იგი კლას-ნიშნის თანმხლები ხმოვანია, რომლის მორფოლოგიური დანიშნულება დღეს არა ჩანს.

ომ სხვა შემთხვევაში ასე არ მოხდა? — ბ~ „-თან“, მაგალითად, აშკა-  
დადა მიღებული \*ბ~შ-საგან, მაგრამ ბ~ არ განზოგადებულა, ხმოვნისა  
ინ იგი მოსალოდნელი \*ბ~შ-ის (ან მისგან კანონზომიერად მიღებული  
შუ-ის) სახით არის წარმოდგენილი.

III. მიმართულების გამომხატველი ზოგი ბრუნვის ნიშნის გენეზისი-  
ათვის. მიმართულების გამომხატველ -ა || -ათუ „-გან“, -ენ „-კენ“,  
-ნაა ( I გრ. კლ.), -ნმაა ( III გრ. კლ.), -ნნაა ( II, IV გრ. კლ.)  
... მიმართულებით, -ხჳინ „-გავლით“, -ხ „-გავლით“, „-ზე“ ბრუნ-  
ვათაგან ქვემოთ განვიხილავთ პირველ ოთხს:

1. -ა „-გან“ თანდებული -ათუ-ს გაცვეთის შედეგადაა მიღებული  
([24], გვ. 333). ამიტომაცაა, რომ ისინი ხშირად პარალელურად იხმარებიან.  
ჩანს, ამან გამოიწვია ორი აბლატივის გამოყოფაც ([85], გვ. 60), რასაც ჯერ  
კიდევ პ. უსლართან ვხვდებით ([146], გვ. 36-37). აქაც, ფორმათა ნიუანსური  
სხვაობაა ამოსავალი. -ა და -ათუ თანდებულიან ბრუნვათა ასეთი გან-  
ვალკეება მიზანშეუწონელია, რადგან ეჭვს არ იწვევს, რომ -ა მიღებულია  
-ათუ-საგან. მაშასადამე, აქ ორი სხვადასხვა ბრუნვა (შესაბამისად მათი  
ნიშნები) კი არა გვაქვს, არამედ — ერთი.

2. -ენ „-კენ“ თანდებულისა და მიცემითი ბრუნვის -ენ ნიშნის  
იდენტურობასა და ამ უკანასკნელის გენეზისზე ზემოთაც იყო საუბარი. აღი-  
ნიშნა, რომ აქ -ენ მიცემითი ბრუნვის ნიშნის ფუნქციით პირველია, ხოლო  
იმავე მორფემის მიმართ. ბრუნვაში გამოყენება — მეორეული.

3. იმავე -ენ ნიშანს ვხვდებით მიმართულების აღმნიშვნელ -ნაა  
( I გრ. კლ.), -ნმაა ( III გრ. კლ.), -ნნაა ( II, IV გრ. კლ.) მორფემებ-  
ში. ვიცხიურის ტიპის დიალექტებსა და თქმებში ისინი შესაბამისად წარმო-  
დგენილია -ნაა, -ნმაა, -ნნაა მორფემათა სახით. მათი გამოყენების  
თვალსაზრისით კი ყველგან იდენტური სურათია.

დადგენილია, რომ სალიტ. ენის მონაცემი მეორეულია, მიღებული გარკვე-  
ული ფონეტიკური ცვლილებების შედეგად ([26], გვ. 176).

შედგენილობის თვალსაზრისით -ნაა ( გრ. კლასების მიხედვით)  
რ თ უ ლ ი ა : -ნ-ა-ა, სადაც -ენ იგივე ელემენტია, რაც მიცემით და  
მიმართულებით ბრუნვათა -ენ ნიშანი (მნიშვნელობით უტოლდება ქართ.  
„-კენ“ თანდებულს); -ა- მიღებულია -ჟ-ა-საგან, სადაც -ჟ I გრ. კლ-  
ის ნიშანია, ხოლო -ა- — მისი თანმხლები ხმოვანი.

-ჟ-ა > -ა თანხმოვნის წინ. ასეა გატარებული ყველგან, გარდა  
ბ~-ის მომდევნო პოზიციისა ([115], გვ. 68). -ჟ-ა დაცულია ხმოვანთა  
უშუალო მეზობლობაში:

ნაცვალსახელებში: ცუ-ჟ-ა ( I გრ. კლ.), შდრ. ცუ-ფშ-ა ( III გრ.  
კლ.), ცუ-რდ-ა ( II, IV გრ. კლ.) „თვით ის“ ...

რიცხვით სახელებში: კიი-ჟ-ა ( I, III გრ. კლ.)<sup>1</sup>, შდრ. კიი-რ-ა  
( II, IV გრ. კლ. ) „ორი“ ...

1 რადგან ლემუქური ტიპის მეტყველებაში III გრ. კლასის \*-ა > -ჟ.

ზმნისართებში: შა-ჟ-ა ( I გრ. კლ.), შა-ფხ-ა-ა ( III გრ. კლ.), შა-რდ-ა-ა ( II, IV გრ. კლ.) „შინ“, „სახლში“ ...

რაც შეეხება -ნაჲ მორფემის -ჲ-ს, იგი იგივე -ჲ „ზე“ თანდებულია, რომელიც დამოუკიდებლად თვით გვხვდება მდგომარეობის გამომხატველ ერთ-ერთ აფიქსად.

მაშასადამე, -ნაჲ ( გრ. კლასების მიხედვით ) ბრუნვა იგივე -ჲ „ზე“ თანდებულიანი ბრუნვაა, რომელიც ნაწარმოებია მიმართ. გამომხატველი -ნ „კენ“ ბრუნვისაგან — მასზე ცვლადი გრ. კლასის ნიშნების დართვის შემდეგ. ანალოგიური ვითარებაა დარგული ენის ზოგს დიალექტში, სადაც ადგილ. ბრუნვები ნაწარმოებია მიმართ. ბრუნვისაგან — ამ უკანასკნელზე ცვლადი გრ. კლასის ნიშნების დართვით ([103], გვ. 296).

4. -ხჳინ „-გავლით“ ბრუნვის ნიშანი შედგენილობის თვალსაზრისით რთული უნდა იყოს: -ხ-ჳინ , სადაც -ხ- იგივე ჩანს, რაცა გვაქვს -ხ „-იქით“ მდგომარეობის გამომხატველი ბრუნვის ნიშნის სახით წარმოდგენილი.

-ჳინ ელემენტის წარმომავლობისა და ფუნქციის დადგენა ჳირს, ოლონდ, მისი -ხჳინ „-გავლით“ აფიქსისაგან გამოსაყოფად ის საფუძველია, რომ -ჳინ დასტურდება ცალკე, დამოუკიდებლად ზოგი ზმნისართის შემადგენლობაში:

კი-ხ-ა-ჳინ „მეორე მხრიდან, საწინააღმდეგო მხრიდან“ (შდრ. კი-ხა „მეორე მხრიდან“ ) ... ში-ა-ა-ჳინ „აქედან (ზემოდან)“ (შდრ. ში-ა „ზემოდან“, ზედმიწ. „აქ-ზე“ ).

## დასკვნები

1. ლაკურში, მსგავსად სხვა დადესტნური ენებისა, ორი სახის ბრუნვები გამოიყოფა: ძირითადი, საგანთა შორის აბსტრაქტულ დამოკიდებულებას რომ აღნიშნავენ, და ადგილობრივი (ლოკატიური), იგივე თანდებულობის, სივრცეში საგანთა შორის კონკრეტულ მიმართებათა გამომხატველნი.

2. ძირითადი ბრუნვა სულ სამია: სახელობითი (ბრუნვის ნიშანი -მ), ერგატივ-ნათესაობითი (ბრუნვის ნიშანი -ლ), მიცემითი (ბრუნვის ნიშანი -ნ).

3. მეტად ხშირია შემთხვევა, როცა სახ. ბრუნვაში ერთი ფუძეა, ხოლო დანარჩენ ბრუნვებში — მეორე, დაფუძნებული ერგ.-ნათ. ბრუნვის ფორმაზე (ასეა ორსავე რიცხვში). ამიტომ სახ. ბრუნვის ფორმას პირობითად პირდაპირი ბრუნვის ფუძე ეწოდა, ხოლო დანარჩენ ბრუნვათა ფუძეს კი — ირიბ ბრუნვათა ფუძე.

4. ერგ.-ნათ. ბრუნვის ნიშნის წინ ხშირად თანხმოვნითი ელემენტი იჩენს ხოლმე თავს; ვარაუდობენ, რომ იგი ისტორიულად შესაძლოა ზოგჯერ ფუძისეულიც იყოს (ვ.თოფურია, არნ.ჩიქობავა).

შინაგანი რეკონსტრუქციის გზითა და ახლომონათესავე ენათა სათანადო მასალის შედარებით რიგ შემთხვევაში შესაძლებელი ხდება გარკვეული კანონზომიერების დადგენა, თუ როგორ ვითარებაში ისტორიულად მოსალოდნელი თანხმოვანი რა რეფლექსი იძლევა. სახელდობრ:

I. თუ თანხმოვნით დაწყებულთა ერთმარცვლიან სახელს ერგ.-ნათ. ბრუნვის ნიშნის წინ, რომელსაც ი ხმოვანი მიუძღვის, ნ თანხმოვანი გამოარნდა, მაშინ ეს ნ, რიგ შემთხვევაში, მიღებულია რ თანხმოვნისაგან:  
წა „სახელი“ — ერგ.-ნათ. წან-ი-ლ < \*წარ-ი-ლ < \*წარ-ი-ლ  
რ ვარიანტიანი ფუძე დაცულია ლაკურშივე: წარ-ლუ „სახელები“; შდრ., აგრეთვე: ხუნდ. წაწრ, ანდ. წაწრ, ახეახ., ბოთიხ., კარ. წაწრი ... არჩ. წაწორ, ლეზგ. ტჭარ, ტარ, თაჭარ, ალულ., კრიწ., ბუდ. თურ, რუთ. ღურ „სახელი“ (ანალოგიურ ფუძეთა ანალიზი იხ. გვ. I2-I4).

ბუნებრივია, რომ იმავე პოზიციაში ისტორიულად არსებული ბოლოკიდური ნ-ც ალდგეს, რითაც იგი მასალობრივ დაემთხვევა რ-საგან მომდინარე ნ-ს: ქუ „ცხვარი“ — ერგ.-ნათ. ქუნ-ი-ლ

ქუნ ფუძე დასტურდება ლაკურშივე: ქუნ-ნი „ცხვრები“; შდრ., აგრეთვე: ხუნდ. ქუა || ქუი < \*ქუნი, ანდ. ქუნ, ბოთიხ. ქუნი < \*ქუნი, ვამ., კარ. ქუა < \*ქუნი < \*ქუნი, ბაგვ. ქუნი < \*ქუნი ... იმავე მნიშვნელობით (ანალოგიურ ფუძეთა ანალიზი იხ. გვ. I5-I6).

ი ხმოვნის წინ დახურულ, ერთმარცვლიან სიტყვებთან ირიბ ბრუნვათა ფუძეებში გამოვლენილი ლ, რიგ შემთხვევაში, წარმოადგენს რ-ის ბგერის ნაცვალს:

მაკ „ძილი“, „სიზმარი“ — ერგ.-ნათ. მაკ-ლ-ი-ლ < \*მაკ-რ-ი-ლ  
შდრ. ერგ.-ნათ. მხ.რ. მაკ-რ-ა-ლ (პ.უსლარი), ერგ.-ნათ. მრ.რ. მაკ-ურ-დ-ი-ლ, აგრეთვე: დარგ. მუყირ (ურახ.), მუყირ < \*მუგირ (ხაიდაყ.) „სიზმარი“ (ანალოგიურ ფუძეთა ანალიზი იხ. გვ. I6-I7).

ბუნებრივია, ასეთსავე პოზიციას ი თავი იჩინოს ამოსავალმა ლ-მ: კილი „უნაგირი“; შდრ. დარგ. გული-ცაბთა (წუღ.), ცული-ბზა (ურახ.), ხუნდ., არჩ. ტილი „უნაგირი“.

II. თუ ისტორიულად სიტყვის ბოლოს მოსალოდნელია რ , მაშინ იგი დაცულია ა ხმოვნის წინ:

მაა „ცხვირი“ — ერგ.-ნათ. მააღ-ა-ლ

რ დაცულია მრ. რიცხვშიც: მააღ-ღუ „ცხვირები“; შდრ., აგრეთვე: ხუნდ. მეჭერ „ცხვირი“, „მთა“, ანდ. მაჰარ, კარ., ბაგვ. მიჰარ, ტინდ. მიჰარ, ბოთიხ. მიჰარ, ლდ. მიჰარ „ცხვირი“ ... კაპ. მარო, ჰუნზ. მარუ, ლეზგ. ლერ, ილზრ „ცხვირი“ (ანალოგიურ ფუძეთა ანალიზი იხ. გვ. I7-2I).

III. მხ. რიცხვის ირიბ ბრუნვათა ფუძეში, რიგ შემთხვევაში, -უ- დამაკავშირებელი ხმოვნის წინ ისტორიულად სავარაუდებელი თანხმოვანი დაცულია:

ხუა „ქარქაში“ — ერგ.-ნათ. ხუაღ-უ-ლ

შდრ. ხუნდ. ლეღ „ქარქაში“ (ანალოგიურ ფუძეთა ანალიზი იხ. გვ. 2I-23).

IV. ისტორიულად სავარაუდებელი ფუძისეული თანხმოვანი ირიბ ბრუნვათა ფუძეებში სხვა შემთხვევებშიც დაცულია, როგორც არსებით სახელებში (იხ. გვ. 23-25), ასევე ზოგ პირის (იხ. გვ. 25-27), ჩვენებით (იხ. გვ. 27-3I) და კითხვით (იხ. გვ. 32-34) ნაცვალსახელებში.

5. ლაკურში სახელური ფუძე ისტორიულად შემდეგი სტრუქტურისა უნდა ყოფილიყო:

გრამატიკული კლასის ნიშანი (თანხმლები ხმოვნითურთ) + სახელის ძირი + ფუძის დეტერმინანტ-სუფიქსი.

მაგალითად: ბაკ < \*ბაკ-რ (შდრ. ერგ.-ნათ. მხ.რ. ბაკ-რ-ა-ლ) < \*ბაკურ (შდრ. ერგ.-ნათ. მრ.რ. ბაკურ-დ-ი-ლ, აგრეთვე: ხუნდ. ბეტერ < \*ბეტერ „თავი“) „თავი“; \*ბ(ა)-კ-ურ „თავი“ ფორმაში ბ(ა)- თავის დროზე გრ. კლასის მოქმედი ნიშანი უნდა ყოფილიყო, კ — ძირეული მორფემა, ხოლო \*-ურ დეტერმინანტ-სუფიქსის როლში გამოდიოდა.

ა) გრამატიკული კლასის ნიშანი. გრ. კლასის ნიშანი ლაკურ არსებით სახელებში დღეს ცოცხალი, მოქმედი არაა, ისტორიულად კი — უნდა ყოფილიყო; ჩანს, იგი ლაკურ სახელებში: 1. გაქვაგებულა: ბ-, ლ-, რ- (სათანადო ფუძეთა შესახებ იხ. გვ. 35-36); 2. რიგ შემთხვევაში კი \*ბ-, \*ღ- \*რ- ცვლილა, სახელდობრ: \*ბ- > მ- (> ლ-); \*ღ- (|| \*რ- ) > ლ- (> მ-); \*ღ- > თხ-; \*რ- > ლ- (სათანადო ფუძეთა შესახებ იხ. გვ. 36-48).

აღნიშნული ცვლილებათა ლაკურ სახელებში გრ. კლასების სისტემის მოშლის შემდეგ უნდა დაწყებულიყო, ამ დროს ექნებოდა მას მეტი გასაქანი.

ბ) გრამატიკული კლას-ნიშნის მომდევნო ხმოვანი. გრ. კლასნიშნისეული ხმოვანი საზოგადოდ შეიძლება იყოს: I. ფუძისეული, 2. მორფოლოგიური თანხმოვლებისა, 3. განვითარებული.

მაშასადამე, გრამატიკული კლასის აღმნიშვნელ პრეფიქსად ოდენ თან-ხმოვანი უნდა გექონოდა, „ხმოვნის დართვით კი მის ვარიანტებს ვიღებთ“ (არნ. ჩიქობავა). ამდენად, კლას-ნიშნის თანმხლებ ხმოვანს ლაკურში გრამატიკული კლასის აღნიშვნასთან არა აქვს კავშირი.

გ) სახელის ძირი. ამოსავალ ძირეულ თანხმოვანს ლაკურში შესაძლოა გარკვეული ფონეტიკური ცვლა (როგორცაა, მაგალითად, პრერეპტივიზაცია, პალატალიზაცია, დელაბიალიზაცია, დეგემინაცია) მოსდიოდეს, მაგრამ მისი ტიპი მაინც შენარჩუნებულია — ი გ ი ც ა ლ ი თ ა ნ ხ მ ო - გ ნ ი ს ა გ ა ნ შ ე ჯ გ ე ბ ა , მსგავსად სხვა იბერიულ-კავკასიური ენებისა.

დ) დეტერმინანტ-სუფიქსი. დეტერმინანტ-სუფიქსებად ლაკურში გამოვლენილია: -Vრ, -Vნ, -Vლ, -Vდ, -Vბ (ამათ შესახებ იხ. გვ. 47-49).

ცხადია, დეტერმინანტ-სუფიქსთა თანხმოვნითი ელემენტები და გრამატიკული კლასის ნიშნები ლაკურში მატერიალურად იდენტურია, რაც საზოგადოდ მათ ს ა ე რ თ ო მ ო დ ე ლ ი ს რ ე ა ლ ი ზ ა ც ი ა გ ვ ა ქ ე ს ე ვ ე მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ს .

6. გაირკვა, რომ გრამატიკული კლას-ნიშნებისა და დეტერმინანტ-სუფიქსთა წარმოდგენის თვალსაზრისით ლაკურში გასარჩევია სახელთა ფუძეების შემდეგი ძირითადი ტიპები:

- 1) როგორც კლას-ნიშნის, ისე დეტერმინანტ-სუფიქსის მქონე ფუძეები;
- 2) ოდენ დეტერმინანტ-სუფიქსის მქონე (კლას-ნიშნის გარეშე) ფუძეები;
- 3) ოდენ კლას-ნიშნის მქონე ფუძეები — დეტერმინანტ-სუფიქსის გარეშე;

4) უკლასნიშნო და უდეტერმინანტსუფიქსო ფუძეები.  
ფუძეთა ანალოგიური სახეობანი დასტურდება ხუნძურ-ანდიურ ენებშიც (ილ. ცერცვაძე), რაც იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ ორსავე შემთხვევაში დადესტნურ ( რესპ. იბერიულ-კავკასიურ ) ენათა სახელის ფუძის ს ა ე რ თ ო მ ო დ ე ლ ი ს რ ე ა ლ ი ზ ა ც ი ა გ ვ ა ქ ე ს ე .

7. სახელის ფუძესა და ბრუნვის ნიშანს შორის ხშირად ჩნდება ხოლმე ხმოვანი, რომელსაც დამაკავშირებელი ხმოვანი ეწოდა. ასეთ ხმოვნებად ლაკურში გამოიყენება სადა უ, ე, უ (არც თუ იშვიათად ჰ, რ, ჟ). განსაზღვრა იმისა, თუ რა შემთხვევაში რა ხმოვანი შეგვხვდება, ძნელია, რადგან ზოგი დამაკავშირებელი ხმოვანი ისტორიულად ფუძისეულია:

ნიც < \*ნიცუ ( შდრ. ერგ.-ნათ. ნიცუ-ლ ) „ხარი“  
შდრ., აგრეთვე: ანდ. უნსო < \*უნსა, ბოთღიხ., კარ., ლოდ. უნსა, ჭამ., ტინდ., პავგ. მუსა, ახვახ. მუ\*სა „ხარი“ ( ანალოგიურ ფუძეთა ანალოზი იხ. გვ. 52-53 ).

იგარაუდება, რომ ასეთ ხმოვანს ადრე თანხმოვნითი ელემენტი ახლდა, რომელიც, ჩანს, დ ა კ ა რ გ უ ლ ა ( ზოგი ასეთი შემთხვევა იხ. გვ. 52-53 ). მაშასადამე, დღევანდელი დამაკავშირებელი ხმოვანი ლაკურში წ ა რ - მ ო შ ო ბ ი თ ზოგჯერ დეტერმინანტ-სუფიქსის ხმოვნითი ელემენტი ყოფილა.

8. ტერმინი საგრეობი შრომაში გამოიყენება როგორც სინქრონიული

ცნება იმ თანხმონდნურ ელემენტთა აღსანიშნავად, ირიბ ბრუნვათა ფუძეში ბრუნვის ნიშნის წინ რომ წარმოჩნდებიან ხოლმე. სავრცობი დამაკავშირებელი ხმოვნის გარეშე არ გვხვდება ( აკ „ბალი“ — ერგ.-ნათ. აკ-ნ-ღ-ლ, სადაც -ნ- სავრცობია, ხოლო -ღ- — დამაკავშირებელი ხმოვანი ), ეს უკანასკნელი კი საღრცობის გარეშეცაა ( ჭუნ „ღრო“ — ერგ.-ნათ. ჭუმ-ა-ლ ).

9. ბრუნება ლაკურში ე რ თ ი ა , რადგან ბრუნვის ნიშნები ორსავე რიცხვში ერთი და იგივეა. სხვაობაა მხოლოდ ირიბ ბრუნვათა წარმოების თვალსაზრისით. ამის მიხედვით გამოიყოფა ბრუნების ო რ ი ტიპი:

I. ს ა ვ რ ც ო ბ ი ა ნ ი ბრუნება;

II. უ ს ა ვ რ ც ო ბ ო ბრუნება.

I. ს ა ვ რ ც ო ბ ი ა ნ ი ბრუნებისას გამოიყოფა ე ქ ე ს ი ქვეტიპი:

I.1. ბრუნება -რ- სავრცობით (იხ. გვ. 57-58);

I.2. ბრუნება -თხ- სავრცობით (იხ. გვ. 58-59);

I.3. ბრუნება -ლ- სავრცობით (იხ. გვ. 59-60);

I.4. ბრუნება -ნ- სავრცობით (იხ. გვ. 60-64);

I.5. სორორ თანხმონდნებზე დაბოლოებულ სახელთა ბრუნება (იხ. გვ. 64-65); .

I.6. ბრუნება ფუძის შინაგან ხმოვანთა ფლექსიით (იხ. გვ. 65-66).

II. უ ს ა ვ რ ც ო ბ ო ბრუნებისას გამოიყოფა ს ა მ ი ქვეტიპი:

II.1. ფუძეპოლხმონიან სახელთა ბრუნება (იხ. გვ. 67);

II.2. ფუძეპოლოთანხმონიან სახელთა ბრუნება (იხ. გვ. 67);

II.3. ბრუნება ფუძის შინაგან ხმოვანთა ფლექსიით (იხ. გვ. 68-73).

IO. ნაწარმოებ სახელთა ბრუნებისას გარკვეული კანონზომიერებაა — ამა თუ იმ აფიქსით ნაწარმოებ სახელს ძირითადი ფორმები ერთნაირად ეწარმოება. აქაც ბრუნების ო რ ი ტიპია გამოსაყოფი:

1) საღრცობიანი ბრუნება (იხ. გვ. 75-76);

2) უსავრცობო ბრუნება (იხ. გვ. 76).

II. იმ საღრცობთაგან, რომლებსაც ვხვდებით მხ. რიცხვის ირიბ ბრუნვათა ფუძეში, ორი სახის საღრცობია განოსაყოფი ( დამაკავშირებელი ხმოვნებითურთ ):

I. მ ა რ ტ ი ვ ი : -რ- ( -რ-ა-, -რ-ი-, -რ-უ- ), -ღ- ( -ღ-უ- ), -თხ- ( -თხ-ა-, -თხ-ი-, -თხ-უ- ), -ლ- ( -ლ-ი-, -ლ-უ- ), -ნ- ( -ნ-ა-, -ნ-ი-, -ნ-უ- ).

ამ საღრცობთათვის ამოსავალი \*რ-V- და \*ნ-V- სტრუქტურის მქონე საღრცობებია, რომლებსაც გარკვეული ბგერათვლილებების შემდეგ ასეთი ძირითადი ვარიანტები მოუვიდა:

ა) \*რ-V- რეალიზებულია \*რ-ა-, \*რ-ი-, \*რ-უ- საღრცობთა სახით;

1. \*რ-ა-  $\begin{cases} \rightarrow \text{-რ-ა-} \\ \rightarrow * \text{-დ-ა-} > \text{-თშ-ა-} \end{cases}$
2. \*რ-ი-  $\begin{cases} \rightarrow \text{-ლ-ი-} \\ \rightarrow \text{-ნ-ი-} \\ \rightarrow * \text{-დ-ი-} > \text{-თშ-ი-} \end{cases}$
3. \*რ-უ-  $\begin{cases} \rightarrow \text{-რ-ი-} \\ \rightarrow \text{-რ-უ-} \\ \rightarrow * \text{-დ-უ-} > \text{-თშ-უ-; -ლ-უ-; -ნ-უ-} \end{cases}$

ბ) \*ნ-V- რეალიზებულია ნ-ა-, ნ-ი-, ნ-უ- სავრცობთა სახით.

II. რ თ უ ლ ი : -დანუ-, -დალუ-, -თხირდა-, -დარა-, -თხარა-, -თხირა-, რომლებიც შედგებიან იმ ელემენტებისაგან, რაც ცალკე დასტურდება მარტივ სავრცობთა სახით.

12. ლაკურში ძირითად ბრუნვათაგან მარკირებულია ო რ ი — ერგატივ-ნათესაობითი და მიცემითი. მართალია, ლაკურში დღეს დამოუკიდებელი ერგატივი არა გვაქვს, მაგრამ ისტორიულად კი უნდა გვქონოდა ( არნ. რიქობაეა ).

ძირითად ბრუნვათა ნიშნები ისტორიულად ო რ ი რიგისაა ( ამის შესახებ იხ. გვ. 84-91 ):

I. გრამატიკული კლასნიშნისაგან მომდინარე:

ა) საკუთრივ ერგატივისა: -თხ < \*-დ < \*-რ < \*-რV

ბ) ნათესაობითისა: -ლ < \*-ლV < \*-რV

გ) მიცემითისა: -ნ < \*-მ < \*-ბ < \*-ბV

II. ნაცვალსახელური წარმომავლობისა — დეტერმინანტ-სუფიქსისა-გან მომდინარე:

ერგატივისა: ნა || ნი < \*-ნV

13. ადგილობითი (ლოკატიური) ბრუნვები თავისი ფუნქციისა და სტრუქტურის მიხედვით ო რ ჯგუფად იყოფა: I) ჯგუფი ბრუნვებისა, რომლებიც მდგომარეობას გამოხატავენ და ცალთანდებულიანია, 2) ჯგუფი ბრუნვებისა, რომლებიც გამოხატავენ მოძრაობას სივრცეში და ორთანდებულიანია.

ცალთანდებულიანია ე ქ ვ ს ი ბრუნვა: -ჟ „ზე“, -ჟუ „ში“, -ლუ „ქვეშ“, -ჭა „თან“, „ახლოს“, -ხ „იქით“, -წ „თან“, „ძალიან ახლოს“.

ორთანდებულიანი ბრუნვები მიღებულია მდგომარეობის აღმნიშვნელი თითოეული ბრუნვისაგან — მასზე მიმართულების გამოხატველი თანდებულის დართვით. ასეთი თანდებული კი სულ ხ უ თ ი ა : -ა || -ათუ „გან“, -ნ „კენ“, -ხ „გავლით“, „ზე“, -ნაჟ ( I გრ.კლ.), -მმაჟ ( III გრ.კლ.), -ნნაჟ ( II, IV გრ. კლ.) „-მიმართულებით“, -ხჰინ „გავლით“.

სულ ორთანდებულიან ბრუნვათა რიცხვი 29-ს (ზოგჯერ 28-ს) აღწევს.

აღნიშნულ ცალ- და ორთანდებულიან ბრუნვათა გარდა ლაკურში კიდევ დასტურდება თანდებულიანი ბრუნვები, რომლებიც სავანთა ურთიერთობას გამოხატავენ სივრცის გარეშე. ასეთი ბრუნვა სულ შ ვ ი დ ი ა ( -ჟარ ||

-ნიჰარ „-ვიდრე“, -ხდუ || -ხდუნუ „-გამო“, „-ნაცვლად“, -ჰნუ „-მეოხე - ბით“, მითვ. -ხ~ „-თან“, მიახლ. -ხ~ხუნ „-კენ“, დაშ. -შხა „-გან“, კავშ. -შხალ „-ურთ“ ). ე.ი. ლაკურში თანდებუდიან ბრუნვათა რაოდენობა სულ 42-ს ( ზოგჯერ 41-ს ) აღწევს.

I4. ნაშრომში წარმოდგენილია მდგომარეობის გამომხატველი ცალთანდე-ბულიანი (იხ. გვ. 97-101), მიმართულების აღმნიშვნელი ორთანდებუდიანი (იხ. გვ. 101-102) ზოგი ბრუნვის ნიშნის წარმომადგობა, ასევე ბრუნვის ნიშანთა გენეზისი იმ ლოკატიური ბრუნვებისა, რომლებიც საგანთა ურთიერთობას სივრცის გარეშე გამომხატავენ (იხ. გვ. 128-136). მაგალი-თად, გაირკვა, რომ:

ლაკურში ოთხი ასეთი ბრუნვა მიღებულია ერთი თანდებუდიანი ბრუნვი-საგან, რომელიც შემდგომად გართულებული სხვა ბრუნვის ნიშნით:

- 1) მიტვისებითი -ხ~ < \* -ხ~ხ < \* -ლ'ხ < \* -ლ'ხV
- 2) მიახლოებითი -ხ~ხ-უ-ნ < \* -ლ'ხ-უ-ნ
- 3) დაშორებითი -შხ-ა < \* -ხ~ხ-ა < \* -ლ'ხ-ა
- 4) კავშირებითი -შხ-ა-ლ < \* -ხ~ხ-ა-ლ < \* -ლ'ხ-ა-ლ

ცხადია, ოთხივე ადგილობითი ბრუნვის ნიშნის ს ა ე რ თ ო ეღე-მენტია \*ხ~ხ, რომლის ამოსავალი \*ლ'ხ + V სტრუქტურის მქონე თანდე-ბული წარმოდგენილია რიგს დაღესტნურ ენაში:

ბოთლიხ, ლოდ. -ლ'ხი „-ურთ“, „-იან“, „-თან“, ანდ. -ლ'ხუ — ადგილის ზმნისართთა მაწარმოებელი „-თან“ მნიშვნელობით, არჩ. -ლ'ხუ || -ლ'უ „-გვერდით“, „-ახლოს“, „-თან“ ...

1. В системе падежей лакского языка, как и в других дагестанских языках, различаются: основные и местные (локативные) падежи (по происхождению послеложные).

Основные падежи выражают абстрактные отношения между предметами, а локативные — пространственные отношения.

2. В группу основных падежей лакского языка входят три падежа: именительный, родительный (эргативно-родительный), дательный (или четыре — если учитывать звательный [24, с.33]).

3. Известно, что эргативный падеж исторически является "первым именительным падежом" [43, с.175]. Исходя из этого положения, основа имени, засвидетельствованная в отмеченном падеже (а в роли такого падежа в лакском языке ныне выступает эргативно-родительный падеж) древнее основы, подтвержденной в именительном.

Поскольку в лакском языке часты случаи, когда в формах им. падежа выступает одна основа склоняемого имени, а в формах остальных падежей — другая, постольку для обозначения основы им. падежа в работе употребляется термин "основа прямого падежа", а для основы остальных падежей — "основа косвенных падежей".

4. В лакском языке "основными падежными формами" являются четыре формы: именительный и эргативно-родительный падежи ед. и мн. чисел — от этих форм закономерно образуются все остальные формы в обоих числах.

5. Перед окончанием эргативно-родительного падежа часто появляются согласные элементы, которые отсутствуют в именительном падеже, но сохраняются в формах всех косвенных падежей. По мнению В.Г. Топуриа и Арн.Чикобава, такие элементы иногда принадлежат основе имени.

При помощи внутренней реконструкции, а также в результате сравнения соответствующих материалов близкородственных языков в ряде случаев можно установить закономерность появления тех или иных рефлексов исторически предполагаемого согласного элемента основы. В частности, в работе выявлены следующие случаи появления исторически предполагаемых согласных элементов основы:

I. \*-r-i- > -n-i- в односложных словах с гласным исходом:

1.  $\varphi a$  "имя" — эрг.-род.  $\varphi an-i-l$  < \* $\varphi ar-i-l$  < \* $\varphi , ar-i-l$   
 Основа на r сохранена в лакском:  $\varphi ar-du$  "имена"; ср. также: авар.  $\varphi , ar$ , анд.  $\varphi , er$ , ахвах., ботл., кар.  $\varphi , er$ ...., арч.  $\varphi , or$ , лезг.  $twar$ ,  $tar$ ,  $t, war$ , крыц., буд.  $tur$ , рут.  $dur$ ... "имя".

2. qu "поле", "пашня" — эрг.-род. qun-i-l < \*qur-i-l

Основа на г сохранена в лакском: qur-du "поля", "пашни"; ср. также: авар., анд., кар. xur, ботл., год. xuri, ахвах. q'uri "пахотный участок", "нива", "поле". Авар.-анд. xur < \*q'ur. Та же основа представлена в дидойском в виде xur, а в арчибском языке — в виде ux < \*uxur (ср. мн.ч. uxur-čen — [107, с.92]).

Аналогичные случаи предполагаются и в основах косвенных падежей следующих имен: x'u "ворот", "вырез", ka "рука", ja "глаз", çi "ягненок".

Естественно предположить, что в указанной позиции может восстановиться и конечный п, исторически наличествующий в основе, который тем самым совпадает с п, полученным от г:

1. ku "баран" — эрг.-род. kun-i-l

Основа kun представлена в лакском: kun-ni (< \*kun-nu) "бараны"; ср. также: авар. kuj || kwi < \*kuni, анд. kun, ботл. ku<sup>n</sup>i < \*kuni, чам., кар. ku<sup>n</sup>j < \*ku<sup>n</sup>i < \*kuni, багв. kwi<sup>n</sup> < \*kwin с тем же значением.

2. tu "гнида" — эрг.-род. ṭun-i-l

Основа на п представлена в лакском: ṭun-ni "гниды"; ср. также: ахвах. ṭani, анд., багв., ботл., год., чам. ṭana, кар. ṭane, уд. ṭe < \*ṭen [145, с.259] "блоха".

Аналогичные случаи предполагаются и в основах косвенных падежей следующих имен: ku "желудок", ka.i "зима", yo.i "лето".

\*-r-i- > -l-i- в односложных словах с согласным исходом:

1. maḳ "сон", "сновидение" — эрг.-род. падеж ед. числа maḳ-l-i- < \*maḳ-r-i-l

Ср. форму эрг.-род. падежа ед. числа maḳ-r-a-l, засвидетельствованную в монографии П.К.Услара [146, с.321], а также форму эрг.-род. падежа мн. числа maḳur-d-i-l. Форма maḳra встречается в выражениях типа maḳra kunmā "как во сне", maḳra kə.ak.an "присниться"; по-видимому, в указанных примерах maḳra < \*maḳral.

Соответствующая основа на г представлена также в даргинском языке в виде mu'ir (урах.), mužir < \*mugir (хайд.) "сон".

2. mač "луг" — эрг.-род. падеж ед. числа mač-l-i-l < \*mač-r-i-l

Ср форму эрг.-род. падежа мн. числа mačur-d-i-l, также: арч. mos<sub>2</sub>or (< \*močor), лезг. čur, аг. čir "пастбище".

Аналогичные случаи предполагаются в основах косвенных падежей имен qač "саранча", naḳ "молоко", ruḳ "ярмо", nač "вошь", kič "пуговица".

Естественно предположить, что в указанной позиции может встретиться и исходный л :

қоілі "седло"; ср. дарг. guli-'abta (цуд.), 'uli-bx'а (урах.), авар., арч. t̄iлі "седло".

II. Если в конце слова предполагается наличие r, то этот последний сохраняется в основе косвенных падежей перед a:

1. maj "нос" — эрг.-род. падеж ед. числа majr-a-l

r сохраняется и во мн. числе: majr-du "носы"; ср. также: авар. mewer "нос", "гора", анд. mahar, кар. багв. miwar, тинд. mijar, ботл. mi'ar, год. mihar "нос". r сохранен: в кап. maḡo, гунз. maḡu, лезг. ler, per, ilär "нос".

2. ṣu "огонь" — эрг.-род. падеж ед. числа ṣar-a-l

Основа на r сохранена в лакском: ṣur-du "огни"; ср. также: авар. ṣa < \*ṣar, анд., ботл., багв., кар., тинд. ṣaj < \*ṣar, ахвах. ṣari... уд. ar-ux < \*ṣar-ux [55, с.360] "огонь".

Аналогичные случаи предполагаются и в основах косвенных падежей имен: qaṣ "плечо", kaṣṣuk "яйцо", purḡu "дым", nä "мозг", zi-miz "муха", naj "пчела", rik "топор", maz "язык".

III. В основах косвенных падежей ед. числа в некоторых случаях перед соединительным гласным -u- сохраняется исторически предполагаемый элемент основы:

1. x uj "ножны" — эрг.-род. падеж ед. числа x'ujl-u-l

Ср. авар. l'el "ножны"

2. s̄i "желчь", "гнев", "злоба" — эрг.-род. падеж ед. числа s̄it̄<sub>3</sub>-u-l < \*s̄in-t̄<sub>3</sub>-u-l < \*s̄im-d-u-l < \*s̄imi-r-u-l

